საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ენათმეცნიერებისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ალექსი ოჩიაური

ქართული ხალხური დღეობების კალენდარი

ხევსურეთი

(არხოტის თემი)

„მეცნიერება"
თბილისი
1988

63.5(2Г) 912
ო 917

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის სექტორში დაცულია დიდძალი მასალა ქართული ხალხური კალენდარული დღესასწაულების შესახებ. ივი შეკრებილია ჩვენი საუკუნის '40-იანი წლების მიჯნაზე პროფ. ვ. ბარდაველიძის უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. ხევსურეთისა და ფშავის დღეობები ალ. ოჩიაურის მიერ არის აღწერილი. ეს მასალა გამოირჩევა სიზუსტით, დეტალურობითა და მრავალმხრივობით. შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომელთა ფიქსაცია დღეს სრულიად შეუძლებელია.

წიგნში წარმოდგენილი მასალა ნაწილია ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდრის მთლიანი კორპუსისა, რომლის თანდათანობითი გამოცემა განზრახულია შემდეგ წლებში. ეს მასალა ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის ძველი მსოფლმხედველობის კვლევას, დღესასწაულთა წარმოშობისა და ფორმირების შესწავლას, მდიდარი ხალხური ტრადიციების გამოვლენას, რასაც მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად, ფართო პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

რედაქტორი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი თ. ოჩიაური

რეცენზენტები: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ჯ. რუხაძე
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ი. სურგულაძე

ო $\frac{0503020906}{М\ 607(06)-88}$ 157—88 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1988

I SBN 00157—X.00161—8

შესავალი

ბევრი იწერება ხევსურეთის ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებაზე, მაგრამ ბევრი რამ სიმართლეს მოკლებულია. ხევსურეთში, როცა გზები გაიხსნება და სიარულის დრო არის, მაშინ ხალხს საქმე აქვს (მზადება სამეურნეო იარაღებისა, ხვნა, თიბვა, მკა, საზამთროდ შეშის ,მომზადება, თივის და ძნის მოტანა და სხვა). ზაფხულის განმავლობაში დრო არ რჩებათ, მოსულ კაცს ჩამოუსხდნენ და ყველაფერი დაწვრილებით უამბონ, ხშირად შეკითხვებზე არასწორ პასუხს აძლევენ, ცდილობენ თავიდან როგორმე მოიცილონ და თავისი საკუთარი საქმე არ დარჩეთ გაუკეთებელი. მათ არ იციან, მკვლევარს რატომ აინტერესებს სწორი ცნობების ჩაწერა, ამიტომ ტყუილსაც ხშირად აწერინებენ. ამავე დროს, ზოგიერთ რამეს საკუთარ საიდუმლოებად თვლიან და მას არავის ეტყვიან, მითუმეტეს, თუ ატყობენ, რომ განათლებული ხალხის შეხედულებით, თავიანთ ზნე-ჩვეულებაში რამე უარყოფითი აქვთ. თვითონ ასეთი რამ თუმცა უარყოფითად არ მიაჩნიათ, სხვას მაინც არ ეუბნებიან, რადგან დაცინვის და გაკიცხვის ეშინიათ. აქვთ სარწმუნოებაში თავისებური საიდუმლოებანიც, რომლის თქმაც დაღუპვად ესახებათ. ხევსური თავის უარყოფით მხარეს ყველასთან ფარავს, დადებითს კი გაზვიადებულად მოუთხრობს.

უნდა ითქვას, რომ ხალხურ პოეზიაში არსებულ თავის უარყოფით ლექსებსაც კი არავის ჩააწერინებენ, დამარცხების ამბებს არავის ეუბნებიან, გამარჯვებისას კი ერთი ათად აზვიადებენ. ამიტომ საჭიროა ყველაფერი აიწეროს ისეთი კაცის მიერ, ვისაც ეს ჩვეები თვითონ შეუსრულებია და განუცდია. საჭიროა, აგრეთვე, მასალა შეიკრიბოს ხნიერი და ჭკვიანი ხევსურების დაკითხვით და არა ისე. გზაში შემთხვევით შეხვედრილ ხევსურს რომ ეკითხებიან, მის მიერ თქმულს ეყრდნობიან, არ არჩევენ, ის კაცი რა ჭკუის პატრონია და რამდენად შეუძლია სწორი ცნობების მოწოდება.

მე განვიზრახე მასალის შეკრება ხევსურეთის ირგვლივ, რათა მკითხველს საშუალება ჰქონდეს ერკვეოდეს, თუ ხევსურები რანი იყვნენ წარსულში და რანი არიან ახლა. აღვწერე რელიგიური დღესასწაულების წლიური კალენდარი ზუსტად და უტყუარად, დაწყებული დღე-

ასწაულებისათვის საჭირო პურის მოყვანიდან, დამთავრებული წლის განმავლობაში მისი დახარჯვითა და მოხმარებით, დამახასიათებელი სათანადო წეს-ჩვეულებებითა და ლოცვებით. პირველ რიგში აღვწერე ორბოტის თემის დღესასწაულები, რომელთა შესრულებაში უშუალო მონაწილეობა მიმიღია.

ჯვარის მამულების ხვნა არხოტის თემში

ხვნა იწყება გაზაფხულზე, დაახლოებით აპრილის ნახევარში სახატო მამულის, ე. წ. „ჯვარის ყანის“, მოხვნით. ხვნას შაბათ დღეს იწყებენ.

პარასკევს ხუცესი ავა მაღალ ბანზე, საიდანაც მთელი სოფელი ჩანს და ყველა გაიგონებს მის ხმას. ხმამაღლა დაუძახებს ხალხს:

„სოფლელებო, მაგდიოდასთ ყველას, ვისაც არ მაგდისთ, ერთმანეთს გააგებიეთ. თუ გწყალობსთ არხოტის ჯვარი ხვალ თავის საქმეზე არცად-ვინ წახვიდათ. ჯვარის ყანა იკვნის. ყველამ დაამზადეთ დღეს ჯარის იარაღი. ხვალ დილას ყველა გამეედით, ბერი-დ ახალი. ზოგი მამულშიით ქვას გადახყრის, ზოგი ჯარებს დასწრაფავს, ზოგი კიდე მაკნავს. გაიგონეთ ჯვარის ყანაის ჯვარის სადიდებლადა-დ თქვენ სამწყალობნელად“.

ამას სოფლის მცხოვრებნი მოისმენენ და ამზადებენ უღელს, საუღლეს, გუთნებს, სახვნელს. დასტურები კი ერთ სახლში შეიკრიბებიან და შემდეგ წესს ასრულებენ: არხოტის ჯვარში სამი დასტურია, ისინი მიიტანენ ხორცს, ყველს, ერბოს და ფქვილს. დიასახლისი ხორცს დაჭრის წვრილად „საპარსვლით“ (დუქარდი), ყველს („სატანს“) ჩათლის დანით და შეიძლება ქონიც აურიოს. აერევს ერთმანეთში, მოზელს ცომს და გააკეთებს გულიან ქადებს ოცდაათამდე, რამდენსაც ხუცესი ეტყვის. მათი რაოდენობა განისაზღვრება იმით, რომ ხუცესმა უნდა იცოდეს, ხევსურეთში რამდენია მთავარი სალოცავი და რამდენი უნდა ახსენოს მან. ქადები იქნება თითო დიდი და თითო პატარა. დიდს ჰქვიან „სასანთლე“, პატარას „საკვირაო“.

დასტურები ჩამოქნიან სანთელს იმ რაოდენობით, რამდენსაც ხუცესი იტყვის. დიასახლისი ქადებს და საკვირაოებს დაჭრელებს „საჭვრეთათი“ და დააცხობს „ზედგანზე“. ზედგანი რკინი რგოლზე დადებული სიპი ქვაა, რგოლს ხელი აქვს ისევე რკინისა და ჩამოკიდებულია ჭერში. ჩამობმულ რკინის საკიდელზე. სიპს ახურებენ ცეცხლით და აწყობენ ზედ სასანთლეებს და საკვირაოებს. დიასახლისი მათ აბრუნებს ხან ერთ გვერდზე და ხან მეორეზე. როცა ორივე გვერდზე ცოტათი გამოცხვება (ამას ხევსურები უწოდებენ „მოჭირთებას“), დიასახლისი მათ ჩაფლავს ცხელ ნაღვერდლიან ნაცარში. აქაც გვერდს მოუბრუნე-

-ბენ და ,,ნუ" გამოაცხობენ. მერე დიასახლისი ნაცარს გააცლის შებერ-
-ვილ საშუალებით და ერთიმეორეზე აწყობს. ცხობას რომ მოათავებს,
ჩააბამს წყალს ბაკანში, გააბანებს სასანთლე-საკვირაოებს და დააწ-
-ყობს ტაბლაზე. შემდეგ ერბოთი გაპოხს ყველას დაჭრელებულ გვერდ-
-ზე, კრძელ ფიცარზე დააწყობს თითო სასანთლეს და ზედ თითო პა-
-ტარა საკვირაოს დაადებს. დასტურები სანთელს ბოლოზე მიაკრავენ
პატარ-პატარა წკეპლის ნატეხებს და იმ წკეპლებით ჩაარჭობენ საკვი-
-რაოში, რომ ცხელმა საკვირაომ სანთელი არ გაალღოს და არ წაიქცეს.
სანთლებს მოუკიდებენ ცეცხლს და ხუცესი ერთი პირიდან მოყვება
სასანთლეების მოხსენებას. ჯერ პირველ სასანთლეზე მიუთითებს და
იტყვის: „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, მი-
-ქიელ მთავარო ანგელოზო (ან რომელი სალოცავია და სად სრულდე-
-ბა ეს წესი, მის სახელს ახსენებენ, მხოლოდ არხოტში იწყება ასე,
როგორც აქ არის ნათქვამი). შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მა-
-იკმარი ეს სეფე-სანთელი, ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, ტახტის
ყმათად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიკმარი, ხთის კარ-
-ზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს".

მეორე სასანთლეზე მიუთითებს და იტყვის: „ამ სეფე-სანთელზე
შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა მთის ვეშაგ წყაროს თავისაო, მოძ-
-ძევ მიქეელისაო, ღმერთმა გადიდას ამ სეფე-სანთლით, ღმერთმა გაძ-
-რიელას, შენა სამთავრო — გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი.
შენ ახიელელთად საშველო-სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიკმარი,
ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს".

მესამე სასანთლეზე ახსენებს კვირაეს და იტყვის: „ამ სეფე-სან-
-თელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, კვირაეე — ძალო ხთი-
-საო, ძალო და მადლო კვირაისაო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯვოდ
მაიკმარი ეს სეფე-სანთელი, ნათელ-ბნელი, საშველო-სახოიშნოდ,
სამწყალობნელოდ მაიკმარი, შენ ახიელელთად, მაგათ თავისად, ჯალა-
-ფობისად, ხთის კარზედ შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარ-
-ჯვებს".

მეოთხე სასანთლეზე იტყვის: „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას,
გაგიმარჯოს ღმერთმა, ჯაჭველო ჯმელის გორისაო. შენა სამთავროდ, შე-
-ნად გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი, ნათელ-ბნელი, შენ ახი-
-ელელთად სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიკმარი. ხთის კარზე შაი-
-ტანი, ღმერთი შენს ბატონობა ადიდებსა-დ აძლიერებს".

მეხუთე სასანთლეზე იტყვის: „ამ სეფე-სანთელზე თქვენ გადიდ-
-ნასთ, გაგიმარჯოსთ ღმერთმა, მიქიელის მწევარნო, მწკალ-სისხლიანნო,
საკიდლიანნო. თქვენა სამთავრო-გასამარჯოდ მაიკმარით ეს სეფე-
-სანთელი-დ ნათელ-ბნელი. თქვენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმა-
-თად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიკმარეთ, ხთის კარ-
-ზე შაიტანეთ. აგრემც თქვენს ძალსა, დიდებას მაემატების".

მეექვსე სასანთლეზე მიუთითებს და იტყვის: ამ სეფე-სანთელზე თქვენ გადიდნასთ, გაძრიელნასთ ღმერთმა, მიქიელს დაშქარონ. ხთისაგან გამაშობილნო, ხთისაგან წყალობა ნაქნარნო. ღმერთმა გადიდნასთ, ღმერთმა გაძლიერნასთ, თქვენა სამთავრო-გასამარჯოდ მაიკმარეთ ეს სეფე-სანთელი-დ ნათელ-ბნელი. თქვენ ახიელელთად, მიქიელის ტახტისა ყმათად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიკმარეთ, ხთის კარზე შაიტანეთ, ღმერთი თქვენს ძალსა, დიდებას მაუმატებს".

ნეშვიდე სასანთლეზე იტყვის: „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ლაღო იაკსარო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი, ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიკმარი, ხთის კარზე შაიტანი, შენიმც ძალი-სახელ დიდდებისა, ჯსენდების".

მერვე სასანთლეზე იტყვის: „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, იაკსარ სეტად ჩამოსულო. ღმერთმა გადიდასა-დ ღმერთმა გაძრიელას. შენა სამთავროდა, გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი-დ ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, ტახტის ყმათად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიკმარი. ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს".

მეცხრე სასანთლეზე მიუთითებს და იტყვის: „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, პეტრეო ნაღვრის პირისაო. ღმერთმა გადიდას, ღმერთმა გაძრიელას. შენა სამთავროდა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი-დ ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად სამწყალობნოდ მაიკმარი, შენ ძალსა, დიდებას მაემატების. ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გუმარჯვებს".

მეათე სასანთლეზე მიუთითებს და იტყვის: „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, მიქიელ წყალშუისაო, მოძმევ მიქიელისაო. შენა სამთავროდ. შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი, ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიკმარი. ხთის კარზე შაიტანი, შენიმც სახელ დიდდებისა, ჯსენდების".

მეთერთმეტე სასანთლეზე იტყვის: „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა მიქიელ ჭიშველისაო, მოძმევ მიქიელისაო. შენა სამთავროდ. შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი, ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს".

მეთორმეტე სასანთლეზე იტყვის: „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ღალანგურ წმიდაო გიორგიო, შენა სამთავ-

როდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი, ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს".

მეცამეტე სასანთლეზე მიუთითებს და იტყვის: „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, გიორგივ ნაღორშვენიერო, რჯულიან-ურჯულოთ სალოცაო. შენა სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი-დ ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანი. შენიმც ძალი, სახელი დიდდებისა-დ ხსენდების".

მეთოთხმეტე სასანთლეზე იტყვის: „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, გმირო კოპალავ ლახტიანო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი-დ ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნელად ხთის კარზე შაიტანი, შენიმც სახელი დიდდებისა-დ ჴსენდების".

მეხუთმეტე სასანთლეზე იტყვის: „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, დიდო სახმთოო გუდანის ჯვარო. შენა გასამარჯვოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი-დ ნათელ-ბნელი. შენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნელად მაიკმარი, შენიმც ძალი, სახელი დიდდებისა-დ ჴსენდების" (ასე გრძელდებოდა მთელი ხევსურეთის სალოცავების ხსენება თითოეულ სასანთლეზე). ბოლოს ხუცესი იწყებს ყველა ხთიშვილთ (ხევსურულად ასე ეძახიან) საერთო მოხსენიებას, ხუცობას და კურთხევას, — სამივეს ერთად შემდეგის წესით: ჯერ იქნება მოხსენება, მას მოებმის ხუცობა და ბოლოს კურთხევა.

ხუცესი ამბობს მოხსენებას: „ღმერთმა ადიდას თქვენ ძალი, თქვენ სახელ-სამართალი, ნაჴსენებნო ანგელოზნო. თქვენა სამთავრო-გასამარჯოდ მაიკმარეთ ეს გარიგებული სეფე-სანთელი-დ ნათელ-ბნელი, თქვენ ახიელელთად, მიქიელის ტახტის ყმათად, საყმოსადა-დ საგლეხოსად („საყმო-სგლეხო" აქ უკვე ერთვის და იგულისხმება ტახტის ყმების გარეშე ყველა, ვინც კი ლოცულობს მიქიელს) საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიკმარეთ. ჯარისად მშვიდობით დადებულ ულელი-დ გატანილ საკვნიელი მშვიდობით დაამთავრებიეთ. ბევრ მშვიდობის გაზაფხულ მაღვვარეთ, ღალიან-ბარაქიან წელ დაუყენეთ, ღმერთი თქვენს ბატონობას გაუმარჯვებს". შემდეგ იწყებს ხუცობას: „ა-ა-ა, დიდება ღმერთსა (ზოგი ამბობს: „ამინ, დიდება ღმერთსა". მხოლოდ უმრავლესობა ასე იწყებს: „ა-ა-ა, დიდება ღმერთსა"), მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა, ძალს ხთისას, ძალს კვირაისას. დიდება-დ გამარჯვება თქვენდა, ნაჴსენებო ანგელოზნო. ღმერთმა გადიდნასთ, ღმერთმა გაძრიელნასთ, ღმერთმა მაგცასთ ცამ-

დონ სიმაღლე, ზღვამდინ სიმაგრე, შველა, რგება, ხოიშნობა თქვენთ მეხვეწურთად, მიქიელის ტახტის ყმათად, საყმოსად, საგლეხოსად. გეძახანთ თქვენ მეხვეწურნი, გეხვეწებიანთ, — შაიხვეწნიდით. ძე თქვენად შაამამიხვეწებიანა-დ თქვენ თქვენს გამჩენს მორიგეს, დამრიგეს ღმერთს შაახვეწნიდით. რასაც მჯარზედა, გულზე გეძახდანთ, — იმ მჯარ, იმ გულზე გაუგონიდით, რასაც წყალობას გეთხოებოდანთ, — გამჩენს მორიგეს ღმერთს დაუთხოიდით, წინაპირა კაცის მეხვეწურნი კაცსა კალ ლროს მაუმატიდით, ღონე ქონეს მაუმატიდით. ველთ ვინ გავიდოდას, თქვენის მეხვეწურის ყუდროში ბედსა, დავლათს თქვენს აკსენებდას, — თქვენ ბედი, დავლათ დააკმარიდით, შორს მყოფნ ახლოს დაუხვდიდით, თქვენ კაბის კალთა ჩაუფარიდით, მიწრიელ-ქვეცრიელ დაულაგმიდით, მტერზედა, ნადირზე გაუმარჯვიდით. სხო ხთის ნაბადებ თუ რა უწყრებოდას, უმრუდდებოდას, — მადლ დაუთხროიდით, თაოდ პირწალმა, გულ-წალმა დაუბრუნდიდით, სხო ყუდრო შარა გაასწავლიდით.

ხთის იასაულნი გამავიდოდან ხთისაგან გამაშობილნი, ყორციელთ ბეგრევდან, ყალანს იღებდან, — თქვენ მეხვეწურთ ყუდროს ნუ მახკერძებთ. ეკერძებოდას, ნებით აკდივიდით, ნების ბეგარ აატანივიდით, იხვივნიდით თქვენ მეხვეწურნი, იხვეწნიდით ავის დღისად, ლაღის მტრისად, მწარის სიკვდილისად. ჩემგნივ რაც ძახილსა, ჯსენებას გაკლდებოდასთ, თქვენ თქვენს წყალობას მაუმატიდით. თქვენ მეხვეწურთად — კაცისად, საქონისად, ქუდოსან-მანდილოსნისად, ყურთად მსმენისად მშველელნი, მლხენელნი, მხოიშნებელნი, წალმა მდეგნიმც ხართ. შველდითა, სწყალობდით, სცევდითა. ხფარევდით. გამარჯვება თქვენდა, თქვენის გამჩენის ხთისად“. მერე შეუდგება კურთხევათ:

„ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, სახარება ვიკითხათ მარკოზის თავითა, დღესა ამ შაბათსა ზედა რომენი გარდამოხდებოდა მარიამ უკდანელი, იასო ქრისტე კოლოზმანელი, ვინ იყვენით მაძებარნი, ნაზლობ ჯვარნი მცემარენი, მოვიდეს და მოახსენეს, ქრისტეს მისცეს მოწაფეთა, ეგენი შაშინებულან, ეგენი შაკვირებულან. ეტყვიან გალილეასა; ეგაც შენა ხქენ, უფალო? შენ დაამტკიცე ბნელი და ნათელი, ღმერთო, შენია დღე და ღამე. პავლე მოვიდოდა, ცოდვითა მოკვდა, ცოდვათა ყრიან ჩემზედა. აიღებდეს, გაიღებდეს ას თორმეტთა მოციქულთა, ხოლო ღმერთსა მადლი ვსთხოვათ. ღმერთო, გინათო, ლოდი ვინ გადააგორა, კარნი მათნი გადააღნა, შიგ ცქვენნი შაამინნა, უდედონი მგლოვიარენი, უწყა დიდება ქვრივებია ადგომასა უფლისასა, ოხითა გიორგისითა. გიორგივ, შენი სიწმინდითა მოხვიდოდი ყივილითა — .განიკურნებითავ, განიცხადებითავ. შენითა მოწყალებითა მაშ მაგიერება არს, მაგ ჭეშმარიტმა აგვკსნა სულნი ჩვენნი, მაღლა შახკრნა

თვალნი, ააყენნა მგალობელნი, გალობენ თორმეტნი თორმეტითა სანთლითა, საწამებლა არს გიორგი. ხოროშობილნი მამისაგან გარმაშობილნი დედამ ჩვენმა დამსვენემა, დაადგინა აფარულნი, ველი მისცა, ყვავის ყვავილი, არცარა იყო, არაცარა ჩანდა ამ ადგილსა სამყოფელსა უფლისასა. ადამ ხილვად გამოვიდა სტვინებითა გველისითა, ცდენითა ეშმაკისითა, ტყუებითა დედაკაცისითა, ღმერთო, გვიჯსენ და, ღმერთო, გვაკურთხე. კურთხევა დაწესებულია უფლისა მაცხოვართაზე, მოწაფე ანგელოზია ივანე ნათლიმცემელი ხუთითა სანთლითა, ხუთითა ანგელოზითა, ხუთითა მგალობლითა. პირველი სანთელი პავლე პატიოსანი, მეორე სანთელი ივანე ნათლიმცემელს, მესამე სანთელი გაბრიელ მახარობელს. მაგაზე ვთქვათ რა ამავთქვათ მია ძრიელებისა, რაც თუ ღმერთმა უფალმა გადმაანამწესნა, აგნელოზები ქვეყანათაზე მოციქულობდნენ, ქვეყანა გახალწშუნდებოდა. მიიკრიფე, მაიკრიფე არმული ლრეჯა კბილისა, სრულდა ხსენება სეფე სანთლისი, ღანისი წმინდისი მაბისი, ძისა, ჯვარისა წმინდისა, მთავრობა ნეფისკოპოზისა. ალილუაალილუა, მზე საფლავით გამომწკინდა, გაეღნეს კარნი ცათანი, ოი ამ კაცსა იტყვიან და ისია, რომენსა ქარნი და ზღვანი ერჩიან და ემორჩილებიან. მოვიდეს და უთხრეს მოციქულთა ანგელოზთა: ადე, მაცხო, რაჯა გძინავს, განიღვიძე, განიცხადე, ადგა, მაცხომ განიღვიძა, არ უტივნა ჩვენკე ტილონი ჭეშმარიტებისა, ეეწ მოვიდა უფალი ბევრითა ბევრეულითა, ათასითა გუნდითა, ათასითა მგალობლითა, ათასითა ანგელოზებითა. ბერი და მღვდელი გალობდა, სოფელი დიდმი ხვიოდა, ანგელოზები მთავრობდა. მოვიჯსენათ ძალი ხთისა, სიტყვა კვირაისა, ულვდავის მარიემისა. სიხარულნია იხარებენ, დედავ ჩვენო ჭეშმარიტო. ჭეშმარიტობა შევიყვარათ, მაცხადე საცხადებლით, მაკვირე საკვირებელით, ან უფროსი გამანაწმინდე ოქროს შტოლის ტაბაკში. გავიდეს და გარისხდეს, კლევდეს ჯვარსა ჩვენსა წინა წმინდასა, სტეფანესა ზღვასა ივას, და კარსა ივას. დღესა სამყოფელო უფლისა მაცხოვართი, უფალო გვიჯსენ და უფალო გვაკურთხე. მიწანი ვართ კაცისანი, თვალნი ჩვენნი ძძლევარენი, სულნი უფლისანი, ჯორცნი მარწყვილთანი, რომენმა უფალმა გარმანამზადენ წვიმანი ქვეყანათაზე, ამაუტიენ მწვანილნი, იდგა ბორბალი დიდის ქარისა, დიდის ღელისა.

მიარავნე მიეცვლება, ჯვარი წმინდა ამაღლდება, ჯვარა დგომა ამაღლდება. სანამდე ვიყვნეთ, სანამდე მსახურნი ორთ უფლისანი, მაიღებენ სასმელთა, სახელის ცხოველთაზე. ვხაზობდით და ვლოცვილობდით. მამაო. შაგვინდევ, ძეო ჯვარო წმინდაო, მკითხაო საიდუმლოსა, ბეჭედო უკვდავებისა. შამყარენ ბრალსა მწარენი. მე არ ვიყავ, მე არობით შენითა ქენ ივანე ოქროპირისა, სანატრელო ხთისა, რქასა გაფიცებ მთავარისასა. მწკინვარებას ანგელოზთას; ღმერთის დიდებით, წირვა-ლოცვის მაღლით. ანგელოზთ გამარჯვებით, მეხვეწურთ ყუდროდ გადიოდას ჯარი მაკნავი, წყენსი, მუშაი, მოლაშქრე, მონადირე, მეველე, მეკაბარჭე.

გახყევ, გაუმარჯვე, მადლო სამწირველოსა, მლოცაო სახარების. დღეს მწირველნი, შამწირველნი, გარეშამო ატაზარი ეკლესია, ალვის ტანი აშენე, აკურთხე, დასწერე ჯვარი სამართალო ხთისაო".

დაამთავრებს ხუცესი სამივეს ერთად — მოხსენებას, ხუცობას და კურთხევას — და დაამწყალობნებს დასტურებთან ერთად საყმოსაგლეხოს. ყველანი ხმამაღლა აყვირდებიან შემდეგი სიტყვებით:

„სწყალობდას საყმოსა, საგლეხოს ნაჯსენებთ ანგელოზთ დავლათი. მშვიდობით შაინახნას, მადლიან-ბარაქიანი, მშვიდობიან წელ დაუყენას. მშვიდობით დადებულ უღელ ჯარისად მშვიდობით ააჯდივას.

თქვენ მაგცასთ წყალობა ჯვარიონთ, დასტურსა, ხელოსანსაც. ხუცესს ენა-პირ გ^კურთხას, შაუცოდვრად, შაუწყენრად შაგინახას, დიდხანს გაგიყოლას.

დიასახლისს მისცას წყალობა, ნუ შაანანას მსახურობაი-დ კეთილის კაზმვა" („კეთილის კაზმვა" — გამოცხობა საზატო პურებისა, რაზედაც ხსენდება სალოცავები). დამწყალობინებას რომ გაათავებენ, სანთელი თუ კიდევ დარჩა დაუწვავი, აიღებენ, ერთად მოაქუჩებენ და სადმე დააკრავენ კედელზე, სადაც ერთად იწვება. მერე შეაგროვებენ საკვირაოებს და მისცემენ ხუცესს. სასანთლეებს ერთიმეორეზე დააწყობენ, რადგან ისინი ხუცესს ეკუთვნის და მას შინ მიაქვს. ხუცესი აიღებს დანას და ერთმანეთზე დაწყობილ სასანთლეებს ჯვარედინად დასჭრის შემდეგი სიტყვების წარმოთქმით: „ღმერთო, გაუმარჯვი ნაჯსენებთ ანგელოზთა-დ ნაჯსენებნო ანგელოზნო, თქვენ წყალობა მიეცით საყმოსა, საგლეხოს. ბევრ კვნა მშვიდობისა მაღგვარეთ". შემდეგ ყველანი დასხდებიან, დააწყობენ დაჭრილ ქადებს, დიასახლისი დაუდგამს ჯამებით გამდნარ ერბოს და დასტურები და ხუცესი პურს ერთად ჭამენ. პურის ჭამას რომ გაათავებენ, დიასახლისი ცალკე ჭამს პურს, რადგან ხევსურეთში ქალები მამაკაცებთან საჭმელად არ სხდებიან. რაც დარჩებათ სასანთლეების ნაჭრები, დიასახლისი გაჰყოფს თანასწორად და ყველანი წაიღებენ თავის ხვედრს, არ წაღება არ შეიძლება, რადგან, მათი რწმენით, უკადრისობა გამოდის და სალოცავი გაწყრება.

მეორე დილას დასტურები აწყავენ კიდობნებში შენახულ სათესლე ქერს იმ ვარაუდით, თუ რამდენი სჭირდება ამა თუ იმ მამულს. ეს კარგად იცის ხუცესმა და დასტურებს ის ეუბნება, რამდენი უნდა აწყან. აწყვა ხდება კასრით, რაშიც ჩადის ერთი ფუთი ქერი. მივლენ „ჯვარის ყანაზე", სადაც ხოფელი დილიდანვე გასულია და კოლექტიურად ხნავენ. მიიტანენ დასტურები ქერს. ფარავს და დაამწყალობნებენ: „გაგმარჯვნასთ, გწყალობდასთ მშრომელს, ჯვარის საკმეში წინ მავალს, უკან წამავალს, ბევრ გაზაფხულ მშვიდობისა მაგგვარასთა, მშვიდობით გაგატანივასთ საკვნიელი", „თქვენ იყოს მწყალობელი" — უპასუხებენ.

ამრიგად, სოფელი ხნავს ამა თუ იმ სახატო მამულს, ხუცესი თესავს, დასტურები კი ფარცხს აუბამენ და შეუდგებიან დაფარვას.

აქვე წყდება საერთო ხვნა-თესვის სხვადასხვა საკითხები. საღამომდე მიწა მოიხვნება და დაიფარცხება. ამის შემდეგ ეძლევა გაფრთხილება ხუცესისაგან სოფლელებს ჭირნახულის დასაცავად და სხვა.

შემდეგ ნება აქვს ყველა ადგილობრივ მაცხოვრებელს, მიიტანოს გუთანი თავის მამულში და შეუდგეს ხვნას.

მხოლოდ დასტურებს აქვთ სახატო მამულები, რომლებიც უნდა დამუშაონ მათ. მოსავლის ნახევარს ისინი არგუნებენ ხატს, ნახევარი კი თვითონ მიაქვთ.

ამ სახატო მამულებს „საიფქლეები" ჰქვია. მისი პურისაგან ცხვება სახატო ქადები (საერთო ნახნავიდან კი მზადდება ლუდი). დასტურები სამნი არიან და ისინი საიფქლეების ხვნას ერთად შეუდგებიან. ჯვარის ამ მამულს საიფქლე ჰქვია იმიტომ, რომ აქ წინათ წმინდა პურს თესავდნენ. ეს იყო არჩეული საუკეთესო მამულები და მასში ამიტომ პურიც კარგი მოდიოდა. საიფქლეების ხვნა-თესვის დაწყებისას დიასახლისი გამოაცხობს ხავიწიან ქადას, რომელსაც „უღელზე გასაჭრელი" ჰქვიან; მას მიიტანენ მამულში და, როცა პირველად გუთანში ხარებს შეაბამენ, ერთ-ერთი დასტური ქადას დასდებს უღელზე, დანით გასჭრის ჯვარედინად და იტყვის:

„ღერთო, გაუმარჯვი დიდს მიქიელსა (თუ რომელიმე სხვა სალოცავის მამულზე არიან, მაშინ მისი სახელი ხსენდება. აქ კი აღებულია არხოტის ჯვარი და მისი ირგვლივ წესების შესრულება), დიდო მიქიელო, შენ სწყალობდ შენთ ყმათ, ჯვარიონთ, დასტურსა, ჯელოსანს. შენი წყალობით შაინახენი, წელ მშვიდობისაი, ღალიან-ბარაქიან დაუყენ, დალოცვილო. ბევრ ჯვნა-თესვა მაღგვარი მშვიდობისა, კარგად ყოფისა". მერე დადებენ საპურე გუდას, დააწყობენ ზედ ქადის ნაჭრებს, ყველა დასტური ანეთივე სიტყვებით დაილოცება და შეუდგებიან ჭამას. საერთოდ უღელზე გასაჭრელი ქადა ყველა მცხოვრებმა იცის თავის საკუთარი გუთნის პირველად გატანის დღეს. საიფქლეებზე დასათესად აქვთ ცალკე შენახული ამავე მამულზე მოყვანილი საუკეთესო ქერი ან გაზაფხულის სვილი (ქვავი) და, თუ მოდის, შეიძლება დიკაც დაითესოს. ხვნა რომ მოთავდება, დასტურები იცავენ ხატის ყანებს. ისინი მოსაჭლეობას უკრძალავენ ცხენის დაბმასაც კი იმ მხარეზე, რომელ მხარეზეც სახატო ჭირნახულებია. სოფელიც მათს განკარგულებას ემორჩილება ხატის ან და დასტურისაგან დარისხების შიშით (დასტურისაგან დარისხება, ე. ი. დაწყევლა დაღუპვად მიაჩნიათ). ამ დროს დასტურები არიან ორ პირად: ძველი დასტურები, რომლებიც ემსახურებიან სადღესასწაულო ამბებს, როგორიცაა ლუდის დღლება, შიგნით ხატში წესების შესრულება და სხვა, ხოლო მეორე დასტურები, რომლებმაც საიფქლეები მოხნეს და სალუდე მამულებიც და-

ფარეს, ესენი არიან ახალი, მომავალი დასტურები. უკანასკნელნი უელიან ახალ ჭირნახულს და მისი მოტანის და გალეწვის შემდეგ (რასაც ისინი თვითონ აკეთებენ) პირველად გიორგობას შედიან ჯვარში. ამ ახალი ჭირნახულებიდან აღებული ქერისაგან კეთდება ყველაფერი, რაზეც შემდეგში იქნება საუბარი.

საიფქლეებს თვით დასტურები მკიან. სალუდე მამულების მომკა კი ისევ კოლექტიურად ხდება. ყანა რომ სამკალად მოპირდება, მაშინ ძველი დასტურები დაამზადებენ ლუდს იმდენს, რამდენიც ხუცესის მითითებით საჭიროა მოიხარშოს „სამამკლოსათვის" (ასე ეძახიან საერთო ხატის მამულის კოლექტიურად მკას). ადუღებენ ჩვეულებრივ ლუდს. მას ხუცესი „შახერის" (ასე ეძახიან ასაფუებლად ლუდის დაყენებას). ამას ისეთ დროს ურჩევენ, რომ სამამკლო შაბათს შეხვდეს. პარასკევ საღამოს ხუცესი ისევე, როგორც ხვნაში, ეძახის სოფელს: „სოფლელებო, გაიგონეთ. ვისაც არ მაგდისთ, ერთმანეთს გააგებიეთ, ხვალ სამამკლოი ას. თუ გწყალობსთ არხოტის ჯვარი, ხვალ თავის საქმე არავინ გაიჩინათ, კაცი, დიაცი, ვისაც შაუძლავ მასვლა, მეედით ყველაიერ მამკევით არხოტის ჯვარის სადიდებლად, თქვენ სამწყალობნოდ".

ხალხიც მეორე დღისათვის მზად არის. სოფელს წინასწარ გამზადებული ჰყავს სამი ან ოთხი საკლავი. ერთი მათგანი არჩეულია მთელი სოფლის ცხვრიდან და მას „სათაო" ჰქვია. ძველი დასტურები და ხუცესი ჩვეულებრისამებრ თავს მოიყრიან ხატის „დარბასში". სამამკლოში დიასახლისს არ მოიყვანენ. დიასახლისი ერთ-ერთი დასტურის სახლში აცხობს „ღამის სამთელოს" და „ყამის საწირს" და იქიდან ჯვარში მიაქვს. ღამის სამთელო არის ერთი დიდი ხავიწიანი ქადა, ცხრა პატარ-პატარა თხელი პურები უგულო და ოთხი საკვირაო. დიდ ქადაზე უგულო პურებს აწყობენ სამად. თითოზე იქნება სამ-სამი ცალი, ზემოდან ხავიწიან თითო საკვირაოს დაადებენ და სამივეს ერთად ზედ დაედება ერთი უფრო მოზრდილი საკვირაო. ყველა ეს პურები დაჭრელებულია ერთ გვერდზე „საჭერეთათი" და გაპოხილია ერბოთი. ყამის საწირი არის სამი დიდი ხავიწიანი ქადა ერთმანეთზე დაწყობილი და მათზე სამ-სამი ე. ი. ცხრა, უბრალო თხელი პური. თითო ხავიწიანი საკვირაო და ერთიც მოზრდილი საკვირაო ზედ იქნება დადებული (ამისი გამოცხობის წესი ზემოთ სასანთლეების გამოცხობაზე აღწერილია და ასეთივე წესით ცხვება ყველაფერი). „ღამის სამთელოს" დასტურები მოიტანენ და დაწყობენ ჩვეულებრისამებრ ტაბლაზე. ანთებენ სანთელს და ხუცესი შედის საკოდეში, სადაც ლუდიანი კოდი (ე. ი. კასრი) დგას. აქ. ხუცესის გარდა, ვერავინ შევა. ხუცესი დააკრავს სანთელს კოდზე, მოაშორებს ლუდზე მოდგმულ ქაფს, რომელსაც ჰქვია „ჭიჭი", და ჩასდებს მას წინათვე დამზადებულ ჩალიან ბაკანში.

დასტურები მიუტანენ სპილენძის ჩხუტს, როველსაც „რვლის ჩხუტა“ ჰქვია, აგრეთვე სპილენძის „კოშს“ (დიდი თასია სპილენძისაგან გაკეთებული, როველსაც აქვს სახელური და იხმარება კოდიდან ლუდის ამოსაღებად. ხანდახან პატივსაცემ სტუმარსაც კოშით მიართმევენ ლუდს. „კოშის მიტანა“ დიდ პატივისცემას ნიშნავს). ხუცესი ამოიღებს ლუდს და ჩაასხამს რვლის ჩხუტაში. მიიტანენ „სახუცო კოჭობს“ (სახუცო კოჭობი დიდი ვერცხლის თასია, რომელსაც ზედ შებმული აქვს მრავალ სამკაული — შეწირული ხალხისაგან, მაგ. საყურე, ქაფრის ნაჭერი, ვერცხლის მასრის თავი, ვერცხლის ფული, ყაწიმი, შიბი (ძეწკვი და სხვა). ხუცესი ამოიღებს ლუდს სახუცო კოჭობითაც, იქვე დადგამს, დააკრავს სანთელს და შეუდგება მოხსენებას, ხუცობას და კურთხევას:

„ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-სამართალი, დიდო მიქიელო. შენა სამთავროდ, მენა გასამარჯოდ მაიკმარი ე კოდ-საფუარი, სადიდებელი. შენ ახიელელთად, ტახტის ყმათად, საყმოსად, საგლეხოსად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიკმარი. გევედრებიან, დალოცვილო, გეხვეწებიან ახიელელნი, ტახტის ყმანი-დ შენ საყმოსაგლეხო, შაიხვეწენი, მშვიდობით ატანილ ნამგალი, ცელი მშვიდობით დაადები. უშველ, დალოცვილო, შენდ წესი, სამსახურ არ დაუყრავა, შენს წყალობას ნუ დააკლებ, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს“.

„ა-ა-ა-ა, დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა. დიდება დღეს დღესინდელსა, ძალს ხთისას, ძალს კვირაისას. დიდება-დ გამარჯვება შენდა მიქიელ მთავარო ანგელოზო. ღმერთმა გადიდას ამ კოდ-საფუარზე, სადიდებელზე. ღმერთმა გაძრიელას, ღმერთმა მაგცას ცამდინ სიმაღლე, ზღვამდინ სიმაგრე, შველა, რგება, ხოიშნობა შენთ მეხვეწურთად, მიქიელის საყმოსად, საგლეხოსად. გეძახანთ თქვენ მეხვეწურნი, გეხვეწებიანთ, — შაიხვეწნიდით. მე თქვენდ შამამიხვეწებიანა, თქვენ თქვენს გაჰჩენს მორიგეს ღმერთს შაახვეწნიდით. რასაც ჭკარხედა, გულზე გიძახებდან, — იმ მჯარ, იმ გულზე გაუგონიდი. რასაც წყალობას გეთხოებოდან, გამჩენს ღმერთს დაუთხოიდი. წინპირა კაცის მეხვეწურნია, კაცსა კას დროს მაუნატიდი, ღონე-ქონეს მაუმატიდი. ველთ ვინ გავიდოდას შენის მეხვეწურის საყმოსა-საგლეხოს ყუდროჩით. შენს ბედსა-დ დავლათს ეძახდას, — შენ ბედი, დავლათი დააკმარიდი. შორს მყოფი ახლოს დაუხვდიდი, შენ კაბის კალთა ჩაუფარიდი, მიწრიელ-ქვეცრიელ დაულაგმიდი, თავი შააქცივიდი, ზღვას გააქცივიდი, მტერზედა, ნადირზე გაუმარჯვიდი. სხო დაუთხოიდი, სხვასთან უშეიდი, თაოდ უშველიდი, თაოდ პირ-წალმა, გულ-წალმ დაუბრუნდიდი. ხთის იასაულნ გამავიდოდან ხთისაგან გამაშობილნი, ჯორციელთ ბეგრევდან, ყალანს იღებდან, — შენის მეხვეწურის ყუდროს ნუ მა-

ხკერძებ, ეკერძებოდას, — ნებით აკდივიდით, ნების ბეგარ გაატნივიდით, იხვივნიდით, იხვეწნიდით ავის დღისად, ლაღის მტრისად, საზიანოს საქმისად. ჩემგნივ რაც დიდებასა, კსენებას გაკლდებოდას, დიდო მიქიელ მთავარო ანგელოზო, შენ შენს წყალობას მაუმატიდი. შენთ მეხვეწურთად ახიელელთად, ტახტის ყმათად, საყმოსად-საგლეხოსად, კაცისად, საქონისად, ქუდოსან-მანდილოსნისად, ყურთა მსმენისად მშველელი, მლხენელი, მხოიშნებელი, წაღმა-მდეგიმც ხარ, შველდი, სწყალობდი, სცევდი, ხფარევდი. გამარჯვება შენდა, შენის გამჩენის ხთისად".

„ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, დასწერე ჯვარი კოდ-საფუარსა, სადიდებელს. ქრისტე ღმერთო, აკურთხე, დასწერე ჯვარი, სამართალო ხთისაო, ღირსად ხსნილობა, დღეს ჯვარსა კურთხეულობა. დღესა დღენდღელსა ამას აწდა მარადის უკუნუთი უკუნისამდე. წმინდა სამებაო, შაგვიწყალენ ჩვენ ყოველნი, შაგვიწყალნა ჩვენ ყოველნი სამება წმინდამა. გვაცხოვრენ და გვაკურთხენ. ურჯულოება არს ჩვენი, ეკედრია სული ჩვენი ჩვენ ღმერთსა, ჩვენ მამასა მოწყალესა. მამაო და ღმერთო ჩვენო, რომენი ხარ ცათაჰია, ამითა ორ ცათაზედა, მერე ხოყანათაზედა, პური შენი არსობილთა, ნუ შაგვასხამ განსაცდელსა, მცდელსა შენსა. არას უფალო რა ღმერთო ძალი, ბძანება, მადლი და თაყონისცემა. მამისა, ძისა, ჯვარისა წმიდისა. სხვა ბძანება მისისა, ხოლო კაცის სიმაღლე დადაბლდებოდეს, სიდაბლე ამაღლდებოდა. რა ჟამთა მოვეწიენით კაცთა მდინარეთა, მცხრომალთა ამპარტიონთა. კურთხევა კრავის ცოცხლისა, ადამ ღირდა სულთა-ხდა. მაშ გაგვიხსენ თვალნი ჩვენნი მცრემალენი, ფეხნი ბირკოლებისაკე, სულნი სიკვდილისანი, მორე მოვიდოდა, ადგილსა ამას ფილიპე კითხულობდა, ჩვენთა რაღა თქვიან ძეთა კაცისათა. პეტრესა თქვეს: ეგე ვინ გგონიათ, უიმერია თუ უიმერელია, თავიც იხსნა, ჩვენც გვაცხოვრნა, რომელმა ქრისტემა ჩვენ მოგვცა კლიტენი ზეუფლისანი, ქრისტეო, შენთან ამოთქვა ქება თაყონის ცემა მამისა, ძისა, ჯვარისა წმინდისა. ფარაო და ღმერთო, დადგა ერი მისა, წახდეს წინასწარმეტყველნი, ჩათქნა ზღვამა ურწყლისამა. ჩვენ საკლავ მაგას შავსწირათ, მადლი მამასა-ძესა ამას, მერ ჯვარსა წმინდასა, ღმერთო, გვიწყალენ და ღმერთო, გვაკურთხენ, ღმერთო. აბრამ ისაკესო. ღმერთო, იაკობილო, ყვავილო თესლებისაო, გზა ყოველ მაცხოვარება, ყოველი ერი შენა გიეროდა. უფალო, აკურთხე თესლი ეგია, უფალო, აკურთხე მარილი ეგია. სკანა სკანალე, წყალში ვარდანე, ღვინო გადასცვალე. უფალო, აკურთხე ზეთი ეგია. რომენნი სამნი მონანი ყარმანნი. ჭამენ და მაგათ არა შეერგინების, არც ტაბლისა, არც კამისისა. ქრისტეე მეფის ხამყოფელო, ამა მათი ამაღლდება. ჯვარი წმიდა ამაღლდება. ღირსიები ათნოები, შავიწირნათ შამწირველნი, შავიწყალნათ ჭელთა მღვდელისათა. სახელითა ხთისითა, ბაღდადაუა, არა მჭამენ ჯორცი მისა, არ დას-

თხიეს სისხლი მისა, არც წყალივითა ლოცვანი გავხსნათ. აუ პირითა, ან მასკვლავითა, ან დედაკაცისითა, ან მამაკაცისითა, ან ხთითა, ან თარგმანითა, ან ფიცითა არქველი სამოქმედო, მოგვანიეე დღესე რჯულისა გადატოვება ურჯულოებისა. ღირსა ხსნილობა, ჯვარი კურთხეულობა. დასწერე ჯვარი, ქრისტეო და ღმერთო და დიდო მიქიელო, შენთ მეხვეწურთ. წელ მშვიდობისა და ბარაქიანობისა მიეცი. შენდ სამსახური სამამკლო არ დაუყრავ, შენს წყალობას ნუ დააკლებ, ღმერთი შენს ძალსა დიდებას მაუმატებს".

როცა მოხსენება, ხუცობა და კურთხევა მოთავდება, ხუცესი იღებს ხელში სახუცო კოჭობს და იტყვის: „გამარჯვება დიდს მიქიელსა. იმის წყალობა ხქონდას საყმოსა-საგლეხოს. მშვიდობით აღებული ნამგალი, ცელი, მშვიდობით დაადებიოს, ნამკალი მშვიდობას მააკმარას. თქვენ გწყალობდასთ, დასტურებს დასტურობა ნუ შაგანანასთ, კლოვ უკეთი გულით მაგკერძასთ. დიასახლისს სწყალობდას, ნუ შაანანას დიასახლისპა

-დ კეთილის კაზმვაი". დასტურებიც უპასუხებენ: „შენ იყოს მწყალობელი, შენს თავს სწყალობდას". ამის შემდეგ ხუცესი ლუდის გემოს გასინჯავს და თავის აზრს იტყვის, თუ როგორი ლუდია. მერე დასტურებსაც მისცემს ამავე თასით ლუდს და ყველანი დალევენ ცოტ-ცოტას.

სახუცო კოჭობს ბოლოს ხუცესი გამოსცლის და იტყვის: „შავსვი თქვენის გამარჯვეებისა! ქვემც გწყალობსთ მიქიელის დავლათი". დასტურები უპასუხებენ: „გაამას ღმერთმ". „ჩამაიყარი თასი". — ეტყვიან მერე დასტურნი. ხუცესი ეტყვის: „დაიხურეთ ქუდები, შემრე ჩამავიყრი" (დასტურნი ქუდმოხდილები დგანან). ბოლოს დასტურები ხუცესს თასს ჩამოართმევენ და კიდევ ეტყვიან: „გაამას ღმერთმ". „ღმერთმა თქვენ კა მაამას! თავ მტრისა მაგცასთ" — იქნება ხუცესის პასუხი და დასტურები იხურავენ ქუდებს. მერე ხუცესი ლუდიან რვლის ჩხუტას გადმოსცემს დასტურებს საკოდედან (საკოდე დარბასშია ცალკე გადატიხრული). დასტურები ჩხუტას დარბასში დადგამენ, აავსებენ სახუცო და ორ სხვა კოჭობს, ე. ი. ვერცხლის თასებს, დადგამენ ლამის სამთელოზე, საკვირაოებზე სამივე თასს და თითოზე მიაკრავენ სამ-ს�ი ღერისაგან ერთმანეთზე გადახვეულ სანთელს. ერთ ღერ სანთელს კიდევ რვლის ჩხუტას დააკრავენ და ხუცესი შეუდგება ღამისთევის ლოცვას:

„ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-სამართალი, დიდო მიქიელ მთავარო ანგელოზო. შენად სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი, სადიდებელი („სადიდებელი" — ლუდი), ნათევ ღამეი-დ ნათელ-ბნელი. შენ მეხვეწურთად, მიქიელის ტახტის ყმათად, საყმოსადა, საგლეხოსად საშველად, საჯოიშნოდ, საკვწყალობნოდ მაიკმარი. შენდ სამსახურ არ დაუკლავა-დ შენს წყალობას ნუ დააკლებ, დაიცვენი, დაიფარენ ველთაცა, შინაც; წელი ღალიან-ბარაქიანი

დაუყენე-დ ნამაშვრალი, ნამუშაელი მშვიდობას მააკმარი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს.

ა-ა-ა, დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელასა, დიდება ძალს ხთისას, ძალს კვირაისას. დიდება-დ გამარჯვება შენდა, დიდო მიქიელ მთავარო ანგელოზო. ღმერთმა გადიდას, ღმერთმა გაბრიელას, ღმერთმა მაგცას ცამდინ სიმაღლე, ზღვამდინ სიმაგრე, შველა, რგება, ხოიშნობა შენის მეხვეწურისად, შენს საყმო-საგლეხოსად. გეძახან შენ მეხვეწურნი, გეხვეწებიან, — შაიხვეწნიდი. რასაც მკარზედა, გულზე გიძახებდან, — იმ მკარ, იმ გულზე გაუგონიდი. რასაც წყალობას გეთხოვებოდან— გამჩენს მორიგეს ღმერთს დაუთხოიდი. მე შენდ შამამიხვეწებიან შენ მეხვეწურნი, შენ შენს გამჩენს მორიგეს, დამორიგეს ღმერთს შაიხვეწნიდი წინაპირა კაცის მეხვეწურნი. კაცსა კას დროს მაუმატიდი, ღონე-ქონეს მაუმატიდი, წელი მშვიდობისაი, ღალიან-ბარაქიანი დაუყენიდი. ველთ ვინ გავიდოდას, შენთ მეხვეწურთ ყუდროჩი შენს ბედსა, დავლათს აკსენებდა, — შენ ბედი, დავლათი დააკმარიდი, შორს მყოფი ახლოს დაუხვდიდი, შენ კაბის კალთა ჩაუფარიდი, სხვა ხთის ნაბადებ თურა უწყრებოდას, უმრუდებოდას, — მადლ დაუთხოიდი, თაოდ უშველიდი, სხვასთან უშუიდი. ხთის იასაულნ გამავიდოდან ხთისაგან გამაშობილნი, ჯორციელთ ბეგრევდან. ყალაბს იღებდან, — შენ მეხვეწურთ ყუდროს ნუ მახკერძებ, ეკერძებოდას, — ნებით აკდივიდი, ნების ბეგარ გაატანივიდი. იხვინიდი, იხვეწნიდი ავის დღისად, ლაღის მტრისად, მწარის სიკვდილისად, საზიანოს საქმისად. ჩემგნივ რაც დიდებასა, ჯსენებას გაკლდებოდას, მიქიელ მთავარო ანგელოზო, შენ შენს წყალობას მაუმატიდი შენ მეხვეწურთად, ახიელელთად, ტახტის ყმათად, საყმოსად-საგლეხოსად, კაცისად, საქონისად, ქუდოსან-მანდილოსნისად, ყურთა მსმენელისად. შველიდი, სწყალობდი, სცევდი, ხფარევდი. გამარჯვება შენდა, შენის გამჩენის ხთისად".

ხუცობა რომ მოთავდება, სახუცო კოჭობს აიღებს ერთი დასტური და ხუცესს მისცემს, ხოლო ორ დანარჩენ თასს დასტურები დაიჭერენ (უნდა ითქვას, რომ სახუცო კოჭობს ყველა ვერ ჰკიდებს ხელს; ვერც ორ დანარჩენ სადიდებლის თასს დაიჭერს ყველა და ყოველთვის. ამ თასებს ვერ გაეკარებიან მაშინ, როცა რაიმე მიზეზის გამო უწმინდურად სთვლიან თავს, მაგალითად, ტანი თუ სათანადოდ ვერ დაბანეს, ან ცოლი საშრელოში ჰყავთ, მოკლე ხანებში ქალთან სიახლოვე ჰქონდათ და სხვა). ხუცესი კიდევ იტყვის მოკლე ლოცვას, რომელსაც „გადიდება" ეწოდება. სახუცო თასს, რომელიც თვითონ უჭირავს, მაღლა ასწევს და იტყვის: „ამ ჭიქა-ბარძიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, მიქიელ მთავარო ანგელოზო, შენა სამთავრო-გასამარჯოდ მიიკმარი ეს ჭიქა-ბარძიმი, სადიდებელი. შენ ტახტის ყმათად, ახიელელთადად

საყმო-საგლეხოსად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მიიკმარი. ხთის კარზე შაიტანი. ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს".

მერე მიუშვერს მარჯვენა ხელს სადიდებელზე, რომელიც დასტურს უჭირავს, და იტყვის: „ამ ჭიქა-ბარძიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა. მთის ვეშაგ წყაროს თავისაო, მოძმევ მიქიელისაო. შენა სამთავროდ. შენა გასამარჯოდ მიიკმარი ეს სადიდებელი, ჭიქა-ბარზიმი. შენ აბიელელთად. ტახტის ყმათად, საყმოსად, საგლეხოსად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მიიკმარი, შენიმც ძალი, სახელ დიდებისად ჯსენდების".

მესამე თასზე მიუთითებს და იტყვის: „ამ ჭიქა-ბარძიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა. კვირაევ ძალო ხთისაო, ძალო და მადლო კვირიასაო (ამ დროს დასტური ხსენებულ თასს მარჯვენა ხელით მაღლა ასწევს და ისე იჭერს ლოცვის დამთავრებამდინ), შენა სამთაროდ, შენა გასამარჯოდ მიიკმარი ეს ჭიქა-ბარძიმი, სადიდებელი. შენ საყმოსად, საგლეხოსად საშველოდ, სახოიშნოდ („ხოიშნობა" — შენდობა, პატიება) მიიკმარი; ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ძალას, დიდებას მაუმატებს".

ბოლოს ყველანი მოკლედ იტყვიან: „სწყალობდას მეხვეწურთ, საწალმერთოდ მაუარას, მწვიდობით შაინახნას". ცოტა ხნის შეჩერების შემდეგ ლუდის დალევის წინ ყველანი იტყვიან: „ჯვართ დიდებაი, მეხვეწურთ წყალობა", შემდეგ ყველანი იყუდებენ პირზე თასებს, ცოტ-ცოტას დალევენ და ლუდს ზოგი აქებს და ზოგი არა, ყველა თავისი გემოვნების მიხედვით თავის აზრს გამოთქვამს. ვისაც სადიდებელი არ უჭირავს ხელში, ისინი ფეხზე დგანან, ზოგი კი ცალ მუხლზე ზის თასიანი ხალხის პატივსაცემად. მერე ერთი მათგანი იღებს ფანდურს ხელში და თასიან ხალხს შეუნდერებს სხვადასხვა ან საგმირო და ან მათ სასიამოვნო საქებ სიმღერას. ერთი დაუკრავს ფანდურს ძალიან მარტივად და დასძახებს. მაგ. ასეთი სიმღერები იციან:

„ჩვენის ბატონის კარზედა ხე ალვად ამასულაო,
ნეერად მაუსხამ ყურძენი, საქმელად ჩამასულაო,
მაგის უქმელი ქალ-ვაჟი უდროოდ დამაულაო".

ამას მღერის ერთი და მერე სხვებიც ამავე ხმით იმეორებენ ამავე სიტყვებს და ყველანი ხმამაღლა ერთხმად მღერიან. თან მსმენელებიდან რომელიმეს ამ სიმღერის დროს შესძახებენ, მაგალითად, ასე: „აბა მაზინე, შასვი, მაიმწყურიელი". ზედამდგენი მღერიან სხვადასხვა „სიმღერეს" და ჯვარიონნი კი ნელ-ნელა სვამენ. მერე ჯვარიონნიც „შეუმღერნებენ" ასეთსავე სიმღერას და თავისი თასებიდან ცოტ-ცოტას დაალევინებენ.

თუ ამ დროს ჯვარში ისეთი გვარის კაცი ვინმეა, რომლის წარმომადგენელზეც ძველი საგმირო სიმღერაა გამოთქმული, ამ სიმღერას უმღერებენ. თვით მის საქებ და სასიამოვნო სიმღერებსაც მღერიან. მაგ. შემდეგს:

„ნეტავ თქვენ, ქურაზიშვილნო, სამი მზე მავა თქვენზედა,
ერთი მზე მამაცობისა, მტერ ვერ გიდგებისთ ძალზედა,
მეორე ნადირობისა, ჯიკვნ ვერ გაგიელენთ მთაზედა,
მესამე პურადობისა, სრე სტუმარ გისხავთ სკამზედა“.

ამასობაში თასებიც გამოიცლება. „გადაყუდებენ“ ფანდურს და, გარდა თასიანებისა, ყველანი ცალ მუხლზე დასხდებიან. თასები ვისაც ჰქონდა, ისინი იტყვიან: „აი, შავსვი თქვენის გამარჯვებისა. ქვემც ღწყალობსთ ნაკსენებ ანგელოზთ დავლათი“. თასი ვისაც ეჭირა, ისინი ეტყვიან მუხლზე დამსხდარ ხალხს: „აბრძანდით, გამაიცვალეთ“. მუხლზე ვინც სხედან, ისინი უპასუხებენ: „ჩამაიყარეთ თასები“ და თან სწვდებიან თასებს, რომლებიც ჯვარიონთ ხელში უჭირავთ, ჩამოართვამენ, ხოლო თასის პატრონი, თასის გადაცემის დროს, ზედამდგეს ეუბნება: „მტერს ჩამახყარი იარაღი, მტერ იყოს შენ ჯელმარეული“. ჩამომრთმეველი უპასუხებს: „მტერიმც ნუ მაგერევის“. მუხლზე მჯდომებს კიდევ უმეორებენ თასჩამოყრილები: „აბრძანდით“. ისინიც ადგებიან და ეტყვიან: ღმერთმა გაამჯობ, ალალი ქნას“. ამის შემდეგ ხუცესი დაჯდება თავის ადგილზე (მას აქვს დარბაზში საკუთარი ადგილი, „სკამი“) და დასტურებიც დასხდებიან. ერთი დადგება ფეხზე, დაარიგებს ლუდს და გაიმართება სმა. სმაში თითოეული მათგანი დაილოცება, როცა ლუდიან თასს მიაწვდიან (ხევსურეთში თამადა არ იციან): „გამარჯვება ჯემწიფესა (ასე ეძახიან ადგილობრივ სალოცავს, ან ხემწიფის ნაცვლად იტყვიან მთავარანგელოზს), იმის წყალობა ხქონდას საყმოსა-საგლეხოს, ახიელელთ ტახტის ყმათ. საწალმართოდ მაუარას, მშვიდობით შაინახნას, წელ მადლიან-ბარაქიან დაუყენას. თქვენ მაგცასთ წყალობა, დასტურს დასტურობა ნუ შაგანანასთ, ჯელოსან დიდხანს გაგიყოლასთ, ხუცესს ენა-პირი გიკურთხას. დიასახლისს სწყალობდას, ნუ შაანანას კეთილის კაზმვაი, სამსახური. ხთისაგანამც ილოცებით“. ამ სიტყვებით დალევენ ლუდს, რამდენიც შეუძლიათ. ამავე დროს აძალებენ ერთიმეორეს მის დალევას. ვისაც თასში ლუდი დარჩება და ვეღარ გამოცლის, მას ისევ ჩაასხამს, საიდანაც ამოღებულია, იმ რვლის ჩხუტაში (ლუდის ჩასასხმელ ჭურჭელს, რვლის ჩხუტა არის იგი, თუ უბრალო ჩხუტი, ან ქვაბი, საერთო სახელად „საწდე“ ჰქვიან).

კარგა ხნის სმის შემდეგ გადმოდგამენ „ღამის სამთელოიან“ ტაბლას. ხუცესი ჯვარედინად გაუსვამს დანას ღამის სამთელოს და იტყვის: „ღმერთო, გაუმარჯვი მიქიელსა. მიქიელო, შენ სწყალობდი ჯვა-

რი-ნია. დასტურსა, ქელოსანსა-დ დიასახლისს, შენი წყალობით შაინახენი". ბოლოს დასტური იღებს იმავე დანას და ოთხად გაჭრილ ქადას კ-ედ დასჭრის უფრო წვრილ „ნაწვრეთებად" (ნაწილებად). უკანასკნელად ყველას დასვამენ, წინ ტაბლას დაუდგამენ და პატიჟებენ პურის ჭამას (ამაში აქ ჭამა არ იციან), ვინც სხედან, ისინი ფეხზე მდგომებსაც დაჯდომას სთხოვენ. უკანასკნელნი არ სხდებიან და ეუბნებიან მათ: „რას ამბობთ, თქვენს გამარჯვებას! ერთ ზედამდეგი ჯალაფთაც უნდ" („ზედამდეგი" ჰქვია, ვინც ფეხზე დადგება და სასმელ-საჭმელს არიგებს). აიღებენ პურს და ყველა იტყვის: „ღმერთო, გაუმარჯვი მთავარანგელოზსა! მთავარო ანგელოზო, შენ სწყალობდი ჯვარიონთ, დასტურსა, ქელოსანს, შენი წყალობით შაინახენი".

ამის შემდეგ დაიწყებენ ჭამას; ზედამდეგებს იქვე საწდეში ლუდი უნდა ედგეს. ამოიღებენ თასებით და დაუდგამენ ყველას სუფრაზე წინ. ამას ჰქვია „კარახანა". პურს ძალიან ცოტას ჭამენ (ესეა მიღებული ხევსურეთში). მერე იღებენ თასებს ხელში და თითოობით ილოცებიან ისე, როგორც ზემოთ ვთქვით თასის დალოცვაზე. ან კიდევ შეიძლება თავ-თავის სურვილის მიხედვით დაილოცონ თასი, ვისაც როგორც სურს, ზოგი ერთიმეორეს ადღეგრძელებს და სხვა. ზედამდეგნი იღებენ ხელში ფანდურს, ერთი დაუკრავს ჩვეულებრივად და მოკლე-მოკლე სიმღერებს მღერის. ამავე სიმღერას ყველა ერთ ხმაზე იმეორებს. ასეთ სიმღერას „ფეხზე სამღერალს" ეძახიან:

„სუფრას ზის აკთანდილი, :ნადიმსა გაგძელებულსა,
ცხენს უკაზმავენ მსახურნ, ლურჯასა გახელებულსა,
ზედ შასმენ ფრიდონის შვილსა, მხედარსა შაფერებულსა".

ასე მღერიან და მათ თან აძალებენ კარახანის დალევას. ამ დროს სუფრაზე მსხდომნიც ფეხზე დგებიან, ხელში კარახანები უჭირავთ და სიმღერის დროს ეუბნებიან: „დაურჩით ერთეულს!" „დიდხანსამც იმღერთ კაი ფულით!" თან სვამენ ცოტ-ცოტა ლუდს. მერე თვითონაც შემღერნებენ ჩვეულებრივ სიმღერას:

„ოშკაცნო, მშვილდნო რქისანო, გოზა-წითელნო, ფალთონო,
არც მაშინ შაშინდებითა, ომში რომ შახოლთ მარტონო".

ამავე დროს თავისი თასებიდან ყველას დაალევინებენ. თასები რომ გამოიცლება, ზედამდეგები ჩამოართმევენ და ეტყვიან: „ღმერთმა გაამასთ". „თქვენ კა მაამას" — იქნება პასუხი და დასხდებიან ისევ სუფრასთან. ტაბლასთან პურის ჭამას ვინც გაათავებს, ყველა თითოობით უკანასკნელ ლუკმას მოტეხს, დაიჭერს ხელში და დაილოცება: „ღმერთო, გაუმარჯვი მთავარანგელოზს. მთავარო ანგელოზო, შენ სწყალობ-

დი ამ ჯვარიონთ, დასტურსა, ჯელოსანს, შენი წყალობით შაინახენი“ და დაანებებს ჭამას თავს.

ყველანი ადგებიან და ზედამდეგებს ეტყვიან: „ჯელ-ფეკი მტერზე მაგაკმარასთ შორიელზე, ზედამდეგებო, მუჯლებ შაგარჩინასთ“. ამის შემდეგ ზედამდეგს მიიწვევენ, დასვამენ ტაბლასთან და აჭმევენ პურს. აქ მეორდება ზემო აწერილი სუფრის წესები. როცა ზედამდეგებთანაც მთავრდება ასეთი ცერემონიები, ტაბლას აიღებენ და ყველანი ერთბამად დაილოცებიან: „ღმერთო, გაუმარჯვი ჯემწიფესა. ჯემწიფეო, შენ სწყალობდი ჯვარიონთა, დასტურსა, ჯელოსანს, შენი წყალობით შაინახენი“. ამის შემდეგ ჩაასხამენ ერთ ან ორ კოშ ლუდს პატარა ქვაბში და გაუგზავნიან დიასახლისს. ლუდთან ერთად უგზავნიან ღამის სამთელოს მოზრდილ ნაწვრეთსაც. დასტურები წავლენ, ხუცესი და ერთი დასტური კი რჩება აქ. ამით დასრულდება ღამისთევა. თუ მთვარიანი ღამეა, ამ დროს სოფლიდან ჩამოვლენ ახალგაზრდები და დაიწყებენ მკას. „ჯვარიონნი“ (ხატის მსახურნი) მისცემენ ლუდს. ისინიც თან სვამენ და თან მკიან ნელ-ნელა. ამ ღამეს მისვლა სურვილზეა დამოკიდებული და არა სავალდებულო.

მეორე დილა რომ გათენდება, სოფელი: ქალი და კაცი, ვისაც კი მისვლა შეუძლია (გარდა დედათწესიანი ქალებისა, რომლებიც უეჭველდურად ითვლებიან, იმ დროს განსაკუთრებულ ცხოვრებას ატარებენ და ეკრძალებათ ხალხის და ხატის ახლოს მისვლა), მიდის ხატის ყანის სამკალად. მიიყვანენ სამ ან ოთხ კარგ საკლავს და ჩააბარებენ დასტურებს. თვითონ კი შეუდგებიან მკას. მზის ამოსვლამდე დაკვლა არ შეიძლება. მზე რომ ამოვა, დაუძახებენ სოფელს და შეუდგებიან საკლავების დაკვლას. აქ მოვლენ მარტო მამაკაცები, ქალები ხატში არ მიდიან. ერთ-ერთი დასტური უფრო კარგ საკლავს დააყენებს მიქიელის სასაკლაოზე (სამსისოდ დანიშნული ადგილია), თვითონ ერთ მუხლზე დაჯდება პირაღმოსავლეთისაკენ და ცხვარსაც ასევე დააყენებს. ხუცესი აიღებს დანას ან ხანჯალს, დადგება პირხალხისკენ და იტყვის: „მწყალობდასთ მიქიელის დავლათი საყმოს, საგლეხოს. საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ბარაქიან-ღალიან წელ დაგიყენასთ, მშვიდობას მაგაკმარასთ ნამუშაელი“. ასეთსავე სიტყვებს იმეორებს ყველა იქ მყოფი და ისე არევ-დარეული ქოთია, რომ ვერ გაარჩევ, რას ვინ გაიძახის. მერე ხუცესი მობრუნდება პირწალმა, დაალირებს დანას კისერში ცხვარს და შეუდგება ლოცვას: „ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-სამართალი, მიქიელ მთავარო ანგელოზო, ამ სამსახურზე, პირისსაბანზე, შენად სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაივმარი ეს სამსახური, პირის საბანი მაყენებული. შენ მეხვეწურთად, საყმოსად, საგლეხოსად საშველოდ, საზოიმნოდ, სამწყალობნელოდ მაივმარი. გეხვეწებიანა, გევედრებიან შენ მეხვეწურნი, შაიხვეწენ, და-

ლოცვილო, შენი ბედითა-დ დავლათით შაინახენი. მე შენდ შამამიხვეწებიანა, შენ შენს გამჩენს მორიგეს, დამრიგეს ღმერთს შაახვეწენ, აგრემც ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს". შემდეგ შოაყოლებს: ხუცობას და კურთხევას. ქუდმოხდილი დასტური ცხვარს ოთხივე ფეხს დაუჭერს და წააქცევს. ხუცესი ჩაუვდებს ყელში ხანჯალს და კლავს ცხვარს (ამ დროს ცხვარი დევს პირწალმა. ყელში წვერით ჩაარჭობს ხანჯალს მარჯვენა ბეჭიდან მარცხენასაკენ და მერე გარესაკენ გამოსჭრის ყელს). დასტური ცხვარს მიიტანს და დადებს იქვე სასაკლავე სიპზე გასატყავებლად.

ამის შემდეგ ხუცესი იტყვის ხმამაღლა, მთელი ხალხი აჰყვება და აყვირდებიან ასეთი სიტყვებით: „გწყალობდასთ მეხვეწურებს მიქიელის დავლათი, საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით გამოყოფნასთ, ხალიზ მაგცასთ, ბალიჯ (ავადმყოფობა ან ცუდი რამე შემთხვევა) მაგაშორასთ, სიხარულად გაგიკადასთ. სთველ ბარაქიან დაგიყენასთ. ბევრ სთველ-გაზაფხულ მაგგვარასთ მშვიდობისა, კარგა ყოფისა. ჯვარიონთ მაგცასთ წყალობა დასტურსა, ჯელოსანს, ხუცეს დიდხანს გაგიყოლს, ენა-პირ გიკურთხას". ეს რომ მოთავდება, მერე დედაკაცებსაც, რომლებიც ძალიან შორს დგანან ხატიდან, დაიწყალობნებენ ასეთივე სიტყვებით: „მანდილოსნებო, გწყალობდასთ, მშვიდობით გამოყოფნასთ, ხალიზ მაგცასთ, სანამეტნაო მსჯელებს გწყალობდასთ (ვინც უფრო ირჯება)". მეორე საკლავი იკვლება ასეთივე წესით და ლოცვა-კურთხევით მთის ვეშაგისთვის, მესამე კვირაესთვის, რომელსაც ასე მიმართავენ: „კვირაევ, ძალო ხთისაო, ძალო და მადლო კვირაისაო". შისათვის საკლავის შესაწირავი პატარა კოშკი ცალკე არის აგებული და „კვირაეს" ეძახიან. მესამე საკლავი, თუ არის, დაიკვლება ჯაჭველისათვის. მაგრამ შეიძლება არ ჰყავდეს სოფელს იგი. მას მაინც სავალდებულოდ არ თვლიან. სოფელს აქ, დარბაზის კარში, ცოტ-ცოტა ლუდს დაალევინებენ. აქვე აირჩევენ ორ კაცს ხორცის მოსახარშად („მეხორცეთ" ეძახიან). ქალებსაც ცოტა ლუდს გაუგზავნიან და დაალევინებენ. მერე ყველა ერთბაშად უბრუნდება სამკალს. სამკალში საწდით მიჰყვებიან ზედამდეგები ხალხს და ასმევენ ლუდს. თან მკიან, თან ხუმრობენ და ოხუნჯობენ — ხან ერთიმეორეს „ემუქრებიან" ქალი და კაცი, ე. ი. მკაში ეჯიბრებიან. ახალი, მომავალი დასტურები კი ძნას აქუჩებენ და დგამენ „წერილებად" (ასე უწოდებენ ოცდაერთი ძნისაგან ჯვარად აგებულ ზვინს). ძველი დასტურები ჯვარში არიან და ხატის წესებს ემსახურებიან, გაატყავებენ დაკლულ საკლავებს, ტყავებს თვითონ ინახავენ, რომელიც ჯვარიონთ რჩება. მხოლოდ ხორცს გადასცემენ სოფლისაგან არჩეულ „მეხორცეთ". ისინი გაამზადებენ დიდ ქვაბს (ჯვარში ქვაბები ბევრია შეწირული), რომელსაც ჰქვიან „ჯარ-ჩამავალი"

(ე. ი. ხარი უნდა ჩაეტიოს ამ ქვაბში მთლიანად). ქვაბს ააკეტებენ წყლით, საკლავებს დასჭრიან ასო-ასოდ, ჩაყრიან ქვაბში და დაუნთებენ დიდ ცეცხლს. შეშის მოტანა ევალებათ ძველ დასტურებს. მათ მოტანილი აქვთ მთელი წლის განმავლობაში რამდენიც დსჭირდებათ იმ ვარაუდით. ძველი დსტურები ცოტა სამწვადეს შეინახავენ. მხოლოდ ყამისწირვამდინ პურს არ სჭამენ. ხუცესი არც ლუდს დალევს, არაყს კი დალევს ცოტას. დასტურები ტყავებს დაამარილებენ, ცოტა ხანს ასე შეახვევენ, მერე აშრობენ და ანაწილებენ (ამის მოხმარების შესახებ ცალკე გვექნება ლაპარაკი). მერე დასტურები მოიტანენ „ყამსაწირს". როგორც ზემოთ აიწერა, აქ ერთიმეორეზე დადებულია სამი დიდი ქადა, მერე ზედ დაწყობილია სამ ადგილას სამ-სამი, ე. ი. ცხრა, პატარ-პატარა თხელი პურები, რომლებსაც ჰქვიან „ხმიადები", ზედ დაედება ყველას თითო „საკვირაო" (გულიანი პატარა ქადა) და, ბოლოს უფრო მოზრდილი „საკვირაო" დაედება ყველას ზედ და ამას ყველს ეწოდება „ხმიად-საკვირაო". ეს ყველაფერი ხუცესს რჩება და გზავნის სახლში (მხოლოდ ქადებს ჭამენ ჯვარში). ასე გაამზადებენ „ყამსაწირს", ხუცესი ადგება, შევა საკოდეში, დაასხამს საწდეში ახალ ლუდს და მისცემს დასტურებს, რომლებიც იქვე გამოსავალ კარებში ელოდებიან. დასტურები მას დადგამენ დარბასში, ამოიღებენ ერთი თასით საწდიდან ლუდს და დაავსებენ წინათვე ყამსაწირზე დადგმულ სამ ვერცხლის თასს. ერთი სახუცო კოჭობია, რომელიც ყამსაწირის შუა ადგილას დგას და ორი სხვა თასი — დააკრავენ ზედ სამ-სამი ღერისაგან ერთმანეთზე გადახვეულ სამს სანთელს და ხუცესი შეუდგება ხუცობას.

ხუცობა არის ჩვეულებრივი, მხოლოდ ცოტა განსხვავებით, რომელსაც აქ ნაწილობრივ ავწერ. ყამისწირვის კურთხევა კი სხვანაირია. ხუცესი ხუცობს:

„ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-სამართალი, მიქიელ მთავარო ანგელოზო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი -ს ყამსაწირი, სადიდებელი, ბნელი, სისკარი, შენთ მეხვეწურთად საწველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიკმარი. უშველი, დალოცვილო, შენთ მეხვეწურთ ველთაც, შინაც. შენდ სამსახურ არ დაუყრავისა-დ შენს წყალობას ნუ დაიკლებ. სთველი მადლიან-ბარაქიან დაუყენი. მე შენდ შამამზვეწებინა, შენ შენს გამჩენს მორიგეს ღმერთს შაახვეწენი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს. ა-ა-ა, დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა". და შემდეგ ჩვეულებრივი ხუცობაა, რომელიც ზემოთ არის მოყვანილი, ხუცობა მოთავდება, ხუცესი იტყვის ყამისწირვის კურთხევას.

კურთხევაც რომ მოთავდება, დასტურები აიღებენ სახუცო კოჭობს და მისცემენ ხუცესს. დანარჩენ ორ თასს დასტურები ერთიმეორეს ეპატიჟებიან — არა შენ დაიჭირე და არა შენაო. შემდეგ ხუცესი

პატარა ლოცვას კიდევ იტყვის, რომელსაც „ჯვართ გადიდებას“ უწოდებენ. ის თითოობით, როგორც ზემოთ ნათქვამია, ახსენებს ჯერ მთავარანგელოზს მიქიელს, მეორე თასზე მთის ეშაგს და მესამეზე კვირას. ბოლოს ყველანი ერთად იტყვიან: „ჯვართ დიდებაი, მეხვეწურთ წყალობაი“. ამის შემდეგ დაიწყებენ ნელ-ნელა სმას სადიდებლის თასებიდან (ამ დროს ყველანი ფეხზე დგანან). ერთი ვინმე, რომელსაც თასი არ ეჭირავს, იღებს ფანდურს ხელში, დაუკრავს სამღერალს და ხმამაღლა მღერის:

„წინ-წინ მზე მავა გომბორზე, შუქი ალავერდ ჩადგება.
ადგილმე ჯაილოცებს, სადაც თემურაზ ბრძანდება!
დაიცემს წითელს კარავსა, შიგ ოქროს ავეტი ჩადგება,
დაიხვევს აზნაურებსა, ქორი სადილზე დაჯდება“.

მსხდომებიც ადგებიან და იტყვიან „მუჯლით გაამასთ, ალალი ქნას ღმერთმ“.

ამის შემდეგ შეწვავენ მწვადებს და პურს აქმევენ ხუცესს, რომელიც უმეტესი იყო. ქადას ხუცესი დანას ჯვარად დაუსვამს, მერე დასტურები დაჭრიან და სრულდება სუფრის ყოველივე, ზემომოყვანილი წესი, როგორიც არის კარახანა, სიმღერა და სხვა.

ეამისწირვა და პურის ჭამა რომ მოთავდება, დასტურ-ხელსნები — ყველანი, წავლენ სამკალზე. მივლენ ხალხში და ხუცესი ეტყვის: „გაგმარჯვნასთ მიქიელის ხოდაბურის მამკალნო („ხოდაპურნი“ ჰქვიან იმ სახატო მამულს, რომელიც მუშავდება კოლექტიურად და მოსავალი იხარჯება ლუდისათვის). გწყალობდასთ მიქიელის დავლათი მსჯელებს, წინ მამავალსა, უკან წამავალს (ადრე მომსვლელს სამუშაოდ და გვიან წამსვლელს სამუშაოდან)“. „თქვენ იყოს მწყალობელი“ — იქნება საერთო პასუხი. ხუცესის მოსვლაზე ყველანი დაისვენებენ და გაიმართება ლუდის სმა. მაოლოდ ხუცესი გამართავს საუბარს სახატო ჭირნახულის დაცვის და წესიერად გაკეთების ირგვლივ. აგრეთვე სასოფლო გზების ან სხვა რამე საჭირბოროტო საკითხებზე. ყველანი უსმენენ მას და პირდებიან მისგან დავალებულის შესრულებას. ჯვარიოსნი აქ დალევენ ცოტ-ცოტას და ბრუნდებიან დარბასში, ხალხი კი განაგრძობს მუშაობას.

ამნაირად საღამოც მოატანს და სამკალსაც ბოლო მოეღება. აქვე ხორციც მოიხარშება, დიასახლისი გამოაცხობ[illegible] თხელ პურებს, რომლებსაც ეწოდება „სატაბლო პური“. ეს პურები მოტანილია ძველი დასტურების მიერ და თითოობით დაწყობილია გრძელ ფიცარზე. „მეკორცენიც“ დააწყობენ ფიცრებს და ამოაწყობენ ზედ მოხარშულ ხორცს. დაჭრიან და დააწყობენ „სატაბლო პურებზე“ ვარაუდით, თუ რამდენი მოთავსდება პურზე. ამის შემდეგ ირჩევენ ზედამდგებს და ხალხი დასხდება გრძელად, მათ წინ დაუდგამენ ფიცარზე გაწყობილ

ტაბლას. ხატიდან შორს დასხდებიან ქალები და იქაც მიართმევენ ტაბლას. ქალებთანაც იქნება ორი კაცი ზედამდეგი და კაცებთანაც. ზედამდეგები აიღებენ ლუდს და თუ შემოაკლდებათ, მიაქვთ და უმატებენ მოხარშულ ხორცსაც. მამაკაცების სუფრაზე სრულდება ყველაფერი ჩვეულებრივი სუფრის წესით: კარახანა, ფეხზე სამღერლების მღერა, ლუდის დაძალადება ერთიმეორესათვის და სხვა. ბოლოს ზედამდეგებს დასვამენ ტაბლასთან, აჭმევენ პურს და დაიშლება ხალხი. ჯვარიონნი მოავროვებენ ნარჩენ ხორცს, პურს და ყოფენ ოთხ ნაწილად. ტყავებსაც დაყოფენ (სამი არის დასტური და ერთი ხუცესი). დიასახლისსაც აძლევენ პურისა და ხორცის ცოტა ნაწილს. ტყავში კი დიასახლისს წილს არ უდებენ. ლუდს თუ გადარჩა რამე, მეორე დილას მივლენ ჯვარიონნი, სხვებსაც ვინმე დაუძახებენ და დალევენ. ასეთივე წესით მოიმკება სხვა ხოდაბურებიც. ბოლოს დასტურები შეაბამენ ხარებს მარხილში და ძნას სადმე სოფლის მოშორებით, წმინდა ადგილზე, მიიტანენ. წმინდად ითვლება ადგილი, სადაც ქალებს აქვს აკრძალული სიარული, რადგან ხევსურები ქალს უწმინდურად სთვლიდნენ.

ხოდაბურების ძნებს დადგამენ ცალკე და საიფქლეების ძნებს ცალკე. ასევე ილეწება ცალ-ცალკე და ჰურჰელიც ცალ-ცალკე აქვთ პურის შესანახად. საიფქლეების პურს ორად ყოფენ, ნახევარი მიაქვთ დასტურებს სახლში, ნახევარი კი ინახება ჯვარში, რომელიც იხმარება ქადებისათვის. ხატის კალოზე ქალის მისვლა აკრძალულია. ლეწავენ მარტო მამაკაცები და პურსაც იგივენი ინახავენ. პური ინახება ფიცრისაგან გაკეთებულ კიდობნებში მშრალად და გრილად, რომ არ გათბეს და ცუდი სუნი არ აუვიდეს. გარჩეულიც უნდა იყოს ძალიან სუფთად. დასტურები, როცა საიფქლეების პურს ანაწილებენ, მაშინ თითო საწყავს თავისი ნაწილიდან სახატოდ ჩაყრიან (საწყავი იწონის ერთ ფუთს). ამას ჰქვიან „სამარცვლე". სამარცვლე ნიშნავს იმას, რომ კალოზე დასტურების დაუდევრობით რაც მარცვალი დაიფანტება, ხატს ის ისევ უნდა აუნაზღაურდეს, რომ არ გაჯავრდესო.

ხევსურების რწმენით, ყველა სალოცავს ჰყავს „მეშარცვლენი", ე. ი. წვრილი ანგელოზები, რომლებიც მარტო მარცვლეულს აქცევენ ყურადღებას და, თუ რომელიმე დასტური დაუდევრად ექცევა, ვაი იმ დასტურის დღეს, ყველაფერს ცუდს მოჰგვრიან იმას; ავადმყოფობა, სხვადასხვა ფათერაკი და ყველაფერი მოუვა, რაც ადამიანთა ცხოვრებაში უსიამოვნოა. ჩალას და ბზეს ინაწილებენ დასტურები. აქ ხუცესს წილი არა აქვს. სახატო მამულებს, მამულის პირებსაც დასტურები თიბავენ, სადაც რა გაითიბება.

შემოდგომაზე მომავალმა დასტურებმა სვე. უნდა მოიტანონ კახეთიდან ან კავკავიდან იმდენი, რამდენიც დასტურს თავის წილად წლითი-წლობამდინ ეყოფა. სამივე დასტური წავა ცხენებით. მაგ. ჩავლენ

ყაკაკაკის ახლო ტყეებში, სადაც სვე ბლომად იცის, გააკეთებენ ერთ კალოს მუგავს სუფთა ადგილს, გასწმენდენ ბალახისა და სხვა ნაგავისგან. მოკრეფენ სვეს და მოაქვთ ამ კალოზე. კალოზე ყველას წინ უდევს პატარა ხის გადანაჭერი და ამაზე კაფავენ სვის ყლორტსა თუ ფოთოლს. ბოლოს აგროვებენ ერთ ადგილას და გადააფარებენ თბილად. სინესლის გამო სვე გათბება და გახურდება (ეს იმიტომ, რომ სვე უფრო მაგარი გამოვიდეს). გახურების შემდეგ კალოზე გაშლიან და გაშრობენ. არის ხშირად შემთხვევა, რომ სვესთვის წასული დასტურები უდარობის გამო ორ-სამ კვირას რჩებიან. გამშრალი სვე გამსუბუქდება. დასტურები მას ანაწილებენ და ჩაყრიან სპეციალურად დამზადებულ სასვეე ბარდანებში, შეკრავენ თოკებით, აჰკიდებენ ცხენებზე და მოაქვთ შინ. შინ მოტანილს კიდევ გააშრობენ და ინახავენ მშრალ ადგილას — გოდორში ან კოდობანში.

დასტურები აგრეთვე ამზადებენ ორგვარ შეშას. ერთი არის მსხვილი — „პლახები“ — ფიქვის ან წიფლის, სადაც რა მოიპოვება. ამას ეძახიან „სასადუღრეს“. მეორეს ამზადებენ წვრილ შეშას, მას შეკრავენ კონებად და უწოდებენ „შიგსაწვავს“. შიგსაწვავი ხმარდება ქადების გამოცხობას, ხორცის მოხარშვას, დარბასში და სადიასახლისოში ცეცხლის დანთებას, აგრეთვე ზამთარში დარბასის კარზე მისულ „მეთაბანეს“ და სტუმრებს, რომელზედაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი. „სასადუღრე“ კი ხმარდება ლუდის დუღებას. ეს ორივენაირი შეშა უნდა მოიმარაგოს წინასწარ ახალმა დამდგომმა დასტურმა. ნაანგარიშევია წელიწადში რამდენი ქვაბი ლუდი მზადდება და რამდენი ჯორის საპალნე შეშა სჭირდება თითო ქვაბს (აქ შეშა ჯორის ზურგით მოაქვთ და ამითვე განისაზღვრება, რამდენი კონა რომელ დღეობაში სჭირდებათ. კონობრივ განისაზღვრება „შიგსაწვავი“ შეშა, რომელიც მზადდება ახლო-მახლო ხატის კუთვნილ ტყეებში, ხოლო ჯორობრივ საზღვრავენ „სასადუღრეს“, რომელიც ჯორით შორიდან მოაქვთ).

ახალ დასტურს გიორგობის (გიორგობის) დღეობისათვის ყველაფერი მომარაგებული აქვს, — როგორც შეშა, აგრეთვე პური, სვე და ერბოც. რაც ერთ წელიწადს ქადებისათვის დასჭირდება. დასტურს ირჩევენ აღებას, რაზედაც ლაპარაკი გვექნება მაშინ, როცა ამ დღეობას აღვწერთ. ეს წინასწარი სამზადისი იწყება პურის მოყვანიდან იმიტომ, რომ გიორგობას ძველი დასტური გადადგება და ახალი იწყებს მუშაობას, რომელიც მთელი მომავალი წლის დღეობებისათვის უნდა იყოს ნაზად. ახალი დასტური, როგორც ვთქვით, ზამთარშიევია აღებაში, მაგრამ დღეობებს გიორგობამდე ემსახურება ძველი დასტური, ახალი კი უძღვება ხვნა-თესვას, მკას, ლეწვას და ყველა მარაგის დამზადებას. ახალი დასტური პირველად გიორგობის დღეობაში ადუღებს ლუდს.

მოახლოვდება გიორგობა. ახალი დასტურები ეკითხებიან ხუცესს — რომელ დღეობაში რამდენი ლუდი მზადდება და რამდენი ფორი (ფორი: ლუდისათვის დამზადებული ქერი) სჭირდება წლის განმავლობაში; ხუცესმა ზეპირად იცის და ეტყვის ყველაფერს. მაშინ დასტურები ამის მიხედვით დაიყოფენ დღეობებს, ვის რომელ დღეობაში დასჭირდება ფორის დამზადება, სვისა და შეშის დახარჯვა. ზეპირად იციან, რომელ დღეობაში რამდენი ფორია საჭიროა და სხვა. დასტურები ზოგიერთ დღეობაში საერთო დასტურების სამწყალობნოდ საკლავს კლავენ. იმასაც ინაწილებენ — ვის რომელ დღეობაში ხვდება საკლავის დაკვლა, ერბოს დახარჯვა (იციან, რომელ დღეობაში რამდენი ქადა ცხვება და რამდენი ერბოა საჭირო). არის დღეობები, რომელშიც ერთი დასტური ხარჯავს და არის გრძელი დღეობები, სადაც დღეები აქვთ დაყოფილი, ანდა ერთობით ხარჯავენ ყველაფერს. შეშა ზოგ დასტურს თავისთვის აქვს დამზადებული, ზოგს კი საერთოდ.

გიორგობა რაკი ერთდღიანი დღეობაა, ამიტომ ერთ-ერთს ხვდება საამისო სამზადისი. რამდენსაც ხუცესი ეტყვის, ხუთს ან ექვს საწყავს (საწყავი კასრია და იმით აწყული გამოდის ერთი ფუთი) ქერს ჩაყრის ბალნისაგან მოწნეულ ტომარაში, ჩადებს წყალში ისე, რომ ტომარა სულ დაიფაროს. ასე იქნება ორ დღეს და მესამე დღეს გამოაგორებენ წყლიდან. დადებენ წყლის პირში მაღალ ქვაზე და ზედაც ქვას დაადებენ, რომ წყალი დაიწუროს, ტომარას წყალი გაუვა, სამი-ოთხი საათის შემდეგ ზურგით მიაქვთ სახლში, ან ხარებს შეაბამენ და მარხილით წაიღებენ. სახლის მაღალ სართულში (ჭერხოში) დაასუფთავებენ, დაგვიან ერთ ადგილს და ნახევარი არშინის სიმაღლეზე დააგროვებენ წყალში დამბალ ქერს, დაახურავენ ზედ ჩალას თბილად და დარჩება ისე სამ დღემდინ, მესამე დღეს ჩალას მოხსნიან და ოდნავ დაჯეჯილებულ ქერს გაიტანენ გარეთ, გაშლიან ფარდაგებზე თხლად, გააშრობენ და გაახმობენ კიდეც. მერე მიაქვთ წისქვილში და ფქვავენ ძალიან მსხვილად (ქატოოანად). წისქვილიდან მოტანილს ინახავენ უფრო ნესტიან ადგილას, ამბობენ: ფორის ფქვილი თუ გამოშრა კარგი ლუდი არ გამოვაო. გიორგობამდინ ერთი კვირით წინ დასტურები ერთიმეორეს შეატყობინებენ: ლუდი ვადუღოთ (ამას „ქვაბის დაყრას" ეძახიან). შივლენ დასტურები და მიიტანენ საამისოდ დამზადებულ ფორის ფქვილს, ასწყავენ „საწყავით" და ამდენსავე ან ცოტა ნაკლებ სვესაც; სვე ამდენივე თუ დააყარეს, უკეთესი ლუდი გამოვა. ხატში აქვთ სალუდე ქვაბები და ავსებენ ერთ ქვაბს წყლით. იციან ამ ქვაბში რამდენი წყალი ჩადის და რამდენი ფქვილი უნდა ჩაყარონ. გაურევენ ერთიმეორეში სპეციალურად გაკეთებული გრძელტარიანი სარევით. როცა კარგად აირევა ფქვილი და წყალი, მაშინ დაუნთებენ დიდ ცეცხლს. ამბობენ: ვიდრე ფქვილს და წყალს ერთიმეორეში არ აურევ, ცეცხლი არ

უნდა დაენთო, თორემ მერე აღარ აერევა. ადუღებამდინ სარევით ურევენ ძირზე, რომ ფქვილი არ დაილექოს და არ მიწვას ქვაბის ფსკერზე. ადუღების შემდეგ კი აღარ ილექება. როცა პირველად ავსებენ ქვაბს, მაშინ ერთ პირში ჩაუყუჯებენ სუფთა ჯოხს და დანიშნავენ წყლის სიმაღლეს. იმას დაიხსომებენ, რა ადგილზე ჩადეს საზომი.

ადუღების დრო რომ მოვა, ქვაბი ავსებას იწყებს და გადმოვა. კოშით ან „ჩანათი" ამოიღებენ და ჩაასხამენ მეორე ქვაბში (ამას ჰქვიან „საჯობი"). როცა იდუღებს და აორთქლდება, ისევ დაასხამენ „ამაჯობილს" და აღარც გადმოვა დუღილის შემდეგ. ადუღებენ მანამდის, სანამ აორთქლდება და დაიწევს ერთი მტკაველით დაბლა. ბოლოს, დანიშნავენ საჭომ ჯოხზედაც ჩადუღების სიმაღლეს (ჩადუღება ეწოდება დუღილის გამო სიმაღლის დაბლა დაწევას). ამის შემდეგ „სწურავენ ტკიბლით" (ასე ეწოდება). თოკები არის გადაყვანილი სახლის კოჭზე და ზედ ჩამოკიდებულია ტომრები, ტომრებს ორივე გვერდზე პირებში გაყრილი აქვს ხის ჩხირები და ტომარა იმის საშუალებით ჰკიდია საბელზე. ქვაბიდან სითხე ამოაქვთ ჩამათი (ჩამა: ხისაგან გაკეთებული სახელურიანი კასრი) და ასხამენ ჩხუტში, რომელიც ერთ კაცს უჭირავს. ჩხუტს ერთი პირი მაღალი და გადახრილი აქვს და ერთი ყურიცა აქვს. ამ ჩხუტით ჩაასხამენ ტომრებში ფქვილიან ტკბილს. ტკბილი ტომრიდან გადის და გროვდება ლათბაში, ტომარაში მოხარშული ფქვილი რჩება (ამას ეწოდება „ჯოტი"). როცა ტომრები ივსება (წინასწარ იციან ამა თუ იმ რაოდენობის ფქვილს რამდენი ტომრის დაკიდება სჭირდება). ადროვებენ და ტკბილი დაიწევს ცოტა დაბლა. მაშინ მოაკრავენ პირსაკრავებს. პირსაკრავები არის წნელით გადაბმული ორი ჯოხი ერთმანეთზე. ჯოხებს წნელი გადახვეული აქვს შუა წელზე გადაჭდეულ ადგილზე და გადაბმულია ერთიმეორეზე დაახლოვებით ერთი არშინის სიგრძეზე. პირსაკრავები ტომარას მოუჭერს და გადაიწურება ტკბილი. როცა სითხე კიდევ დაიწევს, მაშინ გვერდებზე შემოუჭერენ კეტებს. კეტებს გადასდებენ ერთმანეთზე ჯვარედინად და ძალზე გაუჭერენ. აქვე აქვთ „გლახა", რომელიც ჩამოცმულია კეტებზე და ამაგრებს გაჭერილ კეტებს მოშვებისაგან. როცა რამდენჯერმე გაიმეორებენ პირსაკრავების და კეტების მოჭერას, ტომრები სულ დაიწურება. ბოლოს ჩამოყრიან ტომრებს და გაგზავნიან შინ. იქ ქალები „ჯოტს" ამოწმენდენ, გაფენენ მზეზე და აშრობენ. ინახავენ ძალლის ჯერადაც, ძროხებსაც აჭმევენ, ხბოებსაც და სხვა.

ტკბილს ისევ უცან გადაასხამენ ქვაბში არწყვით, რამდენი ჩხუტიც უნდა დააყენონ, და იმის სიმაღლეს დანიშნავენ საზომზე. ამის შემდეგ ასხამენ კიდევ ტკბილს „სადუღრისათვის", ე. ი. ასაორთქლებლად. აორთქლების შემდეგ სიმაღლე დაბლა იწევს — უნდა დაშრეს ერთი გაშლილი ხელის ოდენი. სვე ჩაყრილი იქნება ამ ტკბილში და

იხარშება შიგ. რამდენადაც საჭიროა სითხე ჩაშრება და მერე გადმოიტანენ ისევ ლათბაში. ლათბაში ერთს პირში მოწყობილია „სამწყუული"; გადებულია პატარა ჯოხები, ზედ ჩალაა დადებული. ამოაქვთ სვიანი „სისწვენი" (ლუდი აფუებამდე) და ასხამენ ჩხუტში, რითაც ჩვეულებრივ გადაიტანენ ლათბაში და დაასხამენ სამწყულზე. აქედან სისწვენი გადის და სვე ზევით რჩება. ამ ნარჩენ სვეს გარეთ გადაყრიან, სისწვენი კი რჩება ლათბაში. გადაყრილ ნახმარ სვეს „ნამგოლს" უწოდებენ. სისწვენი ლათბაშია გაცივებამდის, შემდეგ ინახავენ. იგი ზამთარში უნდა „შაიყარას" ცოტა თბილი, რისთვისაც კოდზე იქნება ჩალა დახურული, ზაფხულში კი, რაც შეიძლება ძალიან ცივად უნდა „შაიყარას" („შაყრა" ეწოდება, როცა სისწვენი კოდში ჩაესხმება და საფუარი მიეცემა).

საფუარს აჭზადებენ პატარა კასრში ან ქვაბში. ჩაასხამენ სისწვენს, ჩააგდებენ შიგ „ჭიჭს" („ჭიჭი" არის ლუდისათვის ადრე მოხდილი ქაფი, ჩალაზე გაცხელებული და გამხმარი), ჭიჭი დალბება და ნელთბილ სისწვენს ააფუებს. როცა მისი ფუილი გაძლიერდება და სისწვენიც საკმარისად გაცივდება (ხელით სინჯავენ და იციან ვარაუდით, რა დროს უნდა იყოს მზად სისწვენი შესაყრელად, ზამთარსა თუ ზაფხულში, სიცივესა თუ სითბოში), ლათბიდან სისწვენს კოდში გადაიღებენ და შიგ ჩაასხამენ ერთ ან ორ კოშს საფუარს (დამოკიდებულია სისწვნის რაოდენობაზე. ამ საკითხში დახელოვნებულია ხუცესი, რადგან ის არის ვალდებული ლუდის შეყრისა მუდამ არა მარტო ჯვარში. სოფელშიც კი საშინაო ლუდს მას აფუებინებენ, როგორც მცოდნეს). მერე კოდს პირზე მოახვევენ ფარდაგს და ზედ მაგრად მოუჭერენ თოკს. თუ ზამთარია, ჩალას დააყრიან, თუ ზაფხულია, ღიად რჩება. ასე ფუის ერთ კვირამდის. დღეობის წინა დღეს ხუცესი გაჰსნის კოდს და გასინჯავს — როგორ არის ნაფუარი. თუ ცივია და ვერ იფუცლა საკმარისად, მაშინ ამოიღებს და დიდი ქვაბით ცეცხლზე გააცხელებს, ჩაასხამს ისევ კოდში და მოაკრავს პირზე. ეს სითბო მოაფუვლებს მას საკმარისად. თუ ზაფხულია, სითბო სჭარბობს და ნაფუარი საკმარისად არის, დამეავების შიშით გადაიღებენ სპილენძის ქვაბებში. მხოლოდ ჯერ უნდა „მოიჭიჭოს" (მოხდიან ზედ მოდგმულ სქელ ქაფს, ჩალაზე წაცხებულს აშრობენ და ინახავენ საფუვრად შემდეგისათვის). აძალობაში ლუდი დამზადდება.

გიორგობა საღამოს ძველი დასტურები უნდა გადადგნენ და ახლებმა გადაიხადონ პირველი ღამის თევა, ეამისწირვა და სხვა ყველა სახატო ჩვეულებები. ამ დროს ერთ ქვაბ არაყსაც ხდიან დასტურები სალუდე ქერიდან. საღამო ეამზე მოვლენ ჯვარში დასტურები (ხუცესი კი, ლუდი რომ იდუღებს, მას შემდეგ სულ იქ ცხოვრობს. ამას ეძახიან „საწმიდარ ყოფას". სოფელშიც აღარ მიდის, რომ სადაც ქალის

ფეხს გაუვალია, იქ არ გაიარონ), ცოტა არაყს მოიტანენ და თითო-ოროლს დალევენ ყველანი. ხუცესი მათთან პატარა საუბარს ჩაატარებს. მომავალი წლის მათ ვალდებულებაზე, თან მისცემს გაფრთხილებებს, რომ ჯვარი არაფერზე გაუწყრეს მათ, ეტყვის, თუ ჯვარს, ე. ი. მათ სალოცავს რა ეწყინება და რა ესიამოვნება დასტურისაგან. დაარიგებს: ერთიმეორის ამბავი ხალხში არ გაიტანონ, ერთიმეორე ან ხალხი არ გაიცხოთ და არ გააჯავროთ. ჩუმად აქედან სახლში არაფერი წაიღოთ — ხორცი, პური და სხვა. სოფელში სიარულის დროს უწმინდურ ადგილას თუ გაიარეთ, აქ ტანდაუბნელი არავინ მოხვიდეთო: ეტყვის აგრეთვე, წლის განმავლობაში რამდენი უნდა დაიხარჯოს ერბო, ხაკლავი, ყველა ან სხვა, ნარჩენი ხორცი, ქადის ნაწილები, ან ტყავები როგორ ნაწილდება და აფრთხილებს, თავისთვის მეტი არავინ მოითხოვოს, თორემ გაჯავრდება სალოცავი. დასტურები დარიგებას მოისმენენ და ზოგიერთ შეკითხვებსაც მისცემენ. მაგ., ღამე გვიან წასვლა ან მოსვლა აქ შეიძლება თუ არა და სხვა ასეთები.

ამ დარიგების შემდეგ ორი დასტური რეცხავს და ასუფთავებს თასებს და სხვა ჭურჭელს, ერთი კი წავა დიასახლისის მოსაყვანად (დიასახლისიც ახალი მოვა გიორგობას, ძველს ყავლი გაუვიდა). დიასახლისი მომზადებულია სუფთა ტანსაცმელში, თავი დიასახლისობის დროს წმინდად უპირავს, უწმინდურ ალაგს არ გაივლის, სამრელოში მყოფ ქალს არ ელაპარაკება და სხვა. დიასახლისს აგრეთვე გამოცხობილი აქვს პატარა პურები, რომლებსაც გულად ხორცი ან ყველი უდევს. ეს იქნება ათინჯინ, ხუთმეტი კი იქნება უბრალო სულ პატარ-პატარა სამკუთხედი პურები. (პირველებს ჰქვიან „მასანთოები", მეორეს „ბოჭოლაები"). აგრეთვე დიასახლისს სანთლის მაგიერ აქვს დამზადებული „მუში" (ცაცხვის ქერქისაგან თოკებისათვის დამზადებული ლაფანი, მას დაჭრიან სანთლის სიგრძედ). გაუძღვება დასტური დიასახლისს და წავლენ ჯვარში. გუდაშია ჩაყრილი ხსენებული პურები. მიუხალოვდებიან ჯვართ და იქ „მწვერის" საფლავის პირდაპირ დიასახლისი „მუშს" აანთებს, „ბოჭოლას" დასდებს და იტყვის: „დალოცვილნო ამ ადგილის სალოცავებო, ნურაით შამიცოდვებთ, მიშველეთ ჟამსაც, უჟამოსაც. მაპატიეთ, დალოცვილნო, რასაც გაწყენთ პირის ქარითა, ფეკის ნალითა, თუ გულში მაფიქრებით. ნურაის ინაბარს ჩამიდებთ". აქედან ჩაივლიან ცოტა ქვემოთ „ლაშქართ" პირდაპირ და იქაც ასე იქცევიან. კიდევ ქვევით ჯვართ გალავანზე გადასვლაში ანთებენ ასევე. აქ ქვევრი დგას არაყისათის და იქაც ანთებენ. და ბოლოს მიაღწევენ სადიასახლისოში. სადიასახლისო ცალკე სახლია, სადაც ცხოვრობს დიასახლისი. ის აქვე ამზადებს სახატო პურებს, ქადებს და სხვა. მასანთოებს აგროვებენ ისევ გუდაში და ბოჭოლებს კი დადებენ იქვე, სადაც მოანთეს. მოეგებება ხუცესი დიასახლისს

და ეტყვის: „წყალობა მიქიელისა, დიასახლისო. წაღმ მაგეგებას მიქიელის ძალი, ნუ შაგანანას დიასახლისობაი". დიასახლისი ხათრით უპასუხებს: „შენ იყოს მწყალობელი, შენის ცოლშვილისა, შენს თავს სწყალობდას". დიასახლისი დაჯდება და ხუცესი აქაც დაარიგებს დიასახლისს, თუ წლის განმავლობაში როგორ მოიქცეს, რა როგორ გამოაცხოს, რამდენი და სხვა. შაგ. „ყვერფში" (ასე უწოდებენ, სადაც პურებს აცხობენ) ფეხი თვითონ არ ჩადგას ან სხვამ, ცეცხლი არ დაანთოს შუალამის შემდეგ, ხმამაღლა არ ილაპარაკოს, არავინ გალანძღოს, ცუდი არავისზე იფიქროს, არავინ გაიცხოს, არავისზე იშორაოს და სხვა. მერე დასტური მოიტანს არაყს და დიასახლისსაც ცოტას დაალევინებს. დიასახლისს აგრეთვე ეტყვის ხუცესი, ქადას რამდენი ფქვილი სჭირდება, რამდენი ხავიწი და როგორ გააკეთოს. დიასახლისი შეუდგება ღამის სამთელოს გამოცხობას. დასტურები შემოუტანენ საამისოდ დამზადებულ შიგსაწვავ შეშას. ერთი დასტური მას ყოველთვის ეხმარება. დიასახლისი ანთებს ცეცხლს, დაჰკიდებს ერბოიან ქვაბს (ერბო აწყულია რამდენიც სჭირდება ამ დღეობაში), ერბოს გადაადნობს, ფქვილს გასცრის (ვარცლი და საცერი იქვე არის შენახული), გამდნარ ადუღებულ ერბოს დააყრის ფქვილს, რამდენიც განსაზღვრულია. და მოხარშავს ხავიწს. აქვე არის ერთი ჯამის მსგავსი, საკმაოდ მოზრდილი სპილენძის ჭურჭელი. გადმოდგმული ხავიწი როცა გაყინება, იმ მოზრდილი ჭურჭლით აწყაგენ და დააწყობენ შეკრულ, გაყინულ ხავიწს გრძელ ფიცარზე იმ რაოდენობით, თუ რამდენი ღამისსამთელო და ქამისსაწირი უნდა გამოცხვეს. გაყინული ხავიწი ინახება ცივ ადგილას, მერე თითოს გამოიღებს დასტური და ბაკანში დანით ჩათლის ჯამიდან ამოღებულ ხავიწს. დიასახლისი საიფქლეების ნაღალური ფქვილით მოზელავს ცომს და აკეთებს ერთ დიდ ხავიწიან ღამისსამთელოს, ოთხ საკვირაოს და ცხრა ხმიადს. (ღამისსამთელო ერთი დიდი ქადა, ხოლო ქამსაწირი სამი ქადა ცხვება, ხმიად-საკვირაო კი ერთნაირად უნდა). როცა გამოცხვება, დააწყობს საიმისოდ გაკეთებულ ფიცარზე (ამ ფიცარს ჰქვიან „ჯელ-ტაბლა". კუთხიანია, ერთ მხარეზე აქვს პატარა სახელური). დაწყობილი იქნება ზედ ქადაზე ხმიად-საკვირაოც. როცა დიასახლისი თავის საქმეს აკეთებს, ამ დროს დასტურები და ხუცესიც ტყუილად არ სხედან, ახალ დასტურებს თითოს შეხვდება თითო საკლავის დაკვლა, ერთს — გიორგობას, ერთს აღებას და ერთს ენკენიას. გიორგობა რომელსაც ერგო, ის დასტური მოიყვანს ცხვარს, ყველა დასტურები მოვლენ მიქიელის სასაკლაოსთან. ერთ-ერთი დასტური დაიჭერს საკლავს, დაჯდება ცალ მუხლზე პირაღმოსავლეთისაკენ და საკლავსაც ასევე დააყენებს, სხვა დასტურები ქუდმოხდილები იქვე დგანან. ხუცესი იღებს სასაკლავე გრძელ დანას ხელში, დასტურებს მოუბრუნდება და დაამწყალობნებს: „გწყა-

ლობდასთ ახალ დამდგომთ დასტურთ მიქიელის დავლათი. საწალმარ-
თოდ მაგიარასათ, მშვიდობით შაგინახნასთ, მშვიდობით დადებულ
უღელი მშვიდობით აგაკდიოსთ (დასტურებს „მიქიელის უღელდე-
ბულთ" უწოდებენ ამ ჯვარში. რომლის სალოცავის დასტურიც იქნება,
ის მის უღელდებულად ითვლება.), ნუ შაგანანასთ დასტურობა, სიხა-
რულად გაგიკადასთ, კლოვ უკეთი გულით მაგკერძასთ". ამავე სიტყვებს
იმეორებენ სხვა დასტურებიც და ეუბნებიან ერთმანეთს, თან პასუ-
ხობენ კიდეც: „შენ იყოს მწყალობელი". დამწყალობნებას რომ გაა-
თავებენ, ახლა ხუცესი შეუდგება საკლავის ხუცობას. ხელში უჭირავს
დანა, საკლავს კისერში დაალირებს და იტყვის: „ღმერთმა ადიდას შენ
ძალი, შენ საბელ-სამართალი, მიქიელ მთავარო ანგელოზო! ღმერთმა
გადიდას ამ სამსახურზე. პირის საბანზე, ღმერთმა გაძლიერას, ღმერთ-
მა მაგკას ცამდინ სიმაღლე, ზღვამდინ სიმაგრე. გეკედრებიან, დალო-
ცვილო, შენ უღელდებულნი, ახალ დასტურნი, გეხვეწებიან, შაიხვე-
წენი. მშვიდობით დადებულ უღელი მშვიდობით გადაკადი. ნუ შა-
ანანებ დასტურობას, დალოცვილო, სიხარულა გაუკადი შენ კსენება,
დიდება. ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს". (აქ საჭიროა დაიწე-
როს მთლიანი ხუცობა, რადგან განსხვავდება სიტყვებით სხვა ხუცობი-
საგან): „ა-ა-ა დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღე-
სინდელსა, ძალს ხთისას, ძალს კვირაისას. დიდება-დ გამარჯვება შენდა,
მიქიელ მთავარო ანგელოზო! ღმერთმა გადიდას, ღმერთმა გაძლიერას
ამ სამსახურზე, პირის საბანზე. ღმერთმა მაგკას ცამდინ სიმაღლე,
ზღვამდინ სიმაგრე, შველა, რგება, ხოიშნობა შენ მეხვეწურთად, შენ
უღელდებულთად ახალ დასტურთად, მაგათ თავისად, ჯალაფისად. გე-
ძახან ახალ დასტურნი, გეხვეწებიან, შაიხვეწნიდი. რასაც მკარზედა,
გულზე გიძახებდან, იმ მკარ, იმ გულზე გაუგონიდი, რასაც წყალობას
გეთხოვებოდან, გამჩენს ღმერთს დაუთხოიდი. წინპირა კაცის მეხვე-
წურნი კაცსა კას დროს მაუმატიდი. სხო ხთის ნაბადები თუ რა უწყრე-
ბოდას. უმრუდდებოდას, მადლი დაუთხოიდი, სხვასთან უშუიდი, თაოდ
უშველიდი. ხთის იასულნ გამოვიდოდან ხთისაგან გამაშობილნი, ჯორ-
ციელთ ბეგრევდან, ყალანს იღებდან, შენ დასტურთ, შენ უღელდე-
ბულთ ყურს ნუ მამაკერძებ, ეკერძებოდას, ნებით აკდივიდი, ნების
ბეგარი გაატანივიდი, იხვივნიდი, იხვეწნიდი ავის დღისად, ლაღის
მტრისად. საზიანოს საქმისად. ჩემგნივ რაც შეეხება, დიდებას გაკლდე-
ბოდას. მიქიელ მთავარანგელოზო, შენ შენს წყალობას მაუმატიდი
შენ მეხვეწურთად, შენ უღელდებულ დასტურთად. კაცისად, საქო-
ნისად, მაგათ თავისად, ჯალაფობისად, ქუდოსან-მანდილოსნისად, ყურ-
თად მსმენლისად მშველელი, მლხენელი, მხოიშნებელი, წაღმა მდეგიმც
ხარ. შველდი, სწყალობდი, სცევდი, ხფარევდი. გამარჯვებას შენსა, შე-
ნის გამჩენის ხთისას".

ამის შემდეგ კურთხევა იქნება. კურთხევაც რომ მოთავდება, ხუცესი კიდევ იტყვის ერთ პატარა ლოცვას, რომელსაც „შასახელება“ ეწოდება: „შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სამსახური, პირის საბანი, მიქიელ მთავრო ანგელოზო. შენ ახალ დამდგომ დასტურთად, შენ უღელდებულთად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიკმარი, ღმერთი შენს ძალსა, დიდებას მაუმატებს“. ამ სიტყვებს რომ დაამთავრებს, დასტური ცხვარს ოთხივე ფეხს დაუჭერს, ორ წინა ფეხს მარცხენა ხელით, უკანა ფეხებს მარჯვენა ხელით და ცხვარს მარცხენა გვერდით მუხლზე დაიდებს. ხუცესი დანას ყელში გაუყრის. დასტური თავმოჭრილ ცხვარს წაიღებს და იქვე გამზადებულ სასაკლავე სიაზე დადებს. მერე ხუცესი იტყვის და ყველანი ერთხმად ხმამაღლა ამავე სიტყვებს გაიმეორებენ: „გწყალობდასთ, დასტურნო, მიქიელის დავლათი, საწაღმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ნუ შაგანანასთ დასტურობა, კლოვ უკეთი გულით მაგკერძასთ, მშვიდობით დადებულ უღელ მშვიდობით გადაგაკდიოსთ“. ამ დამწყალობნებას რომ მოთავებენ, ერთი დასტური საკლავს გაატყავებს, სხვები კი დარბასში შევლენ.

ლუდი ღამისთევამდის არ გაიხსნება. ამ ამბავში საღამოც მოატანს და შეუდგებიან ღამისთევას. ერთი დასტური გამოიტანს ხელტაბლაზე დაწყობილ ღამისსამთელოს. დარბასში არის სპილენძის საშფეხიანი მრგვალი ტაბლა და მას იმაზე დადებენ. ხუცესი შედის საკოდეში, ანთებს „ჩირახს“ (ცვარი, ფიქვის ძირი) ან სანთელს და გახსნის ლუდიან კოდზე მოხვეულ თოკს. მიუტანენ „საჭიქე“ ბაკანს. ხუცესი ჭიქს მოხდის ქაფქირით და ჩალაჩაწყობილი ბაკანში ჩადებს. აქვე მიუტანენ სახუცო კოჭობს, რვლის ჩხუტს და კოშს. კოშით ამოიღებს ლუდს და ჩაასხამს ჩხუტში. აგრეთვე აავსებს სახუცო კოჭობს და დადგამს კოდზე დადებულ ფიცარზე, სადაც ერთი სასანთლე და სამი საკვირაო ძევს. დაკრავს კოჭობზე სანთელს და შეუდგება მოხსენებას, ხუცობას და კურთხევას: „ღმერთმა ადიდას შენ სახელი, შენ ძალი, მიქიელ მთავარო ანგელოზო! შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს კოდ-საფუარი, სადიდებელი შენ დასტურთად, შენ უღელდებულთად. შაიხვეწენ, დიდებულო მიქიელო, დაიცვენი, დაიფარენ ველთაც, შინაც. წელ მშვიდობისა დაუყენ, დალოცვილო, მშვიდობით დადებულ უღელ მშვიდობით გადააკდი, ღირსეულად იწირე, სამთავრო გასამარჯოდ მაიკმარი, აგრემც ძალსა, დიდებას მაგემატების. ა-ა-ა დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა“... და შემდეგ, ჩვეულებრივი ხუცობა წავა, მხოლოდ აქ ჩაემატება უღელდებულთ სამწყალობნელო. შემდეგ გრძელდება კურთხევა ჩვეულებრივ. დასასრულ დაამწყალობნებენ, ისე როგორც „სამამკლაოს“ ღამისთევაშია მოყვანილი.

ხუცესი ლუდს გემოს გაუსინჯავს და შეაფასებს, თუ როგორი ლუდი გამოვიდა. მისცემს დასტურებსაც ამავე თასს და ისინიც გაუსინჯავენ გემოს. ბოლოს რვლის ჩხუტს გადასცემს დასტურებს და ისინი დადგამენ დარბაზში. გამოვა ხუცესი და დადგება პირაღმოსავლეთისაკენ. დასტურები ჩვეულებრივ ავსებენ სახუცოს და ორ სხვა თასს, დადგამენ მათ ღამისამთელოზე და აანთებენ სამ-სამ ღერს, ერთმანეთზე დაგრეხილ სანთელს. ხუცესი შეუდგება ხუცობას. ჯერ მოახსენებს, იხუცებს და კურთხევასაც იტყვის ღამისამთელოზე: „სეფე-სანთელი, ღამის სამთელო-სადიდებელი, ნათელ-ბნელი". აგრეთვე ახვეწებს უღელდებულ დასტურთ, დანარჩენი სულ ჩვეულებრივ ჩატარდება: ხუცობა, დიდება. დაბოლოს ფეხზე სამღერლებსაც უმღერენ თასიანებს:

თასიანები ამ მღერის დროს ცოტ-ცოტას სვამენ და ეუბნებიან: „დიდბანამც იმღერთ კაი გულით". მერე თასიანებიც შემღერნებენ და დაალევინებენ თავისი თასებიდან ყველას:

„თქვენ ჩვენად რამ ჩამაგყარნათ, არწივნო ქუშნო მთისანო?
სასტუმროდ საყვარელნი ხართ, მასპინძლად შუქნო მზისანო".

და ბოლოს, ვისაც ეჭირა სადიდებელი, ისინი გამოიცლიან თასებს და ეტყვიან: „გწყალობდასთ მთაკარანგელოზი, შავსვი თქვენის გამარჯვებისა". ფანდურს „გადახყუდებენ" იქით და ცალს მუხლზე დაჯდება ყველა, ვისაც თასი არ უჭირავს. პირველები ამბობენ: „მტერს ჩამახყარეთ იარაღი, თქვენ ქელ-ჭმალი ერეოდას". მეორეები ეუბნებიან: — „მტერიმც ნუ მაგერევისთ". შემდეგ ადგებიან და ეუბნებიან: „გაამასთ ღმერთმ". „თქვენ კა გვაამას" — უპასუხებენ მათ. ამ ხანში დასტურიც საკლავს გაატყავებს, შემოიტანს და გულ-ღვიძლ გამოცლილს იქვე რკინის ჩანგალზე ჩამოკიდებს. აქ ჯერ ცოტა ლუდის და არაყის სმა გაიმართება, მერე საკლავის ნაწილს მოხარშავენ. თან დასტური შეუდგება მწვადის კეთებას (ხუცესი აქ არაფერს აკეთებს).

თუ სოფელში ახალი მიცვალებულის პატრონია, მისი ხათრით არ იმღერებენ. მაგრამ ჭირისუფალი ვალდებულია ჯვარში მივიდეს ღღეობის დაწყებისას. იგი ადრიანად მიიტანს ფანდურს (თუ მიცვალებულის პატრონი მოხუცია, ან კაცი არ არის ოჯახში, მაშინ მისი გვარიდან მიდის ერთ-ერთი კაცი ჯვარში). ჯვარიონნი მას კარგად გაუმასპინძლდებიან. მერე ჭირისუფალი („ჭირის პატრონი") იღებს ფანდურს, დაჯდება ცალ მუხლზე და იმღერებს ძველ საგმირო სიმღერას:

„სიკეთილმ თქო: არ დავიჯერებ, ნაბძანებს ვიქამ ხთისასა,
სულეთ ჯარს შავხარი ქეესურთა ნარჩევის ვაჟებისასა" — და ა. შ.

ხანდახან სოფელში ღღეობა ორ-სამ ადგილას არის და ამ საღამოს, ე. ი. ღღეობის დაწყებისას, ყველგან წავლენ ჭირის პატრონის გვარიდან „ფანდურის გასატეხად".

ღამისთევა რომ მოთავდება, დასტურები მწვადს შეწვავენ და, როგორც ნათქვამია, ღამისსამთელოს დაჭრიან, სუფრას დადგამენ. ზედამდეგები ჩვეულებრივ ფეხზე დადგებიან, კარაბანას დაუდგამენ და უმღერებენ:

„ვინა თქვა მთაურის ბაკალა ქორისა გეზელიაო,
ან შვილი კაის მამისა მამცდარა, რეგვენიაო“.

თუ აქ სტუმარია, ესეც შემღერნებს:

„მე აქა მასვლა არა ვთქვი, მაძოვა ამ ბალახისა,
აეხლა წასვლა არ მწადის, გაწირვა ამ ქალაქისა“.

ვიდრე პურის ჭამას დაიწყებდნენ, დასტური დიასახლისს წაუღებს ერთ კოშ ლუდს, ხავიწიანი ქადის ნაწვრილეთს და მწვადსაც. დიასახლისი ლუდს ცოტას დალევს, დასტურსაც შეიპატიჟებს და რაც დარჩება შეინახავს. მერე ან უფროსი კაცი ვინმე მოვა, ან სხვა პატივსაცემი სტუმარი და ამას დაალევინებს.

ზემოთ ვთქვით, რომ ხანდახან ერთ სოფელში დღეობა ორ-სამ ადგილას არის. სწორედ გიორგობასაც ახიელში სამ ადგილას დღეობობენ. ერთი არხოტის ჯვარში, რომელსაც ილოცავს მთელი თემი (ეს არის სათემო სალოცავი), მეორე მთის ვეშაგში (ეს ეკუთვნის ცისკარაულების გვარს) და მესამე ჯაჭველში (ოჩიაურების გვარს ეკუთვნის). სამივეგან მზადდება ლუდი, მხოლოდ ცისკარაულები ისეთ ადგილას დღესასწაულობენ, რომ იქ ესწრებიან არა ბარტო მათი გვარის, არამედ სხვა გვარის ქალებიც. თითოეული ქალი იშოვის ერთ ბოთლ არაყს, გამოაცხობს ყველიან ან ხორციან ქადას და ერთ პატარა ქადას, რომელსაც საკვირაო ჰქვია (ამის გარშემო ზევითაც იყო ლაპარაკი), წაიღებს ერთ ღერ სანთელს და მივა ცისკარაულების დღეობაში. აქ ისინი სტუმრებს ძალიან კარგად გაუმასპინძლდებიან. მოტანილ სასანთლეებს იქაური დასტურები დააწყობენ ერთად, სანთლებს აანთებენ და ხუცესი იხუცებს.

ხუცობის დროს ყველანი ფეხზე დგანან და პირჯვარს იწერენ. ბოლოს ხუცესიც და იქ მყოფი სხვა ხალხიც დაამწყალობნებენ მესადიდეებლებს და ეტყვიან: „გწყალობდასთ, საწალმართოდ მაგიარასთ, მანდილოსნებო, ხალიზი ნუ დაგიკარგასთ, კლოვ ეკეთესი გულით გიმსახურნასთ“. ისინიც ჩვეულებრივ პასუხობენ: „თქვენ თავს სწყალობდას, თქვენ იყოს მწყალობელი“ და სხვა. დასხამენ არაყს ყანწში და დასტურები ყველას დაალევინებენ. ქალებს ლუდით, მოხარშული ხორცით გაუმასპინძლდებიან. დანარჩენი დღეობა, ღამისთევა და ეამისწირვა ტარდება ჩვეულებრივი წესით.

ოჩიაურების სალოცავშიც, რომელსაც ჰქვიან ჯაჭველი, სრულდება ჩვეულებრივი წესები. სასანთლეები იქაც მიაქვთ ქალებს, მაგრამ ახლო

ვერ მიდიან. სასანთლის მიმტანები შორს დასხდებიან (იციან თავიანთი მისასვლელი ადგილი). დასტური მივა, ლუდს გაიტანს ქვაბით ან რვლის ჩხუტათი და იქ დაალევინებს. მეტი პატივისცემა აქ ქალებისათვის არ იციან. ასევე არხოტის ჯვარშიც შორს არის ქალების დასაჯდომი ადგილი, იქ ლუდს გაუტანენ და სხვა პატივისცემა არც არაფერი აქ იციან ქალებისადმი.

ღამისთევის შემდეგ ერთი დასტური იგზავნება მთის ვეშაგიდან არხოტის ჯვარში. მას მიაქვს რვლის ჩხუტით ლუდი. ჯაჭველიდანაც შიდის ერთი დასტური და მასაც მიაქვს ლუდი არხოტის ჯვარში.

ამ დასტურებს არხოტის ჯვარის ჯვარიონნი ძალიან კარგად ხვდებიან, ასმევენ ლუდს, შეუწვავენ მწვადებს და ძალდატანებით ასმევენ. ლუდს შეამოწმებენ. ჯერ ხუცესი გასინჯავს, მერე დასტურები. გეჭოს, ფერს და ყველა თვისებას შეუფასებენ. ბოლოს იტყვიან ვისი ლუდი სჯობია. არხოტის ჯვარის ჯვარიონნი ცდილობენ მოსული დასტურები ძალიან დაათრონ, რომ იქიდან ვეღარ წავიდნენ, ამით მასპინძლები თავს ისახელებენ. მაგრამ დასტურებს ხალხი ელოდება. შუაღამის შემდეგაც რომ არ მოვიდნენ, შინ არავინ წავა. აინტერესებთ, ვისმა ლუდმა აჯობა, ან როგორი პატივი სცეს არხოტის ჯვარში. დასტური როცა თავს დააღწევს არხოტის ჯვარის ჯვარიონთ, თავის ჯვარში მივა.

დამთავრდება ღამისთევის წესები. დასტურ-ხელოსნები და ხუცესები ჯვარში დარჩებიან, სხვა ხალხი კი წავა თავთავიანთ სახლებში.

არაყის დამზადება იციან მარტო არხოტის ჯვარში, დანარჩენ ჯვარებში არა. ხოლო დიასახლისი მთელ ხევსურეთში მარტო გუდანის ჯვარში და არხოტის ჯვარში ჰყავთ.

გიორგიობა

გათენდება გიორგიობა (გიორგობა) დღე. დასტურები ადრე იღვიძებენ. ვერცხლის სურით მოიტანს არაყს ერთი დასტური, რომელსაც არაყი აბარია და ხუცესს ლოგინში დაალევინებს (სადილაოს ეძახიან. ეს იქნება ძალიან მაგარი არაყი). მერე დასტურებსაც დაალევინებს და ბოლოს დიასახლისსაც მიაკითხავს. არაყის დალევის შემდეგ ყველანი ადგებიან და ისაუზმებენ კიდეც. დიასახლისი შეუდგება ყამსაწირის გამოცხობას იმავე წესით, როგორც ზემოთ არის ნათქვამი. გაამზადებენ, გაბანენ, გაპოხავენ და დააწყობენ ერთი მეორეზე სამ დიდ ქადას, ცხრა პატარა ხმიადს და ოთხ ხავიწიანსავე პატარა ქადას, რომლებსაც საკვირაო ეწოდება. ყამისსაწირს გაიტანს ერთი დასტური და დააწყობს სპილენძის ტაბლაზე. დადგამენ ზედ ჩვეულებრივ სამ თასს, გამოიტანს საკოდედან ხუცესი ახალ ლუდს და

დაავსებენ ამ ლუდით თასებს. ხუცესი შეუდგება ხუცობას. სანთლებიც ჩვეულებრივ ენთება. ხუცობა არის ჩვეულებრივი. ხუცობა და კურთხევა რომ დამთავრდება, სადიდებელი თასის დალევის დროს კიდევ იმღერებენ ფეხზე საგმირო შინაარსის სიმღერებს. მაგ.

„გაბანდა ჯაბუშანურმა ციხის ჩარდახში ჯღანო,
აიქით გადმაუფრინდა, დახვია ღილღვლის ჯარიო“.

გააჩნია, რა გვარის კაცს უმღერიან და თუ მის გვარს აქვს ძველი საგმირო სიმღერა, აუცილებლივ მას უმღერებენ.

მღერა, თასების გამოცლა და ჩამოყრა მოთავდება. თასებს ჩამოართმევენ ჩვეულებრივ და დადგამენ თავის ადგილზე, დასტურ-ხუცესებიც დასხდებიან და შეუდგებიან სმას. ამ დროს სოფლიდან მოვა ერთი კაცი და მოიყვანს საკლავს, რომელსაც „სარიგო“ ჰქვია (სარიგო არის საკლავი ცხვარი, რომელიც სოფელს მოუდის რიგით. ვისაც რომელ დღეობაში შეხვდება, შინაც რომ არა ჰყავდეს, უნდა იყიდოს და მოიყვანოს). სარიგოს დარბასის კარზე დააბამს, გაივლის წინ, დაიწერს პირჯვარს და ამბობს: „ხთისაგან გაგემარჯოს, შენის გამჩენისაგან წმიდაო მთავარო ანგელოზო, ნურაით შამისაწყინდები, ნურაის ინაბარს ჩამიდებ, დალოცვილო, ჭირ მავხპარი შენს კარსა, შენს კამალას“. ამას რომ მოათავებს, დარბასის კარზე მიეა (დარბასში გარეშე ხალხი იშვიათად შედის) და დარბასში მყოფთ დაუძახებს: „აშენდით, წალმამც წაგიოსთ დღეი, დღეაი“. დასტურ-ხუცესები უპასუხებენ: „დამშვენდი, მაგვიხე მშვიდობით, მშვიდობით შენ მასვლაი“. გამოვლენ დასტურები და კიდევ მიესალმებიან: „წყალობა ქემწიფისა, წყალობა, წალმ მაგეგებას ქემწიფის დავლათი“. „მესარიგოე“ (ასე უწოდებენ სარიგოს მომყვანს) უპასუხებს: „თქვენ იყოს მწყალობელი“ („წყალობა ქემწიფისა“, ან „მიქიელისა“, ან „მთავარი ანგელოზისა“ ეს ყველა ერთსა და იმავეს ნიშნავს). მესარიგოე დაჯდება დარბასის კარში და იქიდან ესაუბრება სოფელში მომხდარ ამბებს: ჭარათ ჯარზე ან ოჩიაურთ ჯარზე როგორი სმა ან ლუდებია, ან სოფელში ვინ მთვრალია და ვინ ფაიზელი (ჭარათ ზედმეტ გვარად უწოდებენ ცისკარაულებს. ვიღაცა ჭარა ყოფილა მათ გვარში. ოჩიაურთ და ჭარათ, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, აქვთ თავთავისი დღეობა. მისულ ხალხს, რომლებიც დასხდებიან სასმელად, „ჯარი“ ჰქვია. თუ ლუდის სასმელად ვინმე მიდის ჭარათას ან ოჩიაურთას და შეეკითხებიან — სად მიხვალო, უპასუხებს: ჭარათ ჯარზე, ან ოჩიაურთ ჯარზე მივალო), დასტურ-ჭელოსნებიც თავის ამბავს მოუყვებიან, ხუმრობენ, იცინიან (ჩვენ აქ მუდამ ვწერთ „დასტურ-ხუცესებს“ მკითხველისათვის უფრო გასაგებად, თორემ „დასტურ-ჭელოსნებს“ ეძახიან. ჭელოსანი ჰქვია ახალ

ნისულ მედროშაეს, რომელიც დროშას ატარებს. ამაზე შემდეგ ვეტყვნება საუბარი).

ბშირად არის შემთხვევა, რომ ხუცესი მოჰყვება სიზმარს. მაგალითად, სოფელში თუ ავად ვინმე არის, ამაზე ნახავს სიზმარს და აქ იტყვის. იცის, რომ იმათ ყურამდე მივა და აქ უნდა მკითხაობით ავტორიტეტი აიმაღლოს. მაგ, ასე იტყვის: სიზმარში ესა და ეს კაცი ტალახში დადიოდა, ან ნაგავს ჯვარის კარმიდამოში გადაჰყრიდა, ან ჭამდა რამეს ცუდს, ან ვინმე მოკვლას უპირებდა და მიეშველე, ან ცუდი საქციელი შე დავუშალეო, ან წყალში ჩავარდა და მე გამოვიყვანეო. ამ სიზმარს ისეთ მნიშვნელობას მისცემს, რომ ავადმყოფის პატრონი აქ თუ საკლავს არ მოიყვანს. ხატი მასზე გამწყრალია და აუცილებლივ ცუდად წავა საქმე. ეს ამბავი შეწუხებული კაცის ყურად მალე მივა და, სახლშიც რომ არ ჰყავდეს, შოულობს და მიჰყავს საკლავი (მოზვერი), რაც ხუცესმა თქვა. ტყავ-ხორცი ჯვარიონთ რჩება, თვითონ კი ცარიელი ბრუნდება შინ.

ამ საუბრების დროს მსარიგოეს დარბასიდან ლუდსაც აწვდიან და დაალევინებენ. მერე მესარიგოე ხუცესს სთხოვს: თუ შეიძლება სარიგო დამიკალიო. ხუცესი კი თუ კაი გუნებაზე არ არის, მთელი დღე ალოდინებს გარეთ სიცივეში და ეუბნება — მე ჯერ დრო არა მაქვს და ვალდებული ხარ მომიცადო. ხუცესები აქ დიდ პატივში არიან. დასტურნიც მზად არიან მათ პატივსაცემად და მათი სურვილების შესასრულებლად. მოსულებს ხატის ეშინიათ და ჰგონიათ, რასაც ხუცესი ეტყვის ხატს, ის შესრულდება. ამიტომ ხუცესის წყენინებას ყველა ერიდება. რა გზა აქვს საწყალ კაცს — მესარიგოეა, თუ ისე „მეზღვნე", უნდა ეცადოს ხუცესის მოგუნებიანებას, რომ მან დაკლას მოყვანილი საკლავი (მეზღვნე ეწოდება, ვინც საკლავს მიიყვანს შესაწირავად ან მკითხავის, ან თავისი სურვილით). დასტური სარიგო საკლავს დაიჭერს და დააყენებს სასაკლავესთან. დასტური ჩვეულებრივ ერთ მუხლზე ზის და ცხვარიც პირაღმოსაკლეთისაკენ უპირავს. ხუცესი მივა ამოღებული დანით და შეუდგება ხუცობას. აქ ხუცობა განირჩევა სხვა ხუცობისაგან თითოროლა სიტყვით. ხუცესი ამბობს: „შენა სამთა

მერე ხუცესი დაამწყალობნებს და აქ მყოფნიც ყველანი ამავე სიტყვებით აყვირდებიან:

„გწყალობდასთ მიქიელის დაგლათი ახიელელთ, ტახტის ყმათ. საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ხალიზად მაგცასთ, ბალინჯ მაგაშორასთ, მესარიგოეს გწყალობდას, ნუ შაგანანას, კლოვ უკეთი გულით გიმსახურას. ჯვარიონთ მაგცასთ წყალობა, დასტურსა, ჯელოსანსა, ხუცესს ენა-პირ გიკურთხას. შაუცოდვრად, შაუწყენლად შაგინახასთ“. საკლავი ჩვეულებრივად იკვლება. დასტური მას სცსაკლავე სიპზე დადებს. შემდეგ წავა კურთხევა ჩვეულებრივად. მობრუნდებიან და ჯვარიონნი ისევ დარბასში შევლენ. თუ მესარიგოე პატივსაცემი კაცია, მასაც შეიყვანენ, თუმცა ის ძალიან იხათრებს, რადგან ჯვარიონთ გარდა აქ არავინ შედის. თუ ხუცესმა დაპატიჟა, მას არ გაუტეხს ხათრს და შევა. ჯვარივნებმა დარბასში შესული კაცისათვის კაი პატივისცემა იციან. რაც შეუძლიათ გაუმასპინძლდებიან ლუდით, არაყით, ხორცით და სხვა. მხოლოდ ის ჯვარის შიშით ყველას ხათრით ექცევა, საუფროსო სკამზე არ დაჯდება, ხმამაღლა არ ლაპარაკობს და სასმელსაც ძალით დაალევინებენ — ხათრს კი ვერ გაუტეხს.

მეზღვნე-მესარიგოეებისათვის ტაბლის დადგმაზე შემდეგ გვექნება საუბარი. ამ დღეობასთან დაკავშირებით კიდევ სრულდება ზოგიერთი სხვა წვრილმანი წესიც.

არხოტის ჯვარიდან სოფელს „მიუდის“ (ერგება) ამ დღეობებში ექვსი ჩხუტი ლუდი. რადგან ჯვარში საჯარე ბინა არ არის და გარეთ ცივა, სოფელში გამონახავენ თავისუფალ ჭერხოს (ზემო სართული ხევსურული სახლისა), დაასუფთავებენ, შეიტანენ ხეებს და დაწყობენ სკამებად კედლის პირებზე. მერე გაგზავნიან ბავშვებს და სოფელში ყველას შეატყობინებენ, რომ ამა და ამ ჭერხოში დასხდება ჯარიო. ამ საქმეს ხელმძღვანელობს ახალი მიცვალებულის პატრონი (ჭირის პატრონი). საღამო ხანზე ხალხი აქ მოიყრის თავს. ჯვარში გაგზავნიან ახალგაზრდებს ქვაბებით და ასაწევი კეტებით, ამათ ჰქვიათ „მელუდენი“. მელუდენი მივლენ დარბასის კარში, ქვაბებს (ხევსურულად საწდეს) დადგამენ და პირჯვრის წერით ეხვეწებიან: „ხთისაგან გაგემარჯოს შენის გამჩენისაგან, დიდო მთავარო ანგელოზო, ნურაით შამისაწყინდები, ნურაით შამიცოდებ, პირის ქარითა, ფეჯის ნალითა, ზღვნითა, სანთლით გადამაჯდი, დალოცვილო, ნურაის ინაბარს ჩამიდებ“. მერე მივლენ დარბასის კარებთან და დარბასში მყოფ ჯვარიონთ დაუძახებენ: „აშენდით, ჯვარიონნო, წალმამც წაგივათ დღეი, დღეობაი“— „დამშვენდით, მაგვიხვედით მშვიდობით, წყალობა მიქიელისა, წალმ მაგეგებასთ მიქიელის დაგლათი“ — უპასუხებენ ჯვარიონნი. მელუდენი დასხდებიან ქვის სკამებზე. დასტურები დარბასიდან გამოუტანან ლუდს

თასებით და დაალევინებენ. მერე მელუდენი ხუცესს სთხოვენ ლუდის დასხმას. ხუცესი ხანდახან გაჯიუტდება, მოუგონებს შარებს: იმან ყანა „დაალევინა“ ცხენს და დანალევზე გადაწყვეტილი პური არ მოუტანიაო. იმან დროზე ჯვარის ყანა ვერ მოხნა, ვერ მომკოო და სხვა. თუ ზემოთ ნახსენები სარიგო მოყვანილი არ არის და ვინმეს აკლია, ხომ სულ არ დაუსხამს ლუდს. ვიდრე არ მოაყვანინებს, ბევრს ეფერებიან მელუდენიც და დასტურებიც ხუცესს, ბევრს ეხვეწებიან და გაამეტებინებენ ლუდის დასხმას, ხანდახან კი მივა ჩხუბამდის, ზოგი მელუდე ვეღარ მოითმენს და ეტყვის: ეგ ლუდი ჩვენი ოფლით არის, ვხნავთ, ვთესავთ, ვდასტურობთ და შენ ვინა გდიხარ, რომ არ მოგვცეო. ამას კიდევ სხვები გაუჯავრდებიან: როგორ შეიძლება არხოტის ჯვარის ჭელსნის გაჯავრებაო.

როგორც იქნება, დასხმევინებენ ლუდს. ამოუღებენ თავის საწდეებიდან და დასტურებს შეპატიჟებენ: დაგვლოცეთო. დასტურებიც დაილოცებიან: „გამარჯვება ჭემწიფესა, იმის წყალობა გქონდასთ სოფელის მელუდეთ, მშვიდობით გამყოფნასთ, ბევრ სთველ-ცაზაფხულ მაგგვარასთ მშვიდობისა, კარგა ყოფისა“. „თქვენ იყოს მწყალობელი“ — პასუხობენ მელუდენი.

დალევენ ლუდს, ასწევენ კეტით ქვაბებს და წამოიღებენ. მივლენ სოფლის ჯარზე, დადგმენ ლუდს და ეტყვიან: „ლუდი წინა, ვაქებო“, წამოდგება ფეხზე ხალხი და ეტყვიან: „მამტან ბედნიერი, მაგვიხეით მშვიდობით“. მელუდეებს მიიპატიჟებენ სკამზე და დასვამენ ცეცხლთან ახლო (მოსულები სოფლიდან ყველა მოიტანს შეშას და აწყობენ იქ და ამითი ანთებენ ცეცხლს). გამოიკითხავენ ჯვარიონთ ამბავს, როგორ დაუხვდნენ ჯვარიონნი, ვინ მთვრალი იყო და ვინ ფხიზელი და ა. შ. სოფლის ხალხს ჯერ ლუდი არ უნახავს როგორია და ამაზედაც ეკითხებიან. ამ დროს კიდევ ორი ან სამი ყმაწვილი გაგზავნილია თასების მოსატანად ჯვარში. იქ სპილენძის თასები ბევრია შეწირული. მათ ლუდის სასმელად ხმარობენ. მოიტანენ თასებს, გარეცხავენ და ახალგაზრდები დადგებიან ფეხზე. თასებით საწდიდან ამოიღებენ ლუდს, მისცემენ უფროსებს და თუ დარჩა უმცროსებსაც მიაწოდებენ (ხალხი, ე. ი. „ჯარი“, ორად არის გაყოფილი. უფროსები სათავეში სხედან, უმცროსები კი ბოლოში. ამას „საუფროსო“ და „საუნცროსო“ ეწოდება). ერთი-ერთი უფროსი ხალხის თხოვნით ადგება (ვანამდე სასმელს არავინ დალევს და არც დაილოცებიან) და მიცვალებულებისათვის „დალოცავს“ ერთ-ერთ საწდეს და ავსებულ თასებს. ვინც უფრო მოკლე ხნის მკვდარია, მოიხსენიებს იმ მკვდარს და დაუმატებს: „მისის მასპინძლობით, რაც წელს ახიელას დააკლდეს, იმათაც შაუნდანს“, ე. ი. შეიწყალოსო. დავუშვათ, ახალი მკვდარი ამ სოფელში კვირიკა არის,

მაშინ ასე ეტყვის (ხელში თასი უჭირავს): „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა; ღმერთო, კაციც შენ გეხვეწებისა-დ სულიც შენ გებარების, ღმერთო და დიდო არხოტის ჯვარო, ნუ დაღლევ ახიელელთ თქვენს სადიდებლად, სულის საკსნელად. ხთისა, კვირაის სადიდებელი ასა-დ ხთისა, კვირაის დიდებით, ჩემის სიტყვის მაკსენებით, ზედ-დამრჩოების დღეგძელობით, ხთის წესითა, მღდლის წესითა, იერუშალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მოდიოდას, წესი სამართალ იყოს, სულს შანდობა მიუდიოდას, ეს საწდეცა-დ ეს ავსებულები თასებიც (სავსე თასებით ხელში ხალხი ხმაამოუღებლივ ფეხზე დგას) სულსამც კვირიკაისა-დ იმის მასპინძლობით წელს რანიც ახიელას დააკლდეს, იმათამც მაეკმარების". „შაუნდნას ღმერთმ" — იტყვიან ყველანი. ამ დროს შეხუმრება იციან; ერთი ვინმე დაიძახებს: „შანდობა ხუცესს". მაშინ ვინც დალოცა, ის ვალდებულია, ეს თასი დასალევად გადასცეს იმას, ვინც დაიძახა: „შანდობა ხუცესს"-ო, მაგრამ შეპატიჟებაზე ასე იტყვის: ვინაც ლოცა, იმანვე კოცნა. მე სხვა ამივსეო და არ ჩამოართმევს იმ თასს. მერე ვინც დალოცა, იგივე გამოცლის თასს, მეორეს კი საწდიდან აუვსებს იმას, ვინც შენდობა დაუძახა. იმას დალოცავენ ყველანი: „გამარჯვება ჭემწიფესა, იმის წყალობა გქონდასთ ახიელელთ, საწალმართოდ მაგიარასთ, ბევრ გიორგობაი, სთველ-გაზაფხულ მაგგვარასთ მშვიდობისა: კარგა ყოფისა, თასიანებს ჭელთა გაამასთ, მეშუკლეებს მუჯლებ შაგარჩინასთ (ახალგაზრდები უფროსების პატივსაცემად ცალ მუხლზე დასხდებიან, ვისაც თასი არ უჭირავს), შაუნდნას, ვისადაც ღლოცეთ, მაკმარას".

ზედამდეგები ყველას დაალევინებენ თასებით ლუდს (აქ მარტო მამაკაცები არიან); ბოლოს ახალი ჭირისპატრონი მოიკითხავს ფანდურს. როგორც ჯვარში, ისე სოფლის ჯარზე საჭიროა „ფანდურის გატეხა". ჭირისპატრონის ხათრით ფანდურს არავინ დაუკრავს, არც იმღერებს და არც ითამაშებს, მანამდის ის თვითონ არ იმღერებს. ჭირისპატრონი აიღებს ფანდურს, წავა და ჯარის ბოლოში ერთ მუხლზე დაჯდება. ახალგაზრდები დაარიგებენ ლუდიან თასებს. ყველას ხელში უჭირავს თასი და ჩუმად სხედან. მერე ჭირის პატრონი დაუკრავს და ხმამაღლა იმღერებს ძველ საგმირო სიმღერას. სიმღერის დროს მას თასით ლუდს დაალევინებენ. ფანდურის დამკვრელი ადგება, ერთ ხელში ფანდურს დაიჭერს, მეორეში თასს. პირველი მომღერალი იმ თასს საწდიდან ისევ აავსებს, მიუტანს, ხელში მისცემს და ეტყვის: „ჯვარ დაგიწერას ღმერთმ". „ჯვარის წყალობა გქონდას, მტერ მაიყვანი ნებას" — ეტყვის მეორე. წავა, იქვე დაჯდება და გააგრძელებს მღერას. ვისაც თასები უჭირავს, მღერის დროს იმას თითოობით ეუბნებიან: — „აი, დიდხანამც იმღერ, ღმერთმა ნუღარაით შაგაწუხას". ამ სიტყვების თქმის დროს ცოტ-ცოტას სვამენ. გაათავებს მღერას, ადგება ფეხზე და იტყვის: „აი

თქვენის გამარჯვებისა". ერთი ვინმე მივა და ეტყვის: „აბალე, ჩამამეტანე. ყელ ამაგშრებოდ. აბალე შასვი". მომღერალიც ეტყვის: შენის გამარჯვებისაო და დალევს ლუდს. ამის შემდეგ ვისაც სურს, იმღერებს, ვისაც სურს ითამაშებს და იმხიარულებს. თამაშობა ასეთ ჯარზე ინვიანად იციან. აქ უფროს კაცებს თითოობით მისცემენ ფანდურს და ამღერებენ ძველ საგმირო სიმღერებს. მღერის დროს ასრულებენ ზემოთ მოყვანილ წესებს. ჯარიდან შეიძლება ლუდის ნაწილი მიეცეს ახალგაზრდებს, ისინი წაიღებენ რომელიმე ოჯახში, ან თუ ახალი მოყვანილი რძალია სოფელში, იქ უფრო წაიღებენ რძლის პატივსაცემად, დაპატიჟებენ ქალებსაც. რომლებსაც დაალევინებენ ლუდს, რადგან სოფლის ჯარზე და ხატში ქალები არ მიდიან. იქ იმართება ცეკვა, მღერა და მხიარულება. სოფლის ჯარზე კი უფროსი ხალხი რჩება; ნელნელა სვამენ და მუსაიფობენ ხევსურეთის წარსულ ამბებზე, გადმოცემებზე, რჯულზე. ასე ატარებენ სოფელში დროს.

ჯვარიონნი დარბასში ქეიფობენ, შეიძლება მეზღვნეებიც მოუვიდნენ, ზოგს ავადმყოფი ჰყავს, ან ჰყავდა და მკითხავი ეტყვის საკლავის ან კურეტის დაკვლას. ის მოიყვანს საკლავს, დაბამს დარბასის კარზე, იქვე კოშკები დგას და მიუახლოვდება, დაიწერს პირჯვარს და „მოითხოვს მადლს" (მადლის მოთხოვნა ჰქვია, მისული კაცი რომ ჯვარში პირჯვარს იწერს და ევედრება ადგილობრივ სალოცავს). შემდეგ მივა და დარბასის კარიდან ეტყვის: „აშენდით, ჯვარიონნო, წალმამც წაგიოსთ დღე, დღეობაი". ჯვარიონნი უპასუხებენ: „დაშვენდი, მაგვიხვედ მშვიდობით, მშვიდობით შენ მასვლა". — „წყალობა ჯემწიფესა, წყალობა. ნალმ მაგეგებასთ ჯემწიფის დავლათი". „თქვენ იყოს მწყალობელი, თქვენის თავისა". გამოუტანენ და დაალევინებენ ლუდს. დალევის წინ დაილოცება ჩვეულებრივ: „გამარჯვება ჯემწიფესა. იმის წყალობა გქონდასთ ახიელთ",... და გააგრძელებს, როგორც ზემომოყვანილია თასის დალოცვა. ეტყვის, რატომ მოიყვანა საკლავი და რა მიზეზით. მიზეზი კი მრავალია. ერთხელ ერთი ჩვენებური კაცი გადაეკიდა დასტურს — შენ ჩემზე სიზმარი თუ რამე ნახეო. არაფერიო, — უპასუხა მან. მაგრამ ის კაცი რომ აღარ მოეშვა, მოატყუა: შენს მეორე ცოლს კალთაში ვაჟი ჰყავდა სიზმარში. მხოლოდ არხოტის ჯვარში ხარი უნდა დაკლაო. მესამე დღეს ხარი დაკლეს, მაგრამ ის კაცი ბოლოს მაინც უშვილოდ მოკვდა. დასტურმა თქვა — ვიცოდი, რომ მას მეორე ცოლი უყვარდა, ვაჟს მისგან მოელოდა და რომ არ მეშვებოდა, მეც ის ვუთხარი. რაც მას ენატრებოდაო. ასეთი სხვა მიზეზები ბევრი არის და რაიმე მიზეზის გამო იქნება მოყვანილი საკლავი, რომელსაც დასტური ჩვეულებრივ დაიჭერს და ხუცესი ხუცობს: „ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელი, მიქიელ მთავარო ანგელოზო. ამ სავსახურზე, პირის

საბანზე, შენა საკთავროდ, შენა გასამარჯოდ მიიხმარი. შენ მეხვეწურთად (სახელი) მამაშვილებისად, საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნელად მიეკმარი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს!“ ბოლოს კვლავ ხუცესი დაამწყალობნებს: „გწყალობდასთ მამაშვილებს, მეზღნედ მასულთ, მიქიელის დავლათი, საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ნუ შაგანანასთ ზღვნობა, ყმობა, მსახურობა, კლოვ უკეთესი გულით მაგკერძასთ“. ამასვე ეუბნებიან დასტურებიც და ყველანი ამ სიტყვებს ყვირიან ხმამაღლა — „თქვენ იყოს მწყალობელი, ჯვარიონთ გწყალობდასთ, დასტურსა, ჯელოსანსა, ხუცესს ენაპირ გიკურთხასთ, შაუცოდვრად, შაუწყინრად შაგინახნასთ“, — ეუბნება მეზღვნე.

ჯვართ პირდაპირ, მოშორებით, შეიძლება ვინმე ქალები იყვნენ მოსული ამ ოჯახიდან, დასტურ-ხელოსნები იქაც ხმამაღლა ამწყალობნებენ: „მანდილოსნებო, გწყალობდასთ მიქიელის დავლათი“ და მიდის ჩვეულებრივი დამწყალობნება. ბოლოს მამაკაცებს გაუმასპინძლდებიან დარბაზის კარში, ქალებს კი გაუტანენ საწდით ლუდს. იქ ლუდს დაალევინებს დასტური და ეტყვის: „ჯერ არ წახვიდათ, წყალობას გეტყვით“. დასტური მიმართავს დასტურ-ხელოსნებს: მანდილოსნები მიდიან, წყალობა უთხარითო. დასტურ-ხელოსნები გამოვლენ. ქალები რომ მათ დაინახავენ, ადგებიან, პირჯვარს დაიწერენ და წავლენ. დასტურ-ხელოსნები დაუძახებენ: „წყალობა წაიღით მიქიელისა, მანდილოსნებო, წყალობა! წაღმ გამაგყვასთ მიქიელის დავლათი“. ქალები დიდხანს პირხატისაკე, უკუღმა მიდიან პირჯვრის წერით და ბოლოს, როცა დასტურ-ხელოსნები გაჩუმდებიან, ისინიც მიბრუნდებიან და წავლენ. მეზღვნე მამაკაცი კი დაჯდება დარბაზის კარში და იქ დაალევინებენ ლუდს. ასეთი მეზღვნე შეიძლება ოცამდინ და მეტიც მოვიდეს. დასტურები ყველა საკლავს ატყავებენ, ტყავს მარილს დააყრიან და იქვე ქანდარაზე გადაჰკიდებენ. დარბაზში კი მთელ საკლავს ერთი ფეხით რკინის ჩანგალზე ჰკიდებენ.

გიორგობა დღე ღამდება ასეთი წესებით. მეორე დღეს დასტურები მოხარშავენ დიდ ქვაბში ხორცს, დაწყობენ გრძელ ფიცრებზე პურს, ხორცს და დაუძახებენ მეზღვნეებსა და მესარიგოეს. დასვამენ მწკრივზე და დაუდგამენ წინასწარ დამზადებულ ტაბლას წინ. დასტურები ფეხზე დადგებიან, აავსებენ თასებს, დადგამენ სუფრაზე და ხუცესი ეტყვის შენდობას მეზღვნეების მკვდრებისათვის. მისცემენ ხუცესს ერთს ლუდიან თასს ხელში და ხუცესი იტყვის: „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, სულიც შენ გებარებისა-დ კაციც შენ გეხვეწების. ხთისა-დ კვირაის სადიდებელისად, ხთისა-დ კვირაის დიდებით, ჩემის სიტყვს მაჯსენებთ, ხთის წესითა, მღდლის წესით, იერუსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, სააქაოს ნათქვამ

თუ საქეიფოს მიდიოდას, წესი მართებულ იყოს, ხულს შანდობა მიუდიოდას. ეს დავსებულები თასებიც, ეს გარიგებულ ტაბლაიც, მეზღვნეებო, ხულსამც თქვენს მკვდართას მაეკმარებინ". გადახრის ხუცესი თასს და ცოტა ლუდს ტაბლაზე დასხამს. „შაუნდას" — იტყვიან სხვებიც. ერთი აიღებს თასებს, დაურიგებს ყველას და ფეხზე ნადგომები იმ თასებს დალევენ. მერე მეზღვნეებს დასვამენ, დასტურები კი ფეხზე დგანან. ერთი დასტური იღებს ტაბლიდან პურს და იქვე ტაბლასთან ერთ-ერთს მისცემს, რომელიც ერთ პირზე პურს მოჰკიდებს ორივე ხელს, მეორე პირზე დასტური. დასწევენ და გატეხენ ამ სიტყვებით: „ღმერთო, გაუმარჯვი ეემწიფესა; ეემწიფეო, შენ სწყალობდი შენ მეზღვნეებს, ჯვარიონთ — დასტურსა, ეელოსანს, დაადეგ წალმ, შენი წყალობით შაინახენი". გატეხენ პურს, მოიტეხენ თავისთვის ცოტას და დანარჩენს იქვე დადებენ. დასტური ყველა მეზღვნეს ასე გაუმეორებს და გაუტეხს პურს (სხვათა შორის ხალხში დარჩენილია შეხედულება, რომ პურის გატეხის დროს ვის მხარეზეც დიდი პური დარჩება, დედიძმანი გაუმრავლდებიანო; ხევსურულად დედულნი). მერე შეუდგებიან ჭამას; ხორცი აწყვია ასო-ასოდ დაჭრილი, ციცად მოხარშული, ადგილ-ადგილ ტაბლაზე მარილსაც დაგროვებენ, რადგან ხორცი უმარილოდ იხარშება. წვენი არ იციან. პურის ჭამის დროს დასტურები ფეხზე დგანან, ამოიღებენ იქვე დადგმული ლუდიანი საწდიდან ლუდს და ყველას დაუდგამენ ტაბლაზე წინ. ამას ჰქვიან „კარახანა". დასტურნი პურის ჭამის დროს ცოტახანს ასე ადროვებენ. მერე როცა ვინმე უკანასკნელ ლუკმას დაიკერს ხელში და იტყვის: „ღმერთო, გაუმარჯვი ეემწიფესა, ეემწიფეო, შენ სწყალობდი მეზღვნეებს, ჯვარიონთა, დასტურსა, ეელოსანს, დაადეგ წალმ, შენი წყალობით შაინახენი", დასტური ეტყვის: „აიღი კარახანა. წყალ არ მაგწყურდა?". მეზღვნეც აიღებს და ილოცება: „გამარჯვება ეემწიფესა, იმის წყალობა გქონდასთ ახიელელთ, მეზღვნეებს. დასტურსა. ეელოსანს, ჯვარის გამძღოთ, საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ბევრ გიორგობაი, სთველ-გაზაფხული მშვიდობისა მაგგვარასთ, კარგად ყოფისა. შაუნდნას, ვისადაც დაილოც კი". ასევე იქცევიან სხვებიც, ვინც პურის ჭამას თავი დაანება. ამ დროს ერთი დასტური ფანდურს უკრავს ფეხზე მდგომი და სხვა დასტურებიც გვერდზე უდგანან. პირველად ერთი იმღერებს ძველ რამე საგვირო სიმღერას. სხვებიც ამასვე გაიმეორებენ და ხმამაღლა ყველანი ერთ ხმაზე ყვირიან:

„თქვენ ჩვენად რამ ჩამაგყარნათ, არწივნო, ქუშნო მთისანო,
სასტუმროდ საყვარელნი ხართ, მასპინძლად შუქნო მზისანო".

„სტუმართად მასპინძლობისა დღეს ჯერი ჯამარისია,
უკეთ-უკეთე სტუმარი, ომალოს თამარისია".

ახლა მეზღვნეებიც უპასუხებენ თავის მხრიდან:

„მე აქა მასვლა არა ვთქვი, მაძოვა ამ ბალახისა,
აეხლა წასვლა არ მწადის, გაწირეა ამ ქალაქისა“

და სხვა.

ბოლოს ეს ამბავიც მოთავდება და აუმატებენ სუფრას (ასე ეტყვიან — „სუფრას აუმატეთ“). სუფრას რომ აიღებენ, დასტურები ყველას დააძალებენ ლუდს და როცა სმაც მოთავდება, ადგებიან მეზღვნეები, მივლენ კოშკებთან ახლო, პირჯვარს დაიწერენ და იტყვიან: „დიდება ძალსა შენსა, დიდო მთავარო ანგელოზო, ნურაით შამისაწყინდები, ნურაის ინაბარს ჩამიდებ, დალოცვილო, მეწაღმართე ანგელოზი გამამაყოლი, რასაც შაგაწყენ, ზღვნითა, სანთლით მაკდი, დალოცვილო“. ამ სიტყვების შემდეგ მობრუნდებიან იქვე მდგომ ჯვარიონთაკენ და ეტყვიან: „ჯვარ გეწერასთ ჯვარსაც, კაცსაც, ჯვარიონთაც“. „ჯვარის წყალობა გქონდასთ, წყალობა წაიღეთ მთავარანგელოზისა, წაღმ გამაგყვასთ მთავარანგელოზის დავლათი“ — იქნება ჯვარიონთ პასუხი. მეზღვნეები გამოვლენ დარბასის კარიდან (დარბასის კარი არის დარბასის წინ პატარა შემოღობილი ეზოს მსგავსი. დარბასიდან ბანი არის წამოგრძელებული, რომლითაც დარბასის კარი ნახევრად წამოფარებულია), ჯვარიონნი გააცილებენ და კიდევ ეტყვიან: „ჟელ შაგიმართასთ ღმერთმ, წყალობა წაიღით მთავარანგელოზისა“, მეზღვნეებიც უპასუხებენ: „ჯვარ გეწერასთ, თქვენ იყოს მწყალობელი“. ეს რომ მოთავდება, ახლა საჭიროა „აშლის დაშლა“. „აშალი“ არის ძალიან თხელი პატარა პურები. თუ რომელიმე ბავშვს მუწუკები აქვს, ან სურდო შეხვდა, ან ცოტათი ავად გახდა, ან სხვა ოჯახური წვრილმანი საქმეები რამე წაუხდათ, „დობილთ“ დააბრალებენ. დობილნი ვითომ ყველა სალოცავებს ჰყავს. მიქიელს უფრო მძლავრი დობილები ჰყვანან, რომელთაც მეტი ვნება შეუძლიათ. მიქიელის დობილთ განსაკუთრებული სახელი ჰქვიათ — „მიქიელის ლაშქარნი“. მიქიელის ლაშქარში, მკითხავების თქმით და ძველი ხალხის რწმენით, არიან წვრილი ბავშვები ძალიან მრავალნი. როცა გამოვლენ, ერთი მინდორი სულ უჭირავთ. ისინი გამოვლენ მზის ამოსვლისა და მზის ჩასვლის დროს. ამ დროს, მე მახსოვს, იქ ბავშვებს არ გაგვიშვებდნენ: „მზის წვერნია“ (ასე უწოდებენ მზის ამოსვლის და ჩასვლის დროს), ლაშქარნი იქნებიან გამოსულნი და იქ გავლა არ შეიძლებაო, ვინც გაივლიდა, თუ ის ავად გახდებოდა, ან მუწუკებს გამოაყრიდა, დააბრალებდნენ დობილთ: აგერ „დობილთ გამოთელეს“ და ავად გახდა, ან მუწუკი გადმოაყარაო. დობილთ დაუშლიან „აშალს“ და თუ ძალიან გაჯავრებულნია, მაშინ თიკანს დაუკლავენ, მეტი მათ არაფერი ეკუთვნით. ამ.პატარა შესაწირავზე ისინიც მოიბრუნებენ გულს და მოარჩენენ ავადმყოფს.

სწორედ ასეთი ნამკითხავებისათვის ყველა ოჯახი გამოაცხობს აშალს. აშალს თვლიან ხუთმეტობით და ამბობენ. რომ აშალი „სამხუთმეტი უნდაო“, ე. ი. სამჯერ ხუთმეტი, — ორმოცდა ხუთი და ერთიც ყველის ან ხორცის გულიანი პატარა ქადა, რომელსაც „საწინაო“ ეწოდება. როგორც ვთქვით, აშალი ძალიან თხელი და პატარა ზომის პურებია. ამათ მიიტანენ ჯვარში და ერთ რამე ჭურჭელში აგროვებენ. ბოლოს საღამო ჟამზე, ან დილას, როცა „ჭზის წვერნია“, დასტურები ასწევენ ამ აშალს, გაიტანენ იქ, სადაც საამისო ადგილი ცალკე არის მიჩენილი, და ხუცესი მოახსენებს შემდეგნაირად (აშალს ხუცობა არ სჭირდება): „ღმერთმა ადიდას თქვენ ძალი, თქვენ სახელ-სამართალი, მიქიელის ლაშქარნო, ხთისაგან გამაშობილნო, ხთისაგან წყალობა ნაქნარნო. თქვენად სამთავროდ, თქვენად გასამარჯოდ მაიკმარით ეს სათამაშო (აშალს ასე უწოდებენ მკითხავის ენით), თქვენ მეხვეწურთად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიკმარით. თქვენდ სათამაშო არ დაუკლავისა-დ თქვენს წყალობას ნუ დააკლებთ, შანაცოდვარი, შანაწყინარი შაუნდევით, დალოცვილნო, რასაც შაგაწყენენთა, შაგცოდვებენთ პირის ქარითა, ფეჯის ნალითა, იხვივნიდით თქვენ მეხვეწურნი, დალოცვილნო, იხვეწნიდით, მე თქვენ შამამიხვეწებიანა-დ თქვენ თქვენს გამჩენს მორიგეს ღმერთს შაახვეწენით. შველდითა, სწყალობდით, სცევდითა, ხფარევდით თქვენთ მეხვეწურთ. გამარჯვება თქვენდა, თქვენის გამჩენის ხთისად“. დაწერენ ყველანი პირჯვარს და იტყვიან: „სწყალობდას მეხვეწურებს მიქიელის ლაშქარნი, საწალმართოდ მაუარას“.

სანამ ხუცესი მოხსენებას შეუდგება, მანამდინვე ერთი დასტური ხმამაღლა დაიძახებს: „ყმაწვილებო, აშალი, აშალი!“. სოფელში ამ ხმას ბავშვები ადვილად გაიგონებენ, რადგან სიხარულით ელოდებიან და ფამორბიან აქით, სადაც „აშალი უნდა დაიშალოს“ (ასე უწოდებენ). მოიყრიან თავს, ხუცესი ისევ დარბასში წავა და დასტურები აარჩევენ „საწინაოებს“ (საწინაო იმიტომ ჰქვიან მას, რომ აშლის დაშლის დროს პირველად მათ გადაუყრიან ბავშვებს). ზოგი ბავშვები შეამხანაგდებიან და ამ შეამხანაგებას „ბედი“ ჰქვია. ერთიმეორეს ეტყვიან: „ბედნი ვიყვნათო“, ე. ი. ამხანაგნი, და აშალს რასაც მოკრეფენ („დაიტაცებენ“), ბოლოს გაიყოფენ.

დასტურები პირველად საწინაოებს თითოობით შორს გადაუგდებენ ბავშვებს. ბავშვებში ვინც მარდია, მოასწრებს და აიტაცებს. საწინაოების გადაყრა რომ მოთავდება, მთელს აშალს გადაუბნევენ. აქაც ბავშვები ეცემიან და იტაცებენ, რასაც ვინ მოასწრებს. აშლის და საწინაოების გადაყრის დროს დასტურებმა ხუმრობა იციან, გაუქნევენ ხელს ბავშვებს, ვითომც გადაუგდებენ რამეს და როლში შესული და აშლის ტაცებით გატაცებული ბავშვები ხელის გაქნევაზედაც ერთი-

მეორეს აწყდებიან. აშლის დაშლა მოთავდება. ვინც თავისთვის დაიტაცა აშალი, ხომ მიაქვს მარტოს და თუ ვინმე ვისიმე „ბედი“ იყო, ისინი იყოფენ. შეიძლება სამ-ოთხნიც იყვნენ „ბედნი“ და ორნიც.

ეს ამბავიც რომ მოთავდება, ახლა დასტურებს უნდა გამოლოცვა (ასე ჰქვიან ხატიდან გამოსვლას და შინ წასვლას). გამოლოცვისათვის დიასახლისი გამოაცხობს ერთ დიდ ხავიწიან ქადას და ერთ საკვირაოს. გააკეთებენ სანთელს და სამ ღერს ერთიმეორეზე დაგრეხენ. დადგაენ „გამასამალოზე“ (ასე უწოდებენ ამ ქადას) სახუცო კოჭობს, ჩაასხამენ ლუდს და ხუცესი შეუდგება ხუცობას (გამასამალოზე მთავარანგელოზს აღარ ახსენებენ, ახსენებენ მედარბასე ანგელოზთ. ხალხის რწმენით დარბასს ჰყავს თავისი საკუთარი ანგელოზები, რომლებიც ყარაულობენ მას და გამასამალოთი უნდათ ეს ანგელოზები მოიმადლიერონ). ხუცესი იწყებს შემდეგ ხუცობას: „ღმერთმა ადიდას თქვენ ძალი, თქვენ სახელი, მედარბასენო ანგელოზნო, თქვენად სამთავროდ, თქვენად გასამარჯოდ მაიჯმარით ეს სეფე-სანთელი, სადიდებელი“ და ა. შ. ამას რომ დაამთავრებს (კურთხევა არ უნდა), ჯერ ხელოსანი იტყვის, დასტურებიც ჰყვებიან და ამწყალობნებენ: „გწყალობდასთ ჯვარიონთ მედრაბასეთ ანგელოზთ დავლათი, მშვიდობითა გამყოფნასთ, ნურაით შაგისაწყინდასთ, ბეწალმართე ანგელოზი დაგაყოლასთ, დასტურთ დასტურობა ნუ შაგანანასთ, ჭელოსან დიდხან გაგიყოლასთ, დიასახლისს სწყალობდას, ნუ შაანანას დიასახლისობა, კეთილის კაზმვაი“.

ამის შემდეგ ხუცესს მისცემენ სახუცო კოჭობს. ისაც პატარა დიდებას კიდევ იტყვის: „ღმერთმა ადიდას ამ ჭიქა-ბარძიმზე, სეფე-სანთელზე თქვენ ძალი, თქვენ სახელი, მედარბასენო ანგელოზნო, თქვენა სამთავროდ, თქვენად გასამარჯოდ მაიჯმარეთ ეს სეფე-სანთელი, სადიდებელი, ხთის კარზე შაიტანეთ, თქვენიმც ძალი, სახელ დიდებისა-დ ჯსენდების“. ამ სიტყვებით ხუცესი თასს მაღლა ასწევს და კიდევ იტყვის: „გწყალობდასთ დასტურთ, საწალმართოდ შაგიარასთ. ჯვართ დიდებაი, მეხვეწურთ წყალობაი“ და დალევს ლუდს. თასს ჩამოართმევენ და თავის ადგილზე მიაბრძანებენ, თუ კიდევ რამეა, დალევენ და შეუდგებიან ნარჩენი ქადების, ხორცისა და ტყავების განაწილებას („ნახვრის გასწორებას“). ხმიად-საკვირაო საკუთრად ხუცესს რჩება, ხავიწიანი ქადის ნაწვრეთები, თუ წვერი არა აქვს მოტეხილი და მთელი არის, აქაც ხუცესს წილი აქვს; სამი დასტური და ხუცესი ოთხად იყოფენ. დამტვრეული ქადები, პური და მოხარშული ხორცი სამ დასტურს გაუნაწილდება, მხოლოდ რაც მოსახარში ხორცი დარჩა, ამას გაიყოფენ ოთხად დასტურ-ხელოსნები, აგრეთვე ტყავებსაც ოთხად ყოფენ.

დიასახლისს ყოველ ღამისთევა — ქამისწირვაზე ეძლევა დიდი ქადის მეოთხედი. მას მიაქვს ამისი ნარჩენი. თუ საკლავები ბევრი დარჩა, ერთ კარგ ცხვარსაც მისცემენ გატყავებულს.

განაწილების დროს არ შეიძლება თავისთვის რამე მოინდომონ და რაც ერგება, არც იმაზე შეიძლება უარის თქმა — რადგან ორივე შეთხეკვაზე გაწყრება ჯვარი.

ასე მოთავდება გიორგობა. ჯერ დიასახლისი წავა, გაჰყვება ერთი დასტური და წაუღებს ბარგს. წასვლის დროს ეტყვიან: „წყალობა წაიღი მთავარანგელოზისა, წაღმ გამაგყვას მთავარანგელოზის დავლათი". „თქვენ იყოს მწყალობელი, ჯვარ გეწერასთ" — ეტყვის დიასახლისი და წავა. მერე დასტურები მადლს მოსთხოვენ (ასე ეწოდება პირჯვარს რო იწერენ და ეხვეწებიან სალოცავს) ჯვარს, ერთმანეთს გამოემშვიდობებიან და წავლენ.

დამთავრდება გიორგობა.

ქრისტე (შობა)

გიორგობის შემდეგ მოდის დღესასწაული „შობა", რომელსაც ხევსურულად ჰქვიან „ქრისტე", მაგრამ მანამ ქრისტე მოვიდოდეს, გადაიხდიან „მარხოშამაეს". „მარხოშამაე წუხრას" ოჯახებში ყველა ამზადებს ვახშამს. თუ ვისმე არაყი აქვს, ერთიმეორესაც ეპატიჟებიან. ვახშამზე იციან ხინკალი, ან კეცეული, შეიძლება ფაფაც. დიასახლისი დაამზადებს გულს. გაურევს ერთიმეორეში მაკრატლით ჩაჭრილს ხორცს, კომბოსტოს, შიბუს (ღანძილის მსგავსი ბალახის მწნილია), მოხარშულ კარტოფილს და ყველს. ამის გულს ერთიმეორეში არევს და გააკეთებს ხაჭაპურებს, გამოაცხობს ზედგანზე და ნაცარში, როგორც ზემოთ ნათქვამია სასანთლეების გამოცხობაზე. მერე გაბანს წყალში, გაპოხს გაბანილ გვერდზე და დააწყობს ერთიმეორეზე. თუ აქვს, დადგამს თხილიან ჯამს ან სხვა რამესაც. ადგება დიასახლისი, ხანდახან მამაკაციც და მიცვალებულისათვის „დასდებს სახელს". ამ შანდობის თქმას რომ მოათავებს, დადგამენ ტაბლას, დასჭრიან კეცეულებს, ჩადგამენ ჯამებით ერბოს და დაუწყებენ ჭამას.

ეს ამბავი იწყება შობის ერთი კვირის წინ, ეს მარხვა ხევსურულად შვიდ დღეს გრძელდება. მერვე დღეს არის „ქრისტე"".

დღესასწაული რომ მოახლოვდება, ჩვეულებრივ იხარშება „საქრისტო ქვაბები" (ლუდის მოხარშვას ქვაბის დუღებას ეძახიან). მარხვა რომ შეიკვრის. დასტურები ისევ მივლენ ჯვარში და როგორც ზემოთ აღწერილია, ადუღებენ ლუდს. ლუდს რომ აადუღებენ და ხუცესი საფუებად „შეხყრის". იმის შემდეგ იგი ჯვარში ცხოვრობს. დასტურებიც ემზადებიან საწელწდო ქვაბების დასაყრელად. გაივლის მარხვის ერთი

კვირა და დასტურ-ხელოსნები კვლავ ყველანი იყრიან თავს ჯვარში. დღეობა ჩვეულებრივი ეკლესიის რელიგიურ დღესასწაულთან იყო დაკავშირებული. წინათ იცოდნენ, ამა თუ იმ დღეობისას ცნობილი ვარსკვლავები სად რომელი უნდა ყოფილიყო დაღამების ან გათენების დროს. შერე კი ეკლესიები რომ შემოსულა, დაუკავშირებიათ იმ დღესასწაულთან.

ოცდათხ სალამოს თავს მოიყრიან დასტურ-ხელოსნები, (ქრისტე სოფელში სამ-ოთხ ადგილზე იცვან). ერთი დასტური გაიგზავნება დიასახლისის მოსაყვანად. დიასახლისს ჩვეულებრივ მომზადებული აქვს მასანთოები; გუდაში ჩააწყობს ბოჭოლებს (სამკუთხედ პატარა პურებს), სანთლის მაგიერ მუშს.

ჯერ „მწევრის საფლავის“ პირდაპირ გალავანთან ანთებს მუშს და ეველდრება მწევართ — რასაც აწყენს, იმის პატიებას. შერე ცოტათი გაივლიან და „ლაშქართ“ პირდაპირ ასრულებს ასეთივე წესს. მერე ჯვართაკე გალავანზე გადასასვლელ ადგილას, მერე ქვევრთან, მერე სადიასახლისოს კარებთან, შერე სალუდე ქვაბთან და ბოლოს ძოანთებს იქ, სადაც ვარცლი უდგას. ღმერთს ეხვეწება შველას, დახმარებას, რასაც აწყენინებს, ყველაფრის პატიებას. ბოლოს დაჯდება სადიასახლისოში, ცეცხლი იქ დასტურის მიერ არის დანთებული და დიასახლისი შეუდგება ხავიწის დუღებას, ხავიწი ცოტათი გაიყინება და „ჩანახით“ ასწყავს. ჯერ გააკეთებს ღამისსამთელოს, მერე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხმიად-საკვირაოებს. ხმიადი უნდა ცხრა, საკვირაო ოთხი, ღამისსამთელო ერთი დიდი ქადა. მანამდინ ღამითევას შეუდგებიან, ჯვარიონნი სხვა წვრილმან წესებს ასრულებენ.

ხუცესის გარდა აქ კიდევ არის ერთი ხელოსანი, რომელსაც აბარია დროშა. დროშა ზოგიერთ დღეობაში გარეთ უნდა გამოვიდეს და ზოგში არა. სწორედ ამ დღეობაში (ქრისტე) უნდა გამოაბრძანონ გარეთ, მხოლოდ მის გამობრძანებას უნდა ერთი სანათლავი, რომ ამ საკლავის სისხლით გაინათლოს ხელოსანი, რომელიც ამის მერე „გაწმიდდება“ და გახდება ღირსი, ხელი შეეახოს დროშას და გამოაბრძანოს. (დროშა არის შემდგარი სამი სუფთად გათლილი, დაახლოებით მეტრნახევარიანი ჯოხებისაგან. ორ ჯოხს თითო ნაპირზე ჩამოცმული აქვს ძველებური შუბები. ერთს კი ვარცხლის ჯვარი და ზედ შებმულია პატარა ზარი. დროშის ტარზე აგრეთვე შებმულია ხალხისაგან შეწირული ჭრელი და თეთრი „ბაღდადები“ და ხელსახოცები. დროშა ძალიან წმინდად მიაჩნიათ და გარდა ხელოსნისა, რომელსაც ეს დავალებული აქვს. ხელს ვერავინ ახლებს. ისიც მაშინ მოჰკიდებს ხელს, როცა საკლავს დაკლავს, მის სისხლს შუბლზე და გულზე წაისვამს და ამითი განიწმინდება).

დროშა უნდა გამოიყვანოს ხელოსანმა, მაგრამ ამ დღეობაში არის სულ განსაკუთრებული ამბავი და წესი. ერთს კაცს, გვარად ნაროზაულს, ძველ დროს დევი გაჰქცევია, რომელსაც ის ხმლით დასდევნებია, დევი ჯვარის გალავანში გადამხტარა, რადგან უფიქრია ,ის იქ არ გადაჰყებოდა როგორც ჯვარში შეხიზნულს (ამას ხევსურული წესი სასტიკად კრძალავს), მაგრამ გააფთრებულ კაცს ეს აღარ მოჰგონებია, გადაჰყოლია თან და ჯვარში მოუკლავს. ამაზე, ხევსურების რწმენით, ჯვარი გაწყრა და იმ კაცის საქმე ცუდად იყო, თუ მკითხავების რჩევით „ძენგლს" არ დაიდებდა. ძენგლის დადება ჰქვიან იმას, რომ როცა კაცი რაზე დიდ დანაშაულს ჩაიდენდა, მაშინ ერთ-ერთ დღეობაში იკისრებდა ან ღამისთევას ყოველწლიურად, ან საკლავის დაკვლას ყოველწლიურადვე დანიშნულ დროს და დღეს, ან „დროშათ გამოთვლას" წელიწადში ერთხელ (დროშათ განათვლა ჰქვია საკლავს რომ დაკლავენ და მის სისხლს „ეწევენ" დროშას) და სხვა. წინათ არ ყოფილა წესად დროშათ გამოყვანა ქრისტეს და ამ ნაროზაულს დაუდვია თავზე ძენგლი — ქრისტეს ღამისთევისა, ყამის წირვისა და დროშათ გამოყვანის ხარჯის გაწევისა. ე. ი. ამ დღეობაში მისი ჩამომავლობა განათლავს ხელოსანს და მათ ხარჯზე გამოდიან დროშანი. (ძენგლი გრძელდება შთამომავლობაზე), ნაროზაულთ გვარში ცალკე გვარად იყვნენ თამარიზძენი, რომელნიც ქრისტეს წინა დღეს მოიყვანდნენ საკლავს. გამოვიდოდნენ ხუცესი, ხელოსანი და დასტურებიც. თამარიზძეთ კაცი ვინც იქნებოდა, ხუცესს ეტყოდა: „აშენდით, ჯვარიონნო, წალმამც წაგივათ დღეი დღეობაი". „დაშვენდი, მაგვიხვე მშვიდობით, მშიდობით შენ მაესლა, წყალობა მიქიელისა, წალმ მაგეგებას მიქიელის დავლათი, ნუ შაგანანას ძენგლისა, დანადების შასრულება"[4], — ეტყვიან დასტურ-ხელოსნები. ჯერ ცოტაპან დასხდებიან, ისაუბრებენ და მერე ხუცესი, ხელოსანი და ერთი დასტური მივლენ სასაკლავესთან. დასტურს ჩვეულებრივ ცხვარი უჭირავს ხელში, ხუცესს — დანა და ხელოსანი ისე დგას იმათთან.

ხუცესი დაიწყალობნებს ძენგლის შემსრულებელსაც და ყველა იქ მყოფთაც. ყველანი ერთხმად აქოთქოთდებიან: „გწყალობდასთ მიქიელის დავლათი ძენგლის შამსრულებელს, საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ნუ შაგანანასთ ძენგლის დანადების შასრულება, კლოვ უკეთი გულით მაგკერძასთ, ხალიზ მაგცასთ, ბალინჯ მაგარიდასთ".

ამის შემდეგ ხუცესი შეუდგება ხუცობას. დასტური ჩვეულებრივ ფეხებს უჭერს საკლავს, ერთ მუხლზე თითონ ზის და მეორე მუხლზე საკლავს იწვენს მარცხენა გვერდით პირაღმოსავლეთისაკენ. ხუცესი ყელში ჩაუგდებს დანას და გამოსჭრის შიგნიდან გარეთ (კურთხევა აქ საჭირო არ არის; არ იციან).

ყელგამოჭრილ საკლავს დასტური დადებს სასაკლავე სიპზე, ხუცესი ჩოხის კალთით გასწმენდს სისხლიან დანას, ჩააგებს ქარქაშში და იტყვის: „გწყალობდასთ, თამარიზძენო, მიქიელის დაკლათი. საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, კლოვ უკეთი გულით მაგკერძასთ, ნუ შაგანანასთ მსახურებაი“.

აქ მინდა მკითხველს გავაცნო, ხალხის გადმოცემით და რწმენით, თამარიზძეთ კაცმა როგორ მოკლა დევი და რაზე დაედო ძენგლი.

დევები წინათ ბევრი ყოფილა და უწუხებია ხალხი. თურმე ღამით თუ წავიდოდა სადმე კაცი, დახვდებოდნენ და ეჭიდებოდნენ. დევებს ღვთიდან ჰქონდათ ნაბრძანები, რომ რა ძალის კაციც შეხვდებოდათ, მეტ ძალას ვერ მოიხმარდნენ და იმავე ძალით შეებმებოდნენ. ახიელში არის სოფლის გვერდზე ერთი ციწრო და კლდიანი ხეობა ნეთხიჩო. ძველი ხალხის რწმენით, ეს ხეობა დევების საცხოვრებელი იყო. იქ ღამე სიარული არ შეიძლებოდა და თუ ვინმე წასვლას გაბედავდა, ვაი იმას, აუცილებლივ მოეჩვენებოდა დევი; ის კაცს ან შეებმოდა, ან შორიდან შეაშინებდა და გააგიჟებდა. ს. ახიელში იყო იმ დროს ერთი კაცი ფუნჩა, რომელსაც თოფი ჰქონდა. თურმე დევებს მარტო ფუნჩასი და თოფისა ეშინოდათ. ხეობიდან რომ წავიდოდნენ, გაივლიდნენ სოფ. ახიელს და ჩავიდოდნენ არხოტის ჯვარში. იქ დალევდნენ რაც ლუდი იყო სულ და წავიდოდნენ ისევ ნეთხიჩოს. გამოვლისას ფუნჩას სახლთან მივიდოდნენ და დაუძახებდნენ: „ფუნჩ შინ ასა?“ შინ არისო, თუ დაუძახებდნენ, დევები იკითხავდნენ: „კუ შინ აქვა?“ (კუ — თოფი). აქვსო, თუ ეტყოდნენ, დევები უკანვე გაბრუნდებოდნენ. თუ არა, ჩავიდოდნენ და დასცლიდნენ ლუდიან კოდებს (არხოტის ჯვარს ხვთიდან არ ჰქონდა მოლოცვილი დევებთან ბრძოლა). ამ დროს არც გორული ჯვარი იყო მოყვანილი, (გორულ ჯვარსაც უწოდებენ. ჯაჭველსაც და წმიდა გიორგისაც. მას აქვს დევკერპთან ბრძოლა ხვთიდან მოლოცვილი). ხალხი რომ შეწუხდა. წავიდნენ ქავთარნი და ოჩიაურნი და საიდანღაც მოიყვანეს ჯაჭველი დევებთან საბრძოლველად. ჯაჭველი დაარსდა ერთ ხმელ გორზე და დაერქვა „ჯაჭველი ხმელის გორისა“. მან დაუწყო დევებს ბრძოლა და შეაშინა ისინი. მაგრამ ჩუმად ერთი დევი მაინც იპარებოდა და სვამდა ლუდს. ერთხელ ღამით თამარიზძეთ ვიღაც პაპის-პაპას მოესმა დევის ხმა. მაშინ ფუნჩის მეტს თოფი არავის ჰქონდა. თამარიზძეთ კაცი გამოვარდა ხმლით და დევს გზა შეუკრა. დევმა მხარი აუქცია და სხვა გზით წავიდა. ის კაცი დაედევნა, დევი გაიქცა და მაინც ლუდს მივარდა დასალევად. კაცი შევარდა ჯვარში და დაინახა, რომ დევს თავი კოდში ჰქონდა ჩაყოფილი. ეს კაცი ჯაჭველის ყმა იყო და ძალი იმისაგან ჰქონდა. დაჰკრა ხმალი კისერში, თავი გააგდებინა და დევის სისხლით აივსო კოდი. ჯვარი გაჯავრდა, რადგან ჯერ იქ შეხიზნული

დევი მოკლა, მერე დევის სისხლით მოსვარა დარბასი. ამიტომ ჯვარის გულის მოსაგებად ამ კაცმა საშვილ-შვილიშვილოდ დაიდო ხსენებული ძენგლი.

ხელოსანი, წესია, განათვლამდე დღეში საჯერ იბანს ტანს, თუ მეტისმეტი სიცივე არ არის, მდინარეზე, თუ არა სახლში, მაგრამ სახლში ტანის დაბანა მაინც მიღებული არ არის. სანათლავს რომ პირველად დანას გაუყრის ყელში და პირველი სისხლი გამოღვარა, ვინც ინათლება, ის ორივე ხელს მიუშვერს და სისხლით შეიღებავს ხელებს (ამიტომ ჰქვიან „მუჭათ სანთელი"). მერე ხუცესი შუბლზე და გულზე სისხლში ამოვლებულ თითს წაუსვამს და ჯვრებს გაუკეთებს. ამ წესების შესრულების შემდეგ ხელოსანი, ხუცეს-დასტურები და ძენგლის შემსრულებელი ყველანი შევლენ დარბასში. ძენგლის შემსრულებელს მიტანილი აქვს არაყი და ყველას დაალევინებს. ხელოსანი აიღებს დროშის ტარებს, დააწყობს ერთ ადგილას, მიიტანს დროშის მოწყობილობით სავსე „ტაგრუცს" (ხის ყუთი), დაიდგამს და შეუდგება დროშათ მომზადებას, ანუ დროშათ აბმას. პირველად იღებს ერთ დროშის ტარს, იწერს პირჯვარს და იტყვის ჩუმად: „ნუ რაით შამიცოდვებთ, დალოცვილნო". ხელოსანი დროშათ აბმამდინ არავის დაელაპარაკება და არც ხმას იღებს. პირველად ერთ წვერში მოახვევს დროშის ტარზე ერთ ხელსახოცის წვერს და ჩამოაცვამს ზედ შუბს, მერე დროშის ტარს ორ-სამ ადგილას კიდევ შეაბამს შემკობილად ჭრელ ხელსახოცებს ან აბრეშუმის ბაღდადებს და იქვე დანიშნულ ადგილზე მიაყუდებს. მეორესაც ასე გამოაწყობს, მესამეს ვერცხლის ჯვარს გაუკეთებს და ზედ ზარს შეაბამს. სამივეს რომ გაამზადებს, ტაგრუცს დაკეტავს და თავის ადგილზე დადგამს. ჯვარივნები გაიგებენ, რომ დროშა მზად არის და ყველანი გავლენ „დარბასის კარში". მედროშავე (ხელოსანი) იღებს დროშას ორივე ხელით და დააწყებინებს ზარს წკარუნს. შემოუვლის ასე დარბასის ყველა კუთხეს და მერე გამოვა გარეთ, „დარბასის კარსაც" შემოუვლის ზარის წკარუნით და მიიტანს თავის დანიშნულ ადგილას, სასაკლაოსთან ახლო. აქ დადგება პირაღმოსავლეთისაკენ. დაიდგამს სამივე დროშის ტარს ძარჯვენა ფეხზე და აწკარუნებს ზარს. ამ დროს ხუცესს უპირავს „მეძენგლის" ე. ი. ძენგლის შემსრულებლისაგან მოტანილი არაყით სავსე კოჭობი და იწყებს ხუცობას: „ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-სამართალი, მიქიელის დროშათ მცაო, მთავარო ანგელოზო, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი შენ მეძენგლეთად თამარიზძეთად, მედროშაის ივანესად, საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიკმარი. ხთის კარზე მაიტანი, ღირსეულად იწირი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს"... და სხვა ჩვეულებრივი ხუცობა. ბოლოს იტყვის: „ჯვართ დიდებაი, მეხვეწურთ წყალო-

ბაი“ და დალევს ცოტა არაყს. მერე დასტურებსაც მისცემს, ხელოსანსაც და ყველანი დაილოცებიან ისევე, როგორც ხუცესი. თასი რომ გამოიცლება, ჩამოართმევენ, თავის ადგილზე წაიღებენ, და მედროშეც სამივე დროშას ერთად მიაყუდებს დანიშნულ ადგილას.

აქვე საჭიროა ვთქვათ, თუ საიდან არის დროშის მოწყობილობა შეძენილი; ყოველივე ხალხისაგან შეწირულია. თუ წავა ვინმე სადმე ქალაქში, იყიდის ან გაჰყიდის რამეს და ისარგებლებს, მაშინ ჯვარსაც წილს უდებს. იყიდის ბაღდადს ან ხელსახოცს. შეიძლება ავად იყოს და მკითხავმაც ურჩიოს: ერთი ბაღდადით დროშის ტარი დაამშვენეო. შეიძლება თვითონაც მოისურვოს — მოდი კარგ რამეს შევწირავ და იქნება კარგი რამე მომენიჭოსო. შეიძლება ახალმა მოყვანილმა რძალმა შესწიროს თავის სადღეგრძელოდ.

დროშას რომ თავის ადგილზე მიაყუდებენ, მერე შეუდგებიან ღამისთევას. დაჟტური ჩვეულებრივ შემოიტანს ღამისამთელს (აქ გამომჩრჩა: დროშა რჩება გარეთ ექვს იანვრამდინ და ამ ხნის განმავლობაში სოფლის ქალები დროშის პატივსაცემად ხელსაქმეს არ აკეთებენ), დააწყობს სპილენძის სამფეხა ტაბლაზე ჩვეულებრივ, ხუცესი გახსნის ლუდს (სხვათა შორის ქრისტეს არხოტის ჯვარში ლუდი ბევრი არა აქვთ, მაგრამ სხვადასხვა ჯვარებიდან სცემენ პატივს და უგზავნიან) და ავსებენ ლუდით სამს თასს: ერთი სახუცო კოჭობი იქნება და ორი სხვა ვერცხლის თასი, დააკრავენ სამ — სამს ერთმანეთზე დგრეხილ სანთელს, მოუკიდებენ ცეცხლს, ყველანი ქუდმოხდილნი ფეხზე დადგებიან და ხუცესი ხუცობს... და შემდეგ როგორც გიორგობის ღამისთევაზე არის თქმული, იგივე წესი სრულდება უცვლელად. ხუცობის დამთავრების შემდეგ არის მეორე ღამისსამთელო მეძენგლისა. ხუცესი მასაც ასეთივე წესით ხუცობს: „დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა“ და სხვა. მხოლოდ აქ ჩაურთავს „მეხვეწურისად, მეძენგლისად, მაგის თავისად, ჯალაფობისად“, ხუცობები რომ მოთავდება, ხუცესი აიღებს ხელში თასს და კიდევ გაადიდებს: „სწყალობდას მეხვეწურთაცა-დ მაყურებელსაც“. „ჯვართ დიდებაი, მეხვეწურთ წყალობა“ — იტყვიან ყველანი და შეუდგებიან სმას. ამ დროს ვისაც თასები არ უჭირავს, იღებენ ფანდურს ხელში (ჭირის პატრონი აქ ადრე იქნება მოსული და ფანდური ექნება გატეხილი. ჭირის პატრონი დღეობის წინა დღეს სამარეებელსაც მიიტანს და მის მიცვალებულზე ნოშვებულ სამგლოვიარო თმა-წვერს მოაპარსვინებს ყველას, რადგან არ შეიძლება წვერმოშვებულმა კაცმა ჯვარის წესი რამე შეასრულოს. ჭირის პატრონი ვალდებულია მოაპარსვინოს, რადგან მისი ბათრით არ იპარსავენ პირს). ერთ-ერთი დაუკრავს და იმღერებს რამე ძველ სიმღერას.

ბოლოს გამოსცლიან თასებს, მომღერლები ფანდურს გააჩუმებენ და „მუხლზე დასხდებიან“ (მუხლზე დაჯდომა ხდება ყოველთვის ცალ მუხლზე). თასიანებს თასებს ჩამოართმევენ, რომლებიც ჩამორთმევის დროს ეტყვიან: „მტერს ჩამაართვით იარაღი, მტერი იყოს თქვენ ჯელ მარეული, მტერიმც ნუ მაგერევისთ“. „ღმერთმა გაამასთ მუჯლით“ — პასუხობენ მუხლზე მსხდომები და დგებიან ფეხზე.

ღამისთევის წესები რომ მოთავდება, დაიწყებენ სმას; დალევენ და მოაყვებიან წარსულ ანდრეზების საუბარს (ანდრეზი ეწოდება ძველ გადმოცემას), ლაპარაკობენ რელიგიურს, საგმიროს, რჯულისას და სხვა. ამასობაში მოიხარშება ხორციც, ხელოსანს სანათლავის ნახევარი რომ დაუტოვეს (ჩვეულებრივ სანათლავი პატრონს მიაქვს და ზღვენი ჯარში რჩება, მაგრამ ამ სანათლავის ნახევარს უტოვებენ, რადგან აქ განსაკუთრებული მდგომარეობა არის; სანათლავის მომყვანი სხვა არის და გაინათლა სხვა. ტყავი და ნახევარი ხორცი იგზავნება მეძენგლის სახლში). ხორცი რომ მოიხარშება, ამოიღებენ და დაალაგებენ ტაბლაზე ასო-ასოდ დაჭრილს.

ხუცესი ღამისსამთელოს დაუსვამს ჯვარად დანას ამ სიტყვებით: „ღმერთო, გაუმარჯვი მთავარანგელოზსა, მთავარო ანგელოზო, შენ სწყალობდი ჯვარიონთ, დასტურსა, ჯელოსანს, ძენგლის შამსრულებელს. შენი წყალობით შაინახენი“. დასტური გამოართმევს დანას, დაჭრის წვრილ ნაწვრეთებად. ქადას: ერთ მეოთხედს დიასახლისისათვის ცალკე გადადებენ (დიასახლისს ყოველ ღამისსამთელო-ქამისსაწირზე ეკუთვნის ერთი მეოთხედი), ხმიად-საკვირაოს ცალკე დაწყობენ — ეს საკუთრად ხუცესს ეკუთვნის. ნაწვრეთებს დააწყობენ ტაბლაზე და იქ მყოფებს ტაბლასთან დასვამენ. თითოობით ყველა დაილოცება: „ღმერთო, გაუმარჯვი ჯემწიფესა. ჯემწიფეო, შენ სწყალობდი შენთ დასტურთ, მეძენგლეს, ხუცესს, ჯელოსანს, შენი წყალობით შაინახენი“. ამ სიტყვებით ყველა მოიტეხავს პურს და ჭამენ. დასტურები ჩამოარიგებენ კარახანას და ყველას დაუდგამენ წინ ლუდით სავსე თასს. როცა ჭამას გაათავებენ, თითოობით იღებენ თასს ხელში და ილოცებიან: „გამარჯვება ჯემწიფესა, იმის წყალობა გქონდასთ ჯვარიონთ. დასტურსა, ჯელოსანს, მეძენგლეს. წეულსა მწყვდეულს, ჯელმწიფის კარის მლოცავს, თასიანებს ჯელთა გაამასთ, მემღჯლეებს მუჯლები შაგარჩინასთ“.

როგორც აქ არის ნათქვამი, ასეთივე წესით დღეობობენ ყველგან. ბოლოდ არის ცოტა გარჩევა, რაც აქ იქნება მოყვანილი. მთის ვეშაგში დღეობა არის ჩვეულებრივ; როგორც აღწერილია გიორგობის დღეობაში: ხუცობა, ღამის თევა, სასანთლე, სანთელი, სადიდებელი და ა. შ. უნდა ითქვას, რატომ ჰქვიან მთის ვეშაგი. ზოგი მას მთის შეშაგს ეძახის. აგრეთვე ჰქვიან გაბრიელ მთავარანგელოზი. ეძახიან

მომმე მიქიელისას. ვეშაგი არის ყარაული (მთის ვეშაგი მთის ყარაული). როგორც გიორგობას მოვიხსენიეთ, ყველა ჯვარებიდან ნიგზავნება თითო დასტური, რომელსაც ნიაქვს თითო რვლის ჩხუტა ლუდი და ადარებენ ერთიმეორეს არხოტის ჯვარში.

ჯაბუშანურთ ბანურაში, ე. ი. მიქეელ კარის მეზობელში დაამზადებენ ლუდს, არაყს. მათ აქვთ ერთი თავისუფალი კოშკი, რომელსაც ჰქვიან ბაკათ ქვიტკირი. არხოტის ჯვარიდან მიაქვთ დამზადებული სასწვენი (ანას, რა თქმა უნდა, ჯაბუშანურთ დასტური თვითონ ამზადებს). ბაკათ ქვიტკირში კოდს დადგამენ და ჩვეულებრივად აფუვლებენ ლუდს. ჯაბუშანურთ ჯვარში სხვა მოწყობილობა არაფერი აქვთ. სალუდე ქვაბს, თასებს და სხვა რამეს ხმარობენ არხოტის ჯვარისას. აქაც ჩვეულებრივ ჰყავთ დასტური თავის გგვარიდან. მხოლოდ ხუცესი თავისი არა ჰყავთ და რადგან ამათი ჯვარი მიქიელის მომძეა, მოჰყავთ მიქიელის ხუცესი. მიქიელის ხუცესი მაინც ნათი გვარიდან უნდა იყოს აუცლებლივ. ეს მემკვიდრეობით არის თითქმის.

ღამისსამთელოს და ჯამსაწირს თვითონ დასტური გამოაცხობინებს შინაურ დიასახლისს. ეს იქნება ხორცის, ყველის, ხაჭოს და ასეთების გულიანი. ღამისსამთელოს რომ მიიტანენ, ნამინ არხოტია ჯვარიდან ხუცესიც მოჰყავთ. დადგამენ კოდთან რვლის ჩხუტას, კოშს და სანთელს. იქვე ტაბლაზე იქნება დადებული ერთი პატარა ქადა და ერთი საკვირაო. ამას ჰქვიან „კოდ-სამკურთხევლო". მიიტანენ ქაფქირს და საქიჯე ბაკანს. დასტური სთხოვს ხუცესს კოდის გახსნას. ხუცესი მივა, კოდს მოხსნის შემოჭირებულ თოკს და პირზე დაფარებულ ფარდაგს, ქაფქირით. ნოხდის ზედ მოდგმულ ჭიქს და ჩადებს საამისოდ მიტანილ ბაკანში, ამოიღებს კოშით ლუდს და ასხამს საწდეში (ქვაბი იქნება თუ რვლის ჩხუტა საერთოდ საწდეს უწოდებენ). ავსებს ერთ სპილენძის თასს, დგამს „კოდ-საკურთხევლიან" ტაბლაზე და სამიკე სანთლისაგან დაგრეხილ სანთელს აკრავს ზედ. მხოლოდ ერთ ღერ სანთელს კოდზე დააკრავს და შეუდგება კოდის კურთხევას. „ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-სამარადალი, მიქიელ კარის ნეზობელო, მომძეო მიქიელისაო. შენა სამთავროდ. შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს კოდ-საფუარი, სადიდებელი. შენ ჯაბუშანურთად, ბაგათ თავისად, ჯალაფობისად, კაცისად, საქონისად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიკმარი. შენდ დღეობა, რიგის ყენება არ დაუკლავა-დ შენ შენს წყალობას ნუ დაკლებ. ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს. ამინ, დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს-დღესინდელსა, ძალს ხთისას, ძალს კვირაისას. დიდება-დ გამარჯვება შენდა, მიქიელ კარის მეზობელო, მომძეო მიქიელისაო. ღმერთმა გადიდას, ღმერთმა გამრიელას, ამ კოდ-საფუარზე და სადიდებელზე. ღმერთმა მაგცას ცამდინ სიმაღლე, ზღვამდინ სი-

ბაკრე. შველვა. რგება. ხოიშნობა შენ მეხვეწურთად ჯაბუშანურთად. გეაბან ჯაბუშანურნი, გეხვეწებიან. შაიხვეწნიდი. რასაც მჯარზედა, გულზე გიძახებდან. იმ მჯარ, იმ გულზე გაუგონიდი. რასაც წყალობას გეიბოვებოდან. გაჭრენს ლმერთს დაუთხოიდი. წინაპირად კაცის მეხვეწურნი კაცსა კალ დროს მაუმატიდი, ღონე-ქონეს მაუმატიდი, შენ ზღვენთა დიდებათ მაუმატების. ველთ ვინ გავიდოდას შენ მეხვეწურთ ჯაბუშანურით ყუდროშიით, ბედსა, დავლათს შენს აკსენებდას, შენ ბედი, დავლათი დააკჭარიდი. შორს მყოფ ახლოს დაუხვედიდი, შენ კაბის კალთა ჩაუფარიდი. სხვა ხთის ნაბადებ თუ რა უწყრებოდას, უშრუდებოდას. მადლი დაუთხოვიდი, სხვასთან უშუიდი, თაოდ უშველიდი, თაოდ გულწალმა. პირწალმ დაუბრუნდიდი. ხთის იასაულნ გამავიდოდან ხთისაგან გამაწბილნი, ჯორციელთ ბეგრევდან, ყალანს იღებდან, შენ მეხვეწურთ ყუდროს ნუ მახკერძებ. ეკერძებოდას, ნებით ახდივიდი. ნების ბაგარი გაატანივიდი, სხო ყუდრო-შარა გაასწავლიდი, იხვიენიდი. შენ მეხვეწურნი, იხვეწნიდი ავის დღისად, ლაღის მტრისად, საზიანოს საკვნისად. ჩემგან რაც დიდებას. ჭირენებას გაკლდებოდას. მ-ქიელ კარის მეზობელო. შენს წყალობას მაუმატიდი. შენ ჯაბუშანურთად კაცისად. საქონისად, ქუდოსან-მანდილოსნისად მშველელი, მლბენელი. მხოიშნებელი, წალმამდეგიმ ხარ. შველდი, სწყალობდი, სცევდი. ხფარევდი. გამარჯვებას შენსა, შენის გაჭრენის ხთისას".

რომ დაამთავრებს, ჯერ ხუცესი დაამწყალობნებს და მერე ყველანი აქოთქოთდებიან: „მწყალობდასთ ჯაბუშანურთ კარის მეზობლის დავლათი. საწალმართოდ მაგიარასათ, მშვიდობით შაგინახნასთ, ბეერ წელწად-ქრისტე მაგგვარასთ მშვიდობისა, კარგად ყოფისა (წელწადი — ახალი წელი, „ქრისტე" — „ბობა") თქვენ მაგცასთ წყალობა წეულსა. მწყვდეულს (სტუმრებს). კარის მეზობლის მლოცავს ყორით მაყურებელს. დასტურ-ჭელოსნებს მაგცასთ წყალობა. დასტურს დასტურობა ნუ შაგანანას, ჭელოსან დიდხან გაგიყოლას, შაუცოდვრად. შაუწყინრად შაგინახნას".

დამწყალობნებას რომ მოათავებენ, თასს აიღებენ და ხუცესს მისცემენ. ხუცესი კიდევ იტყვის ცოტა დიდების სიტყვებს: „შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ მაჯმარი ეს კოდ-საფუარი-დ სადიდებელი, მიქიელ კარის მეზობელო. შენ მეხვეწურთად ჯაბუშანურთად საშველოდ, სახოიშნოდ. საწყალობელოდ მაიჯმარი, ხთის კარზე შაიტანი, ბაგეთამც დიდი ხარ შენის გაჭრენის ხთის კარზე". კიდევ იტყვიან: „მწყალობდასთ მეხვეწურსაც, მაყურებელსაც", „თქვენი იყოს მწყალობელი" — უპასუხებენ.

„ჯვართ დიდებაი, მეხვეწურს წყალობა" — ამ სიტყვებით ხუცესი მოიყუდებს თასს და ცოტას დალევს, გემოს გასინჯავს და შეაფასებს

ლუდს, მერე სხვებსაც მიაწვდის ამავე თასს. ყველანი მოკლე სიტ-
ყვებით დაილოცებიან: „გწყალობდასთ მეხვეწურთ“, გასინჯავენ ლუ-
დის გემოს და ყველა თავ-თავის გემოვნების მიხედვით შეაფასებს. ამ
თასს რომ გამოსცლიან, მობრუნდებიან და დგამენ ახალ დასხმულ
ლუდიან საწდეს, დააწყობენ ტაბლაზე ღამისსამთელოს, ხმიად-საკვი-
რაოებს და სამ ლუდიან სპილენძის თასს (აქ ვერცხლის თასები არა
აქვთ), ზედ დააკრავენ სამ-სამის ღეროსაგან დაგრეხილს სანთლებს
და ხუცესი შეუდგება ღამისთევას ჩვეულებრივი ლოცვებით, აქ სხვა
ღამითევისაგან არაფერი გარჩევია, მხოლოდ ახსენებენ „მიქიელ კა-
რის მეზობელო“. ვითომ ეს პატარა მიქიელია და სოფელში მცხოვ-
რებლების კარის მეზობელი არის, რადგან მისი სადღეობო სოფელშია
და არა ისე, როგორც სხვა ჯვარები არიან სოფლის მოშორებით. მას
ღამეს უთევენ. ხუცობა და კურთხევა სრულიად ჩვეულებრივია. ბო-
ლოს, თასების დაცლის დროს უმღერებენ ერთიმეორეს (სხვათა შორის
არის ახიელში ისეთი ჯვარები, რომ ქრისტე არ იციან, ასეთებს და-
პატიჟებენ ისინი, ვისაც დღეობა აქვთ). ერთი აიღებს ფანდურს (ვი-
რისპატრონი ადრე მიკა და გასტეხს ფანდურს), დაუკრავს და იმღე-
რებს რაიმე ძველ სიმღერას. სხვა ფეხზე მდგომებიც ამასვე გაიმეორე-
ბენ. უმღერებენ ჯაბუშანურებს საგმირო სიმღერებსაც, რადგან ჩვე-
ულება არის, რომ ვისი გვარიც პატივს სცემს, მათ სასიამოვნოდ მათი
წინაპრების საგმირო სიმღერებს მღერიან. ისინიც სიმღერითვე უპა-
სუხებენ. სიმღერა ბოლოს, თასის ჩამოყრით და მენტლიდან ზეზე ად-
გომით დამთავრდება. დასხდებიან და დალევენ ცოტ-ცოტას. ცოტა
პურსაც შეჭამენ. ხუცესი წავა არბოტის ჯვარში. ჯაბუშანურნი კი დიდ
სტუმართმოყვარეობას იჩენენ და პატივს სცემენ წლის განმავლობა-
ში ერთადერთ საკუთარ დღეობაში დაპატიჟებულ სტუმრებს. ასეთი-
ვე წესით სრულდება „ბადათ დღეობაც“. ბ დანი არიან ნაოროსაღ-
ლების ქვეგვარი: ძირითადი გვარი არის ნაროზაული და გვარში ისი-
ნი კიდევ იყოფიან ქვეგვარებად: ბადანი, ქავთარნი და ჩაბაკაურნი.
ქავთარნი დღეობობენ ოჩიაურებთან ერთად და ჯაჭველში ასე იხსენი-
ებიან: „ქავთარ-ოჩიაურნი“. ბადანი დღეობას იხდიან მარტო ერთხელ
— ქრისტეს. სხვა დღეობებს ისინი არ იხდიან. მათ სალოცავს უწო-
დებენ ჯაჭველის ლაშქართ. ჩაბაკაურთ ჰყავს კიდევ თავისი საკუთარი
ჯვარი ჯაჭველთან ერთად, რომელსაც ეძახიან გიორგი ხმელის გორი-
სას, და ხსენდებიან ერთად ჯაჭველი და გიორგი ასე: „ჯაჭველო, გი-
ორგი ხმელის გორისანო“. თქმულება ისეთია, თითქოს ისინი ერთიმე-
ორის მოძმენი ყოფილან (ჩაბაკაურთ სალოცავს — გიორგის მეორე სა-
ხელსაც ეძახიან — მინდორის ჯვარს. როცა მოსახლეობას დარი შე-
აწუხებს, ან ავდარი, მაშინ მას უკლავენ საკლავს დარ-ავდრის გამო-
სასწორებლად. ამბობენ: ცა-ღრუბელთ ხელობა მაგას აბარიაო. თუ

წვინიანობამ შეაწუხა ჭირნახული, მინდორის ჯვარს დაუკლავენ საკლავს — გაადარებსო. თუ დარმა და გვალვამ შეაწუხა ხალხი, მაშინაც დაუკლავენ — მინდორის ჯვარი წვიმას მოიყვანსო).

ამგვარად, ქავთართა, ბადათა და ჩაბაკურთ ერთი ჯვარი აქვთ, ყველა ნაროზაულია და კიდევ შიგნით ცალ-ცალკე ქვეგვარებად რომ იყოფიან, ისათაც თავ-თავის სალოცავები ცალ-ცალკე ჰყავთ.

როგორც ვთქვით, ქრისტეს ბადანი დღეობენენ ჯაჭველის ლაშქარში. ისინიც ჩვეულებრივ აყენებენ დასტურს, რომელიც ამზადებს ლუდს მარტო ამ დღეს. ამ სალოცავს ქონება არაფერი აქვს, არც ვერცხლი და არც სპილენძი. ამიტომ ლუდს ისინიც არხოტის ჯვარში ადღღებენ. კოდს კი დგამენ სოფელში, ერთ ეკლესიაში სადმე. ისინიც შეიპატიჟებენ ხალხს. ქალები ჩვეულებრივ სასანთლეს და სადიდებელს ბეიტანენ. ღამისთევას ჩაატარებენ როგორც სხვაგან, ისევე აქ. ხუცობა ისეთივე არის, მხოლოდ სახელი ასე იხსენიება: „ჯაჭველის ლაშქარნო". აქ ვაამზადებენ ყველაფერს. დაღებენენ ხუცესს და იგი შეუდგება კოდის გახსნას. კოდის გახსნა როგორც ჯაბუშანურთ ჯარზე მოვიხსენიეთ, ისევეა ბადათ ჯარზეც. გიორგის ანუ მინდორის ჯვარის ღეობას ჩაბაკაურნი მარტო ათენგენას და ამაღლებს დოესასწაულობენ. აქ კი ხუცესიც თავისი ჰყავთ, დასტურებიც ორნი არიან. საკუთარი აქვთ სალუდე ქვაბი, დარბასი, საქვაბე და ზარი. აქაურნი ხუცესმა და ხელოსანმა ორი კვირით ადრე იციან ჯვარში მიტანა. რასაც „საწმიდარ გასვლას" ეძახიან. ისინი აქ ცხოვრობენ. დასტურები ლუდსაც აქვე ამზადებენ, ღამისსამთელოს და ეამსაწირს აცხობენ სოფელში, დასტურის სახლში. ქადის გული იქნება ხორცის, ყველის, ხაჭოს თუ სხვა სულერთია. საკოდე მათ არ აქვთ. კოდი აქვე დგას დარბაზში, ლუდიანი. საღამოზე მიიტანენ ღამისსამთელოს და კოდ-სამკურთხეველოს. ღამისსამთელო ერთი დიდი ქადა არის და ზედ აწყვია ხმიად-საკვირაოები. ერთი ქადა და ერთი საკვირაო არის კოდ-სამკურთხეველი. კოდ-სამკურთხეველოს მიიტანენ. დააწყობენ ტაბლაზე და დადგამენ კოდთან. აგრეთვე მიიტანენ კოშს, რვლის ჩხუტს და ერთ სახუცო კოჭობს. ხუცესი კოდს მოხსნის პირზე დაფარებულს, ქაფქირით მოაცლის ჭიქს, ამოიღებს ლუდს, ჩაასხამს რვლის ჩხუტში და აავსებს სახუცო კოჭობსაც. დააკრავს ერთ სანთელს, სამ-ღერ გადახვეულს. სახუცო კოჭობზე და შეუდგება ხუცობას. კურთხევაც ისეთივეა. ბოლოს კოდ-სამკურთხეველო თასს იღებს ხუცესი. შეესახელებს ჩვეულებრივ და გასინჯავს ლუდის გემოს. მერე სხვებსაც მისცემს. ასრულებენ უკვე აღწერილ წესებს და მივლენ ღამისთევამდე.

ღამისსამთელო დაწყობილია ჩვეულებრივ, ზედ საჰ ლუდიან თასს დადგამენ — ერთს სახუცოს და ორს სხვას, დააკრავენ სანთლებს და

ხუცესი ჩვეულებრივ ხუცობს. აქ ხუცობაში ახსენებს ჯაჭველს და ახვეწებს ქავთარ-ოჩიაურთ. ბოლოს, ხუცობისა და კურთხევის დამთავრების შემდეგ, სახუცო კოჭობს მისცემენ ხუცესს, ორ იქვე მდგარ კოჭობს დაიჭერენ დასტურები და ხუცესი კიდევ იტყვის დიდებას:

„ამ ჭიქა-ბარძიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, ჯაჭველო ჯმელის გორისაო. შენა სამთაროდ, შენს გასამარჯოდ მაიკმარი ეს ჭიქა-ბარძიმი, სადიდებელი. შენ ქავთარად, ოჩიაურთად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიკმარი, ხთის კარზე შაიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს“ და ა. შ. როცა მოათავებს, თასებს ყველანი მაღლა სწევენ და ნელი ხმით ლაპარაკობენ: „ისმინეთა, გაიგონეთ გამარჯვებას თქვენსა, თქვენის გამჩენის ხთისას“. ბოლოს ამბობენ: „ჯვართ დიდებაი, მეხვეწურთ წყალობა“ და სვამენ თავ-თავის თასებიდან. აქაც ჩვეულებრივ უმღერენ თასიანებს ფთასოები.

ბოლოს გამოიცლება თასებიც. ჩამოართმევენ და მიაბრძანებენ თავთავიანთ ადგილებზე. დაასხამენ ლუდს და გაიმართება სმა. არხოტის ჯვარში არიან მარტო ჯვარიონნი და სტუმრები. გორულ ჯვარში არიან ჯვარიონნიც, ქავთართ გვარიც, ოჩიაურთ გვარიც და სტუმრებიც. მარტო მამაკაცები. ხარათ, ჯაბუშანურთ და ბადათ ჯვარებში არიან თავ-თავისი გვარი: ქალიც, კაციც და სტუმარიც. ქალები აქ იმიტომ მოდიან, რომ დღეობა ჯვარში არ არის და დღეობენ ისე, უბრალო ჭერხოებში. ქალებს ეკრძალებათ სმა. ეათ ერთიმეორისადმი პატივი ძალიან იცვან.

ღამისთევები რომ მოთავდება, როგორც გიორგობაზე ვთქვით, ისეთივე წესით თითო ჯვარიდან თითო დასტური წავა არხოტის ჯვარში და მიაქვს ყველას თითო რვლის ჩხუტი ლუდი.

მისულ დასტურებს ყველას დარბასში შეიყვანენ და დიდის პატივით ეპყრობიან. მერე ყველა ლუდიდან თითოობით ამოიღებენ თითო თასს და მიართმევენ არხოტის ჯვარის ხუცესს. ხუცესი იკითხავს ვისი ლუდია და მათი ჯვარის სახელით დაილოცება და დალევს. მერე სხვას ჩამოართმევს თასს და ასე ყველას. ბოლოს იტყვის, ვისი ლუდი სჯობია. ვისი ლუდიც უკეთესია, ის დასტური გახარებულია და თავს მაღლა აყენებს. რომელი ჯვარის ლუდიც არის, ხუცესი ის ჯვარის სახელით დაილოცება. მაგ. ჯაჭველი და გიორგი ძმები არიან, ხევსურების რწმენით. ამ სალოცავს ორ ბატონს ეძახიან და ხუცესიც ასე დაილოცება: „გამარჯვება ორსავ ბატონსა, იმის წყალობა ჰქონდას ყმათ ქავთარ-ოჩიაურთ, საწალმართოდ მაუარძს, მშვიდობით შაინახნას, ბევრ წელწად — ქრისტე მშვიდობისა, კარგა ყოფისა მაღგვარას. თქვენ გწყალობდასთ ორივ ბატონის დავლათი. აქა ბრძანებულებს, მშვიდობით გამყოფნასთ“. ცოტა ხანს შეჩერდება და კიდევ იტყვის: „ნალოცი მქონდ, ხთისგანამც დაილოცებით“ და დალევს ცო-

ტას. მერე მიართმევენ მთიშეშაგის ჯვარიონთ ლუდს და იმაზე დაილოცებიან და ა. შ.

როდესაც ხუცესი ყველას ლუდს გასინჯავს და შეაფასებს, მერე დასტურებიც დალევენ ცოტ-ცოტას და თავთავის შეხედულებას იტყვიან. ამის შემდეგ გაიმართება სნა. ყველა პატიჟობს ერთიმეორეს თავის ლუდზე. აქვე არის მეძენგლე თამარიზძეთ გვარიდან და ის თავის არაყს აძალებს დასალევად. დასტურებიც ცდილობენ ბოსუელი დასტურების დათრობას, რადგან ეს საპასუხოდ მიაჩნიათ. მოსულებიც თავს იჭერენ და ბევრს არ სვამენ, რადგან ჩვეულების მიხედვით თავის ჯარზე უნდა მივიდნენ და მიიტანონ ამბავი, არხოტის ჯვარის ჯვარიონნი როგორ არიან, როგორ დაუხვდნენ და ვისი ლუდი უკეთესი იყო. ამ ამბის მოტანას ყველა ჯარზე ელოდებიან. როგორც იქნება და როგორც არა, დაალწევენ თავს და მივლენ თავ-თავიანთ ჯარზე. აქ დათრობა სრცხვილი არის ახალგაზრდებისა და ისიც უფროსები როცა ხედავენ, ასე ამნაირად მოთავდება ქრისტეს ღამისთევის წესები.

ვიდრე ეამისწირვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ ვთვლი ამ დღეობასთან დაკავშირებული ცოტა რამ ითქვას. არხოტის ჯვარი, ხალხის რწმენით, მოყვანილი არის ფშავიდან, სოფელ მათურიდან.

პირველად დაარსებულა, ახლა რომ მიქიელ კარისმეზობელია, იქ. რადგან იქ სოფელთან ახლო იყო. წამოსულა და დაფუძნებულა ახლა სადაც არის. იმ ადგილზე ეძახიან მას „ქვექურ ჯვართ", ანუ არხოტის ჯვარს. ჯაბუშანურნი ქრისტეს სოფელში იმიტომ ლოცულობენ, რომ პირველად ჯვარი აქ ყოფილა დაარსებული და თვითონ რომ წასულა, თავისი ნოშმე დაუტოვებია. მისი სახელი მიქიელ კარისმეზობელია.

ზოგს ისე სწამს, ვითომ პირველად არხოტის ჯვარი დაარსდა კვირიწმიდაში, სადაც ახლა მიქიელ წყალშუასა არის. იქიდან ახიელში დაარსდაო და კვირიწმიდაში დასტოვა მოძმე მიქიელ წყალშუას მებეურთველი, ანუ მოძმე მიქიელისაო. ზოგის რწმენით კი, ის დაარსდა მაღლა სათიბ მთაზე, სახელდობრ ჭიშველში. აქ ძალიან კარგი სადღეობო ადგილია და მარტო ათენგენას ერთ დღეს დღეობებენ. ამ სალოცავსაც უწოდებენ მიქიელ ჭიშველისა. მოძმე მიქიელისა. ხალხის რწმენით, ჭიშველიდან წამოსულა ახიელში და დაარსებულა, სადაც ახლა არსებობს, ჭიშველში კი დაუტოვებია თავისი მოძმე მიქიელისა.

გორულ ჯვარს ჰყავს თავის ლაშქარნი, რომელზეც ამბობენ: პირველად ჯაჭველი აქ დაარსდა და მერე ხმელს გორაზე გადავიდაო. იქ ლოცულობენ ქავთარნი და ოჩიაუნი. ხმელს გორზე გადასვლის შემდეგ აქ მან თავისი ლაშქარნი დასტოვა და რაკი ბადათ სახლის ახლო იყო. გახდა მათი საკუთარი სალოცავიო. იქ წელიწადში ერთს დღეს იხდიან დღეობას, მარტო ქრისტეს. მთის ვეშაგი, გაბრიელ მთავარი

ანგელოზი, მთიშეშაგი, მთის ჯვარი ეს სახელები ყველა მთის ჯვარს ჰქვიან. არის სხვადასხვანაირი თქმულებები მის შესახებ; მთავარანგელოზი პირველად აქ დაარსდა, რადგან მაღლა მთაზე არის და სუფთა ადგილიაო. ვეშაგი კი იმიტომ ჰქვიან, რომ იქ დასტოვა მთის ყარაულმა, რადგან არხოტს ქისტები ეცემოდნენ, საჭირო იყო შეტყობა, როდის მოდიოდა მტერი. ამას მთის ვეშაგი გაიგებდა და მოძმე მიქიელს შეატყობინებდა. მიქიელს ჰყავდა დამხმარე მწევარნი, რომლებიც საჩქაროდ შეებრძოლებოდნენ თავისი ყმების მტერს (თავის ყმათ მიქიელ მთავარანგელოზი შეატყობინებდა ქადაგის ან სიხმრის საშუალებით). მიქიელი და მისი მწევარნიც ფარულად მიიღებდნენ მონაწილეობას ბრძოლაში და ვითომ გაიმარჯვებდნენ. თუ მიქიელი გამწყრალი იყო რამეზე, მაშინ ვერ გაიმარჯვებენო. ხალხს ისე სწამდა, რომ მიქიელი მოყვანილი იყო ქისტებთან საბრძოლველად. მას მოლოცვილი ჰქონდა ბრძოლა მტრებთან და მათურაში რომ იყო, აქაც ქისტებთან ბრძოლაში ეხმარებოდა მათურლებს. ბოლოს ხარის ყვირილზე გამწყრალა; ერთი ხარი მიდიოდა თურმე მის ადგილას და გაგიჟებით ყვიროდა. საჭირო იყო მათურლებს მთავარანგელოზის ხათრი ჰქონოდათ იმდენად, რომ ხარისათვის ნება არ მიეცათ ყვირილისა. ხატი გამწყრალი წამოსულა და არხოტში დაარსებულა. აქაური ხალხი ხათრიანად იქცეოდა, ქალები სოფელში ხმამაღლა ვერ ლაპარაკობდნენ, ძაღლის ყეფა არ შეიძლებოდა და ვირის ყვირილი. მათ აღარც ყოლიობდნენ და ამიტომ აქ დამკვიდრებულა. მათურლებმა დაკარგეს მთავარანგელოზი და წავიდნენ საძებნელად. თან ერთი თვრი ხარი წაიყვანეს მისთვის შესაწირავად. ის ხარი ხალხს გაუძღვა წინა და პირდაპირ არხოტს წავიდაო, იტყოდნენ ძველი, ამ რწმენით გაჟღენთილი ფშაველ-ხევსურნი. არხოტში რომ გადავიდნენ, მთავარანგელოზი მტრედის სახით მოფრინდა და ხარის რქაზე დაჯდაო. არიქათ, ფშაველებო, ჩვენი მთავარანგელოზი მოფრინდა, დავიჭიროთ და წავიყვანოთო, — უთქვიათ ფშაველებს და დაჭერა მოუნდომებიათ. მთავარანგელოზი ამაზე ისევ გამწყრალა და გაქრალა იქიდან. მას აქეთ იგი არხოტშია. მაშინ ფშაველებს დაჭერა რომ არ მოენდომათ, იგი ხარის რქით მათურაში მივიდოდაო — იტყოდა ძველი ხალხი. ნათურლებმა ახლაც იციან დაცინვა არხოტელებისა — თქვენ ქურდი ხალხი ხართ, მთავარანგელოზი მოგვპარეთო.

გათენდება ქრისტე დილა. ხალხი ერთიმეორეს ეპატიჟება თავთავის ჯარზე — ჩემთან წამოდი, ჩვენი ლუდი დავლიოთო. არხოტის ჯვარში ქრისტეს ცოტა ლუდი იციან თავისი, ღამე სხვებს მიაქვს ლუდი და დილას თავისიც ეყოფათ. ახლა მეძენგლე არის იქ ვინმე თამარიზძეთ კაცი. დილას ის ადრე ადგება (არაყი ხომ თავისი აქვს მოტა-

ნილი), ჯერ ხუცესსა და ხელოსანს დაალევინებს ისევ ლოგინში, მერე დასტურებს და დიასახლისსაც. ხუცესი და ხელოსანი ქამისწირვამდინ ლუდს არ დალევენ და არც ჭამენ. არაყს კი სვამენ უპუროდ. დიასახლისს ერთი დასტური ეხმარება. იგი აკეთებს სამ ხაიწიან დიდ ქადას, ოთხ ხაიწიან საკვირაოს და ცხრა-ხმიადს.

დრო რომ მოვა (დაახლოებით ათი-თორმეტი საათი), გაიტანენ დარბაზში ქამსაწირს და დაწყობენ სპილენძის ტაბლაზე, აანთებენ სანთელს და დაკრავენ სამ ქამისსაწირზე დადგმულ ლუდიან თასებს. ხუცესი ჩვეულებისამებრ შეუდგება ხუცობას. ხუცობა იგივეა, რაც ზემოთ არის მოყვანილი. ხუცობა რომ მოთავდება, შეუდგებიან თასებიდან სვას და საგმირო სიმღერების მღერას. ერთი სახუცო კოკობი უჭირავს ხუცესს, ერთი თასი ხელოსანს და ერთიც დასტურს. ჩვეულებრივ დაილოცებიან და ცოტცოტას დალევენ. ვისაც თასები არა აქვს, იმათგან ერთერთი დაუკრავს. იმღერებს და სხვებიც აჰყვებიან. მღერის დროს ჩვეულებრივ დაალევინებენ ლუდს თავისი თასებიდან პირველ მომღერლებს. ბოლოს თვითონვე გამოცლიან და გადაიხდიან მადლს: „შავსკი შენის გამარჯვებისა". ჩვეულებრივ ხდება მუხლზე დაჯდომა და თასების ჩამოყრაც. ბოლოს დასხდებიან და შეუდგებიან საუზნის სამზადისს. ბორცი მოიხარშება, ნწვადსაც გააკეთებენ (შამფურები აქვთ შეწირული, რკინისა), ქამსაწირი ჩვეულებრივად დაიჭრება და დაეწყობა ტაბლაზე. ხვიად-საკვირაო კი, როგორც ხუცესის კუთვნილი, ცალკე ინახება. გამოლოცვის შემდეგ მათ და საკლავების თავებს ხუცესი საკუთრად გზავნის სახლში. შეუდგებიან ჭამას და ერთი ანორი დასტური ფეხზე დგომით ასრულებს დაკისრებულ წესებს (კარახანა, ფეხზე დგომით მღერა და სხვა). „მეძენგლე" თავის არაყს ხარჯავს და დასტურები ლუდს. ამასობაში გაივლის დრო და სოფლიდანაც მოვა „სარიგო", ან სხვა რამე „ზღვენი" (ზღვენს ეძახიან საკუთარ საკლავს, რომელსაც რაიმე მიზეზის გამო სწირავენ ჯვარს. სარიგო კი ის საკლავია, რომელიც სოფელს რიგით მოუდის და ვისაც რომელ დღეობაში შეეხვდება მოიყვანს. წინაღმდეგ შემთხვევაში სოფელს ლუდს აღარ მისცემენ ჯვარიონნი. ბოლოს იქამდე მიდა საქმე, რომ დროშას გარეთ დასტოვებენ და ეს ნიშნავს დაღუპვას იმისას, ვისი მიზეზითაც დროშა გარეთ დარჩება).

აქა ერთი ამბავი კიდევ ხდება, რომელიც რაკი ქამისწირვა დაწვრილებით აღარ აიწერა, გამოვრჩა: ქამის წირვის ხუცობა რომ შუა ადგილამდინ მიაღწევს, მეადროშავე ანუ ხელოსანი დარბაზიდან ჩუმად გადის. იქ ახლო საზარეა, იგი პირჯვრის წერით და დიდის მოწიწებით უახლოვდება და რეკს ზარს ნელ-ნელა. ასე, დაახლოებით ათი წუთი, მერე სამჯერ დაიწერს პირჯვარს, სამჯერ ნელა შემოკრავს ზარს და იტყვის: „ნურაით შამისაწყინდები, შამიკოდვებ, დალოცვილო". მერე

პირჯვრის წერითვე უკან წამოვა და შევა დარბასში. იქ ხუცესი ისევ გახურებულ ხუცობაშია. ხელოსანი შევა და ნელის ხმით იტყვის: „წყალობა მაგიტანეთ მიქიელისაი, ზარის მცველის ანგელოზისა". — „შენ იყოს მწყალობელი" — ნელის ხმით პასუხობენ იქ მყოფნი. შემდეგ წესი გრძელდება ხუცესისაგან და სხვებისაგან ჩვეულებრივად.

მეზღვნე ან მესარიგოე რომ მოვა, მადლს მოსთხოვს ჯვართ და მერე ჯვარიონთ ეტყვიან დარბასის კარებიდან: „აშენდით, ჯვარიონნო, წალმამც წაგივათ დღეი, დღეობაი". „დაშვენდი, მაგვიხვე მშვიდობით, წყალობა ჭელმწიფისა", იქნება პასუხი. მერე მოსულები დასხდებიან დარბასის კარში. დასტურები მიიტანენ შეშას, დაუნთებენ დიდს ცეცხლს, გამოუტანენ ლუდს და დაალევინებენ. ლუდს რომ დალევენ, მოითხოვენ საკლავების დაკვლას. ზემოთ ითქვა, რომ აქ ხუცესი დილით არც პურს ჭამს და არც ლუდს დალევს ყამის წირვამდინ, არაყზე კი უარს არ იტყვის. მკითხველიც მიხვდება უზმოზე არაყი რას იზამს და ყამის წირვის შემდეგ ზედ დაყოლებული ლუდი: ხუცესი, თავისთავად ცხადია, მთვრალი იქნება და შეიძლება გაჭირვეულდეს: მე ჯერ დრო არა მაქვს, მანდ მოიცადონ და მერე დავუკლავო. სინამდვილეში კი მას არაფერი საქმე არა აქვს, სასმელ-საჭმელი უდგას წინ, სვამს და ბაასობს. დიდხანს ეხვეწებიან, ეფერებიან, ბავშვივით ატყუებენ და ბოლოს ადგება ფეხზე ვინმეს პატივისცემით, გამოვა და იტყვის: „წყალობა მიქიელისა, მასულო მეზღვნეებო, მესარიგოეო. წალმ მაგეგებასთ მიქიელის დავლათი, ნუ შაგანანასთ მსახურობა, კლოვ უკეთი გულით მაგკერძასთ". „თქვენი იყოს მწყალობელი" — პასუხობენ მეზღვნეები.

ჯვართ პირდაპირ მინდორზე იქნებიან მეზღვნის ოჯახის წევრი ქალები, თოვლში დამსხდრები. რაკი დაინახავენ, რომ ხუცესი და დასტურები გამოვიდნენ დარბასიდან, ადგებიან და პირჯვარს იწერენ. მერე დასტურ-ხელოსნები ხმამაღლა დაუძახებენ ქალებს: „წყალობა მიქიელისა, წყალობა მასულებ მანდილოსნებო. წალმ მაგეგებასთ მიქიელის დავლათი, წულითა, საწულით შამაგიხვეწნასთ (წულზე და საწულეზე. ქვემოთ გგვექნება ლაპარაკი, რადგან საწულეობა ქრისტეს მეორე დღეს არის). იწერენ პირჯვარს ქალები და თავისთვის ჩუმად ამბობენ: „თქვენ იყოს მწყალობელი". ხუცესი ამოიღებს დანას და დადგება სასაკლავესთან. დასტურები მიიყვანენ სარიგოს, ხუცესი ჩვეულებრივ იხუცებს და დაკლავს ჯერ სარიგოს, ისეთი წესით, როგორც გიორგობას არის აღწერილი.

სარიგოს დაკვლის შემდეგ შეუდგება ზღვნების დაბოცვას. ხუცესი ჯერ იკითხავს, ზღვენი როგორ არის მოყვანილი: თავისეულია თუ არა (თავისეული ჰქვიან, როცა ქალს შეთქმული აქვს თითოეული ზღვენი რაზე მიზეზით — ავად ვინმე ჰყავდა, ან თვითონ რაზე დანაბარული ჩაიდინა. მაგ., ისეთ ადგილას მუშაობის დროს დაემართა მენსტრუ-

აკია, რომ გასაქანი არ ექნა და ჯვარის მამულზე გაიარა; ან არ იცოდა, სად იყო ჯვრის მამული და შეცდომით მოუხდა გავლა და სხვა მრავალი მიზეზის გამო შეუთქვამს თავისეულ ზღვენს). თავისი შრომით უნდა იყოს ნაშოვნი ეს საკლავი, მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში კი ოჯახიდან მოიყვანს, თუმცა ეს არ არის მიღებული.

ხუცობა ჩვეულებრივია, ერთი-ორი სიტყვა თუ ემატება. ხუცობას რომ გაათავებს, დასტური საკლავს ჩვეულებრივ იქერს და ხუცესი კიდევ ბოკლად შეესახელებს: „ღმერთმ ადიდას შენ ბალი, სახელ-სამარადალი. მიქიელ მთავარანგელოზო და ა. შ. და საკლავს დაკლავს, რომელსაც დასტური სასაკლავე სიპზე დადებს. ხუცესი იტყვის: „გწყალობდასთ მეხვეწურებს, მხეკალს — მეთავისეულს, საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ნუ შაგანანასთ ზღვნობა. კლოვ უკეთი გულით მაგკერძასთ. თქვენ გწყალობდასთ ყურთი მაყურებელს, ჯვარიონთ, დასტურთა, ჯელოსანსა-დ ჯელშწიფის კარის მლოცავს“. „თქვენ იყოს მწყალობელი“ — ეტყვის ზღვნის პატრონი. მერე დაუძახებს მეთავისეულს: „გწყალობდას მეთავისეულეო, მანდილოსანო, მშვიდობით გამყოფას წულითა, საწულით შამაგიხვეწას“. ამასვე იმეორებენ დასტურები და სხვა იქ მყოფი ხალხიც. კურთხევაც ჩვეულებრივია.

ცოტა ხნის შემდეგ დადგამენ სამეზღვნეო ტაბლას. დასტურები ხორცს მოხარშავენ, მერე დაუძახებენ სოფელს: „სოფელში მაგდიოდასთ. მეედით მეზღვნეები. ტაბლა მაიკითხეთ, შემრ დღესაც აღარ შაუძლავ. ვისაც არ მაგდისთ, ერთმანეთს გააგებიეთ“. ამ ბმაზე მეზღვნეები მოვლენ და დარბასის კარში დასხდებიან. ჯვარიონნი გამოიტანენ სამეზღვნეო ლუდს, ტაბლით სატაბლო პურებს და ხორცს, დააწყობენ ერთიმეორეზე, დაუდგამენ წინ მეზღვნეებს. დასტური მივა, პურს გატეხავს ამ სიტყვებით: „ღმერთო, გაუმარჯვე ჯემწიფესა. ჯემწიფეო, შენ სწყალობდი ამ ჯვარიონთ, დასტურ-ჯელოსნებს, მეზღვნეებს, დაადეგ წალმ. შენი წყალობით შაინახენი“ და შეუდგებიან პურის ჭამას.

ერთ საწდეს გამოიტანენ და მეზღვნეებს დაუდგამენ წინ. აქედან გაიმართება სმა. პურის ჭამის დროს დასტურები ზედამდგეგობენ და კარახანასაც ისინი უდგამენ. მეზღვნეები ჭამას რომ გაათავებენ, თითოეული უკანასკნელ ლუკმას დაიჭერს ხელში და იტყვის: „ღმერთო, გაუმარჯვი ჯემწიფესა, ჯემწიფეო, შენ სწყალობდი ამ მეზღვნეებს, ჯვარიონთ, დასტურსა, ჯელოსანს, დაადეგ წალმ, შენი წყალობით შაინახენი“, და ამ სიტყვებით შეჭამს უკანასკნელ ლუკმას. მერე დასტურები ეუბნებიან: „აიღი კარახანა, აიღი, წყალ მაგწყურდებოდ“. ის იღებს ლუდიან თასს, რომელიც წინ უდგას და დაილოცება კიდევ: „გამარჯვება ჯემწიფესა, იმის წყალობა გქონდას მეზღვნეებს. საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ბევრ წელწად — ქრისტე

შშვიდობისა, კარგად ყოფისა მაგგვარასთ, თქვენ გწყალობდასთ ჯვარიონთ, დასტურსა, ჭელოსანსაც. დასტურს დასტურობა ნუ შაგანანასთ, ჭელოსან დიდხანს გაგიყოლას. შაუნდნას, ვისადაც ილოც კი, მააკმარას". (ამ ტაბლას როცა მოიტანენ, მაშინ ხუცესი ლოცავს მეზღვნეების მიცვალებულებისათვის) ამ სიტყვებით დალევენ თავისი თასებიდან ლუდს. ერთი დასტური ფანდურს დაუკრავს და ფეხზე მღერიან მეზღვნეების პატივსაცემ სიმღერებს, თან თავისი თასებიდან ასმევენ ზედამდეგებს. ბოლოს გამოცლიან თასებს და ასრულებენ ყველა იმ წესს, რაც ზემოთ არის აღწერილი. ამითი მოთავდება დღეობა ქრისტე-შობა.

დიასახლისი წელწდის წინა დღემდე ისევ შინ ბრუნდება და იქ იგი ცალკე, სუფთად ცხოვრობს, რადგან წელწადი ახლოა და დიასახლისი წმინდად უნდა შეხვდეს დღეობას. მხოლოდ გამასამალოე აქ არ სჭირდება, რადგან დღეობა დაწყებულია და წელწადიც ხუთი-ექვსი დღის შემდეგ იქნება. დასტურებიც აქედანვე შეუდგებიან საახალწლო ლუდების დუღილს და ახალი წლის წინა დღეს გაათავებენ. აქ რაც ნატეხი პურები რჩება, არც ამას ანაწილებენ და არც ხორცს, რადგან ქვაბების დუღილში ხარჯავენ.

მეზღვნეებისათვის ტაბლის დადგმის შემდეგ ყველანი წავლენ, მხოლოდ დასტურ-ხელოსნები რჩებიან ჯვარში. ამ ქრისტე საღამოს მოვლენ მესაწულეები.

ს ა წ უ ლ ე ო ბ ა

მესაწულეე არის ის კაცი, ვისაც ვაჟიშვილი ეყოლა ამ წელს. „წული" ჰქვია ახალშეძენილ ვაჟიშვილს, ხოლო ქრისტეს (ე. ი. შობის) მეორე დღეს არის საწულეობა, ანუ ახალწულების დღეობა. გასული წლის საწულეობის შემდეგ ამ სოფელში ვისაც ეყოლა ვაჟიშვილი და საწულეობა არ ჰქონია, ყველანი ერთად ადუღებენ ლუდს. ქრისტე-საღამოს მესაწულეები მივლენ არხოტის ჯვარში. ყველა მიიტანს თავთავის ღამისამთელოს და სანთელს. ლუდი ჯვარში ცალკე უდგათ მესაწულეებს. ხუცესი მესაწულეების კოდს გახსნის ჩვეულებრივ. კოდის გახსნის დროს ტაბლაზე დევს ერთი პატარა ქადა და საკვირაო. ხუცესი ამოიღებს ლუდს, დაასხამს თასებში და დგამს ტაბლაზე, კოდზე სანთელს დააკრავს და შეუდგება ხუცობას: „ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-სამართალი. მიქიელ მთავარო ანგელოზო. შენა სამთავროდ მაიკმარი ეს კოდ-საფუარი, სეფე-სანთელი, სადიდებელი, შენად გასამარჯოდ მაიკმარი, შენ მესაწულეეთად, შენთ მეხვეწურთად. გეძახან შენ მეხვეწურნი, გეხვეწებიან, — წულითა-საწულით შაიხვეწენი. მე შენდ შამამიხვეწებიან მესაწულეენი, შენ შენს გამჩენს მორიგეს

ლმერთს შაახვეწენი. ღირსეულად ფრირი ეს კოდ-საფუარი, სამთავროდ, გაკაბარჯოდ მაიკმარი, აგრემც გაგემარჯვების შენის გამჩენის ხთის კარზე". აქ ხუცობა და კურთხევაც ჩვეულებრივია. ზოგიერთ ადგილებში ჩაერთვის ახალი სიტყვები: „წულით" ან „მესაწულეე".

ბოლოს. დაეწყალობნებაში ყველანი იტყვიან: „გწყალობდასთ მესაწულეებს, საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, წულები დაგიზარდასთ, მონდაეები სხვებ მაგცასთ". მონდავი: ცალი ხარი როცა ჰყავთ ერთსაც და მეორესაც, ერთმანეთთან შეთანხმდებიან, რომ ერთად შეაბან თავიანთი ცალ-ცალი ხარი და ხან ერთი ამუშავებს, ხან მეორე. აქაც სიტყვა მონდავს ხმარობენ, — ვითომ მეორე ვაჟიც მოგეცესო. ხევსურები ვაჟიშვილის გაჩენას ძალიან დიდი სიხარულით ხვდებიან: ქალი რომ დაიბადება, პირიქით, გლოვობენ: „ეჰ, ქალი ეყოლა და აბა ქალის ყოლას არყოლა სჯობია, ქალი რა იარაღით აიტანსო". მაგალითად, ქალები რომ ჰყავდეს და ვაჟი არა, მასზე იტყვიან — ეჰ, ძალიან კაი კაცია, რომ ერთი შვილი ჰყავდესო. ქალს შვილს არ ეძახიან. ოჯახი რომ საკლავს კლავს ხატში, თუ ვაჟიშვილი ჰყავს, ხუცესი ასე ახსენებს: „მამა-შვილების სამწყალობნოდ მოიკმარეო". ხოლო თუ ქალიშვილები ჰყავს, მაშინ ხუცობაში მარტო მამის სახელს ახსენებს და შვილებს არ უმატებს. თუ ვისმე ორი ან სამი ქალი ეყოლა და ვაჟი არა, მეორე, მესამე ან მეტი ქალის დაბადებაზე ნათესავები ტირიან კიდეც — უბედურია საწყალი, ვაჟი არ ეყოლაო. ხშირია შემთხვევა ცოლს ან დაითხოვენ, ან მეორეს მიიყვანენ, თუ პირველს ვაჟი არ ეყოლა.

ხუცობა და კურთხევა რომ დამთავრდება, როგორც ზემოთაც არის ნაჩვენები. ისევე სადიდებელი თასები დასტურ-ხელოსნებს უჭირავთ და მეორეები უმღერებენ. მღერასთან ერთად თასებსაც აუწევენ — დალიეო. ახლა თასიანებიც შეუმღერებენ და თავის თასებს მიართმევენ პირველ მომღერალს.

ამნაირად ორივე მხარე მღერას მოათავებს, თასებიც გამოიცლება და თასების ჩამოყრით მთავრდება ეს წესები. ღამისთევაც დამთავრდება. მერე ტაბლას დადგამენ და ზემოთ მოყვანილ ტაბლის ყველა წესს შეასრულებენ. ბოლოს სტუმრები წავლენ სახლებში, ჯვარიონნი კი ჯვარში რჩებიან.

მეორე დილით მესაწულეები ემზადებიან: ბავშვს გააბანებენ (საკლავი უნდა მიიყვანოს ყველა მესაწულეემ. ამ საკლავს ფეხებს დაბანენ, რომ ჯვარში სუფთა ფეხებით მივიდეს საკლავიც კი), ჩააცმევენ სუფთა და თბილ სამოსს. დილას ადრე მამაკაცები მიდიან ჯვარში, ხოლო ქალებს თავიანთი შვილები ჯვარიდან კარგა მოშორებით მიჰყავთ, რადგან ქალები ჯვართან ახლოს ვერ მიდიან. ხუცესი დარბასის კარში მესაწულეებს არ დააგვიანებს, ბავშვები უდედოდ დიდხანს ვერ დადგე-

ბიან, ქალები მინდორზე (იქ პატარა მინდორია) თოვლზე სხედან კალთაში თავისი შვილებით. ხუცესი შეასრულებს ყამის წირვის წესს და გარეთ გამოსული ჯერ ქალებს დაამწყალობნებს: „გწყალობდასთ, მანდილოსნებო, მიქიელის დავლათი, საწაღმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, წულები გაგიზარდასთ, მონდავები სხვებ შაგცასთ, ნუ შაგანანასთ ზღვნობა, ყმობა, მსახურობა". მერე მივა საკლაოსთან და დანით ხელში დადგება. დასტურები მესაწულეების მოყვანილ ყველა საკლავს ერთად დააყენებენ სასაკლავესთან. ხუცესი იხუცებს ყველას ერთად, მხოლოდ პირველ მოხსენებას ცალ-ცალკე ჩაატარებს. მაგალითად, ერთ მესაწულეს ჰქვია ბათირა, ხუცესი ამბობს": ღმერთმა ადიდას შენ ძალი, სახელ-სამართალი, მიქიელ მთავარო ანგელოზო, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სამსახური, პირის საბანი, შენის მეხვეწურისად ბათირაისად, მაგათ თავისად, ჯალფობისად, კაცისად, საქონისად საშველოდ, სახოიშნოდ მაიკმარი. საწულის რიგ არ დაუყრავა-დ შენს წყალობას ნუ დააკლებ".

ასე გრძელდება მოხსენება ყველა მესაწულეების საკლავისა ცალ-ცალკე, რამდენიც უნდა იყოს. მოხსენებები რომ მოთავდება, ხუცესი იხუცებს ყველა საკლავებს ერთად. ხუცობა და კურთხევა ჩვეულებრივია. საკლავის შესახელება და დაკვლა, რა თქმა უნდა, ისევ ცალ-ცალკე არის საჭირო. ამ საკლავების დაკვლის დროს ბავშვები, ე. ი. წულები რომელთა საწულეცაა, აქ უნდა იყვნენ და ვინმეს ხელში ჰყავდეთ აყვანილი.

ბავშვები ვისაც უჭირავთ, ისინი ხუცესთან ახლო დგანან, ხოლო ვის საკლავსაც შეუსახელებს და დაკლავს, ბავშვს ის კიდევ უფრო ახლო მიიყვანს. ხუცესი ბავშვს შუბლზე და გულზე სისხლს წაუსვამს. შემდეგ ვისაც უჭირავს, იმას გამოართმევს და წაიყვანს, სადაც კოშკი დგას, ზარიც იქ არის და დროშაც ახლოა, ეს ადგილი წმინდათაწმიდად ითვლება და გარდა ხუცესისა და ხელოსნისა, იქ ვერავინ მივა. მიიყვანს ბავშვს, ხუცესი დაიწერს პირჯვარს, შეაგორებს ბავშვს კოშკისკენ და იტყვის: „დიდო მიქიელ მთავარო ანგელოზო, შენდ მაუბარებავ ახალ წული (სახელს იტყვის), შაიხვეწენი, დალოცვილო, მიიბარე, გაზარდე, შენთ სახელიანთ ყმათაში გაური, გაზარდე, კაის ბედის კაც გამაიყვანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს. მაგის დედ-მამათ მონდავი სხო მიეცი, წულითა საწულით შაიხვეწნიდი კიდევ". ასეთივე წესით გაიმეორებს სხვა საკლავის დაკვლას და ბავშვის შეგორებას.

ეს წესები რომ მოთავდება, დასტურ-ხელოსნები და ხალხიც ჩვეულებრივად დაამწყალობნებენ მესაწულეებს. მერე ქალებსაც დაამწყალობნებენ: „წყალობა მიქიელისა, მანდილოსნებო, წყალობა. გიშველასთ დალოცვილმ, გიმეშვლასთ, სიხარულად გაგიჯადასთ, კიდევ

წულითა, საწულით შამაგიხვეწნასთ...“ და ა. შ. მერე დედებთან წაიყვანენ ბავშვებს, საწდით ლუდსაც წაუღებენ და ქალებსაც დაალევინებენ.

ლუდის დალევის შემდეგ ქალები წავლენ, ხოლო ჯვარიონნი კიდევ ამწყალობნებენ: „წყალობა წაიღით მთავარ-ანგელოზისა. წაღმ გამაყვასთ მთავარ-ანგელოზის დავლათი, სიხარულად გაგიჯადასთ დალოცვილმ“. ამ სიტყვებზე ქალებიც ნელი ხმით ლაპარაკს დაიწყებენ: „თქვენი იყოს მწყალობელი“ და შიდიან სახლებში.

მამაკაცები ამ დროს თავ-თავიანთ საკლავებს გაატყავებენ, ჩაყრიან ხორცს ყველანი ერთს მოზრდილს ქვაბში, მოხარშავენ, დააწყობენ გრძელ ფიცარზე პურსაც და ხორცსაც და დაუდგამენ ხალხს წინ. დასტურები ჩვეულებრივ გაუტეხენ პურს და იტყვიან: „ღმერთო, გაუმარჯვი ჯემწიფესა, ჯემწიფეო, შენ სწყალობდი შენ მეზღვნეებს მესაწულეებს. დაადგ წაღმ, შენი წყალობით შაინახენი“. ამას იმეორებენ ყველანი და გაინართება პურის და ხორცის ჭამა. აქვე ექნებათ ჩვეულებრივი კარახანები. ამას მოჰყვება ფეხზე მღერაც.

დამთავრებისას თასებიც გამოიცლება და შესრულდება ყველაფერი ჩვეულებრივი წესით. მესაწულეები ერთ საწდე ლუდს გზავნიან სოფელში. იქ მათი ქალები მოაგროვებენ სოფლის სხვა ქალებს და დაალევინებენ ლუდს ერთ-ერთი მესაწულეეს სახლში. ადღეგრძელებენ ახალ წულებს, უსურვებენ კიდევ განმეორებას ასეთი ბედისას. ამითი საწულეც დამთავრდება.

წელწადი

დასტურები ქრისტეს დღეობიდანვე „ადუღებენ ქვაბებს“. ასე გრძელდება წელწადამდინ. სულ ადუღებენ ექვს ქვაბს. თითო ქვაბი იყრის ათ საწყავს. წლწადში იდუღებს სულ სამოცი საწყავი ქერის ფორი ლუდად, სამ ქვაბს არაყს გამოხდიან. თითო ქვაბს ეყრება სამ-სამი საწყავი. ახლა პურისათვის, ქადებისათვის და ყველაფრად დაახლოებით ოთხმოც საწყავ ქერამდინ იხარჯება წელწადში. როცა ჯვარის ძნები გალეწეს, ჩალა მაშინვე მიიტანეს დასტურებმა და საკოდეში შეინახეს. ახლა ხუცესი რამდენ კოდსაც დადგამს და „შახყრის“, იმდენ ჩალას შემოადებს გარშემო, რომ კოდი არ გაციოდეს და ლუდი არ გაფუჭდეს. კოდს თავზე ფარდაგს დაახურავს, პირზე თოკს მაგრად შემოეპირებს და ზედ ჩალას დაადებს. კოდები და სხვა ყველა ხელსაწყო თავისი აქვს ჯვარს. პურიც, ზემოთ როგორც ვთქვით, თავისი აქვს და ინახება იქვე, ჯვარში. მამულები რაც საუკეთესოა, სულ ჯვარს უჭირავს. მას ხალხი ამუშავებს და ჯვარში საკმაო პურს ინახავენ. მამულები სულ შეწირული არის ხალხისაგან. თუ ვინმეს ჯვართან ახლო

მამული ჰქონდა, მკითხავი იმდენს იზამდა, რომ იმ მამულზე ხელს ააღებინებდა და ჯვარისათვის შეაწირვინებდა. მამულის პატრონს თუ ვინმე ავად გაუხდებოდა, მკითხავსაც ეს უნდოდა, ნამეტნავად თუ ჯავრი სჭირდა მისი. ეტყოდა — აგერ ის მამული რომ ჯვარის მამულზე გიძეს, იმას არ იხდენს. თუ ავადმყოფის მარჩენა გინდა, ეგ მამული უნდა შესწირო ჯვარსო. ავადმყოფის პატრონსაც მეტი არ უნდოდა. წავიდოდა, იმ მამულიდან წამოიღებდა მიწას, რომელიმე დღეობაში ერთ საკლავსაც მიაყოლებდა და მიწასაც ჯვარში მიიტანდა. ხუცესი საკლავს იხუცებდა ჩვეულებრივ, მხოლოდ შიგ ჩაურთავდა: „მიწა-თიჯათ შამამწირავს, მაგის თავს, ჯალაფობას, კაცსა და საქონს სწყალობდიო". საკლავს დაკლავდა, ტყავი და ხორცი ჯვარიონთ რჩებოდათ, მიწას იქვე კოშკზე გადააყრიდა და იტყოდა: „სწყალობდი, დალოცვილო, შენ მიწა-თიჯათ შამამწირავს (სახელი). სიხარულად გაუჯადი შენდ მიწა-თიჯათ შამაწირვაი. მაურჩინი ავადმყოფი". ასე შეიწირებოდა მამული. მკითხავის გარეშეც ხდებოდა მისი შეწირვა. თუ ვაჟიშვილი მეყოლება, ამა და ამ მამულს ჯვარს შევწირავო, — აღუთქვამდნენ და წირავდნენ კიდეც. ხანდახან უპატრონო მიცვალებულის მამულიც რჩებოდა ჯვარს. ქისტებზე გამარჯვებისათვისაც შესწირავდნენ მამულს. ამნაირად ჯვარებს ყველგან, ყველა სოფელში აქვს საუკეთესო მამულები. ხალხს ზოგიერთ სოფელში მამულები სულაც აღარა აქვს, გარდა სოფლიდან ძალიან დაშორებული მამულებისა. მაგალითად, გუდანში მამულები სულ ჯვარს უჭირავს. ხალხი სანახევროდ ხნავს და ნახევარს ჯვარს არგებენ. ახიელში რაც სოფლის ახლო მამულებია, რომლის განოყიერებაც შეიძლებოდა, სულ ჯვარს უჭირავს და ხალხი კი მთაკლდეში ხნავს. ჯვარის მამულის განოყიერებაც არ შეიძლება და ყრია საუკეთესო მამულები გაღარიბებული. მაგრამ მათი სიმრავლის გამო ჯვარში პური მაინც არ აკლდებათ.

ქვაბების დუღილის დროს ჯვარში დასტურებს ქრისტეს (შობასა) და საწულეობაში ნარჩენი ხორცი, ხავიწიანი ქადები და ლუდი აქვთ. სასმელ-საჭმელს არ იკლებენ. ისინი სამნი არიან. მოიყვანენ დამბმარეს — „ჩხანჩხს", „შულტას". არჩევენ ისეთ კაცს, რომელიც უფრო ხელმარჯვეა და აქაური საქმიანობა ეხერხება. მასაც აძლევენ განაწილების დროს პურისა და ხორცის წილს.

წელწადში იყვნენ „მეძენგლენი" კვირიწმიდელნი. იმათ „ძენგლად ედოთ" წელწადში დასტურებთან ერთად მუშაობა და დასტურობის გაწევა ყველა საქმიანობაში, ქვაბების დუღილიდან მოკიდებული დღეობის დამთავრებამდე. „ძენგლი" ედოთ შემდეგზე: ერთ კვირიწმიდელს შეხვდა მოსისხლე მტერი არხოტის ჯვარის გალავნის ახლოს. ის დაედევნა ხმლით მოსაკლავად. მოსისხლე გადახტა არხოტის ჯვარის გალავანში, კვირიწმიდელმა (კვირიწმიდა სოფელია) გადახტო-

მის დროს მოუქნია ხმალი და რაკი მტერმა გადაასწრო, მოქნეული ხმალი გალავნის ყორეს მოხვდა. იგი მტერს გალავანში აღარ გადაჰყოლია. კვირიწმიდელი ავად გახდაო, გადმოგვცემენ, და სისხლს ათხევდაო. მკითხავმა ისარგებლა ამით და უთხრა, რომ ძენგლი დაიდევით არხოტის ჯვარში, წელწადში დასტურობა და საკუთრად ერთი ქვაბის დუღებაო. ასეც იქცეოდნენ: კვირიწმიდის სოფლიდან ერთი კაცი წელწადში დასტურებთან ერთად დასტუროობდა და მონაწილეობას ღებულობდა როგორც ქვაბების დუღილში, ისე ყველა საჯვარო საქმიანობაში. ერთ ქვაბ ლუდსაც ადუღებდა საკუთრად და ბოლოს ნახორის განაწილებაშიც წილი ჰქონდა, როგორც სხვა ჩვეულებრივ დასტურს. ამგვარად, ქვაბების დუღილში და დღეობაშიც მუშაობდნენ ერთი დასტური კვირიწმიდელი, ორი ახიელელი და ერთი რომელიმე სოფლიდან (რიგით ვისაც მოუდის). მუდმივი დასტური ეტანება (ემატება) ორ ახიელელ დასტურს. ოთხი დასტური, ერთი ან ორი ჩხანჩხი საწელწდო ქვაბებს ადუღებენ. ქვაბების დუღილის დროს სოფლიდანაც იციან ახალგაზრდებმა მისვლა, მუსაიფი, ეხმარებიან კიდეც და სისწვენსაც სვამენ. ტკბილს ადუღებენ ცალკე ქვაბში დიდხანს, ბევრს აორთქლებენ. ბოლოს თაფლივით გასქელდება და ტკბილი საჭმელია. ამ საჭმელს ჰქვიან „ნარგი". ჯვარში ლუდი და არაყი მზადდება წელწდისათვის და არც სოფელში არიან სამზადისს მოკლებულნი. ყველა ამზადებს თითო ან ორი ქვაბის არაყს. რაც ოჯახს კარგი ექნება, ყველაფერს წელწდისათვის ამზადებენ. შოულობენ თხილს, კაკალს, თაფლს, ბორცს, ერბოს და სხვა. ქალები დღე და ღამე არ ისვენებენ და საწელწდოდ ახალ ტანისამოსს ქარგავენ და რთავენ როგორც თავისთვის, ისე ოჯახის წევრებისათვის. მიღებულია, რომ ახალ წელს უნდა შეხვდნენ ახალი ტანისამოსით. ამიტომ არის, რომ რაც კი ხევსურს კარგი გააჩნია, ყველაფერს წელწდისათვის ამზადებს. ზოგი კიდევ სახუმარო რამეებს აკეთებს, — ბერიკების ნიღბებს, რქებიანს, თხის თავს სახეზე გასაკეთებლად და სხვა. ზოგი ტყვია-წამალს ამზადებს, რადგან სახუმაროდ აქ იმართება „ბრძოლა". ამზადებენ აგრეთვე შეშას და ჩალათივას, რომ წელწადში უზრუნველყოფილი იყვნენ. შეშა მოაქვთ შორიდან ჯორებით. ჭრიან, ამზადებენ და აწყობენ, რომ წელწადში ისიც მზად ჰქონდესთ და დროსტარებაში ხელი არაფერმა შეუშალოთ. წისქვილებში ფქვილს საკმარისად დაფქვავენ, რომ არ შემოაკლდეთ დღეობაში. აქ პატარა წისქვილებია და საჭიროა წინასწარ ბლომად ფქვილის დამზადება.

ახალი წლის წინა დღეებში, რაც შეიძლება, სახლს დაალაგებენ. რადგან აქ შუა ცეცხლს ანთებენ, ჭერი სულ მჭვარტლიანია და ცოცხით ჩამოწმენდავენ. ავეჯი თუ სადმე რამე განათხოვრებული აქვთ,

ყველაფერს დაიბრუნებენ, რადგან არ შეიძლება ახალწელს სხვაგან რამე დარჩეს. (ხევსური იტყვის: „სანაწყევროი წელწადში საღონისა სხვაგან დარჩომაო“. საღონი — რამე საოჯახო ნივთი). ძროხების საჭმელად ჩალას და თივას დაამზადებენ, აურევენ ერთიმეორეში და მარჯვე ადგილას დააწყობენ, რომ წელწადში აღარ გაუხდესთ სამზადებად. ერთი სიტყვით, ხევსური კაცი წელწდისათვის ისე მოემზადება, რომ დღეობაში ერთი კვირის განმავლობაში საზრუნავი არაფერი ჰქონდეს. უკანასკნელად ყველა გამოხდის არაყს, დაახარისხებს და ისე შეინახავს.

სოფელში რამდენი მიცვალებულიც იყო იმ წელს, იმდენ ბოთლს კარგი არაყით ავსებენ და ცალკე ინახავენ, რადგან წელწად-დილას ყველა ჭირის პატრონი უნდა მოიკითხონ. ავსებენ აგრეთვე ერთ ბოთლ არაყს და ამასაც ცალკე დგამენ, რომ ვინც კვალს შემოუტანს წელწადდილას, იმას გაატანონ. ამგვარად სამზადისი აქაც მოთავდება და ჯვარშიაც. წინა დღეს ყველანი დაიბანენ ტანს, ჩაიცვამენ ახალ ტანსაცმელს და წელწდისათვის მზად არიან.

ჯვარიონთაც ყველაფერი დამზადებული აქვთ — არაყი, შეშა, ჭურჭელი, რაც საჭიროა ლუდისათვის, თუ სხვა რამე საჭიროებისათვის. ხავიწი დიასახლისმა ქრისტეს დღეობაშივე დაამზადა: ერბო აწყვით არის მოტანილი, ფქვილიც იმდენია დაყრილი, რამდენიც საჭიროა. ეს ყველაფერი მერე გაიყოფა იმდენად, რამდენიც ღამისსამთელო და ჟამისსაწირია. დიასახლისი ხავიწს ბაკანში დანით ჩათლის და აცხობს ქადებს. ეს სამზადისიც დიასახლისს მოშორებული აქვს.

დასტურები წინა დღით გამოხდიან ორ ქვაბ არაყს და მასაც ისე გაანაწილებენ, როდის რამდენი დასჭირდებათ, და ჩააბარებენ ერთ დასტურს. ლუდი ხომ ხუცესს აბარია და მის გარდა, გამონაკლის შემთხვევაში თუ შევა ხელოსანი, საკოდეში სხვა ფეხს ვერავინ შედგამს. წელწდის წინა დღეებში ხუცესიც და ხელოსანიც ტანს ხშირად იბანენ წყაროებზე. ტანის დაბანის წინ დალევენ ძალიან ცხარე არაყს; ამბობენ, რომ კაცმა თუ ცხარე არაყი დალია, რაც უნდა დიდი ყინვა იყოს, მაინც აღარ გაცივდებაო. ბოლოს დასტური წელწდის წინა დღეს შუადღის დროს მიდის დიასახლისის მოსაყვანად. დიასახლისიც გაზადებულია წამოსასვლელად. გამოცხობილი აქვს მასანთოები და ბოჭოლები (გიორგობის დღეობის აღწერილობაში ნათქვამია, თუ რა არის მასანთო და რა არის ბოჭოლა), დამზადებული აქვს შუშიც, სანთლის მაგიერ. ეს ყველაფერი ჩაწყობილია გუდაში; დამზადებული აქვს აგრეთვე ერთი ხელი სუფთა ლოგინიც — ფარდაგი და „გუდანური“ (გუდანური ჰქვიან ძალიან მატყლიანი ტყავებისაგან შეკერილ დასახურავს. რომელსაც ხევსურები საბნის მაგიერ ხმარობენ).

დასტური წამოიღებს ამ ლოგინს, დიასახლისი გუდას თავისი პურებით, როგორც ზემოთ ვთქვით, ისე მოანთებს. მონთების შემდეგ ქა-

დას ღებენ, ცალკე ინახავენ, ბოჭოლაებს კი იქ აწყობენ, სადაც მოანთეს. მონთება რომ დამთავრდება, დიასახლისს დაუნთებენ დიდ ცეცხლს, იგი შეუდგება ღამისამთელოს გამოცხობას. ამ დროს ჯვარიონნიც ემზადებიან, ჩახედავენ ლუდებს, გასათბობს გაათბობენ და სხვა თუ რამე მიზეზი აქვთ, იმასაც ეცდებიან გამოასწორონ, ამავე დროს რეცხავენ ძველ ჭურჭელს, ვერცხლსაც და სპილენძსაც.

ჯვარში მეკვლედ თითო კომლიდან თითო კაცი მიდის, მიჰყავთ ორი ჭედილა და ერთი სარიგო საკლავი. ხუცესი მეკვლეებს დაამწყალობნებს და შეუდგება ზუცობას-კურთხევას.

კურთხევასაც რომ დაამთავრებს, ხუცესი მერე კიდევ შეუსახელებს საკლავებს და იტყვის: „შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი, დიდო მიქიელო. ეს სამსაბურ-პირისაბანები, შენ ახიელელთად ტახტის ყმათად, მაგათ მეკვლეთად, მაგათ თავისად, ჯალაფობისად, კაცისად, საქონისად საშველოდ, სამწყალობნოდ, სახო-შნოდ მაიკმარი, გამარჯვებას შენსა, შენის გამჩენის ხთისას“.

ერთი დასტური აიყვანს საკლავს და გამოჭრის ყელს. მერე სხვა საკლავებსაც ასეთივე წესით დაკლავს. დასტურები შიიტანენ და იქვე საკლავე სიპზე დააწყობენ. სიპზე ფეხს არავინ დაადგამს, რადგან იგი წმინდად არის დაცული. ხუცესი დანას ჩააგებს ქარქაშში და იტყვის: „გწყალობდასთ მიქიელის დავლათი მეკვლეთ, საწალმართოდ მაგიარასთ, ნშვიდობით შაგინახნასთ, ბევრ მეკვლე წუხრა („მეკვლე წუხრას“ ეძახიან ამ საღამოს) მაგგვარასთ მშვიდობისა, კარგად ყოფისა“, ამასვე იმეორებს მთელი ხალხი, დაბოლოს ყველანი ამბობენ: „ყურით მაყურებელს გწყალობდასთ ჯემწიფის დავლათი, მშვიდობით გამყოფნასთ, ჯვარიონთ გწყალობდასთ, დასტურთ დასტურობა ნუ შაგანანასთ, ჯელოსან დიდხან გავიყოლას, ხოცეს ენა-პირ გიკურთხას, შაღცოდვად, შაუშენრად შაგინახას. დიასახლისს სწყალობდას, ნუ შაანანას კეთილის კაჭვაი. დიასახლისობაი“.

ერე მეკვლენი დასხდებიან, ჯვარიონნი ცოტა ლუდს გამოიტანენ. რომელი კოდიც ამ დროსათვის გახსნილი უნდა იყოს, იმას „სამეკვლეო“ კოდს ეძახიან. ეს ლუდი განსაკუთრებით კარგი უნდა იყოს. აქედან ერთი საწდე გამოაქვთ. მეკვლენი თითო-ოროლ თასს დალევენ ასეთი დალოცვით: „გამარჯვება ჯემწიფესა (მიქიელს ადვილად არ ამბობენ, რადგან წარამარა ხსენებას მას არ აკადრებენ), იმის წყალობა გქონდასთ ახიელელთ, მეკვლეთ. ბევრ მეკვლე წუხრა მშვიდობისა, კარგა ყოფისა მაგგვარასთ, რგებისა, გახარებისა, ერთუცის სიცოცხლისა“ — დალოცებიან და დალევენ. მოახლოვდება საღამოც, მეკვლენი ისევ წავლენ თავ-თავიანთ სახლებში, სადაც ყველა დაამზადებს ერთ ღერ სანთელს. ოჯახის დიასახლისს ყველა მეკვლისათვის გამოცხობილი აქვს თითო სასანთლე, (მოჭრდილ ქადას ზედ ადევს პატა-

რა ქადა — საკვირაო, ორივეს ერთად კი სასანთლე ეწოდება). ერთი ღერი სანთელი, სასანთლე და ერთი აღება შეშა, რასაც მოერევა კაცი, მეკვლემ ჯვარში უნდა მიიტანოს. მხოლოდ ჯერ სახლში ივაბშმებს და მერე მიდის ჯვარში. დაღამდება და მეკვლენი მოიყრიან თავს საქვაბეში, რომელსაც დასტურები საამისოდ წინასწარ დაალაგებენ. დარბასი არის ცალკე, სადაც ჯვარიონნი არიან, სადიასახლისო და საქვაბე ცალკე, მხოლოდ ფიცრით არის გადატიხრული.

მეკვლეთ თავისი მოტანილი შეშა დაწყობილი აქვთ საქვაბის კარზე, შიგ საქვაბეში ანთებენ შუა ცეცხლს. აქვე გრძელ ფიცარზე ერთიმეორის გვერდით დაწყობილია სასანთლეები, ზედ სანთლებით.

მეკვლენი გაგზავნიან ორ კაცს — „ნელუდეს". ისინი მიელენ დარბასის კარში, ჩვეულებრივ მადლს მოსთხოვენ და შემდეგ ეტყვიან ჯვარიონთ: „აშენდით, წალმამც წაგიოსთ დღეი დღეობაი". „დაშენდით, მაგვიხეით მშვიდობით, წყალობა ჯემწიფისა, წაღმ მაგეგებასთ ჯემწიფის დავლათი". „თქვენ იყოს მწყალობელი" — იქნება პასუხი. მერე გამოიტანენ და მელუდეთ დაალეენიებენ ლუდსაც და არაყსაც. ამის შემდეგ დაუსხამენ ლუდს და ისინი მეკვლეებთან წაიღებენ. ხუცესი მეკვლეთ ვერ უბედავს, რომ იყბედოს და ლუდი დროზე არ დაუსხას. აქ ზოგიერთი ისეთი ბიჭები არიან, რომ ხუცესს ბევრს არ ალაპარაკებენ. მეკვლეთ რომ ლუდს მიუტანენ, დაუდგამენ წინ და ეტყვიან: — „ლუდი წინა, ვაეებო". „მამტან ბედნიერი, მაგვიხეით მშვიდობით" — უპასუხებენ მეკვლენი და მიიწვევენ სკამზე. ხევსურებმა ძალიან იციან სკამზე ადგილის დათმობა და მიწვევა: მობრძანდი, გადმაეედი, აქ დაჯექი! კაი ადგილი არჩეული არის უფროსებისათვის, უნცროსები უფრო ბოლოსაკენ სხედან, კაცი რომ შემოვა, იტყვის „აშენდით", ყველანი ფეხზე ადგებიან და ეუბნებიან: „დამშვენდი, მაგვიხვე მშვიდობით, მშვიდობით შენ მასვლაი". შეიპატიჟებენ, მაგრამ ის არ მიდის საუფროსოში და იმართება ამის ირგვლივ ერთი ბრძოლა, როგორც იქნება დასხდებიან. ერთი-ორი დადგება ფეხზე და დაიწყებენ სმას, სვამენ მხოლოდ, საშმელი ჯერ-ჯერობით არაფერი აქვთ.

საკლავებს დასტურები გაატყავებენ, დაჭრიან ასო-ასოდ, „ხარჩამავალში" მოხარშავენ და ამოალაგებენ ფიცრებზე. მეკვლეები ღამის განმავლობაში ბევრს იცინიან, ოხუნჯობენ, მღერიან, ცეკვავენ და კაი დროს ატარებენ. შუაღამისას ჯვარიონნი გამოვლენ მეკვლეებთან, გამოიტანენ ვერცხლის თასებს და სანთელს. იმათ შემოსვლაზე ყველანი ფეხზე დგებიან და ეუბნებიან: „მაგვიხეით მშვიდობით, ჯვარიონნო, მშვიდობით თქვენ მასვლა" — „მშვიდობით დაგვხვდითა, გამარჯვებით, წყალობა მაგიტანეთ მიქიელისა" — ეუბნებიან ჯვარიონნი. სასანთლეებიან ფიცარს გადმოდგამენ ხალხის შუაზე, აანთებენ სანთლებს და დააკრავენ სასანთლეზე. ავსებენ ვერცხლის თასებს ლუდით, მისცე-

შენ ყველა მეკვლეს თასს და სანთელს და ხუცესი შეუდგება ხუცობას: „ღმერთო დალოცვილო, შენ დასწერი ჯვარი შეკვლეთ. ღმერთმა გადიდოს, ღმერთმა გაძლიერას, ღმერთმა მაგცას ცამდინ სიმაღლე, ზღვამდინ სიმაგრე, მიქიელ მთავარო ანგელოზო, შენად სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაიჯმარი ეს გარიგებული სეფე-სანთელი, სადიდებელი. შენ მეკვლეთად, მაგათ თავისად, ჯალაფობისად საშველოდ, სახელწინოდ მაიჯმარი. ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს. ამინ, დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელსა, ძალს ხთილას, ძალს კვერაისას, დიდება-დ გამარჯვება შენდა, მიქიელ მთავარო ანგელოზო“. შემდეგ ჩვეულებრივ გრძელდება ხუცობა და კურთხევა. ბოლოს მოჰყვება დამწყალობნობა; ჯერ ხუცესი იტყვის და მერე ყველა. (აქ) სადიდებელზე ყველა ჯვარი ხსენდება თითოობით, როგორც მოყვანილია ხვნის დაწყების დროს, მხოლოდ იქ ხუცესი ლაპარაკობს: „ამ სეფე-სანთელზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა“, აქ სეფე-სანთელსაც ამბობს და სადიდებელსაც, რადგან აქ ლუდიანი თასებიც არის და ამას ჰქვია სადიდებელი. იქ კი მარტო სასანთლეები იყო და სეფე-სანთელი ითქვა). გწყალობდასთ, მეკვლენო, საწალმართოდ მაგიარასთ. ნაკსენებთ ანგელოზთ დავლათმ, მშვიდობით შაგინახნასთ, ბევრ წელწად-ქრისტე მაგგვარასთ მშვიდობისა, კარგად ყოფისა. ბედნიერ წელი კვალ გამაგიცვალასთ დალოცვილმ. ჯვარიონთ მაგცასთ წყალობა, დასტურსა, ჯელოსანს, ხუცესს ენა-პირ გიკურთხას, შაუცოდვრად, შაუწყენრად შაგინახას. დიასახლისს სწყალობდას, მშვიდობით აშაყოფს, დიასახლისობა ნუ შაანანას“. ამ დამწყალობნებას რომ მოათავებენ, ისევ თასებით, ე. ი. სადიდებლით ხელში ფეხზე დგანან ყველანი და ხუცესი შეარისხებს ე. ი. დასწყევლის ცუდს და მოღალატე კაცს სოფელში. მას უჭირავს ლუდით სავსე სახუცო კოჭობი სანთლებით და იტყვის: „გაუწყრას მიქიელის დავლათი სოფელში ცუდს ენის კაცს, მეღალატეს, ცუდის ჯელისას (ქურდი), სოფლის გამტეხს. ღრისხევდას, მიზდიოს შვილით შვილამდინა, ქალის შვილამდინ. ნუ გამაიყვანას იმის სახლშიით ნუც ქუდიანი, ნუც მანდლიანი“. „ამინ, ღრისხევდას!“. — ერთხმად აქოთქოთდებიან მეკვლენი და გაჩუმდებიან. ხუცესი თავის კოჭობზე სანთელს სამჯერ გააკრობს და იტყვის: „გაკრას ეესრ მეღალატე, მავნე კაცისობაი!“. „ამინ, ღრისხევდას!“ — არის მეკვლეთ პასუხი. მერე ხუცესი თავისი თასიდან მთლად დაღვრის ლუდს მიწაზე და იტყვის: „დაიღვარას ეესრ მეღალატისა, სოფლის გამტეხის სისხლი მტრის ჯელით!“ — „ამინ! — იტყვიან მეკვლენი. ბოლოს ხუცესი რომელსაც თასს ისევ უვსებენ, სანთლებსაც უნთებენ, ამბობს: „სწყალობდას სოფელში მართალსა, მაგარს კაცს, სოფლის პირის დამწყობსა-დ სოფლის პირის სხვაკან არ გამტანს“. — „სწყალობდას“! — იქნება მეკვლეთ ხმა. ეს შერისხება დიდად სა-

შინელი ამბავი არის ხევსურების რწმენით. მეკვლეთაგან შერისხებული კაცი სულ ამოწყდება თავისი ნათესაობით, „შვილით შვილამდე და ქალით შვილამდეო“. სჯერათ, რომ თუ სადმე მათი ქალ-დაწული არის, ისინ-ც კი ამოწყდებიან, როცა მათ მეკვლენი შეარისხებენ. ხევსურეთში ასე სწამთ, რომ მეკვლეთ ღმერთიც და ჯვარიც იმდენ პატივს სცემენ, რომ ისინი შეარისხებენ ვინმეს თუ დაამწყალობნებენ, აუცილებლივ ასრულდება. ამიტომაც არის, სოფლის საიდუმლოს წვრილმანსაც კი ინახავენ და სხვაგან არ გაიტანენ. ასეთზე იტყვიან: „გაამრავლოს იმისობა, როგორც ქვიშა რიყეზედა, მასკვლავები ცაში“. „ამინ“ — არის მეკვლეთ პასუხი ერთხმად.

ამით შერისხება და დამწყალობნება მოთავდება. ხუცესი იტყვის: „თქვენა სამთავროდ, თქვენად გასამარჯოდ მაიკმარეთ ეს სადიდებელი, სეფე-სანთელი, თქვენ მეკვლეთად ახიელელთად საშველად, სახოიშნოდ, სამწალობნოდ მაიკმარეთ, მაგითამც დიდნი ხართ თქვენის გამჩენის ხთის კარზე“. ამ სიტყვებით ხუცესი თავის სახუცო თასს მაღლა ასწევს. ყველა მეკვლე იმის მსგავსად თასს მაღლა სწევს და ამბობს: „ისმინე, გაიგონე, გამარჯვება შენდა შენის გამჩენის ხთისად“. ამის შემდეგ ყველა იტყვის: „ჯვართ დიდებაი, მეხვეწურთ წყალობაი“. სვამს ყველა თავთავის თასს. თასი ყველამ უნდა გამოცალოს. აქ თასები ზოგი დიდია, ზოგი პატარა და ვისაც დიდი თასი აქვს, თავის თასს მიართმევს მცირე თასის პატრონს და ეტყვის: „მიშველეო“. ისიც ცოტას დალევს და მადლს გადაუხდის; ბოლოს მოთავდება თასების გამოცლაც და იტყვიან: „შავსვ თქვენის გამარჯვებისა. გწყალობდასთ ნაკსენებთ ანგელოზთ დავლათი“; ჩამოართმევენ ერთიმეორეს თასებს, ჩააწყობენ ერთ ქვაბში და ჯვარიანებთან ერთად დასხდებიან, ზედამდეგები ფეხზე დადგებიან სასანთლეებთან. ტაბლაზე დააწყობენ მოხარშული ხორცის ნაჭრებს და დაუდგამენ ხალხს წინ.

აქ მეკვლეთ ხელზე გატეხა არ უნდათ პურისა, რაც ვის სურს, იღებს და ჭამს ამ სიტყვების წარმოთქმით: „ღმერთო, გაუმარჯვი ყემწიფესა. ყემწიფეო, შენ სწყალობდი ჯვარიონთა-დ ამ მეკვლეთ, დაადეგ წაღმ, შენის წყალობით შაინახენი“. ყველას აქვს გალესილი დანა. ისინი თავისი დანით მოჭრიან სასანთლეს, ხორცს და ჭამენ.

დასტურ-ხელოსნები მეკვლეებთან დასხდებიან; თუმცა სასმელ-საჭმელი მათ დარბასში უკეთესი აქვთ, მაგრამ აქაც სვამენ, ჭამენ, ხუმრობენ, ოხუნჯობენ და ბოლოს გავლენ ისევ დარბასში. მეკვლენი კი განაგრძობენ დროსტარებას. გამოიგონებენ სხვადასხვანაირ ხუმრობას, მღერიან და სხვა. აქ იშვიათად ვინმე იძინებს, თეთრად ათევენ ღამეს.

როცა ჯვარში მეკვლე-წუხრას ეს აშბავია, აი რა ხდება ოჯახებში, ან მეკვლეთ ნარჩენ ჯარზე; მეკვლედ ხომ ერთი ოჯახიდან ერთი კაცი მიდის და ისიც უფრო ახალგაზრდა. მეკვლეთ ნარჩენ ჯარს, ვინც უფრო ახალი ჭირის პატრონია, ის იპოვის და დაალაგებს ჭერხოს, ყველას შეატყობინებს, რომ სოფლის ჯარი აქ რჩება და ამ ჭერხოში დასხდებიან. დალამებისა და ვახშმის შემდეგ ყველანი აქ იყრიან თავს — ხნიერებიც და ახალგაზრდებიც (ზოგ ოჯახში სამი-ოთხი ახალგაზრდაა, მაგრამ ერთი მათგანი მიდის მეკვლედ, სხვები სოფლის ჯარზე მიდიან). მოიყრიან ყველანი თავს და გზავნიან ჯვარში მელუდეებს, რადგანაც ამათაც მეკვლეთ ლუდიდან ეძლევათ ლუდი, რაც მელუდეებს მიაქვთ სოფლის ჯარზე. ისინი დადგამენ ქვაბს და ეტყვიან: „ლუდი წინა, ვაჟებო"! „მამტან ბედნიერი, მაგვიხვეით მშვიდობით!"[1].

თქვენსამც წინ ას ტაბლაიც, წყალიც, საპოხიც, ეს ავსებულ ყანწი. ჭურჭელიც, ეს სალაღებელიც (სალაღებელი — თხილი, კაკალი და სხვა ასეთი რამე, რომელიც საქიროში ბავშვებს გაახარებს და გალაღებს); თქვენსამც ნებას ას, მსჯელსა მჯავრესამც გარიდებსთ, საჭმიმარსამც გიზუბუქებსთ, მზითა, შუქით, სანთლითა, ელექტრით, ცოტა დიდად, რიოშ წმიდად (რიოში — უწმინდურება: მკითხავები ქალს რიოშიანს უწოდებენ, ე .ი. უწმინდურს), ფერუქცევლად, წაუქცევლად, მაუდევრად, მაუქცევრად. თუ ვინ მაგბიროოდასთ, მაგბრუნევდასთ, ოკრის სულმკვდარ იყოსა, სიძე-ცოლეულ იყოსა, დობილ-ძმობილ იყოსა. ძალითამც ნუ ვინ გამაგეკიდებინთ, თქვენითამც ნებით მისცემთა, გასცემთ, ჭელსამც გახკრავთა, კალთასამც გაიხვევით. შაგინდნასთ ღმერთმა, მაგაკმარასთ ქრისტიანობის გამჩენმ".

„შაუნდნას ღმერთმ" — ამბობენ სხვებიც.

სუფრის დამლოცავი ყანწზე კიდევ ილოცება და მერე დალევს: „დაგლოცნასთ, გადღეგრძელნასთ, ბევრ წელწად ქრისტე მაგგვარასათ მშვიდობისა, კარგა ყოფისა, ბედნიერ წელი კვალ დაგიყენასთ დალოცვილთ ახიელის სალოცავებმა" (ქალები, როგორც უწმინდურნი, სალოცავების სახელს არ იტყვიან) და დალევს არაყს. მერე ტაბლას მოუსხდებიან და ყველანი დაიწყებენ ჭამას. უფრო მთავარი საჭმელი აქ არის ხორცის გულიანი კეცეულები და ერბო. მეკვლე თეთრად განათენები არის და ხშირ შემთხვევაში იძინებს. იშვიათად იქნება, რომ მეკვლემ წელწადი დღე კიდევ გაიგოს და არ ეძინოს. სხვა ოჯახის წევრები კი განაწილდებიან, აიღებენ წინასწარ გამზადებულ არყიან ბოთლებს და ყველანი ახალი ჭირის პატრონების კარზე წავლენ. ამ წელს სოფელში რამდენიც მოკვდა, ყველას კარზე მივა ხალხი: აანთებენ გარეთ დიდ ცეცხლს და ყველა თავთავიანთი ბოთლები-

[1] ამის შემდეგ დაკარგულია დედნის 12 ხელნაწერი გვერდი.

დან ერთიმეორეს არაყს ასმევს, მხოლოდ ჯერ დალოცავენ ბოთლით არაყს იმ მიცვალებულისათვის, ვის კარზეც არიან. სოფელში ვინც ხვდებათ, ერთმანეთს ყველანი ულოცავენ ახალწელს. ბოლოს მთელი სოფელი ერთად იყრის თავს, დიდი და პატარა, ქალი და კაცი ახალი ჭირის პატრონის კარზე, აქვე მოვლენ დასტურნი და მოიტანენ ერთ დიდ ქვაბ ლუდს. ამოიღებენ თასებით, ჩამოარიგებენ, უფროსს ვინმეს დაავალებენ და ის დალოცავს: „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო უშველი ახიელელთ, ბევრ წელწად-ქრისტე მშვიდობისა მაღგვარე, კარგად ყოფისა. ღმერთო, შენის დიდებითა, ჩემის სიტყვის მაჯსენებით, ხთის წესითა, მღდლის წესით, იერუმსალეთის ნათლითა, ქრისტეს გარიგებით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდეს, წესი-სამართალი იყოს, სულს შანდობა მიუდიოდეს, ეს საწდეიც, ეს ავსებულ თასებიც სულსამც წელს რაიც ახიელას დაეკლდეს, იმათას მაეკმარების“. „შაუნდნას ღმერთმ“ — სხვებიც ამბობენ. თუ ვინმემ დაუძახა — „შანდობა ხუცესსო“, მაშინ იმას შეაძალებენ დამლოცავი თავის თასს, მაგრამ ის არ ჩამოართმევს — „ვინაც ლოც, იმან კოცნ“ — ეტყვის. ნერე იმ თასს დაცლის თვითონ, მეორეს აუვსებს და მისცემს იმას, ვინც „შანდობა ხუცესს“ დაუძახა.

მერე გაიმართება ლუდის სმა, მღერა და ცეკვა. მანამ საერთო წესებს ვიტყოდეთ, აქ ერთი პატარა ოჯახური წესი კიდევ დარჩა ალსაწერი: მეკვლე ხომ მოვიდა, მაგრამ ოჯახში არავინ შევა მანამდინ, სანამ კიდევ მეორე მეკვლეს არ შეატანინებენ კვალს. ოჯახს ჰყავს ვინმე არჩეული, უფრო ბავშვი, ვისი კვალიც, მათის რწმენით, კარგად აქვთ დაცდილი. მაგ. როცა მას კვალი შემოატანინეს, იმ წელმა კარგად გაიარა ოჯახის სასარგებლოდ. იმას ოჯახიდან დაუძახებენ და წაიყვანენ კვალის შესატანად. ეს მეკვლე რომ შეზობლის სახლში პირველად ფეხს შედგამს, იტყვის: „შამავდგი ფეკი, გწყალობდასთ ღმერთი, ჩემიმც კვალი კარზე დაგიხვდებისთ, წულიანი, პურიანი, სახელ-სარგებლიანი“. ამ საუბრით შევა და დაჯდება სკამზე. აქ მას, რითაც შეუძლიათ, კარგად გაუმასპინძლდებიან და ერთ ბოთლ არაყს, ხმიადს, ერბოს და ყველს, ერთმანეთზე დაწყობილს, სახლშიც გაატანენ. არწაღება არ შეიძლება; თუ აქვთ, თხილსაც ჩაუყრიან ჯიბეში. ზოგ ოჯახს კარგად აქვს დაცდილი ძაღლის კვალი: ნათქვამი არის, რომ ერთგული ვიღაცა უნდა იყოს კვალის შემტანი, რომ ოჯახზე კარგს ფიქრობდესო და ძაღლზე ერთგული პატრონს არავინ ჰყავსო. ამიტომ მისი კვალი ძალიან კარგიაო. ამის შემდეგ ყველას აქვს ნება ოჯახში შესვლისა, მანამდე კი იკითხავენ — კვალი შეტანილი აქვთ თუ არა, და თუ არ შეუტანიათ, მოსული კაცი უკანვე გაბრუნდება.

დავუბრუნდეთ ისევ საერთო წესს. ჭირის პატრონის კარზე სმა, მღერა და თამაშობა გრძელდება, აქ მთავარ როლს თამაშობს თვითონ ჭირის პატრონი. როცა აქ ყოფნა მოსწყინდებათ, ახლა გამოიგონებენ რამე ხუმრობას, წავლენ ჯვარში, ან „დაამბენ ფერხისას“ და მღერიან ორ გუნდად საგმირო სიმღერებს. ჩაიყენებენ წრეში ხანდახან ქალებსაც, მხოლოდ ქალები არ მღერიან. დანარჩენი ბავშვები და ქალები წრეს ანუ ფერხისას უკან გაჰყვებიან; ფერხისა სოფლიდან წავა ჯვარში ასეთი სიმღერით:

„აიმა მთაზე გადმოჯდა, ვეფხვ-ლომთა ნატოტარიო,
შადგეს საწვიმრად ღერბელნი, შიგ ჩადგა ნაგუბარიო,
საკრეფლად შამაშჩეეიყვა ეგ ბაგრატივნის ქალიო,
მაგან სხო შამაშჩეეიყვა ერთი ურჯულო, მყრალიო“... და სხვა.

თუ ჯვარში მისვლამდე ერთი სიმღერა გამოილია, მეორეს იტყვიან. სიმღერის ორ გუნდად მღერით მიუახლოვდებიან ჯვარს. ქალები გამოეყოფიან და მინდორზე დასხდებიან, მამაკაცები განაგრძობენ გზას და სიმღერით მივლენ დარბაზის კარში. იქ დაიშლებიან, მადლს მოსთხოვენ ჯვარს, მერე ისევ ჩაებმებიან და განაგრძობენ სიმღერას. ჯვარიანები გამოვლენ და ეტყვიან: „მაგვიხვეით მშიდობით, წყალობა ჯემწიფისა“; ისინი მღერას განაგრძობენ, მხოლოდ მადლობის ნიშნად ჯვარიონთ თავს დაუკრავენ. ჯვარიონნი გამოიტანენ არაყს, ლუდს, ჩადგებიან წრის შუაში (მომღერლები წრიულად ნელა გარშემო ტრიალებენ) და დაალევინებენ ყველას. დაიშლება ფერხისა და დასხდებიან დარბაზის კარში. ფერხისას დაალევინებენ „საშიგაო“ ლუდს (საშიგაო ლუდი ჰქვია, რომელიც იხარჯება შიგ დარბაზში, — ე. ი. ჯვარიონნი რომელსაც სვამენ. ეს ლუდი არის საუკეთესოდ გაკეთებული, მეტად ნადღარი და სვეც მეტი აქვს. ბევრი დულილისაგან გასქელდება და საუკეთესო დასალევია, ადვილადაც ათრობს).

დარბაზის კარში გამოიტანენ სასოფლო ლუდს (საშიგაო ლუდზე დაბალხარისხოვანია) და დაიწყებენ სმას, ქალებსაც გაუტანენ ერთ-საწდე ლუდს. იქვე, სიცივეში, ცოტას დაალევინებენ და ცეკვაც იმართება გარეთ. მერე ქალები ერთ-ერთ მახლობელ სახლში წაიღებენ ლუდს, ახალგაზრდებიც იქ წავლენ და გაიმართება მხიარულება — ცეკვა, მღერა, ოხუნჯობა და, რასაც ვინ გამოიგონებს, სხვადასხვანაირი გართობა.

ამ დროს ხნიერი ხალხი სოფელში ერთიმეორეს ეპატიჟება ოჯახებში. სვამენ არაყს, აკეთებენ მწვადებს და ატარებენ დროს. ახალგაზრდები კი ოჯახს და მოხუც ხალხს ახლო არ ეკარებიან და ერთობიან თავისთვის. თუ სოფელში ახალმოყვანილი რძალია, მის პატივსაცემად და მის გასართობად ხნირად იყრიან თავს იმ ოჯახში, მიიტანენ

ლუდს და ყოველდღე იმართება მხიარულება. ჭირის პატრონი ჭერხოს დაალაგებს, დააწყობს ხეებს სკამებად ჯარისათვის. სოფელში ლხინი და მხიარულება მთელ დღეს გრძელდება, აგრეთვე ოჯახებში პატიჟი. ხალხი ამ დღეს საკმარისად მთვრალია და ხშირად ხანჯლით ჩხუბსაც აქვს ადგილი.

საღამო ჟამზე ბავშვებს გაგზავნიან და შეატყობინებენ ყველას, რომ სოფლის ჯარი დასხდება ამა და ამ ჭერხოში. დაღამდება და ყველანი მივლენ. ვინც მივა, ყველა მხარზე დაწყობა შეშას მიიტანს ღამე ცეცხლის დასანთებად. დასხდება ხალხი და გაგზავნიან ჯვარში მელუდეთ. ისინი წაიღებენ ქვაბს, საწდეს და კეტს, მივლენ დარბასის კარში, მაღლს მოსთხოვენ და ჯვარიონთ ეტყვიან: „აშენდით, ჯვარიონნო, წაღმამც წაგივათ დღეი-დღეობაი". „დამშვენდით, მაგვიხვეით ნშვიდობით, წყალობა ქემწიფესა, მელუდენო" — ეტყვიან დასტურ-ხელოსნები. მელუდენი დასხდებიან, ჯვარიონნი გამოუტანენ და დაალევინებენ ლუდს, ხანდახან არაყსაც, არყის დახარჯვას უფრო ერიდებიან და თუ ძალიან პატივსაცემი სტუმარი არ შეხვდა, არაყს არც დაალევინებენ, ლუდს კი ძალდატანებითაც ასმევენ. მერე ხუცესს ეტყვიან — ლუდი დაუსხი მელუდეებსო. ხუცესი კი კაი გუნებაზე არის, რამდენიმე ხანს კიდევ „აწვალებს" და ბოლოს მაინც დაუსხამს. მელუდეებიც მათთვის დასხმული ლუდიდან ამოუღებენ და დაალევინებენ იქ მყოფებს. მერე ასწევენ ქვაბს კეტით, მოიტანენ (განსაზღვრული არის, რომელ დღეს რამდენი ლუდი მიეცემა სოფელს) და დადგამენ ჯარის წინ. უფროსებმა შეიძლება საწდე დალოცონ, შეიძლება არა, მხოლოდ ხშირ შემთხვევაში კი ილოცება ახალ მიცვალებულებისათვის. მერე შეუდგებიან სმას. შეიძლება ჯარზე შეხვდა ერთიმეორეს ძველი „მამკლავ-მამკვდარი". დამნაშავის ნათესავი დაზარალებულს ნათესავთან სკამზე არ დაჯდება და ხელში თასს არ დაიჭერს, არც დალევს, ვიღრე დაზარალებულს ლუდიან თასს არ გაუგზავნის. ვინც ლუდს არიგებს, იმას ჩუმად ეტყვის: ჩემ მაგივრად „პატივი" მიუტანე იმედას (იმედა, დავუშვათ, პირობით სახელად). ლუდის ზედამდგები აუვსებს და მიუტანს თასს იმედას და ეტყვის: ეს თასი ამა და ამ კაცმა წარმომადგინა შენთან პატივად. იმედა ეტყვის: „არას უხედავ მე მაგას, თავის თავს დააყენებს" და გამოართმევს თასს. ამ დროს თასის გამგზავნი, ე. ი. დამნაშავე გვარის კაცი, წავა და კარების მხარეზე ჯარის ბოლოში „მუხლით" ე. ი. ცალ მუხლზე დაჯდება. იმედა ვინმე უფროსს ეტყვის: „ეს თასი ჩემის სირცხვილიაი ას. მე მაგას თასს არას უხედავ (არ ვავალებ), მაგრამ თავის თავს აყენებს. ადეგი, ემ თასს სიტყვა უთხარი". უფროსი კაცი ჯერ კი იუარებს — სხვა ვინმე ეტყვის სიტყვას, მე „გადაეამყრუებული" ვარ, აღარაფერი ვიცი, მაგრამ ბოლოს მაინც ადგება თასიანი კაციც (თასის გამგზავნი კი მუხლზე ზის თავ-

დახრილი). უფროსი იტყვის: (დამნაშავის სახელი, დავუშვათ, გიორგია) „ღმერთო, დიდება შენდა! ღმერთო, მადლი შენდა! ღმერთო, უშველი ახიელელთ, ბევრ წელწად-ქრისტე მაღგვარი მშვიდობისა, კარგა ყოფისა, ღმერთო, გაუმარჯვი მიქიელსა. მიქიელო, შენ სწყალობდი ამ ერეუცის მაედავთ იმედასა-დ გიორგის, შუ გაუარი, დალოცვილო. წალმ მაუარი, რაც ავი ჩამალვარდნივ, ნუღარა ავს ჩამაუგდებ. მიქიელო, ნუ იქ ისრ იმედის საქმეს, რო კაცნ არ ხედევდან, პატივ არ მიეგდიოდას. დიდებულო მიქიელო, ნუც გიორგის საქმეს იქ ისრ, რო გასაგო არ გაიგას, საპატიოს პატივ არ დაზდოს. მიქიელო, შენის დიდებითა, ჩემის სიტყვის მაჯსენებით, ხთის წესითა, მღდლის წესით, იერუსალეთის ნათლით, ქრისტეს გარიგებით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, სულს შანდობა მიუდიოდას, ეს თასი სულსამც გიორგის მამისას მაეკმარების“ — „შაუნდნას!“ — ამბობენ სხვებიც. მოიგონებენ დამნაშავე გვარის მიცვალებულს და იმისათვის ეტყვიან თასს შენდობას, წესი ასეთი არის.

მერე თასს დალევს, ვინც დალოცა, ის. მეორე თასს ააკსებენ და მიართმევენ ისევ იმედას გიორგის მაგივრად, ამ მეორედ გაგზავნილს ჰქვია „სასმელად გაგზავნილი“ თასი. გიორგი ისევ ცალ მუხლზე ზის, იმედა დაილოცება და დალევს. შეიძლება თასის მომტანი ე. ი. გამომგზავნი ადღეგრძელოს. დალევის შემდეგ მუხლზე მჯდომ გიორგის ეტყვის: „ადეგ, გიორგი, ადეგ. ინ შენ არას გიხედავ“. ააკსებინებს იმედა თასს და გაუგზავნის გიორგის. გიორგი ფეხზე დგება, ხათრიანდ, ნელის ხმით იმედას ადღეგრძელებს და დალევს. შეიძლება იმედამ გიორგი წამოიყვანოს და სკამზე დასვას. თუ გიორგის იმედა არ დასვამს სკამზე, გიორგი სულ მუხლზე იქნება დაჩოქილი ხალხის ბოლოში. მხოლოდ ის იმედას თვალწინ ვერ ითამაშებს, მისი გაგონებით ვერც იჩხუბებს, თუ ვინმე საჩხუბრად იწვევს და ეშარება, მაშინ ეტყვის: ხათრი იმედასი, თორემ ეგრე ვერ ილაპარაკებდიო. მაშინ ჩაერევა იმედა იმათ ჩხუბში და ვინც გიორგის ეშარებოდა, იმას თვითონ გასცემს პასუხს.

პატივის მიცემა არა მარტო სოფლის ჯარზედ ხდება, არამედ ყველგან, სადაც ერთიმეორეს სმაში შეხვდებიან. პატივს რომ მიუტანს, დაზარალებული ნებას მისცემს დამნაშავეს, რომ თავისუფლად იყოს, იმხიარულოს, იმღეროს და სხვა, მაგრამ ის მაინც არ მხიარულობს დაზარალებულის თვალწინ.

ასე ჯარზე იმართება სმა და ყველა წესის შესრულება. ახლა საჭირო მეთასეთ გაგზავნა. ისინი მიდენ ჯვარში და მადლის მოთხოვნის შემდეგ მიესალმებიან ჯვარიონთ. ჯვარიონნიც მიეგებებიან და შეიპატიჟებენ დარბაზში. ისინი იხდიან ქუდებს, ეგვედრებიან მთავარანგელოზს და კოცნიან იქით-აქეთ ყარის ჩარჩოებს. ამ ყოფით და

ხათრით შეელენ დარბასში. იმათ მიაქვთ სოფლის ჯარიდან ჯვარიონთათვის პატივსაცემი რამე, ან არაყი, ან ოჯახიდან გაგზავნილი სხვა რამ. მეთასეთ ძალიან პატივს სცემენ, მერე აიღებენ ჯვარიონი საწდეს და ჩაუსხამენ კოშით ლუდს, იმდენ კოშს, რამდენსაც ძველ სახელგანთქმულ კაცს მოიგონებენ ახიელში, ქისტებთან და ლეკებთან მებრძოლს, ან მაშინდებულად სხვა რამე სასახელოს ჩამდენს.

რამდენსაც თასს ჩაასხამენ საწდეში, ეტყვიან იმდენი ძველი გმირის სახელს. მაგ., ჩაასხამენ კოშს და დააყოლებენ: „შაუნდნას კვირიკათ კუკუას"; მეორეზე — „შაუნდნას ალიათ ახალას" და ა. შ. ეს ყველა ზეპირად უნდა დაიხსომონ მეთასეთ და ჯარზე რომ დაბრუნდებიან, ამოუღებენ იქ ხალხს იმდენივე თასს და ეტყვიან ისევ იმ გმირების სახელებს — „შაუნდნას" დამატებით. ბოლოს ჯვარიონნი მეთასეთ დაალევინებენ თითო ლუდიან თასს, რომელსაც „მეთასეთ თასს" ეძახიან. იგი ძალიან დიდი მოცულობისა არის. მერე იღებენ ფანდურს და მისცემენ ერთ უფროსს ხელში, იგი დაჯდება ცალ მუხლზე, დაუკრავს და ამ სახელოვანი კაცებიდან, რომლებისათვისაც მეთასეთ თასები დაიცალა, ერთ-ერთზე საგმირო სიმღერაჰ იმღერებს.

ამნაირად წელწადი-დღე და მისი წესები მთავრდებოდა. მხოლოდ წელწად-დღეს ყველა ჯვარში რჯულის საქმე და სხვადასხვა საკითხები მუშავდებოდა. ზოგან მაჰ ყრილობის სახეს აძლევდნენ, ზოგან ქადაგს დასვამდნენ და სხვა.

მაგალითად, მკითხავს (ე. ი. ქადაგს) სვამდნენ ლიქოკში, გუდანში, როშკაში, ხახმატში და ძალიან ძველად არხოტსა და შატილშიც. მერე არხოტსა და შატილში აღარ იცოდნენ მკითხავის დასმა, სხვა ჯვარებში კი გვიანობამდის ეგრძელდებოდა. სადაც მკითხავი არ იყო, აქ ისე ლაპარაკობდნენ საერთო საჭირბოროტო საკითხებზე. იყო, მაგალითად, რომ რომელიმე გვარი გვარს იქნებოდა გადაკიდებული და ხოცავდნენ ერთიმეორეს, ამათი შერიგების შესახებ დაისმოდა საკითხი ჯვარის ჯვარიონთა და სხვა არჩეული კაცების დახმარებით. ამ ჯვარში მოაჰდენდნენ მათ შერიგებას, ე. ი. ერთად შეყრას. ჯვარით შერიგება იყო მტკიცე და საბოლოო. აგრეთვე სადავო სასისხლო საქმე რამე იქნებოდა გაურჩეველი და ამისი საკითხიც ამ ჯვარებში წყდებოდა აქ რაც გადაწყდებოდა, სისრულეში მოჰყავდით ჯვარისა და თემის სახელით, რადგან ზემო ჩამოთვლილი ჯვარები, გარდა გუდანის ჯვარისა, სათემონი არიან, გუდანის ჯვარი კი მთელი ხევსურეთის საერთო საყრილობო იყო და ცენტრიც აქ იყო ხევსურეთის რჯულისა, ლაშქრობისა და სხვა.

წელწადის შემდეგ ხალხი კითხულობდა, თუ რა ითქვა გუდანის ჯვარში აქ ქადაგისაგან და ან „მბჭე-ჯვისბერთაგან" („მბჭე" — საქმის

გამბჭობი და „ჭევისბერი“ — ჯვარის მოსამსახურე, რომელიც უშუალო მონაწილეობას ღებულობდა პჭობაში). მბჭე-ხევისბერში უბრალო კაცები ვერ შევიდოდნენ, ისინი უნდა ყოფილიყვნენ სახელ-დამსახურებული ხევსურეთში როგორც ხალხთან, იაღეე ჯვარიოვთანაც. ისინი ხევსურეთის ბედიღბალს მართავდნენ და ეს ხუმრობა ამბავი არ იყო. თან მბჭე-ხევისბერი უნდა ყოფილიყო ძალიან კარგი მცოდნე ხევსურეთის წარსულისა. ასეთ კაცს სოკვდილის შემდეგ ხევსურის ქალები ტიროდნენ: „მაგალო მბჭე-ჭევისბერჩიაო“... ყველამ იცოდა, რომ ეს ხევსურეთში დიდი კაცი ყოფილა და გულით იგლოვდნენ მას. ამ ჯვარების ირგვლივ ჩვენ ერთ-ერთ ადგილას აწერილი გვაქვს, მაგრამ აქაც გვინდა მოვიყვანოთ წელწადთან დაკავშირებით, თუ ამ დღეს სად რა კეთდება, სად არის ცენტრალური ხევსურეთის ჯვარი, სად სათემო, სად სასოფლო და საგვარო.

ხევსურეთის ცენტრალური სალოცავი, როგორც ვთქვით, გუდანის ჯვარი იყო. წელწად-დილას ქადაგი იქადაგებდა სად, რომელ სოფელში რა ხდებოდა. თუ რომელიმე სოფელში საშინელი გადაკიდება იყო გვარებისა, ქადაგი იქადაგებდა გუდანის ჯვარის ბრძანებას, რომ მბჭე-ხევისბერთ ნოდაეები აქ დაბარონ და მოუღონ ბოლო ამ სადაო საქმეს გუდანის ჯვარის დაბმარებით. ქადაგობდა კიდევ სოფლების სადაო ადგილების გარშემო და როგორც გუდანის ჯვარის ბრძანება იქნებოდა, საკითხი ისე წყდებოდა. თუ ქალის თაობაზე იყო დავა (პიროვნებებს შორის კი არა, გვარებს შორის) და ორი გვარი ერთიმეორეს ხოცავდა, აქაც ჯვარი ბრძანებდა ქადაგის პირით ან ორივესაგან თავის დანებებას, ან ერთ-ერთ მფთვანს აკუთვნებდა ქალს; მეორეს — დრაშის აღებას და ეს საკითხიც ასე ბოლოვდებოდა. ან კიდევ ლაშქრობის საკითხზე, თუ სადმე ამ წელწად-დილას ბრძანებდა გუდანის ჯვარი წასვლას და გალაშქრებას, ეს ურყევი იყო და დანიშნული დროისათვის ემზადებოდნენ. ან თუ ხევსურეთის რჯულში რაიმე საკითხი ცუდად იყო და საჭირო იყო შეცვლა, აქაც ცვლილების შეტანას იტყოდნენ. კიდევ სად რომელი სათემო სალოცავი რას ფიქრობდა ,ამასაც იქადაგებდა. გუდანის ჯვარის ქადაგი მთელი ხევსურეთის მასშტაბით ქადაგობდა და ქადაგობის დროს ისე იჭერდა თავს, ვითომც აშკვეყნიური აღარაფერი იცოდა და ანგელოზებთან იყო გართული. მაგალითად, იტყოდა: „არხოტის ჯვარმა ჯიხვის თავ-რქანი გადმოხყუდნა, ქისტებსა და არხოტივნებს კიდევ მოუხდება რამე ბრძოლაო“. ჯიხვის თავ-რქათ გადმოყუდება მკითხავის ენით ნიშნავდა ქისტის მოკვლას, არხოტის ჯვარმა რომ „გადმოხყუდნა“. იმის ყმათაგან ვინმე მოჰკლავდა ქისტს. თუ ვინმე მტრისაგან ზიანდებოდა, მაგ. არხოტის ჯვარის თემებში, იტყოდა: „არხოტის ჯვარმა გვერდი წაიბრუნნა და არხოტივნები მტრისაგან დაზიანდებიანო“. დასახელებდა კურეტს ან ხარს დასაკლავად,

რომ არხოტის ჯვარი „თავის ტახტის ყმათაკე პირწალმა ბოძრეზებულიყო“ და მათთვის ზიანი აეცილებინა. ამასაც სიხარულით ასრულებდნენ, თუკი მარცხს გადარჩებოდნენ. ასე მრავალ საკითხებზე ქადაგობდა ქადაგი.

წელწადი დღე რომ დაღამდება, ჯვარიონნი ღამეს უთევენ. საჭირო ღამისამთელოს დიასახლისი გამოაცხობს ჩვეულებრივი წესით, დასტურები გაიტანენ დარბაზში და აწყობენ სპილენძის მრგვალ სამფეხა ტაბლაზე, დადგამენ ზედ სამ ვერცხლის თასს, აავსებენ ლუდით, სანთელსაც აკრავენ ზედ და ხუცესი შეუდგება ჩვეულებრივად ხუცობას ცოტა სიტყვების განსხვავებით: „ღმერთმა ადიდას შენი ძალი, შენ სახელი, დიდო მიქიელ მთავარო ანგელოზო. შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სეფე-სანთელი, სადიდებელი, შენ ახიელელთად, ტახტის ყმათად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიკმარი (ამ დროს ხელოსანი გავა და ზარს რეკს). შენ დაეკმარი, დალოცვილო შენთ ყმათ, ბევრ ბედნიერ წელი, კვალი გამაუცვალი, შენ დაუყენ წელ მშვიდობისაი, შენ დააყენენ წლის მცველნ ანგელოზნი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს. ამინ, დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღეისინდელსა, ძალს ხთისას, ძალს კვირიასას“... და ასე შემდეგ. მოთავდება ხუცობა და კურთხევაც. თასებს იღებენ ხელში და ხუცესი კიდევ შეუსახელებს: „ამ ჭიქა-ბარძიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა მიქიელ მთავარო ანგელოზო“ და ა. შ.

ჩვეულებრივი მოხსენების შემდეგ თასებს დალევენ. უთასოები თასიანებს ფანდურზე უმღერიან. როდესაც ეს ამბავი მოთავდება, თასებს თავის ადგილზე დადგამენ („მიაბრძანებენ“). აქვე იბარშება ხორცი. ხუცესი ღამისამთელოს ჯვარად დანას გაუსვამს ამ სიტყვებით: „ღმერთო, გაუმარჯვი ჯემწიფესა, ჯემწიფეო, შენ სწყალობდი ამ ჯვარივნებსა, ჯელოსანს, შენი წყალობით შაინახენი“. დასტური დანას გამოართმევს და ღამისამთელოს დასჭრის პატარ-პატარა ნაწვრეთებად, მხოლოდ ერთ მეოთხედს დიასახლისისთვის ცალკე გადადებს. ნაწვრეთებს დააწყობს ტაბლაზე. ხმიად-საკვირაოებს ხუცესისთვის ცალკე გადადებს, ხორცსაც დააწყობს ტაბლაზე, დააყრის მარილსაც და წინ დაუდგამს სუფრას ჯვარიონთ (შეიძლება სტუმარიც ვინმე იყოს). პურს აიღებს ზედამდეგი და ყველას ხელში მისცემს — „აკლიჩეთ პური“ — ეტყვის. ისინიც ჩვეულებრივ ილოცებიან. სუფრას მოჰყვება ლუდიანი კარახანების დადგმა.

კარახანებს მოჰყვება ისევ მღერა ჩვეულებრივ ფეხზე მდგომელებისა. მღერიან საგმირო სიმღერებს, თუ არის იქ მყოფების გვარის საგმირო სიმღერები, უფრო იმათ.

ტერელოს ჭალას ყორანო, რად ეთელები ჩდილსაო?
არიან ბადურიკანი, მაზდევენ თავის ჭირსაო.

ახლა თასიანებიც სიმღერითვე უპასუხებენ პირველ მომღერლებს:

> რაად გეშინის, შატილო, ყამს რაად ყაკ მტრისასა,
> ორლოლ დავასხამ ტყვიათა თოფს თეთრაულის ძისასა,
> არც თიკანს წავაყვანიებ იმ თქვენის ქაისკრისასა,
> დაეხვედი მეთოფეებსა ამ წვერსა ჰაუხისასა.

სიმღერებით მოთავდება სუფრის წესები და ბოლოს თასებს რომ თავის ადგილზე დადგამენ, სუფრასაც აიღებენ ამ სიტყვებით: „ღმერთო, გაუმარჯვი ქემწიფესა, ქემწიფეო, შენ სწყალობდი ამ ჯვარივნებს, დასტურ-ქელოსნებს, დაადეგ წაღმ, შენი წყალობით შაინახენი". მერე კიდევ დასხდებიან, სვამენ ლუდს და ლაპარაკობენ წარსულ ამბებზე, უფრო ჯვართ გარშემო.

ბოლოს ჯვარის დასტური ხუცეს-ხელოსნებს გაუშლის ლოგინს. ძირს გაშლის ჩალას, ზედ ფარდაგს გაფენს და ზედ დასახურავი აქვთ ცხვრის ტყავებისაგან შეკერილი, რომელსაც ჰქვია „გუდანური". თვითონ გავა და სადმე საქვაბეში ან დარბასში დაიძინებს. ხუცესს სპეციალურად თბილი გუდანური აქვს შეკერილი „საჯვარშიგოდ" (ასე უწოდებენ ამ გუდანურს). მას სახლში არ იხურავს და შენახული აქვს მარტო ჯვარში დასახურავად. ჯვარნი დარბასიც და საქვაბეც ძალიან ცივია. არ შეიძლება კედლების გალესვა, რადგან, ამბობენ, ჯვარს არ უნდა გალესილი კედლებიო. ამიტომ არის მშრალად აგებული ყორე და კედლებში თავისუფლად გააქვს და შემოაქვს ქარს თოვლის ბუქი. ხანდახან ნაწოლ კაცზე ნაქარ თოვლს დადებს, რადგან აქ ზამთარში ქარბუქი ძალიან ხშირად იცის. ერთი თქმულება არის, რომ თურმე ერთმა კაცმა მოინდომა დარბასის კედლების ლამკირით გალესვა. და შეუდგა ლესვას. მას ერქვა ტუშური. ამ დროს ხმა მოესმა: — ტუშურო, ნუ მცხებ კირსა, თორემ გაგცხებ ჭირსაო, მოხვდა სილა სახეში უხილავად და იქვე მკვდარი დაეცაო. ამიტომ არის, რომ არსად არ არის გალესილი ჯვარში კედლები. ყოველთვის ანთებენ შუაცეცხლს, წვავენ ბევრს შეშას, მაგრამ მაინც დიდი სიცივე არის.

კუმეტი

მეორე დილა თენდება — „კუმეტი" დღე (აქ წელწადი ერთ კვირას გრძელდება). კუმეტს-დილით დასტური ადრე ადგება. ვისაც არაყი აბარია, ასპამს ვერცხლის სურაში უფრო მაგარ არაყს, რომელსაც სადილაოს ეძახიან. იღებს პატარა ვერცხლისავე ჭიქას და სადაც ვინ წვეს, ჯერ ხუცეს-ხელოსნებთან მივა და დაალევინებს, მერე სხვებთანაც. თითო-ოროლს ყველა დალევს, მხოლოდ ხუცესს და ხელოს-

ანს მეტს დაალევინებს, რადგან ისინი ჟამისწირვამდის ლუდს არ დალევენ და არც ჭამენ, სვამენ მარტო არაყს. დასტური დიასახლისსაც მოიკითხავს და დაალევინებს ერთ არაყს. დიასახლისი შეუდგება ჟამის საწირის გამოცხობას: ფქვილს გასცრის, მოზელავს ცომს და დასტურის მიერ ბაკანში ჩათლილ გაყინულ ხავიწს უდებს გულად. სამი დიდი ქადა კეთდება ჟამსაწირზე, ცხრა უბრალო თხელი და პატარა პური, რომელსაც ხმიადები ჰქვია და ოთხი პატარ-პატარა ქადა, რომელთაც ჰქვია საკვირაოები. გამოაცხობს ჯერ ზედგანზე და მერე ნაცარში, გაბანს და გაპოხს დაჭრელებულ გვერდზე. დასტურები გაიტანენ და დააწყობენ ჩვეულებრივად თავის ადგილზე. კუმეტ-დილას განსაკუთრებული წესი არაფერი აქვს და ჟამისწირვის წესი ჩვეულებრივად ჩატარდება: მოხსენება, ხუცობა და კურთხევანი. ამას ყველა ჩვეულებრივი წესი მოსდევს: ფეხზე მღერა, მერე პურის ჭამა და სხვა. კუმეტ-დღეს სოფელში წესი არის, რომ ყველა ოჯახში ადუღებენ ფაფას მიცვალებულებისათვის. ტაბლაზე აწყობენ სხვა რამეებსაც, ეტყვიან შანდობას (სახელს დასდებენ) და ოჯახში ჭამენ. სოფელში დილიდანვე იწყება ერთიმეორის დაპატიჟება, იმართება სუფრები, არყის სმა და მხიარულება, როგორც მღერა, ისე ცეკვა და ათასი სახუმარო გამოგონებები, საერთოდ წელწადში ყოველდღე მხიარულება იმართება. მოიგონებენ რამე მიზეზს ჯვარში წასასვლელად. ხანდახან დაგრეხილ ჩალას დაახვევენ ერთერთს ფეხებიდან თავამდინ: ცალკე ფეხებზე, ცალკე ტანზე და ხელებზე; გამოაბამენ კუდს, დამზადებული აქვთ თხის თავზე გადახდილი ტყავი რქებიანად, რომლისაგანაც გაკეთებულია ნიღაბი წვერებით. ამასაც გაუკეთებენ პირისახეზე და ძალიან საცინელი სანახავია. მოაბამენ თოკს და წაიყვანენ ჯვართაკენ. იმას გაჰყვება მთელი სოფლის ახალგაზრდობა, ქალი და კაცი. ნიღბიან კაცს ერთი დაუდგება პატრონად, რომელსაც თოკით დაჰყავს და ათას რამე სახუმარო განკარგულებებს აძლევს როგორც პატრონი და ისიც თამაშობს. ქალებს მიაქვთ გარმონი, დაუკრავენ და ნიღბოსანი ცეკვავს, ხტუნავს. ხანდახან ქალებს გამოიწვევს საცეკვაოდ, და ასე მიუახლოვდებიან დარბასის კარს. ქალები ჯვარში აღარ წავლენ, დარჩებიან მინდორზე და მართავენ ცეკვას ზოგიერთ ახალგაზრდებთან ერთად. კაცები კი ნიღბოსანს დარბასის კარში მიიყვანენ, ყველანი მადლს მოსთხოვენ და ჯვარიონთ მიესალმებიან: „აშენდით, ჯვარიონნო, წალმამც წაგივათ დღეი, დღეობა“: „დაშვენდით, მაგვიხვეით მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მასვლა“, — ეტყვიან ჯვარიონნი.

ნიღბოსანს პატრონი ბევრს რამეს ავალებს, ათას რამეს ეშმაკობენ, ხუმრობენ და იცინიან. ნიღბოსანი არ ისვენებს, „ლაპარაკობს“ მუნჯურად და მანამ იეშმაკებს, სანამ საშიგაო საუკეთესო ლუდს და

არაყს არ მოატანინებს: ხან თავს მოიმკვდარუნებს, ხან ღრიალს დაიწყებს და შინ ვითომ მიდის გამწყრალი; ბოლოს, როცა ლუდს და არაყს გამოიტანენ, მაშინ ნიღბოსანს ჩამოხსნიან დაბეღილ ჩალას, დასხდებიან დარბასის კარში და სვამენ ჩვეულებრივ. ქალებს კი მინდორზე გაუტანენ საწდით ლუდს. ჯერ იქ დალევენ, იცეკვებენ, იმხიარულებენ და მერე წავლენ სოფელში; მიიტანენ ამ ლუდს უფრო ისეთ ოჯახში, სადაც ახალმოყვანილი რძალი არის. იქ მოიყრიან თავს ახლგაზრდები და ატარებენ დროს, აქ კიდევაც მოიტანენ ლუდს: წავა ერთი-ორი ახალგაზრდა და სთხოვს ჯვარიონთ ლუდის მიცემას „ახალუხალში" (ახალგაზრდობას ხევსურულად „ახალუხალი" ეწოდება). ჯვარიონთ და ნამეტნავად ხუცესმა იციან, რამდენი ლუდი უნდა დახარჯულიყო და რამდენი დაიხარჯა, საჭირო არის თუ არა ეკონომია. მაგრამ მაინც აძლევენ, ახალგაზრდებს ადვილად არ აწყენინებენ. „ახალუხალში" ძალიან კაი დროს ატარებენ, ნამეტნავად ერთიმეორის სწორფრებს ეძლევათ შემთხვევა ერთად ყოფნისა და გართობისა (დანარჩენი დრო ხევსურებს სულ მუშაობაში მიუდის და ყოველგვარ გართობას მოკლებული არიან). ყველას აქვს კაკალი და თხილი (ყიდულობენ და ინახავენ საგანგებოდ წელწდისათვის), ყველას ჯიბეში უყრია და გარდა მღერა-ცეკვისა, ამითაც ერთობიან. იჭერენ ხელში დამალულად თხილს და ერთიმეორეს ეუბნებიან: „ლუჭყი, თუ კეტი" (ხევსურულად ასე ჰქვიან ლუწს და კენტს), თუ გამოიცნო, ვისაც შეეკითხებიან, ის მოიგებს, და თუ ვერ გამოიცნო, წაგებულია და უნდა მისცეს იმდენი თხილი, რამდენიც მთქმელს ეჭირა ხელში. ქალ-ვაჟები სხედან ერთმანეთის გვერდზე და საუბრობენ ჩუმად თავიანთი სწორფრობის გარშემო. ასე მიდის დღე „ახალუხალში", ხნიერები კი სხედან დარბასის კარში, ანთია ცეცხლი, სვამენ და ლაპარაკობენ საერთოდ არხოტის ამბებზე: მტერობაზე, შერიგებაზე, რჯულზე და ჯვარში მოხდარ წარსულ ამბებზე. აქ რომ თავდება სმა, გაიპატიჟებენ ოჯახებში ერთიმეორეს და იმართება შინაური ქეიფი სოფლის ჯარის დასხდომამდე. მოსაღამოვდება და მოიყრიან თავს იმ ჭეროხში, სადაც სხდება სოფლის ჯარი. იმათთვის არის გამზადებული ჭერხო. მელუდეები იგზავნებიან ჩვეულებრივ. ჯარის ხალხი ანთებს თავისი მოტანილი შეშით შუა ცეცხლს და ელოდებიან ლუდის მოტანას.

თუ ვისმე ჩხუბი მოუვიდა, უფროსებს დაავალებენ მტრების შერიგებას. ორი კაცი მივა ჯერ ერთ მოჩხუბართან და სთხოვს შერიგებას. მერე მეორესთან. ხანდახან ისე გამწვავდება საქმე, საჭირო ხდება ჯვარის საშუალებით შერიგება. სთხოვენ, წაიყვანენ ჯვარში და შეეხვეწებიან ჯვარის სახელით. ასე დაითანხმებენ შერიგებაზე. ხან კი სოფლის უფროსი კაცები შეარიგებენ. თუ მძიმედ დაჭრილი არ არის, ან თუ საყვედური არაფერი უთხრეს ერთიმეორეს, მაშინ სულ ადვილია

შერიგება. შუაკაცები რომ დაითანხმებენ, ხელს ჩამოართმევენ და ისე ახსენებენ სალოცავებს, სთხოვენ მათი სახელით დათმობას. მეორესთანაც ასევე იქცევიან. ბოლოს ორივეს მოიყვანენ ჯარზე. ერთ-ერთს, რომელიც მეტი დამნაშავეა, ან და უმცროსია, შუაკაცები დაავალდებულებენ, ლუდიანი თასი მიართვას მეორეს და პატიება სთხოვოს. ისიც დავალებას აასრულებს, აკოცებს თასს, მიუტანს და ეტყვის: „ეს თასი შენ პატივ იყოს". მერე ერთმანეთს დაემდურებიან — შენ ასე რად მომექეცი და შენ ასეო, ბოლოს კაცები დაუშლიან ლაპარაკის გაგრძელებას და ეტყვიან: „რაიც იყვ, იყვ, დაანებეთ იმას თავი". მერე ადგება, ვისაც თასი მიუტანეს, და ადღეგრძელებს მიმტანს. ახლა თვით მიუტანს თასს, ადღეგრძელებს და დალევს. ამის შემდეგ იქნებიან ისე, ვითომც მათ შორის არაფერი ყოფილიყოს. ეს შერიგება ხდება, როცა მელუდეები მოსულები არიან და ჯარზე ლუდი დგას.

მელუდეები დარბაზის კარში ჩეკულებრივად იქცევიან. ლუდს იქ მყოფებს თავისი საწდიდან ამოუღებენ და დაალევინებენ. მერე ასწევენ ქვაბს, დაუდგამენ ჯარს წინ და ეტყვიან: „ლუდი წინა, ვაჟებო". „მამტანი ბედნიერი" — პასუხობენ ყველანი და ფეხზე დგებიან; „მაგვიხვეით მშვიდობით!" „მშვიდობით დაგვიხვდითა, კარგად" — უპასუხებენ ერთმანეთს და დასხდებიან იქვე დადებულ ხეებზე. მერე ამოიღებენ ლუდს თასებით და საწდეს შანდობას ეტყვიან, თუ მოაგონდათ ვინმე პატივსაცემი მიცალებული, თუ არა სავალდებულო არ არის. ამის შემდეგ დაიწყებენ სმას. სმა იციან ძალიან ძალდატანებით. სთხოვენ ერთიმეორეს — დალიეო, თასს პირზე მიაყუდებენ და ძალით ასმევენ. ილოცებიან თავისი სურვილის და მოგონების მიზედვით, აქ თამადა და თამადობა არ იციან.

სოფლის ჯარზე აქვთ მარტო ფანდური. სმის დროს ყველას თასებს ჩამოურიგებენ, რომელიმეს მისცემენ, ხელში ფანდურს, ის ხალხის ბოლოში მუხლით დაჯდება (ცალმუხლზე), დაუკრავს ძალიან მძიმედ და რომელიმე საგმირო სიმღერას დაამღერებს. საგმირო სიმღერას ჯარის ხალხი ძალიან დიდის ყურადღებით უსმენს, თითოოროლა ხანდახან ორი სიტყვით თუ დაარღვევს სიჩუმეს: „დიდხანსამც იმღერ კაი გულით!". ის უკრავს და განაგრძობს ხმამაღლა მღერას ამგვარი სიმღერებისას:

> თოფმა თქო: ჩემთა წამალთა შვიდ რიგად უნდა დეღილი,
> მაისის ბერჩი განაყან, მემრ ნახან ჩემი ქუხილი,
> მემრ ნახას ჩემმა პატრონმა ჩემის დაჭრილის წუხილი!

ერთ-ერთი თავის თასს მიართმევს მომღერალს და პირთან მიუტანს. ის თან ფანდურს უკრავს და თან ლუდს სვამს. ბოლოს

მიმტანი უკან დაბრუნდება, იქ ვინმე აიღებს თასს, ამოიღებს საწდიდან ლუდს და აუვსებს. პირველი მოღერალი კი განაგრძობს მღერას.

ის რომ სიმღერას გაათავებს, ადგება და იტყვის: „თქვენის გამარჯვებისა“. „აი, დიდხანამც იმღერ კაის გულით“ — ეუბნებიან კმაყოფილებით. რომელიმე მივა და მას თავის თასს მიართმევს: „აჰალე, ჩამამეტანე (დალევაში მომეხმარეო), ყელ ამაგშრებოდ“. ისიც ეტყვის: „ნასვამ გაამას, შენის გამარჯვებისა“ და სვამს ლუდს. მერე თასის მიმტანს თასს ჩამოართმევს, ავსებს ლუდით, თავის ადგილზე დასვამს, ხელში მისცემს და ეტყვის: „ჯვარ დაგწერას ღმერთმ“, „ჯვარის წყალობა გქონდას“. უფროსები ჰყვებიან ძველ ამბებს სოფლის ჯარზე, სადაც ხნიერი ხალხი სხედს. აქ აკრძალულია, სირცხვილი არის სატრფიალო ამბების მოყოლა. გარდა საგმირო და ძველი სიმღერისა, აქ სხვა არ იმღერებოდა. საგმირო ამბებს მოუყვებოდნენ ხნიერები ახალგაზრდებს განგებ, რომ მათ ესწავლათ და გადაეცათ სხვებისათვის. ის სახელოვანი კაცი იყო, ვინც წარსული ამბები — ანდრეზები კარგად იცოდა და ასეთ ჯარზე დაწვრილებით ლაპარაკობდა.

წარსულის ამბების კარგ მცოდნეს „ანდრეზების მცოდნე“ ეწოდება. ხევსურები ასეთ კაცს პატივს ცემენ და სადაც საჭიროა რჯულში, მტრების შერიგებაში, ყველგან მას დაუძახებენ. ხევსურეთში წერა-კითხვა გასაბჭოებამდინ არავინ იცოდა, მაგრამ ამნაირად გადმოცემით და ახალგაზრდებისათვის სწავლებით ხევსურებმა თავისი ცხოვრების წარსული ისტორია სულ ზეპირად იციან. თუ ანდრეზის მცოდნე კაცი ძალიან მოხუცი იყო, მასთან სხვა სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ ძველი ამბების საკითხავად.

ასეთი საუბრით და მღერით მთავრდება კუმეტ-წუხრის ჯარის წესი. აქედანვე კიდევ იგზავნებიან ჯვარში მეთასენი. ისინი ჩვეულებრივ მივლენ ჯვარში. მათ მოეგებებიან და კარგად უხვდებიან. ცდილობენ მათ დათრობას და კაი გამაგრებაც არის საჭირო, რომ მეთასენი მათ ფხიზლები გადაურჩნენ. როცა ისტუმრებენ, მაშინ ჩვეულებრივად ქვაბს ისევ თასებით ავსებენ და ლოცავენ ძველი მიცვალებულებისათვის, ვისაც რაიმე სახელი აქვს ჩადენილი. მეთასეთ ეს ლუდი ჯარზე მოაქვთ და იხსომებენ ყველას, ვისი შესანდობარიც ქვაბში ჩაასხეს. ამოაქვთ თასები ქვაბიდან, დალოცავენ ისევ იმ მიცვალებულისათვის, ვისთვისაც დარბასში დალოცეს და ჩაასხეს. მეთასეთათვის სირცხვილია, რომ ეს დაივიწყონ და ვეღარ მოიგონონ. მოვა თენების დრო და ყველანი წავლენ-წამოვლენ დასაძინებლად. ზოგი ერთიმეორეს დაპატიჟებს, წაიყვანს თავის სახლში.

გათენდება „წინაშუადღე“, დილას ადრიან ადგებიან დასტურები. მათ არაყს დაალევინებს ის, ვისაც არაყი აბარია. სოფელში ამ დროს არის გაპატიჟ-გამოპატიჟება, დილით „თავების მორჩენა“ და დროს ტარება. წინაშუადღესაც განსაკუთრებული წესი არაფერი აქვს, მარტო „მეთამაშე“ ჩამოვა შეცვლილი სახით ჯვარში. დასტურები წავლენ სოფლებში ღალის მოსაკრეფად. (არხოტის ჯვარის ყმები წელიწადში ერთ საწყაო ჯერს აძლევენ ჯვარს. (ამას ჰქვია ღალა). ყველამ თავისი მოსავლის ნაწილი უსათუოდ უნდა მისცეს ჯვარში. ეს პური ემატება სალუდე პურს (საწყაური უდრის ერთ ფუთ ქერს). დასტურები შეაბამენ მარხილს და წავლენ მეორე სოფელში — ამღაში ღალის მოსაკრეფად, მესამე სოფელი ჭიმღა არის და იქაც მიდის დასტური. ღალას აკრეფს და იქვე ინახავს, რადგან ჭიმღაში ზამთარში ცუდი გზებია და ვერ მოიტანება არხოტის ჯვარში (ს. ახიელში). ამღაში კი მარხილი მიდის. მივლენ ჯვარში. აქ მათ მოეგებებიან ამღიანები — იაკსარის დასტურ-ხელოსნები და სოფლელებიც.

წინაშუადღეს ღალის მოკრეფა იმიტომ არის დაწესებული, რომ არხოტის ჯვარის დასტურმა ამ დღეს უნდა შეიტანოს კვალი სოფელში, მანამდეს სხვა კაცის მისვლა-მოსვლა აკრძალულია. როგორც კვალის შემტანს და არხოტის ჯვარის დასტურს, ძალიან დიდის პატივისცემით ეპყრობიან. მისული დასტურები ჯვარს მოსთხოვენ მადლს: „ლაღო იაკსარო, ნურაით შაგვისაწყინდები, ნურაით შაგვიცოდევ, ნურაის ინაბარს ჩაგვიდებ. შენ გევედრებითა, გეხვეწებით, დალოცვილო“. მერე მიბრუნდებიან და ეტყვიან ხალხს: „აშენდით, წალმამც წაგიოსთ დღეი დღეობა“. „დაშვენდით, მაგვიხვეით მშვიდობით, მშვიდობით თქვენ მასვლა“ — იქნება იქ მყოფების პასუხი. მერე მისულები მიულოცავენ ახალ წელს: „ბევრსამც ახალ წელს ილოცავთ წულიანს, პურიანს, სახელ-სარგებლიანს. გალოცვიებსთ მთავარანგელოზიცა, ზეით ღმერთიც“.

„აგრევ თქვენ რგებისას, გახარებისას, გალოცვიებსთ იაკსარიცა, მთავარანგელოზიც. ცოლ-შვილის სიცოცხლისას, — უპასუხებენ დამხვდურები, — ერთხელ ახლა და ათიათასჯერ კლოვ“. ხარებს მაშინვე გარეკავენ, სადმე თავისუფალ სახლში დაბამენ და ბლომად თივას დაუყრიან. დასტურებს კი ჯვარში წაიყვანენ, დარბასში. მერე იახსრის დასტური წავა სოფელში და ყველას შეატყობინებს, რომ არხოტის ჯვარის დასტურნი მოვიდნენ ღალის ასაკრეფად და ღალა

ყველამ მოუტანეთო. ყველა ასწყავს თითო საწყავ საუკეთესო ქერს და ჩიაქვს იახსარში. იქ არის არხოტის ჯვარის დასტურთ მიტანილი ტომრები და მარხილი. ქერს ტომრებში ცლიან და მარხილზე აწყობენ. დასტურების ყურადღება საჭირო არ არის. თქმული ასეა და სწამთ, რომ მეთვალყურეთ არხოტის ჯვარი თან ატანს დასტურებს, ისინი უხილავად იქ არიან და თვალყურს ადევებენ, ვინ როგორი აწყო. ვინ როგორი გულით და სხვა. ამ ამბავს მეთვალყურენი არხოტის ჯვარს მიუტანენ და ისიც ისეთივე წყალობით მოექცევა, ვისაც როგორი ხათრი ჰქონია მისი. ამიტომ ყველა ცდილობს მეტი აწყოს, ქერი კარგი ხარისხისა იყოს, გარჩეული და სუფთა. დასტურნი კი სხვენან იახსარის დარბასში, პური სად იწყვება, არცკი იციან, ტომრები ისე ივსება და ეწყობა მარხილზე. ყველა ცდილობს, რომ მეტი ზონაწილეობა მიიღოს არხოტის ჯვარის პურის აწყვის საქმიანობაში და ამითი არხოტის ჯვარს ასიამოვნოს.

წესად არის მიღებული, რომ სოფელში ყველა ცდილობს უკეთესი საშველი დაამზადოს და არხოტის ჯვარის დასტურთ მიუტანოს, აგრეთვე საუკეთესო არაყი ბოთლით ყველას აქვს შენახული და მიაქვთ საბეკურში (იახსარის დარბასს რატომღაც საბეკურს ეძახიან). მებეკურად წინათ იცოდნენ სხვა სოფლიდან, შორიდან მოსული ვინმეს დაყენება. მისცემდნენ ჯვარის მამულების ნაწილს და ის იქნებოდა მეთვალყურე იმ მამულებისა და ჭირნახულისა; თითქმის პურსაც მას აბარებდნენ. იყო ჯვარში როგორც სამეურნეო ნაწილის გამგე. ასეთები არხოტში იყვნენ ქისტები — ჩოფანანი (მათი ამბავი ქვემოთ იქნება აღწერილი). ამიტომ ალბათ ჰქვია იახსარშიც დარბასს საბეკური. რომ აქ ვინმე მებეკური ცხოვრობდა და ბოლოს ეს შენობა დარბასად გადააქციეს. იახსარს საკლავს უკლავენ ამ ადგილას. სოფლის საშუალო ადგილზე დგას საბეკური განცალკევებით. იაჯსრის ხუცესი ადგება და ლოცავს მომტანის მიცვალებულისათვის, სადილსაც და არაყსაც შემდეგი სიტყვებით: „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, გაუმარჯვი იაჯსარსა, იაჯსარო, შენ სწყალობდი ამ საპატიოს მამტანს (საპატიო ჰქვია მიტანილ სადილს), შენი წყალობით შაინახი. იაჯსარო, შენი დიდებითა, ჩემი სიტყვის მაჯსენებით, ხთის წესითა, მღდლის წესითა, ერუმსალეთის ნათლითა, ქრისტეს გარიგებით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, წესი სამართალ იყოს. სულს შანდობა ერგებოდას. — ეს ტაბლაიცა-დ ეს ავსებულ ყანწიც (ხუცესს იმ ბოთლიდან ავსილი ყანწი ან ვერცხლის ჭიქა უჭირავს ხელში), ბოთლაიც სულსამც (იმ ოჯახის მიცვალებულის სახელს იტყვის) მაეკმარების. ზედამრჩოეის დღეგრძელობითა, კარგა ყოფით“. „შაუნდნას ღმერთმ“, — იტყვიან სხვებიც. ხუცესი

ამ ყანწზე კიდევ დაილოცება: „გაუმარჯოს ლაღს იაკსარსა. იმის წყალობა ხმონდას ამ საპატიოს მამტანს. მშვიდობით ამყოფას, ბედნიერ წელი. კვალ გამაუცვალას, წელ მშვიდობისა დაუყენას. თქვენ მაგცასთ წყალობა არხოტის ჯვარის დასტურთ. ჩვენთან მასვლისად. თქვენთან ბევრ კა მაიყვანას, შაუნდნას ვისადაც ილოც კი, მაკმარას“, და დალევს, მერე სხვებსაც დაუსხამს და დაალევინებს. თუ კეცეულია, დაჭრიან და მიართმევენ არხოტის ჯვარის დასტურთაც და სხვა იქ მყოფებსაც. რამდენიც სურთ, ჭამენ, მხოლოდ ჭამის დაწყების და გათავების შემდეგ ყველა იტყვის: „ღმერთო, გაუმარჯვი იაკსარსა. იაკსარო, შენ სწყალობდი საპატიოს მამტანს, შენი წყალობით შაინახენი“. ასე მეორდება ყველა მოტანაზე.

ჯვარიონთ აქვთ აგრეთვე საშიგაო ლუდი, როგორც არხოტის ჯვარში. ეს არის საუკეთესოდ გაკეთებული და დასალევადაც საამური. მასში ხანდახან ჩუმად არაყსაც შეაპარებენ და აძალებენ მის დალევას. ძალიან იდილობენ არხოტის ჯვარიონის დათრობას. აქვე ამ დღეს ხშირია შემთხვევა იახსრის ქადაგმა იქადაგოს, იახსარი ქადაგის პირით არხოტის ჯვარს ებაასოს.

იაკსარი ქადაგის ენით ბევრჯელ გამოთქვამს საყვედურს თავის ყმათ მიმართ — მე ჩემთ ყმათ არ ვსწამვარ და გამთელეს. მათ არ ჰგონიათ, თუ მე ძალი და შეძლება მაქვსო. ძალი და შეძლება მაშინ მქონდა, როცა სამის წლის რემათ მიკლავდნენო (ე. ი. სამი წლის ცხენს დამიკლავდნენ და შემომწირავდნენო). ხანდახან მღვარასაც იტყვის ყმათ მიმართ. ვითომ მისი ყმანი, ე. ი. ს. ამღაში მცხოვრებნი, მას ძალიან გაუთამამდნენ, აღარ ემორჩილებიან. ამიტომ მტრისაკენ გამზადებულ „გველისფერს“ ყმათაკენ მოვაბრუნებ მათ გასანადგურებლადო. მკითხავების თქმით, იახსარს გველისფერი ჰყავს მტერთან საბრძოლველად, როგორც არხოტის ჯვარს — მწევარნი. გველისფერი არის დიდი ვეშაპის მსგავსი. სადაც იახსარი უბრძანებს, იგი ყველგან გაჩნდება უხილავად და ყველას გაანადგურებს. იახსარი თავის ყმათ იმიტომ ემდურება, რომ მათ აღარ სჯერათ, რომ იმას გველისფერი კიდევ ჰყავს, რომ იგივე ძალა აქვს, რაც ჰქონდა. ქადაგი იძახის: „მე სადაღ მაქვს ძალი და შეძლება, მე ძალი და შეძლება მაშინ მქონდა, როცა სამის წლის რემათ მიხოცდნენო“. ზოგჯერ ქადაგი ქადაგობს მონადირეზე, ან ქისტეთში სისხლის ასაღებად წასულზე — იმას იქ მტერი მორეოდა და მე ჩემი გველისფერი დაეხმარეო. ამის გამგონე მონადირე, თუ მტრისათვის მიმყოლი მაშინვე მოიყვანს ერთ საკლავს და დახმარებისათვის იაკსარს უკლავს.

ასეთ დროსტარებაში გაივლის ის დღე. დასტურები, თუ ძალიან თავდაჭერილი არ არიან, მაგრად თვრებიან.

ამღიდან ახიელამდე კარგი სამარხილე გზა მიდის. იანვარში აუცილებლად დიდი თოვლია გაკვალული და კარგი სწორი სასიარულოა მარხილისათვის. ტომრებს დაუწყობენ მარხილებზე, ხარებს შეაბამენ და დიდის პატივისცემით გაისტუმრებენ არხოტის ჯვარის დასტურებს. მათ დასვამენ მარხილზე და ხარები თავის სოფლისაკენ თვითონ წავლენ (იმ დღეს დასტურის მიუსვლელობა არ შეიძლება). ყოფილა ხშირი შემთხვევა, რომ ხარებს ტომრებზე წამოწოლილი მთვრალი დასტურები დაძინებული მოუყვანიათ სოფელში. ასეთივე ამბავია ჭიმღაშიც, მხოლოდ პურს იქ გაზაფხულამდე ჩაყრიან, რადგან ზამთარში გზა არ არის. ეს პური სალუდე პურთან ინახება და მისგან მზადდება ლუდი ორჯერ — ათენგენას და წელწადში. ერთი დღე განსაზღვრულია და ამ დღეს ჭიმღიდანაც და ამღიდანაც მოდიან მთელი სოფლის მამაკაცები და ცალკე ჯარად დასხდებიან არხოტის ჯვარში. მათ ეძლევათ ლუდი განსაზღვრული რაოდენობით. ამას ჰქვიან „თემობა დღე“ (ამაზე შემდეგ გვექნება ლაპარაკი).

ზევით ითქვა, რომ მებეკური და საბეკური ახიელში ქისტები იყვნენო. საჭიროდ ვთვლით, წინაშუადღის წესების აღწერამდე ამის გარშემო ცოტა რამ ითქვას.

სოფ. ახიელსა და არხოტის ჯვარს შუა არის ერთი მამული, რომელსაც დღესაც საბეკურა ჰქვია. მამულის ბოლოში ნასახლარიც ეტყობა. აქ ყოფილა ქისტის ერთი ოჯახი. ისინი შემოხიზნულან სოფელ ახიელში. მამას ერქვა ჩოფანა, შვილებს — ერთს სამფი, მეორეს ღაზი. ამათ დადგეს სახლი არხოტის ჯვარის მამულში; ეს მამული სოფელმა მათ მისცა და სხვა მამულებსაც აძლევდნენ მოსახნავად. ისინი განაგებდნენ ამ ჯვარში სამეურნეო ნაწილს და სულ იქ იყვნენ, როგორც დასტური, ისინიც ვალდებულნი იყვნენ ემუშავათ საჯვარო საქმეში, დაეცვათ ჭირნახული, მოხმარებოდნენ დასტურებს ლუდის დამზადებაში და სხვა. ისინი არხოტის ჯვარის წესებს ერთგულად ემორჩილებოდნენ და ხალხიც მათ დიდს პატივს სცემდა. ღაზი და სამფი აქ, ახიელში, გაიზარდნენ და ქართული ენა წმინდად იცოდნენ. ბოლოს თავისი ძველი ჩვეულება გამოიჩინეს და ერთ ამღიონ კაცთან — გაგათ ჩაჩაურთან ერთად ქურდობა დაიწყეს. მოჰყავდათ მოპარული ცხენები ფშავიდან, მოხევეებიდან. ბოლოს ხევსურებსაც დაუწყეს პარვა პირიქითში და სოფელი ამას არ უწონებდა. გაგათ ჩაჩაური იყო ამაყი კაცი და არავის ეპუებოდა. მისი მფარველობით ქისტები ქურდობდნენ. ბოლოს ახიელლებმა ისინი დაითხოვეს და უთხრეს — ჩვენ თქვენი საქციელი არ მოგვწონს და უკეთესია მშვიდობიანად დასტოვოთ ჩვენი სოფელიო. ისინიც ადგენენ და წავიდნენ ისევ ქისტეთში. იქიდან მაინც ისევ მოდიოდნენ, როგორც აქ გაზრდილები და არც არავინ უშლიდა. გაგათ ჩაჩაური და ისინი ისევ

განაგრძობდნენ ქურდობას. ბოლოს მათ და ჩაჩაურს მოუვიდათ ნაქურდალის განაწილებაზე ლაპარაკი, ჩაჩაური აღარ აძლევდა ნადავლის ნაწილს. ისინი ეუბნებოდნენ — მოგვეცი ნაწილი, თორემ არ შეგრჩებაო. ჩაჩაური მაინც არაფერს აძლევდა. ბოლოს მათ გადაწყვიტეს მისი მოკვლა. მივიდნენ არხოტის ჯვარში წელწადში. ვინც ამის მომსწრე იყო, ისინი ამბობდნენ, რომ გადარეულს ჰგავდნენო. ძველები ამ ამბავს არხოტის ჯვარს აბრალებდნენ. გაგათ ჩაჩაური და ჩოფანაის შვილნი რომ ქურდობდნენ და ცუდ საქმეებს შვრებოდნენ, არხოტის ჯვარი გაუწყრა, გადარია და ერთიმეორე დაახოცინაო. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ჩაჩაურის მოკვლა არხოტის ჯვარში, ისიც კარგად იცოდნენ, რომ აქედან ვეღარც თვითონ წავიდოდნენ, მაგრამ არხოტის ჯვარმა ისინი ისე გადარია, რომ ყველაფერი დაავიწყაო. მოვიდა ჩაჩაური ჯვარში და იმღერა:

„დათვსა ღგავ უსაჯურისძე, ნადირსა მდიდრის ტყისასა“. შევიდა დარბასში, სადაც ჩოფანანი იყვნენ. ჩაჩაური რომ დაინახეს, სამფიმ უთხრა ქისტურად: „ლათ, მაირა?“ — მზადა ხარ, მაირაო? მაირამაც უთხრა — „ღათ“ — მზად ვარო და დასცეს ჩაჩაურს ხანჯლები. სხვებიც დაჭრეს, მაგრამ სასიკვდილოდ არა. ორი წუთის შემდეგ ჩაჩაური, მაირა და სამფი მკვდრები ეყარნენ. ქისტები სხვებს დაეხოცათ. ჩაჩაური წაასვენეს ამღაში, ქისტები კი ქისტებმა წაიღეს. ასე დამთავრდა მებეკურობა ახიელში და მას შემდეგ აღარც ყოფილა მებეკური. რაკი არხოტის ჯვარს დაბრალდა მათი ერთმანეთის დახოცვინება, მებეკური საჭიროდ არ ჩათვალეს, მხოლოდ მამულს კი სახელად შერჩა საბეკურა.

ახლა შევუდგეთ წინაშუადღის წესების აღწერას სოფელ ახიელში, არხოტის ჯვარში.

ეამისწირვა, როგორც ვთქვით, ჯვარში ჩვეულებრივი წესით ჩატარდება. ჯვარიონნი ყველა აქაურ წესს რომ შეასრულებენ, სოფლიდან ვინმე მეზღვნე მოვა, ან თემიდან ვინმე მეთამაშე ჩამოვა. სოფელში ამ დროს კიდევ არის მზადება. ოჯახებში პატიჟობენ ერთიმეორეს და „თავების მორჩენის“ შემდეგ უსათუოდ გამოიგონებენ რამე გასართობ თამაშობას, რომ ამ მიზეზით მეთამაშე ჯვარში წბვიდეს. ამაში თვითონ ჯვარიონნიც ხელს უწყობენ. მოვლენ დასტურებში და სოფლიდან ხნიერ ქალს ვითომ მოიტაცებენ. უფრო ისეთს, ვინც არ გათხოვილა და ამ სოფელში დაბერდა (ასეთ ქალს სოფელი ძალიან პატივით ეპყრობა, რაკი თავის სოფლიდან არსდ წასულა და აქ დაბერდა). ან ხუცესის სახელს იტყვიან — იმის საცოლედ მიგვყავსო, ან სხვა ვინმე დასტური იქნება ხნიერი და მისთვის მიგვყავსო. წავლენ ჯვარისაკენ ქალისათვის მხარზე ხელჩაკიდებულნი. ქალი იძახის: — მიშველეთ, მამულნო, არა და მე შემარტყით ხმალიო. სოფ-

ლის ახალგაზრდობასაც ეს უნდა, შეიარაღდებიან საჩქაროდ თოფებითა და ხმლებით. დაედევნებიან და წამოეწევიან სოფლის ბოლოში მინდორზე და აუტეხენ სროლას და ხმლის ყუებით ცემას. შეიქმნება ყვირილი, ხმლების პრიალი და ჩახაჩუხი. დასტურებს მიეშველებიან სხვა ჯვარიონებიც, კვირიწმიდელი დასტურები, ჩხანჩხი, შულტა და სხვა. შეიქმნება მინდორზე ხელჩართული ბრძოლა. ამ ბრძოლაში ქალი ან ჯვარიონთ ემბრობა, ან სოფლელებს. თუ იძახის — მე ჩემის ნებით გამოვყევი, სოფელს რა უნდაო, — იმასაც უყვირიან: „შაგისხლეტთ, მაგიკვეთთ, მამის სახლში მაცვლას დაგილევთ, შაგვარცხვინი, მაგვთხარ-მაგვბზარენი". ქალი უფრო სოფლელებს ეძახის: „მიშველეთ, ძალით გამამთარეს, ვის უნდან სასაცილონი, მშიერ-ტიტველნი, ლუკმათ მკრეფელნი". ამაზე ჯვარიონნი უფრო ცხარობენ: ჯერ გვპირდებოდა, ახლა თავს გვამეტებს, სირცხვილს გვდებსო. აქეე ხმაობენ ბევრ საობღენჯო, საცინელ სიტყვებს; ქალი ვის სახელზეც მიყავთ — იმის სახელს იძახიან — ცოცხლები თავს აღარ დავანებებთ (ხუცესის სახელს იტყვიან, მაგ. ქორია) „ქორიას აბირებულს ვერ გავსწირავთ (აბირება ჰქვია ვინმესთან ყოფნის სურვილით მისთვის აცდებას. მაგალითად, ბავშვი რომ დედის ნახვაზე ტირის, თუ დედამ ხელში არ აიყვანა), უბედოს ვერ დავღლევთ, ჯერ ქვე მავაჩვენეთ ცოლი თავისობას უნახავსა, ეხლა ვეღარ წავაჩვენებთ" და სხვა. თან ქალი ხუმრობს: „ქმარი მინდა, თქვენი რა საქმეა, მე უქმროდ ვერ დავდგებიო" და არის ერთი სიცილ-ხარხარი. ამ „ბრძოლაში" წაიქცევა ხალხი მინდორზე — ზოგი სად და ზოგი სად, ჯვარიონთ მხრიდანაც და სოფლელების მხრიდანაც, ვითომ დაიხოცნენ. ახლა საჭირო გახდება აქიმები და წამლები. აქიმებად მოვლენ უფრო ისეთი კაცები, ვისაც ხუმრობა უხდება და დაუწყებენ დაჭრილებს სინჯვას (აქ სინაჭდვილეში დაჭრილი არავინ არის, ეს ყველაფერი მხოლოდ ხუმრობაა). გასინჯვის დროს ბევრ რამე საცინელს ამბობენ ექიმები — სად რა ვის სჭირს ჭრილობა და რა მოარჩენს. ჯვარიონნი მოარბენინებენ საუკეთესო საშიგაო ლუდს და რამდენსაც ვის გამოუწერს ექიმი მოკლულ-დაჭრილებს, ამითი არჩენენ და აცოცხლებენ. სოფლიდანაც მოაქვთ არაყი და აქიმისავე გამოწერით ისინიც აცოცხლებენ თავისგან მოკლულ-დაჭრილ ჯვარიონებს (სოფლელებს ევალებათ ჯვარიონების მორჩენა, რადგან თვითონ არიან მათ სიკვდილში დამნაშავენი. დამნაშავე კი პასუხსმგებელია დაზარალებულის წინაშე). ასევე აცოცხლებენ ჯვარიონნი თავისგან მოკლულ-დაჭრილ სოფლელებს.

ეს ხუმრობა რომ მოთავდება, მამაკაცები წავლენ დარბასის კარში, ხოლო ქალები რჩებიან მინდორზე. ისინი აქ მართავენ ცეკვას. ახალგაზრდებთან ერთად. ჯვარიონნი დიდ ცეცხლს ანთებენ. მამაკა

ცებს გამოუტანენ დარბასიდან ლუდს და გაიმართება სმა. ქალებსაც გაუტანენ ერთ საწდე ლუდს. მეორე საწდეს გაუტანენ პატივად იმ ქალს, რომელიც „მოტაცებული" იყო, და ჯვარიონთ სახელით მადლობას უხდიან ამ თამაშობა-ბუმრობაში კარგი მონაწილეობისათვის (პატივის მიტანა ნიშნავს ხევსურულად დიდ დაფასებას და პატივისცემას). პატივად მიტანილ საწდეს აქ ვინმე დალოცავს, უფრო ამ სოფლის ახალგარდაცვალებულებისათვის, შეიძლება აგრეთვე დაილოცოს ცალკე რომელიმე მიცვალებულისათვისაც, თუ არის ვინმე უფრო მეტად მოსაგონარი, ან ჯვარიონთი და ან თვით ამ ქალის ნათესავი. ჩვეულებრივ კი ვისაც პატივი მიუტანეს, იმის მიცვალებულისათვის არ შეიძლება დაილოცოს, ილოცება მიმტანის მიცვალებულისათვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში, ე. ი. მეთამაშეში, გამონაკლისი წესით შეიძლება დაილოცოს, ვისაც მიუტანეს პატივი, იმის მკვდრებისთვისაც შეიძლება მოტაცებული ქალი ჭირისპატრონი იყოს და მის გასართობად მოიტაცონ. მიღებულია, რომ ის მოიტაცონ, იმას ეხუმრონ, გაართონ და პატივი ამითი სცენ. მიუხედავად მგლოვიარობისა, ისიც ღებულობს თამაშობაში მონაწილეობას. აი, ამ შემთხვევაში ილოცება მიტანილი საწდე იმისათვის, ვისზეც მგლოვიარეა ეს ქალი, ვინაიდან ხალხს ხათრი არ გაუტეხა და თამაშობაში მიიღო მონაწილეობა.

ამ საწდიდან ერთ თასს ამოიღებენ და ვინმე უფრო ხნიერ კაცს მისცემენ. თუ აქ კაცი არ არის, შეიძლება ქალსაც მისცენ თასი დასალოცავად. დალოცვა ხდება შემდეგი სიტყვებით: „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, უშველი ახიელელთ მეთამაშესა, ბევრ წელწად-ქრისტე მაღგვარი მშვიდობისა, კარგად ყოფისა. ღმერთო, შენის დიდებითა, ჩემის სიტყვის მაკსენებით. საჯაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, წესი მართებულ იყოს, სულს შანდობა მიუდიოდას, ხთის წესითა, მღდლის წესით, იერუმსალეთის ნათელით, ქრისტის გარიგებით, ზედამრჩოების დღეგძელობით, ეს თასიცა-დ ეს საწდეიც სულსამც (მიცვალებულის სახელი) მაეკმარების".

„შაუნდნას ღმერთმ", — იტყვიან ყველანი. კიდევ დაილოცება თასის დამლოცავი და იტყვის: „გადღეგძელნასთ ყველანივ ახიელელთ მეთამაშე, გაცოცხლნასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, ბევრ წელწად-ქრისტე მაგგვარასთ მშვიდობისა, კარგად ყოფისა, ერთუცის სიცოცხლისა. შაუნდნას, ვისადაც ილოც კი, მაეკმარას". ამ დალოცვაზე პასუხობენ იქ მყოფნიც: „ღმერთმ გიშველას, შენ იყოს მწყალობელი". ბოლოს დალოცვაზე ეტყვიან: „შაუნდნას ღმერთმ, მაეკმარას!" და დამლოცავი დალევს თასს. მერე უფრო ახალგაზრდები, ვაჟი ან ქალი, ჩამოარიგებენ ლუდს (აქვე მეორე საწდეც არის). ყველანი დალევენ.

სადღეგრძელო თავიანთი ნებაა. თამადა არ იციან. მხოლოდ ხანდახან მოიგონებენ ვინმე ცოცხალს ან მკვდარს და განსაკუთრებით ჩამოარიგებენ. სადღეგრძელო იქნება თუ შესანდობარი. რომელიმე ადგება ფეხზე, ხელში თასი უჭირავს და იტყვის: „მოდი, ხალხნო, მე რას ვიტყვი, ცოტა ხანა იყურეთ! მოდი, თითო ჩამავლეულით (ჩამორიგებულით) გიორგი (თუ იმ კაცს გიორგი ჰქვია) ვადღეგძელათ. გიორგი კაი კაც იყვ, გამასადეგ იყვ რაგანად, მართალი მაგარ იყვ, ნამუსიან იყვ ქალ-ზალშიაცა, სოფელშიაც. ადღეგძელას ღმერთაცა მთავარანგელოზმაც გიორგი, აცოცხლას, მშვიდობით წასულ ღმერთმა მთავარანგელოზმ მშვიდობით შინ მაიყვანას. ეწეოდას არხოტის ჯვარიცა, გორულ ჯვარიც, მთიშეშაგიცა, ყველა ჩვენ სალოცავები. ვისაც გიორგის დღეგძელობაი, მშვიდობით შინ მასვლა არ უნდ, ღმერთმა ნუვინ უდღეგძელას“. ვისაც ადღეგრძელებენ, მისი ნათესავი ვინმე თუ იქ არის, ისიც მადლობას იხდის. მთქმელი სადღეგრძელოსი თასით, რომლითაც თვითონ დალია, ყველას დაალევინებს ან ვინმეს სთხოვს, რომ დადგეს ფეხზე და ყველას დაალევინოს „სულუქცევრად“ (სულუქცევარი ეწოდება სმის წესს, რომლის დროსაც მსმელს შესვენებისა და ამოსუნთქვის ნებას არ მისცემენ, რაც უნდა დიდი თასი იყოს. თუ შეისვენა, ამას სულისქცევას ეძახიან და ხელმეორედ უვსებენ თასს, თან უსაყვედურებენ: შენ მისი სადღეგრძელო როგორ ზარმაცად დალიეო). ასეთივე წესით შეიძლება მოიგონონ სხვა შესანდობარი და ერთმა კაცმა ერთი თასით ყველას დაალევინოს. დანარჩენი სმა უთამადოდ იციან და ვისაც ვინ სურს, მას ადღეგრძელებს. მინდორზე ქალებიც დალევენ ლუდს და სადაც ქალები არიან, იქ ხომ ახალგაზრდებიც არ გამოილევიან. ასწევს ლუდიან ქვაბებს ორ-ორი ახალგაზრდა და სოფელში რომელიმე ოჯახში წაიღებს. როგორც ზემოთ ნათქვამია, სადაც ახალი მოყვანილი რძალია, მის პატივსაცემად უფრო იმ ოჯახში მიაქვთ ლუდი. მიდიან ახალგაზრდა ქალ-ვაჟები (ახალუხალი) და თავისებურად ძალიან კაი დროს ატარებენ; მართავენ ლხინს — ცეკვას, მღერას, სწორფრები ერთიმეორის გვერდზე სხედან, ხუმრობენ, იცინიან და თან ლუდს სვამენ. აქ რომ ასეთი დროსტარება არის, სოფელში კიდევ დასტური „ქურდები“ დადიან და „იპარავენ“ ოჯახებიდან თხილს, კაკალს, არაყს, ხორცს, იარაღს — მაგ. ხმალს და ფარს (თოფს არ მოიპარავენ) და რაც მოხვდებათ ხელში. ქურდობა იწყება კუმეტი საღამოდან. დასტურები ყველა სახლში თითოჯერ შეიპარებიან და მოიპარავენ რამეს. ოჯახშიც მათთვის რაც კარგია, დადგამენ ისე, რომ ქურდებმა ადვილად იპოვონ. ის ოჯახი დიდად შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს, რომელშიაც ქურდები არ მივლენ. მაგრამ ძალიან ცდილობენ, რომ ისინი დაიჭირონ. თუ გაუგეს, რომ ქურდი შემოვიდა, უცბად კარებს

დაუკეტავენ, ან ეცემიან ზედ და ქურდი უნდა დაემორჩილოს. ამ შემთხვევისათვის ყველას აქვს ოჯახში ცხარე არაყი შენახული და ვაი ქურდი დასტურის თავს; შეწვავენ მწვადს, რაც შეუძლიათ ყველაფერს კარგს აკმევენ, მხოლოდ არაყი უნდა თუ არა, ძალით ბევრი უნდა დაალევინონ. მერე ერთ ბოთლ არაყს მისცემენ, შამფურზე მწვადებს აუცვამენ და გაისტუმრებენ. ის ოჯახი ბედნიერად გრძნობს თავს, ვინც დასტურს დაიჭერს და მას პატივსა სცემს. ეს მათი შეხედულებით ბედნიერების მომასწავებელია. გაისტუმრებენ, მაგრამ ის უნდა წაიყვანონ სოფლის ჯარზე, რომელიც, როგორც ზემოთ ნათქვამია, ერთ ჭერხოშია თავმოყრილი. მათ ჯვარიონნი მისცემენ ლუდს და აქ სვამენ სოფლის მამაკაცები (ამას ჰქვია სოფლის ჯარი). დაჭერილ ქურდს აი იქ მიიყვანენ. იქ კიდევ მოაქვთ სოფლიდან არაყი და ძალით ასმევენ დასტურს. დაანთებენ დიდ ცეცხლს, დასვამენ შუა ცეცხლის ახლოს და სცხელა საწყალს, მაგრამ სად წავა?! გაჯავრდეს, არ შეიძლება, ან კიდევ თოკით ბოძზე დააკრავენ ფეხზე მდგომელს და ძალით ასმევენ. დასტური ვინმეს გაგზავნის ჯვარში სოფლის ჯარიდან: მიშველეთ, დაჭერილი ვარო, ჯვარიონთ უკვე იციან, ის რა დღეში იქნება და „სამხსნელოს" მალე წამოიღებენ. „სამხსნელო" ჰქვია საუკეთესო ლუდს, რომელიც უნდა მიიტანონ ჯარზე და იმითი დაიხსნან ქურდი. სამხსნელო რომ მოვა, დაჭერილს მაშინ ათავისუფლებენ. დაიწყებენ მშვიდობიან სმას და ხუმრობა-სიცილს იმის დაჭერის გამო. ქურდები დღე და ღამე სულ ქურდობენ. დღისით, როცა მეთამაშე წავა, მაშინ სოფელში ხალხი აღარ არის, ზოგი დაპატიჟებულია ოჯახებში, ზოგი ჯარზეა წასული და ქურდები თავისუფლად დადიან. სოფლელები კარებს არ კეტავენ, რადგან აქ ნამდვილი ქურდობა არ არის და არ ეშინიათ.

ქურდობას აქვს ერთი წესი, რომლის შემდეგ ისინი აღარ მივლენ ოჯახში, ეს წესი არის ჯვარში „საპატიოთ მიტანა". ყველა ოჯახი ამზადებს კარგ სადილს, ხინკალს, კეცეულს, ხაბიზგინას და სხვა, თან ერთი ბოთლი არაყიც ჯვარიონთან პატივსაცემად მიაქვთ. ყველა ცდილობს, სხვაზე უკეთესი საპატიო მიიტანოს. ამიტომ წელწადში ჯვარიონნი დიდ პატივში არიან. ვინც საპატიოს მალე მიუტანს, იმის სახლს აღარ გასტეხენ ქურდები. საპატიო ნიშნავს იმას, რომ მისი მიტანის შემდეგ აპატიებენ და აღარ გაუტეხენ სახლს. სოფლის ჯარიდანაც გზავნიან ქურდებს ჯვარში, რომლებიც იპარავენ დარბაზიდან ლუდსა და ხორცს, გატყავებულ საკლავს. ჯვარში მოტყუებით მივლენ, მოიგონებენ რამეს. ორნი თუ არიან, ერთი გამოცხადდება და ერთი დაიმალება. აქ ვინმეს ნახავენ ცალკე დასტურს ან ჭელოსანს და ეტყვიან: აბა დაგვეხმარე, თორე ვაი შენს ტყავს, თუ სოფელში მოგასწარით და დაგიჭირეთო. ის დაარიგებს როგორ მოიქცნენ. ან

ხალხს სინათლეზე აეფარება და იქვე ბოძზე დაკიდებულ მთელ-მთელი საკლავებიდან ერთ-ერთს გაატაცებინებს, ან ლუდს დასხმევინებს რვლის ჩხუტაში ხუცესს — ვითომ აქ გვიშლისო, კარებთან ცოტა ახლო დადგანს და იმას გაატაცებინებს; ან თუ ვინმე დაედევნა, კარებში ხელს შეუშლის. ლუდი საუკეთესო იქნება, რომელიც დარბასში იხარჯება. როცა გაიტაცებენ, ჯვარიონნი იცინიან, ხუმრობენ და ერთიმეორეს აბრალებენ ქურდებისათვის ხელის შეწყობას. მაგრამ ვაი იმ ქურდის დღეს, თუ ჯვარიონთ დაიჭირეს და ხელში ჩაიგდეს. მიიყვანენ დაჭერილს ქურდს დარბასში, დასვამენ ცეცხლის ახლო, დაანთებენ დიდ ცეცხლს (შუა ცეცხლი არის აქ) და ეს მთვრალი ჯვარიონები აღარ დაინანებენ მას, რომ სიცხით იწვებოდეს. მოართმევენ ლუდს, არაყს, ეწვადებს და ვითომ დიდ პატივს სცემენ. ან აქაც ბოძზე მიაკრავენ და ასმევენ ძალით. ან კიდევ ამ იანვრის სიცივეში „გოქჩათ სამანაზე" დააკრავენ გარეთ. „გოქჩათ სამანი" არის მიწაში ნაპევრად ჩასმული მაღალი „ბროლის" ქვა. მასზე მიაკრავენ და თან წყალს ასხამენ. სოფლის ჯარზე კაცს გაგზავნიან და შეატყობინებენ მათი ქურდების დაჭერისა და წამების ამბავს. ასე იქნება, ვიდრე სახსარი არ მოვა. სოფლის ჯარზეც დაფაცურდებიან, მოარბენინებენ არაყს და გზავნიან ჯვარში კაცის დასახსნელად. დამხსნელი რაკი სახსარს მიიტანს, ქურდს ანთავისუფლებენ და მისცემენ, თუ სურს საკლავს ან ლუდს სოფლის ჯარზე წასაღებად. სოფლის ჯარზე საკლავს იქვე მოხარშავენ, „ტაბლას დააგებენ" და ჯარს ფიცრებით წინ დაუდგამენ. პური და ბარილი სოფლიდან მიაქვთ. დაგებულ ტაბლაზე დგამენ ლუდიან თასებს და დალოცავენ იმ ქურდების მიცვალებულებისათვის, რომლებიც გაუტანჯენ და ეს საკლავი მოიტანეს. ადგება ერთი უფროსი და ტაბლას ასე დალოცავს მიცვალებულებისათვის: „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, უშველი ახიელელთ ჯარსა, მოჯარეს, შენი წყალობით შაინახენი. ღმერთო, უშველი, მსჯელებსაც სჯილობას ნუ დაუკარგავ ჯემწიფეო, შენის დიდებითა, ჩემის სიტყვის მაკსენებით, საააჭოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, წესი მართებულ იყოს, ხთის წესითა, მღდლის წესითა, იერუმსალეთის ნათლითა, ქრისტეს გარიგებით, ეს ტაბლაიც, სასმელიც სულსამც მსჯელების მკვდართას მაეკმარების, შაუნდნას ბერთაცა, ახალთაც". სხვები იტყვიან: „აი, შაუნდნას ღმერთმ". მერე დასხდებიან და ჭამენ, მხოლოდ ერთი ან ორი კაცი ზედამდეგებად დადგება ფეხზე. იმათივის ხორცი ცალკე არის შენახული. ხალხი რომ პურის ჭამას გაათავებს, მერე იმათ დასვამენ ტაბლაზე. ზედამდეგები ჩვეულებრივად იქცევიან: ამოიღებენ საწდიდად თასებით ლუდს და დადგამენ სუფრაზე კარახანას, პურის ჭამის შემდეგ გაიმართება ჩვეულებრივი მღერა.

ეს ტაბლაც დამთავრდება. ჯარი კი თავის წესებს ისევ განაგრძობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაგზავნიან ჯარში მეთასეთ, მეთასენი ჯვარიონთაგან პატივნაცემი დიბრუნდებიან და მოიტანენ საწდით ლუდს. ეს ლუდი ჩასხმულია თასობრივ და ყოველი თასი დალოცვილია სახელოვანი კაცებისათვის. ვინც თასს დაიჭერს, შეშდეგნაირად დაილოცება: „გამარჯვება კევწიფესა, იმის წყალობა გქონდასთ სოფელს, ჯარსა-დ მოჯარეს, ბევრ წელწად-ქრისტე მშვიდობისა, ყარვალ ყოფისა, გალოცვიოსთ. ჯვარიონთ სწყალობდას, მშვიდობით შაინახნას. მეთასეთ გწყალობდასთ, სჯილობა ნუ დაგიკარგასთ". მერე ვინც თასი მისცა, მას შეხედავს და ეტყვის: (სახელი) „შენ დაგლოცას, გაგიმარჯოს, ჩემთან თას ნუ მაგიშალას, ბტერსთან ჯვალი, გამარჯვება. შაუნდნას ეს თასი, ვისადაც დაილოც, მაკმარას კას ყმას".

— „შაუნდნას ღმერთმა, შენ კი გადეგძელას" — ეუბნებიან იქ მყოფნი. ვისაც თასი არ შეხვდა, იმათაც თავის თასებიდან დაალევინებენ, ყველა დაილოცება და იტყვის შენდობას. ასე მთავრდება მეთასეთ წესებიც. ჯვარიონნი ღამეს უთევენ და ასრულებენ ყველა იმ წესს, რაც ზემოთ არის ნათქვამი ღამისთევის წესებში. წინაშუადღე დამთავრდება ამით.

ზემოთ ითქვა — „გოქჩათ სამანაზე" დააკრავენ დაქერილ ქურდსო. საჭიროა ითქვას, რა არის სამანი. სამანი არის მიწაში ჩაგდებული ქვა, რომელსაც ნახევარი მაღლა აქვს და ნახევარი მიწაში. მაგ., არხოტივნებს ჰქონდათ ყრილობა სისხლის საქმეების წესებში ცვლილებების შეტანის შესახებ და ამისათვის ჩააგდეს სამანი. ამ დადგენილი წესების დარღვევის უფლება არავის არა აქვს. თუ ვინმე მოინდომებს დადგენილების დარღვევას, მაშინ მთელი თემი აუჯანყდება და ეტყვიან: მიდი ჯერ არხოტის ჯვარში, ის სამანი გადმოაგდე და მერე რჯული დაარღვიეო. სამანის გადმოგდებას ვერავინ გაბედავს, რადგან სამანის ჩაგდების დროს თუ ხარი არ დაიკლა, ცხვარი ბაინც დაიკვლება და დაამწყალობებენ იმას, ვინც ამ წესს მტკიცედ დაიცავს. შეარისხებს მთელი თემი იმას, ვინც დაარღვევს იმ წესს. რაზედაც ეს სამანია ჩაგდებული. დამრღვევმა თუ სამანი არ გადმოაგდო, თემი ნებას არ მისცემს წესის დარღვევისას. სამანის გადმოგდება კი მოასწავებს მთელი ნათესაობიანად ამოწყვეტას. არის კიდევ სამანი ძმობისა. შეიძლება ორი გვარი გაიფიცოს ძმად: ხარს დაკლავენ და ჩაგდებენ ძმობის სამანს, რის შემდეგაც ეს გვარები ძმად გაფიცულად ითვლებიან. ასე გაფიცულ გვარებს ეძახიან „ჯარით შამაყრილ გვარს". გაფიცული გვარები არიან ერთად, როგორც ნამდვილი გვარი, გვარსაც ერთს ატარებენ და ყველა ხევსურულ გვაროვნულ წესებში ერთიმეორეს ეხმარებიან. არის სამანი ძმობის გაყრისა: მაგალითად, გვარში არის კიდევ ქვეგვარები და ამ ქვეგვარებს საერთო საქმეებში

ერთიმეორესთან უთანხმოება აქვთ. შეიძლება თქვან: ჩვენ თქვენი ძმობა არ გვსურს და გავყაროთ გვარიო. მივლენ ყველანი, ერთ გრძელ ქვას მიწაში ჩააგდებენ, დაკლავენ ხაკლავს ძმობის გაყრაზე და გაიყრება გვარი. ეს არის ნამდვილი გვარის გაყრა. მოკვეთა პიროვნებისა კი ძაღლის მოკვლითაც შეიძლება. შეიძლება მშობლებმა შვილიც მოიკვეთოს. ძმამ ძმაც და სოფელმა რომელიმე დამნაშავე პიროვნებაც.

ძაღლით მოკვეთის დროს ძაღლს ან მოკლავენ, ან ჯოხს დაარტყამენ და დაიძახებენ სახალხოდ (მაგ. ძმა იკვეთს ძმას): „ხალხნო, მაგდიოდასთ, მე ძაღლს ვკლავა-დ ამით ვიკვეთ ჩემს ძმას. მე მაგას ვერა მივადინი, ვერც ავი, ვერც კაი. დღესიდგე ყველამ იცოდინეთ, ეგ ჩემ ძმა აღარ ას. მაგან რომ რა ვის დაგილიოსთ, ან მაგკლასთ ვიწ. მე კარზე ნურავინ მამიდგების. თუ ეგ ვის შემოგაკვდათა, მე არავის მაგიდგებით კარზე. მე მაგისას აღარას ვიკითხავ“.

ორი გვარი რომ გადაეკიდება ერთიმეორეს, შეიძლება აქ გვარში ერთ-ერთმა ქვეგვარმა თქვას, რომ მე მაგათ ბრძოლაში არ ვუდგევარ და მონაწილეობას არ მივიღებო. ამას მოპირდაპირე გვარი არ დაიჯერებს და იტყვის: მაგათი ეშმაკობა ვიცით; ჩვენ რომ მოვკლათ ვინმე, მაშინ ძმები იქნებიან; თუ არ უდგას, მოიკვეთოს და მაშინ მაგათთან საქმე აღარ გვექნებაო. მოკვეთა ამ ბრძოლის დროს სირცხვილია, რადგან შიშით მოკვეთას ნიშნავს, მაგრამ ხანდახან მაინე ხდება.

ძაღლით მოკვეთილის შერიგება ისევ შეიძლება: ამისათვის ერთ საკლავს დაკლავენ, ამას ეძახიან „ძაღლის ხსნას“. შერიგების შემდეგ ისინი ისეთივე ძმები იქნებიან, როგორებიც იყვნენ.

მაგრამ სამანის ჩადგმა მტკიცე საქმეა და ამისი დახსნა აღარ შეიძლება, სამანს ველარავინ ამოიღებს, რადგან მისი ამოგდება მთელი ნათესაობის ამოწყვეტას ნიშნავს.

სამანი არის კიდევ სახატო საქმეების განსამტკიცებლად. მაგ., სახატო მამულებში, რომლებიც დასტურებს აბარიათ, გადადის საქონელი, რადგან ყანები სოფლის ახლოს არის. უფრო ხბოები შედიან. სოფელს ხბოების გაშვება აკრძალული აქვს, მაგრამ ყველა არა ემორჩილება ამ წესს და თავისუფლად უშვებს. შეიძლება ეს ხბო დასტურს შემოაკვდეს. პატრონი იმას ნუ აზღვევინებსო — ამისათვის ჩაუდგამთ სამანი. თუ პატრონი დასტურს გადახდევინებას მოუნდომებს, მაშინ იტყვიან — ეს სამანი გადმოაგდოსო. მე მახსოვს, ბიძაჩემი იყო დასტური, სახელად ივანე. მას შემოაკვდა ჭირნახულიდან გამორეკვის დროს რუჩუელთ ხბო (რუჩუელთა ორი კომლი იყო). რუჩუელთ რჯულის კაცებმა თვითონ უთხრეს: ჯერ ის სამან გადმოაგდე, მერე

ვაკისრებთ ზღვას, გადავახდევინებთ ივანეს იმ ხბოსო. რუჩუელნი გაჩუმდნენ.

შეიძლება სისხლი იყოს სადაო, რჯულის კაცებმა თუმცა გაარჩიეს და საეჭვო იყო კიდევ მისი განახლება. ამისათვისაც სამანს დგამენ და თუ რომელიმე ფიქრობს დადგენილი საქმის გადახვევას, შიშით ხმას ვეღარ ამოიღებს, გადაწყვეტილება რჩება საბოლოოდ.

ასე მრავალ საქმეზე იდგმება სამანი და სათემო სალოცავებში რომ მივიდეს კაცი, აუარებელს ნახავს მიწაში ნახევრად ჩაფლულ გრძელ ქვებს. შეხედვითვე შეატყობ, რომ ეს სამანი არის. ზოგიერთი სამანი აღარც კი ახსოვს ხალხს. რაზე არის ჩაგდებული. უმრავლესობა კი იცან გადმოცემით უხუცესებმა. შეიძლება ერთმა კაცმა დაიფიცოს რამეზე: სასმელს აღარ დაეღევ, ან ჯვარში ჩხუბობს და გადაწყვეტს — აღარ ვიჩხუბებო (მკითხავები აუკრძალავენ, როცა მას ავად ვინმე გაუხდება). ის მივა ჯვარში, აიღებს ქვას, კოშკზე დადებს და იტყვის: „დალოცვილო მთავარანგელოზო, შენც მაგდისა, იცი, გულთამხილავი ხარ. ხალხნო, თქვენც მაგდიოდასთ, რომ მე დღეს აი ამ ქვას სამნად ვდებ ჩემის ფიცისად. დღესიდგე მე აქ რო ქვეც ვინ მამკლას, სიტყვას არ შაუბრუნებ, ჯვარში თუ მე კიდევ ვის ენა გაეცი, ეს სამან უნდა გადმავაგდ. მომდიოს მთავარანგელოზმ. გამაძეოს შვილით შვილამდინ, ქალის შვილამდინ“, „წყალობა მაგცას“ — ეუბნება ხალხი. გამოვა კაცი იქიდან, დამზადებული აქვს ერთი მომრგვალებული გახვრეტილი ქვა, რომელიც ძაფზე არის აცმული და მისცემს ხუცესს. ხუცესი ყელზე შეაბამს და ეტყვის: „წყალობა მაგცას მთავარანგელოზმ, შაგინახაბს, როგორც შენ შაინახავ შენს სიტყვას“. ეს ქვა ამ კაცს მუდამ გულზე ექნება დაკიდებული. თუ გაცვდა ან დაკარგა, სხვას გამოცვლის. ზოგს კიდევ პირში ქვა უდევს, როცა ჯვარში მივა, ეს იმიტომ რომ ჯვარში ის ბევრს ყბედობდა, ქოთობდა, რათქმა უნდა როდისმე ავად ვინმე გაუხდებოდა. ადგილობრივმა მკითხავებმა მისი ხასიათი იცოდნენ და აკრძალავდნენ ქოთს ჯვარში. ეტყოდნენ ჯვარში რომ მიხვალ, პირში ქვა უნდა ჩაიდო იმის ნიშნად, რომ იქ აღარაფერი ილაპარაკო. ეს კაციც ალუქმას დებს და ჯვარში რომ მივა, მადლს მოსთხოვს ჯვარს, ერთს პატარა ქვას იღებს, იდებს პირში და ისე არის. ლუდის დალევის დროს გამოიღებს ქვას, ხელში დაიჭერს და მერე ისევ პირში ჩაიდებს, სახლში რომ წავა, იმ ქვას გალავანს არ გააცილებს და იქვე გალავნის შიგნით გადააგდებს.

არის კიდევ ერთი დაფიცვა; პატარა ჯოხს აიღებენ, დანით დაუჭდევენ და იტყვიან: „ასე ამოვარდას ჩემობა, თუ მე აწიდგე ესიდ ჩავიდინ“ (მაგ. სიმთვრალე, ჩხუბი და სხვა) და ამ დაჭდეულ ჯოხს გადაადგებენ ჯვარში წმინდა ადგილას. ამას ჰქვია „ჭკდის ამაგდება“.

ესაც მაგარი ფიცია. ისე სწადით, რომ, თუ გადაუხვია რაზედაც დაიფიცა, მაშინ ამოწყდება მისი ოჯახი, როგორც ის ჭდე ამოვარდა.

არის ერთი ფიცი კიდევ, უფრო მძიმე: თუ ერთიმეორეს აბრალებენ რამეს და ვერ ამტკიცებენ, მაშინ შეუთვლიან დაფიცვას „ხელის მომკიდეთ". ხელის მოკიდე იმას ჰქვია, რომ დამფიცებლის ნათესაობა (რომლებსაც დამფიცებელი სახელდობრ შეუთვლის): ძმა, ბიძაშვილი და სხვა, უნდა მიჰყვეს ჯვარში და დაფიცვის დროს გვერდზე ედგეს. დამფიცავს მიჰყავს საკლავი, ხუცესიც მიდის და ხელის მომკიდეებიც. ვინც იფიცავს, ის იტყვის: „დალოცვილო მთავარო ანგელოზო, შენ ნურაით შამისაწყინდები შამაძახილზე. შენ გულთამხილავი ხარა-დ შენ იცი, რომ მე დამნაშავე არ ორ. დალოცვილო, ამ საქმეში თუ მე მართალი ორ (დასახელებს, რა საქმეც არის), სიმართლით მაწყოფე, მიშველი. თუ მტყუანი ორა, მიმტყუანი, დალოცვილო. თუ მტყუანი ორ, მე გამიწყერი, მამდი შვილით-შვილამდინა-დ ქალის შვილამდინ. თუ არადა ჩემს ტყუილად დამბრალეს გაუწყერი". მერე ხუცესი იხუცებს შემდეგნაირად: „ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-სამართალი, მიქიელ-მთავარანგელოზო, შენა სანთაროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს პირის საბანი, შენ შენთ მეხვეწურთად, ერთუცის მოდაევეთად (სახელებს იტყვის) საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნელოდ მაიკმარი. ნურაით შაუსაწყინდები დალოცვილო, შენდ შამაძახილზე თავის გასამართლებლად, ნურაით დააზიანებ. შანაკოდვარი შაუნდევი, დალოცვილო. ხთის კარზე შაიტანიეს სამსახური, დალოცვილო. ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს" და ჩვეულებრივ გრძელდება ხუცობა, რომელიც ასე მთავრდება: „შენად სამთავროდ, შენა ეასამარჯოდ მაიკმარი, მიქიელ მთავარო ანგელოზო, ეს სამსახური, პირის საბანი. შენ მეხვეწურთ სამწყალობნოდ მაიკმარი, შენ უშველი ერთუცის მოდაევეთ, დალოცვილო, რაც ავ ჩამაღორდნივ, ნულარას ავს ჩამაუგდებ, დალოცვილო, დავის სიმართლის გულისად შამაძახილზე ნუ შაუსაწყინდები. შენ უშველ, დალოცვილო, შენ დაეკმარი ველთაცა-დ შინაც, ღმერთი შენს ძალსა, დიდებას მაუმატებს".

ამის შემდეგ დასტური საკლავს ოთხივე ფეხს უჭერს, იყვანს და მუცელზე იდებს პირადმოსავლეთისაკენ და მარცხენა გვერდი მუხლზე ექნება დადებული. მერე ხუცესი ყელს გამასჭრის და დაამწყალობნებს მოდაევეებს: „გწყალობდასთ ერთუცის მოდაევეთ მიქიელის დავლათი, ჯაწყალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, შაძახილზე ნუ შაგიცოდვნასთ დალოცვილმ: სიხარულად გაგიჯადასთ. ჯვარიონთ გწყალობდასთ, ხუცესს ენა-პირ გიკურთხას, შაუცოდვრად შაგინახნასთ". მერე მივლენ ერთად დამფიცავი და დამფიცვიები. ერთმანეთს აკოცებენ და ვინც დაფიცვა შეუთვალა, ის ეტყვის: „ეესიეთაი ას ხალხის ენაი. ხალხმ კინაღ ერთუცი დაგვაკოცივ. ჯარჯად ხქენი,

შენს თავს ჭირ მააშორე. მე სირცხვილი, რო დაიფიცი. კაცნი მარცხვნიდეს, თორემ მე შენ არ დაგაფიცებდი". ახლა დამფიცავი უპასუხებს: — „აბა შენ გადამეკიდი თავის სილაღითა, სიამაყით, თორემ შენაც იც, რო მე მაგ საქმეში ბრალ არეაით მედებოდ" (საქმე თქმით არის დაბრალებული, თუ ჩადენილი რაიმე არის, რაზეც დაიფიცეს, იმას დაასახელებს). მერე დაკოცნიან შერიგების ნიშნად ერთიმეორეს და დაშორდებიან მშვიდობიანად. ბოლოდ დაჭფიცვიებმა დამფიცავს ხუთი ძროხის დრამა უნდა უზღონ „სამამფიცრო". ძროხას უტოლეენ ხუთ კილო სპილენძს. მაშასადამე, დამფიცავს უნდა მიეცეს დამფიცებლისაგან ოცდახუთი კილო სპილენძი. ანითი ბოლოვდება მითი დავა.

ერთი უფრო დაბალი ფიცი არის კიდევ: ვინც რამეს აბრალებს ერთიმეორეს. დამბრალებელი ეტყვის, ვისზეც ექვი ეპარება, იმას — „თუ მართალი ხარ, ჯვარი ხელი შაწვადეო". ეს, რა თქმა უნდა, წვრილმანი საქმე იქნება, — შეშის მოპარვა, ან თივისა, ან ნათქვამი რამე ექნება ტყუილად. ვისაც ავალებს, ის ხელსა გაიწვდის ჯვართაკე და იტყვის: „ამაგათ დავლათი გამიწყრეს, თუ მე მაგის ჩამდენ ვიყვ" (დაასახელებს ბრალდებას). ამას ჰქვია „ჯვართად ჭელის შაწვდა". იგი ყველაზე პატარა ფიცია. საერთოდ ის, ვინც ვერ დაიფიცავს, მტყუნდება. იტყვიან: „ფიც გაუტყდა-დ უნდა იკისროს ის, რასაც აბრალებენ". ფიცის დადება ხდება ყოველთვის როგორც დღეობაში, ისე დღეობის გარეშეც, როცა კა ჩავარდება დავა და მოდავეები მოისურვებენ საქმის გადაწყვეტას.

სისხლის დროს იციან კიდევ მიცვალებულის „საფლავზე შაკდომა". იქ ყურს გამოიკაწრავენ, სისხლს დაიდენენ და იტყვიან: მე ამ მკვდრის უნცროსი და მონა ვიყო საიქიოში, თუ ამის ჩამდენი ან ნთქვენი ვიყო (რასაც აბრალებენ).

დაფიცვა და „საფლავზე შაკდომა" სირცხვილიც არის და ეუდის მომასწავებელიც, ხევსურების რწმენით. მაგრამ, როცა მეტი გზა არა აქვთ, უნდა შეასრულონ. საერთოდ კი ხევსურები ამ ამბებს ძალიან გაურბიან.

უკანაშუადღე

წელწადში „ქურდობას" მოჰყვა ამ ამბების აქ ჩაწერა და ახლა ვუბრუნდებით ისევ წელწადს. წინაშუადღე ამათი დამთავრდა და ახლა თენდება „უკანაშუადღე". დასტურები ჩვეულებრივად ადრე ადგებიან. ვისაც ჩაბარებული აქვს, არაყს მოიტანს და ლოგინში დაალევინებს ხუცესსა და ხელოსანს, დიასახლისი კი ადრე ადგება და

ვას ერთი დასტურიც ეხმარება საქმიანობაში: წყალს შემოიტანს და ათბობს ქადებისათვის ცომის მოსაზელად, ხავიწს ჩასთლის ქადის გულად და ცეცხლს ანთებს, დიასახლისი ფქვილს გაცრის, მოზელავს ცომს და ხავიწის გულიან სპას ქადას გააკეთებს, ოთხ საკვირაოს და ცხრა ხმიადს. ჯერ ზედგანზე აცხობს, მერე ნაცარში. შებერვით გააცლიან ნაცარს („განაცვრა" ჰქვიან), წყალში გაბანენ, დაჭრელებულ გვერდზე გაპოხავენ ერბოთი, გაიტანენ დარბაზში და დაწყობენ სპილენძის სამფეხა ტაბლაზე. ჩვეულებრივად, როგორც ზემოთ ნათქვამი არის, სანთლებს აანთებენ, ლუდით სავსე სამ თასს დადგამენ ყამსაწირზე და ხუცესი ჩვეულებრივად ხუცობს. ყამისწირვა თავისი ცერემონიებით რომ მოთავდება, შეიძლება აქ მეზღვნე ვინმე მოვიდეს და კვლავ ამ წესებს ასრულებენ. მეთამაშე უკანაშუადღეს აღარ მოდის, რადგან ამ დღეს თემობადღე არის და თემი მოდის არხოტის ჯვარში. წინაშუადღეს რომ თემში ქერი იკრიბება (ლალა), ამ ლალისგან წელიწადში ორჯელ იხარშება ლუდი სათემოდ, — ათენგენას და წელწადში. მაშინ მოდის თემიც. თემი რომ მოვა, ერთი ადგილი სოფ. ამღერნთათვის დანიშნული და იქ დასხდებიან, მეორე ადგილი დანიშნულია ჭიმღიონთათვის და იმ სოფლის ხალხი იქ დასხდება. ახიელელებს ლუდი სოფელში მიაქვთ: თემს მიაქვს ლუდი განსაზღვრული რაოდენობით, დგამენ საწდეს და ჩვეულებრივად დაიწყებენ სმას. შეიძლება საწდე დალოცონ მიცვალებულისათვის და შეიძლება არა. ამღიდან მოსულნიც ცალკე სვამენ ლუდს და ჭიმღიდან მოსულნიც. შეიძლება ხანდახან ერთიმეორე დაპატიჟონ. ან თუ შემთხვევით იმ მხარზე ვინმემ გაიარა, მიიპატიჟებენ: ისიც იქ დალეს, მერე ისევ თავის ჯარზე წავა. ოღონდ რომელ ჯარზეც იყო, იმათგან რომელიმეს დაადებს ხელს და სთხოვს: ჩვენს ჯარზე გამომყევიო. გაიყოლებს ერთ კაცს. ახლა იქ სცემენ პატივს, სვამენ და ძალასაც ატანენ დალევაში.

დასტურები ყველგან დიდ ცეცხლს ანთებენ თავისი „შიგსაშვავი" შეშით. საჭმელი ამ ჯარზე არაფერი აქვთ, სვამენ ცარიელ ლუდს და წავლენ. ს. ახიელში კი მიტანილი აქვთ ლუდი სოფლის ჯარზე, ახალუხალი ცალკეა. უფროსების თვალწინ ახალგაზრდები ვერც სასმელს დალევენ, ვერც ცეკვას გამართავენ და ამიტომ ისინი სულ ცალკე იყრიან თავს. სოფლის ჯარზე არ შეიძლება, გარდა საგმირო ლექსების ძველებურ კილოზე მღერისა ,სხვა რამე მხიარულობა. ასე მღერა კი მიღებულია. ფანდურზე მღერა არის ორგვარი, ე. ი. ორი კილო: საგმირო ლექსებს ძალიან ხმამაღლა და გაგრძელებული კილოთი უკრავენ ფანდურზე და მღერაც ასეთიეე გაგრძელებული და ხმამაღალი არის; სატრფიალო ლექსების დაკვრა მოკლეა და ხმადაბლა. ახალგაზრდები მღერითაც ასე მღერიან ახალუხალში. სოფლის ჯარზე ასეთი დაკვრა,

დამღერება და ლაპარაკიც კი გარდა საგმირო ამბებისა სირცხვილად მიაჩნდათ. სატრფიალო ან ჯორიკნული ლაპარაკი ხომ სოფლის ჯარზედ არ გაიგონება. უფროსები სხედან სკამზე (დაწყობილი ხეებია), ახალგაზრდები ბოლოში ცალ მუხლზე სხედან, ზოგიერთები კი ფეხზე დგანან და ლუდს არიგებენ. ახალგაზრდა ყველგან ახალგაზრდაა და ამისთანა ყოფას ისევ ახალგაზრდებთან თავისუფალ გართობას რჩეობენ. ამიტომ სოფლის ჯარზე დიდბანს არ ჩერდებიან, სოფელში ახალუხალს სადმე ჰოუყრიან თავს, მიიტანენ ლუდს და ატარებენ დროს, ამას არც უფროსები დაუშლიან. ახალუხალი იქ თუნდა სულ თეთრად ათენებს ღამეს, თუ უნდათ იქვე, იმ ოჯახში იძინებენ სწორფრები (სწორფრობის წესზე სხვა ადგილზე იქნება საუბარი), ზოგნი კიდევ ქეიფობენ და ასე გაივლის წინაშუადღის შემდეგი ღამე და თენდება „გამცხადება". გამცხადება-დილას ხელოსანი და ხუცესი აუცილებლად სადმე წყაროზე დაიბანენ ტანს. დაბანის წინ სიციცისაგან დასაცავად ცხარე არაყს დალევენ. ტანს დაიბანენ ძალიან ადრე, თენებას რომ იწყებს, „სიმკარზე უნდა გაიბანაოს ხუცეს-ჯელოსნები, თორე ვერ გაბანა გაბანა აღარ ას". მივლენ ჯვარში ნაბანავარნი და დახვდებათ დანთებული დიდი ცეცხლი. თანაც არაყს დალევენ კიდევ. ტანის დაბანის დროს არც საპონი აქვთ და არც არაფერი შესამშრალები. დაისველებენ ტანს ცივი წყლით და ზედ ჩაიცვამენ შალის პერანგს. საცვალი ხელსურებმა არ იციან. ხანდახან შალის პერანგზეთაც ჩაჯდება წყალში ხუცესი. ხელოსანი დაისველებს ტანს, ხან გულზე დაიხვამს წყალს და წამოვა ასე. და ეს ყველაფერი ითვლება გაბანად. ამითი უწმინდურებისაგან იწმინდება ადამიანი.

ამ დროს დიასახლისი ამზადებს ყავსაწირს. ეხმარება ერთი დასტური[1].

... სადიდებელი ხთის კარზე შაიტანეთ, მაგითამც დიდნი ხართ თქვენის გამჩენის ხთის კარზე". ყველანი თასებს მაღლა ასწევენ და იტყვიან: „თქვენიმეც სახელი დიდდებისა, ჯსენდების". შემრე ყველანი ერთად წარმოსთქვამენ: „ჯვართ დიდებაი, მეხვეწურთ წყალობაი" და დალევენ სადიდებელთ (სადიდებელნი ეწოდება ამ თასებს). შემღერებენ კიდევ ფეხზე:

„დგომამც ქნა შავის ლუდისა, გათავდას — წესიმეც არ იყვა,
მაესვლა თქვენ ფერთა სტუმართა, შინ წასვლა წესიმეც არ იყვა"
და სხვა.

მღერასაც მოათავებენ, თასების დალევასაც და გადაიხდიან მადლს (ასე ეწოდება თასის დალევის შემდეგ სიტყვების თქმას: „აი შავსვი თქვენის გამარჯვებისა, თქვენამეც გწყალობსთ ნაჯსენებთ ანგელოზთ

[1] დედანს აკლია 12 ხელნაწერი გვერდი, მასალა გრძელდება ამ დანკლისის შემდეგ.

დაკლათი"). ჩამოართმევენ ერთიმეორეს თასებს და დადგამენ თავის ადგილზე. ამის შემდეგ დასხდებიან და ვაახმარენ სმას. მეორე სოფლიდან დაბრუნებული მეთამაშე დაღლილი იქნება და ცოტა ხანს ისვენებს სოფელში. ამ დღეს მეთამაშის კუთვნილი ლუდი რომ დარჩა, გაგზავნიან ორ ახალგაზრდას თხოვნით: „ახალუხალი გთხოვთ ჯვარიონნი, რომ დღეს მეთამაშეს რო ლუდ ერგებოდა-დ არ ჩამავედით, იმის კვალად ერთ საწდე დაგვისხით ახალუხალში წასაღებად". ჯვარიონნი ახალგაზრდებს არ აწყენენ. მუდამ კარგად ექცევიან და ისინი თუ საჭირულოდ ლუდს ითხოვენ, მუდამ მეტობით აძლევენ. წამოიღებენ ლუდს და ნიტანენ სოფელში ერთ-ერთ სახლში, დაეძახებენ ახალუხლებს და გაიმართება სმა, მღერა, ცეკვა. ქალი და ვაჟი ყველა ერთად იყრის თავს. ძალიან ბედნიერადაც გრძნობენ თავს. რომ საქმისგან მოიცალეს და ამ დღეობამ საშუალება მისცა ერთად ყოფნისა.

სოფლის ჯარზე უფროსები მოიყრიან თავს, გაგზავნიან ორს მელუდეს. მელუდენი მოიტანენ ლუდს და დაუდგამენ ხალხს წინ ამ სიტყვებით: „ლუდი წინა, ვაჟებო". „მამტაკ ბედნიერი. მაგვიხვეთ მშვიდობით" — რომელიმეს მისცემენ ფანდურს და სთხოვენ: გვიმღერეო (ხევსურები საგმირო ლექსს უწოდებენ სიმღერას, ხოლო სატრფიალოს — ლექსს. საგმირო სიმღერის მღერას — მღერას უწოდებენ, სატრფიალოს დამღერებას კი ლექსობას).

მიეგებებიან და მიიწვევენ მელუდეთ სკამზე. ორი ახალგაზრდა კაცი დადგება ფეხზე და არიგებს ლუდს: სმაში, როგორც ზემოთ ნათქვამია, ყველა თავ-თავის სურვილის მიხედვით ილოცება, ვინაც ვის სურს, იმას ადღეგრძელებს და დალევს. სოფლის ჯარიდან კიდევ გაგზავნიან მეთასეთ ჩვეულებრივად. მეთასენი ჯვარში რომ მიდენენ, დარბაზის კარში მადლს მოითხოვენ და ჯვარიონთ ეტყვიან: „აშენდით, წალმაც წაგივასთ დღეი, დღეობაი". „დაშვენდით, მაგვიხვეთ მშვიდობით, წყალობა ქემწიფისა, წყალობა" — უპასუხებენ ჯვარიონნი და შეიპატიჟებენ დარბაზში. გამოკითხავენ სოფლის და იქაური ჯარის ამბავს, როგორი დღეობა აქვთ, ან ხომ არავინ ჩხუბობს, რა მიზეზით, მეთასენიც უამბობენ ყველაფერს და ჯვარიონთაც ჰკითხავენ ამბავს. ამის შემდეგ მოუტანენ მეთასეთ სუფრას, მწვადებსაც შეუწვავენ (წელწადში ბევრი ხორცი აქვთ ჯვარიონთ, რადგან ბევრი მეზღვენები მოდიან. ზოცენ საკლავებს, რომელთა ტყავ-ხორცი ჯვარიონთ რჩებათ). ლუდ-არაყსაც ძალიან ეძალაღებენ. ცდილობენ დაათრონ მეთასენი და ამით თავი ისახელონ. მაგრამ მეთასენიც ფრთხილად არიან. ცდილობენ დაიხსომონ ზეპირად ის თასები, რომელთაც ჩაუსხამენ და დალოცავენ ძველ მიცვალებულთათვის ჯვარიონნი. თუ ვერ დაიმახსოვრეს, ვისთვის დალოცვილ ლუდს ჩაასხამენ. ეს ძალიან სირცხ-

ვილია და უფროსებიც გაუჯავრდებიან. ჯარზე მეთასეები თითოდ ამოიღებენ თასით მოტანილ ლუდს, ჯერ უფროსებს დაურიგებენ, მერე უნცროსებსაც და თითო თასს დალოცავენ იმისათვის, რომელი მიცვალებულიც ჯვარიონთ ახსენეს ლუდის ჩასხმის დროს. მაგალითად, ასე იტყვიან: „აჰალე თასი, გიორგივ (რა სახელიც ჰქვია), შაუნდნას ყვირიკათ კუკუას". მეორეს: „შაუნდნას ოჩიაურთ უშიშას" და შემდეგ... მერე ყველანი დაილოცებიან, შენდობას ეტყვიან და დალევენ. ბოლოს იტყვიან: „აი შაუნდნას ღმერთმა, მააკმარას, ვისადაც ილოცა. შავსვი თქვენის გამარჯვებისა". ამ სიტყვებით ცარიელ თასს გადასცემენ სხვას. აქვე მღერიან საგმირო სიმღერებს. ერთი მღერას რომ გააჩაჩავებს, ადგება და იტყვის: „თქვენის გამარჯვებისა". „აი დიდბანამც იმღერ კაი გულით", „აჰალე შასვი, ყელ აშაგიშრებოდ" — ვინმე მიართმევს თავის თასს და დაალევინებს ლუდს. მომღერალი ეტყვის: „ნასვამ გაამას, შენის გამარჯვებისა, გიცოცხლას შვილები". მერე აუვსებს დანაკლულებულ თასს, წაიყვანს, სკამზე დასვამს, მისცემს თასს და ეტყვის: — „ჯვარ დაგიწერას ღმერთმ". „ჯვარის წყალობა გქონდას" — უპასუხებს იგი. მხოლოდ მომღერალი რომ შეა მღერაში იქნება, მაშინ ერთი რომელიმე ლუდიანი თასით ხელში ადგება და შემღერნებს მომღერალს. მომღერალი გაჩუმდება, მხოლოდ ისევ შუხლზე ზის და ფანდურს უკრავს. თასიანი კაცი კი მისი ფანდურის დაკვრაზე მღერის:

„ცხენს ეტყვის ბლოელ ბერდია — ამ ზაფხულ ქერსა გაჭმეო,
რახან გაზაფხულ მავიდას საკეთ მთათა გაგლეო.
ამამყეე, ჯმალო სამ ღარო, მეკვეის სისხლსა გასმეო.
ჯმალო, თუ იმას ვერ იქამ, ჯარავანს მანც გაჭრეო,
აიმასაც თუ ვერ იქამ, გაგყიდი, ფასსაც გაქნეო.
— რაად გამყიდი, პატრონო, რა წუნი შაგიმჩნევია,
მამიკლავ შენი მამკლავი, თავ შენი ნამარჩენია,
დამიკრავ შენი დამკრელი, ვალი არ შამირჩენია".

ამ სიმღერის მღერაში პირველ მომღერალს ვინმე თავის თასს შოაყუდებს პირზე, ის ფანდურის დაკვრას განაგრძობს და თან ლუდსა სვამს. ან მეორე მომღერალი თან ასმევს, თან მღერის. ასე დაალევინებს ბოლომდე დამკვრელს. მერე ვინმე სხვა აღვსებს თასს ლუდით, სკამზე დასვამს და თავის თასს მისცემს ხელში. პირველი მომღერალი კი მღერას განაგრძობს. ასეთი არის მღერის წესი. მხოლოდ რამდენიმე კაცს ამღერებენ, დანარჩენ ხალხს ლუდიანი თასები უჭირავთ და ჩუმ დ სხედან. ხანდახან შეჯიბრიც არის — ვინ იმღერებს უკეთეს ხმაზე და კარგ სიმღერას. ამ წესით დამთავრდება გაცხადების წესებიც. ჯვარიდან ხალხი წავა თავიანთ ოჯახებში. ახალგაზრდები უფროს კაცებს სახ-

ლამდინ გააცილებენ. ახალგაზრდას შეიპატიჟებენ და პატივუცემს არ ვაუშვებენ.

წყალკურთხევა

მეორე დღეს თენდება წყალკურთხევა. ეს არის უკანასკნელი დღე წელწადისა. ამ დილას ჯვარში სრულდება ყველა წესი: ქადების გამოცხობა, ყამის წირვა და სხვა, ამ დღესაც კიდევ მოდიან მეზღვნეები უკანასკნელად, დილით თავებს რომ მოირჩენენ და ყამს სწირავენ, მერე ისაუზმებენ და შეუდგებიან საკლავების დაკვლას, სოფელშიც ჩვეულებრივ ერთიმეორეს ეპატიჟებიან და სასმელისაგან ატკივებულ თავს ვითომ სასმელითვე ირჩენენ, ჭამენ საჭმელს, უფრო ხორცს და მერე ემზადებიან წელწადის უკანასკნელი მეთამაშენი წასასვლელად. ყველა იარაღს აიღებს ხელში და წავლენ ჯვარიონთ დასალაშქრავად. ჯვარიონნი, ამ შემთხვევაში დასტურები, ასაყვედურებენ, რომ ქონებაც სულ გამოგაცალეთ, გაგქურდეთ, თან ოქვენ ქალებს ვკოცნიდით თქვენ სახლებში რომ დაედიოდით და სხვა. უკანასკნელი ლაშქარი ეცემა ჯვარიონთ. ახალგაზრდები იარაღით მიდიან და ქალები ისე მიჰყვებიან თან. ჯვართ რომ მიუახლოვდებიან, ჯვარიონთ დუქახებენ: „აბა თუ ვაჟები ხართ. ეხლა გამაედით კარში“ და დაუწყებენ ათას რამ სახუმარო ძახილს. გამოვლენ ჯვარიონნი და გადმეორებენ საყვედურს. გაჯავრებული სოფლის ლაშქარი აუტეხს სროლას (თოფს არ დაიჭერენ ჯვართ მიმართულებით, არ შეიძლება თოფს ჯვარისკენ გასროლა). აქედან ჯვარიონნიც უპასუხებენ და გაიმართება ბრძოლა. გამოვლენ მინდორზე და ხმლებითაც ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებმებიან. „წაიქცევა“ ხალხი, ექიმებიც ვითომ თან ჰყავთ და „უწერენ“ წამლებს დაჭრილებს: მოაქვთ სოფლიდან არაყი, ჯვარიონთ ლუდი და ამით არჩენენ დაჭრილებს და მკვდრებსაც აცოცხლებენ. ამის შემდეგ მამაკაცები მიდიან დარბასის კარში და იქ ჯვარიონნი მათ დიდ პატივს სცემენ. — რაც კაი სასმელი აქვთ ლუდი თუ არაყი, ყველაფერს მიართმევენ. (ხევსურებმა სმის დროს ჭამა არ იციან). ქალებს გაუტანენ საუკეთესო ხარისხის ლუდს და დაალევინებენ მინდორზე. იქ იმართება ცეკვა. ბოლოს ახალუხალს მიაქვს ლუდი სოფელში და მთელი დღე ახალგაზრდებს თამაშობა, მღერა და ლუდის სმა აქვთ. ხნიერი ხალხი სოფლის ჯარის დასხდომამდინ ერთიმეორეს პატიჟობენ სახლში. ორი დასტური მოიტანს დიდი ქვაბით ლუდს, დადგამენ რომელიმე სახლის ბანზე და დაუძახებენ ყველას, ქალები და ბავშვები, ვინც ჯვარიონთ საპატიო მიუტანა (საპატიოზე ზემოთ ითქვა), მიელენ და მიუტანენ ლუდის წამოსალებად რამე ჭურჭელს. მათ თითო კოშ ლუდს ჩაუსხამენ და გაატანენ. იქაც დაალევი-

ნებენ და საპატიოთ მიტანისათვის მადლობას გადაუხდიან. ამ მოვალეობას რომ შეასრულებენ, დასტურები ბრუნდებიან ჯვარში, სადაც ბევრი საქმეები დახვდებათ: ზოგი მეზღვნეა მოსული და პიტივისცემა უნდა. ზოგი სოფლიდან გამოგზავნილი მელუდე იქნება, ან საკუთარი საჯკარო საქმეები ექნებათ. ერთი სიტყვით, დასტურს მოსვენება არა აქვს. ხუცესი კი ძველ ბატონს ჰგავს. — ზის და ყველა მის განკარგულებას ასრულებს, სასმელ-საჭმელიც მზა მიუდის.. დასტურები ადუღებენ დიდ ქვაბში ბევრ ხორცს (აქ სანელი არ იციან). რომ მოიხარშება, დასტური გავა სოფლის ბოლოში, მინდორზე და დაიძახებს: „სოფელო, გაიგონეთ! მეზღვნეები მეედით, ტაბლას დაგიდგამთ, ნემრ გამალოცვა გვინდ, მეედით, ნუღარ დაღგვიანდებით. ვისაც არ მაგდისთ, ერთმანეთს გააგებიეთ“.

დასტური დაბრუნდება ისევ ჯვარში და მეზღვნეებიც მივლენ. ისინი ჯვართ მადლს მოსთხოვენ და დასხდებიან, დასტურები დაუდგამენ წინ ფიცრებზე დაწყობილ პურსა და ხორცს ერთიმეორეზე. აიღებენ პურს, თითოობით მეზღვნეები ჰკიდებენ ხელს და ტეხენ შემდეგი სიტყვებით: „ღმერთო, გაუმარჯვი ჯემწიფესა; ჯემწიფეო, შენ სწყალობდი ამ მეზღვნეებსა-დ ჯვარიონთ. დასტურსა-ჯელოსანს დაადეგ. წალმ, შენი წყალობით შაინახენ“. ამ სიტყვების წარმოთქმისა და პურის გატეხის შემდეგ იწყებენ ჭამას. ჩამოარიგებენ და ყველა წინ დაუდგამენ ლუდიან თასს — კარახანას. ჭამის დროს დასტურები ფეხზე დგანან. როცა პურის ჭამას ვინმე მორჩება, ასე წარმოსთქვამს: „ღმერთო, გაუმარჯვი ჯემწიფესა, ჯემწიფეო, შენ სწყალობდი მეზღვნეებსა, ჯვარიონთ, დაადეგ წალმ“ და შეჭამს უკანასკნელ ლუკმას ფეხზე მდგომი. დასტურები სთხოვენ, აიღოს ლუდი და დალიოს. ამ დროს იღებს ფანდურს რომელიმე დასტური, დაუკრავს და ერთერთ სამღერალ სიმღერას იმღერებს. მეორეჯერ მას ყველანი ერთხმად გაიმეორებენ და ერთ ხმაზე ხმამაღლა ყვირიან. შეიძლება აქედან მარტო ორი-სამი სიტყვა იმღერონ და სხვა აღარა. სიმღერის შემდეგ მოაყუდებენ პირზე პირველ მომღერლებს და დაალევინებენ თავიანთ თასებიდან ლუდს. ბოლოს ჩვეულებრივად თასების ჩამოყრით დამთავრდება და ტაბლასაც აიღებენ ამავე სიტყვებით: „ღმერთო, გაუმარჯვი ჯემწიფესა, ჯემწიფეო, შენ სწყალობდი ჯვარიონთ, დასტურ-ჯელოსნებსა-დ მეზღვნეებს, შენი წყალობით შაინახენ“. მეზღვნეებიც ადგებიან და ზედამდეგებს ეტყვიან: „ჯელ-ფეკი მტერზე მაგაკმარასთ, ბორიელზე, ზედამდეგებო“, ისინიც ეუბნებიან: „ღმერთმა გაამასთ პურიცა-დ სასმელიც, თუ რა იამეთ, ალალი ქნას“.

მეზღვნეები მადლს მოსთხოვენ ჯვარს და წავლენ შინ. ჯვარიონნი კი კვლავ ღამისთევის სამზადისს შეუდგებიან. დიასახლისი აცხობს ღამისსამთელოს ზედგანზე და მერე ნაცარში გაბანს, გაპოხს და გა-

ოტანს დარბაზში. აქაც ყველაფერი სრულდება ჩვეულებრივი წესით: ხუცობა, ხუცობის დროს ზარის რეკვა, კურთხევა, შესახელება და ცოტა სიმღერების შემღერნება. ყველა წესი რომ შესრულდება, ჯვარიონნი კიდევ დასხდებიან საუმელად. სოფელშიც კიდევ მიაქვთ ლუდი. აქაც დასხდება სოფლის ჯარი, სადაც ჩვეულებრივი წესები სრულდება (სვა, მღერა .ეთასეთ ვაგზავნა ჯვარში და ლუდის ძოტანა ძველი მკვდრებისათვის დალოცვით). ახალუხალი კი ცალკე ატარებს დროს. შეიძლება ეს ღამე სულ თეთრად გაათიონ, რადგან წელწდის უკანასკნელი ღამეა, რომლის შემდეგ ხევსურები ჩაებმებიან მუშაობაში და აღარც სცალიათ ერთიმეორის სანახავად. ამიტომ ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი იმზიარულონ და კარგი დრო გაატარონ. გამოიგონებენ რამე გასართობს. ხანდახან იციან, მაგალითად, „სასამართლოს“ გაპარტვა. ახალგაზრდა ქალი და ვაჟი ერთიმეორეს რამეს მოუგონებენ და სასამართლოდან მიიტანენ საჩივარს, სასამართლო განაჩენს გამოიტანს და დააკისრებს ზოგს არაყიან ბოთლს, ზოგს თხილს და სხვა. სასამართლოს განაჩენს ვერავინ გადაუხვევს. ხნიერი ხალხი კი ჯარზე საგმირო სიმღერებს მღერის, წარსულ ამბებზე ლაპარაკობს, რჯულზე, ბეერ-მოკეთობის გარშემო, ამასობაში ღამე გაივლის და წავლენ-წამოვლენ თავ-თავიანთ სახლებში. წელწდის მეორე დღეს თუ ლუდი კიდევ დარჩა, მოიტანენ სოფელში და დალევენ. ისე არაყს კი თანდათანობით ხდიან და პატიუობენ ერთიმეორეს.

ჯვარიონნი წელწდის დამთავრების მეორე დღეს „გამოილოცავენ“ ჯვარიდან. დიასახლისი გამოაცხობს ერთ დიდ ქადას, ერთ საკვირაოს, ორივეს ხავიწის გულით. მიიტანენ და დადებენ ტაბლაზე, აავსებენ ლუდით სახუცო კოჭობს და დადგამენ ქადაზე (ამ ქადას ეწოდება „გამასამალო“). დაკრავენ კოჭობზე სანთელს და ხუცესი ხუცობს ჩვეულებრივი ხუცობით, ღმერთს ახვეწებს დასტურებსა და საყმო-საგლეობოს. ბოლოს ჭელოსანი მივა დროშასთან, მოიყრის მუხლს და შეეხვეწება დროშათ მცველ ანგელოზს — თუ რამე გაწყენინე, მაპატიეო. აიღებს დროშას, დაწკარუნებს დროშის ზარს, წკარუნით დარბაზის კარს, ე. ი. ეზოს, შემოუვლის და შეაბრძანებს დარბაზში. იქ ისევ ხმაამოუღებლად (ხევსურულად „უმძრახს“ ეძახიან) შებსნის მოხვეულ ხელსახოცებს და ბაღდადებს, თითოობით დაკეცს და ჩააწყობს ტაგრუცში. შუშებს, ზარს, ვერცხლის ჯვარსაც შეხსნის და ყველაფერს დადებს თავთავის ადგილზე. მერე ეტყვის იქ მყოფებს: „წყალობა მაგიტანეთ დროშაის მცველთ ანგელოზთაი“. „შენი იყოს მწყალობელი“, — უპასუხებენ ისინი. მერე ჯვარიონნი გაანაწილებენ ხორცს, პურს, ქადის ნაჭრებს და ტყავებს. აქ წილი ეძლევა კვირიწმიდელ დასტურსაც „ნახორში“ (ნახორს უწოდებენ ნარჩენ პურს, ნამტვრევებს), ხორცში და ტყავშიც. ხუცესს წილი აქვს მარტო წვერმაუტეხ ქადის ნა-

ჭერში, ხორცში და ტყავში. ხმიად-საკვირაო და ცხვრის თავებიც სულ ხუცესს ეკუთვნის. დანარჩენს დასტურები და მედროშავე გაიყოფენ. ჩხანჩხსა და შულტას თავიანთი სურვილის მიხედვით მისცემენ ჯურსა და ხორცსაც, ტყავში კი წილს არ უდებენ. დიასახლისსაც წილს აძლევენ ხორცისას თავისი სურვილის მიხედვით, პური კი თავისი წილი ყოველ დილა-საღამოს ეძლევა და იქ უგროვდება. ასე რომ, დასტურების წილიდან წილი აღარ ეძლევა. მერე ერთი დასტური გამოჰყვება დიასახლისს, წაუღებს ბარგს და შინამდინ გააცილებს. იქ ოჯახში დასტურს პატივს სცემენ სასმელით და საჭმელით. იგი ისევ ბრუნდება ჯვარში და თავისი წილი ნახორიც მიაქვს.

დასტურები კოდებიდან გადმოასხამენ თხლეს, რომელიც ლუდს აქვს ძირში დალექილი. ჩაასხამენ საარაყე კოდებში, წამოადუღებენ ფქვილსა და წყალს ერთიმეორეში და დაასხამენ თხლიან კოდებს, მოაკრავენ პირზე. კოდი დაიწყებს ფუილს. იფუვლებს ერთ კვირამდე და ჭერე გამოხდიან არაყს. არაყი გამოდის ძალიან ცხარე, როგორც სპირტი. დასტურები ამ არაყს ხმარობენ ბედისკვერაებზე გასაყოლებლად.

ბედისკვერა ეწოდება ახალწელ-ღამეს გამომცხვარ პატარა ხმიადს. ოჯახის დიასახლისი წელწადში ან წელწადღამეს უფრო გამოაცხობს პატარა მოცულობის ხმიადებს ამ რაოდენობით, რამდენიც არიან ოჯახში, ან მახლობელი ნათესავი რამდენიც ჰყავთ, ბედისკვერა რომ მიუტანოს წელწადის მისალოცავად. ბედისკვერას არაყიც უნდა გააყოლონ. ბედისკვერას და ბევრ არაყს უფრო მიუტანენ, თუ ნათხოვი რძალი ჰყავთ და მამის სახლშია ისევ. ბედისკვერას მიუტანენ გათხოვილ დას, მამიდას, ძმას და ცოლეურთ. წელწდის შემდეგ მისი მიტანა სავალდებულოა. ამიტომ ამ პერიოდში ძალიან ხშირი მისვლა-მოსვლა აქვთ ხევსურებს, რასაც „ბედისკვერაობას“ უწოდებენ. წელწად-ღამეს ოჯახის დიასახლისი ვის სახელზეც დანიშნავს, დაიხსომებს და ბედისკვერა აუცილებლივ მან უნდა შეჭამოს. პირიქითს რომ ჰყავდეს რძალი ნათხოვი, ან გათხოვილი ქალი, ბედისკვერას ინახავენ გაზაფხულამდე, ვიდრე კავკასიონის ქედზე თოვლი დაშრება და გზა გავა. გაზაფხულზე წაკლენ ორნი ან სამნი ოჯახიდან, ან ბიძამვილს გაიყოლიებენ, წაიღებენ ტიკით ბლომად არაყს. გამოაცხობენ ერთ ხავიწიან ქადას და ხავიწიან კუბატებს (კუბატი არის ნახევრად მრგვალი ქადა. ორად მოკეცილ მრგვლად დაბრტყელებულ ცომში ჩადებულია ხავიწის გული). ნართალია, ბედისკვერა გამხმარია, მაგრამ ვისაც მიუტანენ, მან მაინც უნდა შეჭამოს.

ბედისკვერას რომ მიუტანენ, ოჯახი მიეგებება; თუ ვაჟები არიან, ეტყვიან: „გამარჯვება, ვაჟებო“. „გაგიმარჯოსთ ღმერთმ“ — პასუხობენ სტუმრები. თუ მოსულები ქალები არიან, დამხვდურთ უნდა უთხრან: — „მახვეით მშვიდობით“. — „გიშველასთ ღმერთმ“ — ქალე-

ბი უპასუხებენ. სტუმრებს, გინდ ვაჟები იყვნენ და გინდ ქალები, მასპინძელი ქალები ამ სიტყვებით მიესალმებიან: — „მაბვეთ მშვიდობით". ვაჟები უპასუხებენ: „გაგახარასთ ღმერთმ", ხოლო ქალები: „გიშველასთ ღმერთმ". კაცმა რომ კაცს შემთხვევითაც უთხრას „გაგახარას ღმერთმ", ის არ მოუთმენს და აუცილებლად ჩხუბს ატეხს — „კაცად არ ჩამაგდო „გაგახარას ღმერთმ" — მითხრაო, განა მე ქალი ვარო". ცხენებს მოხდიან ხურჯინებს, იარაღსაც ჩამოართმევენ გარდა ხანჯლებისა. შეიტანენ შინ და დაჰკიდებენ სამამაცოს (ხევსურების სახლი ორად არის გაყოფილი: ერთი მხარე კაცებს ეკუთვნის, მეორე დედაკაცებს. ორივესთვის სირცხვილია მეორე მხარეზე დაჯდომა). ბავშვები ცხენებს მიარბენინებენ ბალახზე დასაბმელად, მასპინძლები მოსულებს „მშვიდობაამბავს" ჰკითხავენ: „ხო კარგა ხართ, ხო არა გიჭირსთ, კაკი. საქონი, ხო ყველა მშვიდობით ხართ?" ამ სიტყვებით მოიკითხავენ მამაკაცები. ქალები კი: „მაშ რაკელ ხართ, ხო არა გიჭირსთ, ხო არა გტკივისთ, ან კაცსა-დ ან საქონს, ყმაწვილებ რაკელ გყვანთ, ხო არცად-რა ვინ იავადეთ, რაკელ სად იზამრთიანეთ", მამაკაცები ამბის კითხვაზე ასე პასუხობენ: „კარგად ორთ, რა იკითხების ჩვენ ამბავი, ცოცხლები ორთ". თუ ქალს უპასუხებენ, ეტყვიან: „ღმერთმა შენ გულ გაახარას", თუ კაცს: „ღმერთმა გაცოცხლას". ქალები კი ამბის კითხვაზე ასე პასუხობენ: „კარგადა ორთ, რაიცად ჩვენ კარგად ყოფა იქნების. ვხყრიოთ ცოცხლები, არავის გვტკივის, ღმერთმა გიშველასთ". ამის შემდეგ შეიპატიჟებენ სახლში და ჩამოუგდებენ ხსნადასხვა საკაუბროს. ბაჯსობენ და მერე მოსული მოიკითხავს თავის მოტანილ არაყიან ტიკებს. მოუტანენ არაყსაც და ძაფზე ჭსმულ ბევრ ყანწებსაც. ამოიღებს დიასახლისი ქადას, კუბატებს, ბედისკვერას და გადადებს სადიაცოსკენ, სადაც სადიასახლისო საქმეები კეთდება. არაყიან ტიკს მომტანი იღებს ხელში, ადგება ფეხზე, დაასხამს ყანწებში, ჩამოარიგებს და პირველად ყველა დაილოცება: „აგაშენასთ არაყის პატრონები, ბარაქა მაგცასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, თვალ-გულ ნუგეისა მაგრიასთ, ხალხინო სასმელ ნუ მაგიშალასთ, შინაც მუდამ ლხინ მაგცასთ, მაკეთისასაც ლხინზე გადინნასთ, მრავალ გალოცვიოსთ წელწად-ქრისტე

მაგგკარასთ მშვიდობისა, კარგად ყოფისა. თქვენ დაგლოცნასთ მასულ-მაწეულები. მშვიდობით გამყოფნასთ“ — და გასინჯავს არაყს.

არაყის ჭიმტანი ცდილობს, რომ ძალით და ჩქარა-ჩქარა ბევრი დაალევინოს, დაათროს ხალხი და ამითი თავი ისახელოს. ყანწს უცბად მოაყუდებს პირზე, ხმაამოუღებლივ დაალევინებს და ახლა სხვასთან მივა. ბოლოს ისე აქოთქოთდებიან, რომ, თუ კარგად ყური არ დაუგდე, ვეღარ გაიგონებ, რა ენაზე ლაპარაკობენ. ბოლოს ტიკს ძალით წაართმევენ ხელიდან და იქვე დაჰკიდებენ. — „ღილას თავების მორჩენა გინდათ სტუმარ-მასპინძელთო“ — ეტყვიან. სმაში ყველას ქუდები აქვთ მოხდილი. ყანწს ვინც უკანასკნელად დალევს, ის ეტყვის: „დაიხურეთ ქუდები“. „ჩამაიყარი ყანწი!“ — ეტყვიან მას. ყანწს ჩამოართვამენ სიტყვებით: — „გაამოს ღმერთმ“. „თქვენ კა ბაამას, თავ მტრისა მაგცასთ“ — პასუხობს ყანწის ჩამომყრელი. მერე ყველანი იხურავენ ქუდებს ამ სიტყვებით: „ბარაქა მაგცასთ ღმერთმ, სტუმარსაცა-დ მასპინძელსაც, ერთსხვის ხედულობა ნუ მაგიშალასთ, ლხინის მასაკითხ გაზიდვივასთ ერთსხვის სახლებში. ღმერთმა გაამასთ, შამსმელებს ალალ გიქნასთ“. ცოტა ხანს დასხდებიან კიდევ, ისაუბრებენ და წავლენ-წამოვლენ.

მეორე დღეს კიდევ დალევენ. წინა ღამეს ვინც იყო დაპატიჟებული, ყველანი მოვლენ. თუ ვინმე ამ სოფელში იმ ზამთარს გარდაიცვალა, მასპინძელი ერთ ბოთლ არაყს წაიღებს და სტუმარს გაჰყვება ჭირის პატრონთან სამძიმრის სათქმელად (მოსამარკებლად). მივლენ ჭირის პატრონის ბინაზე, მიუახლოვდებიან და ეტყვიან სამძიმარს: (მაგ., აპარეკა) „აპარეკავ, ვერ გექნას ჩემ თავი, მანამ აგეთას გნახევდი. ბრალ არ ასა, დიდ ღმერთის წყენა არ ასა, შენ გულ სწუხდებოდას, შენ ძმა დაგაკლდებოდას, (ძმა თუ არის, ძმას ეტყვიან, თუ სხვა ვინმეა — სხვას), ჩემ კვალ კაც მზეს იარებოდას. სიტყვას გეტყოდა. გამასადეგნი ხართ ძმისანიცა-დ მაშის ძმისანიც. მტრის გამჯავრენი ხართა-დ მაკეთის გამლაღენი. დედან სადედუფლონი ხართა-დ მამან საბატონონი. ვისაც თქვენდ გაესვენებოდას, ღმერთმ შინით დაულივას, შენ გულ კაით გაკურნას, ავ კაით დაგაცილას; ვერ გექნას ჩემ თავი, აპარეკავ, რა ცუდ საქმე დაგემართ“. ამ მომარკებაში ჭირის პატრონიც პასუხობს: „შენის მტრისაი დუშმნისა (ორივენი ერთდროულად ლაპარაკობენ; რასაც მოსული ეტყვის, ჭირის პატრონიც პასუხობს), ბრალ აისითაი ას, რო თქვენ დაგკლებივასთ, თქვენ დაგითმავისთ. მავშჩებით დაღონებას, შიმშილსა, წყურვილს. მასალოცავი ჩვენ სიკვდილი, დასამადლები, მახკვეითაო-დ მაისვენეთავ, მზე დაგვთბების კაცთად სწორი, კაის მაკეთის თავი. თქვენ რო თავს დაილოცავთ (დაიწყევეთ — ამას არ იტყვიან), იმის ფასნ არც მთელსი ორთა-დ არც მკვდარნი, ღმერთმა საწყენ ნურა მიმიცას თქვენს თავს“.

ქალები მივლენ მასპინძლის ქალებთან და ახალი მიცვალებულის „ტალავართ გაშლიან“ და იტირებენ, მოსულებს ბოთლით არაყი ექნებათ მიტანილი და მას შენდობას ეტყვიან. ტალავარში დგას მჭიქით მორთული ბოთლები, მუდამ არყით სავსე და აქედანაც დაალევინებენ ამ მიცვალებულის შესანდობრად.

აქედან აღებამდინ სულ გრძელდება „ბედისკვერაობა“, ე. ი. ბედის კვერების მიტან-მოტანა, წელწდის ამბებზე ლაპარაკი — სად რომელ ჯვარში რა მოხდა, ან სად რომელმა ქადაგმა რა თქვა, რა რჯულის გარშემო სად რა ითქვა და სად რა ცვლილება მოხდა.

შველად ამაზე დიდი ძიება იყო ხალხში, თუ სად როგორი ბრძანება იყო ჯვარებისა მკითხავის პირით.

ა ღ ე ბ ა

ამასობაში გაივლის დრო და მოვა აღების სამზადისი. აღება ყველა ჯვარში არ იციან; იციან არხოტის ჯვარში, ამღას იაჯსარში და პეტრეში. არხოტის ჯვარში მხოლოდ ერთი დღეა დღეობა, ამღაში კი დიდი დღეობა იციან კვირით-კვირობამდინ.

ახიელში არხოტის ჯვარში აღებას აყენებენ ახალ დასტურებს. აქედანვე შეუდგება ახალი დასტური მომავალი წლის სადასტურო საქმეების სამზადისს, ოღონდ პირველად დღეობა გიორგობას გაუძღვებიან. მანამდე კი, როგორც აღვნიშნეთ, პირველი ხვნიდანვე თესლს დასთესავენ, ჯვარის ჭირნახულს უვლიან, მკიან, ლეწავენ და პურს ინახავენ. გიორგობამდე აღებას დაყენებული დასტური ჯვარში არაფერს აკეთებს: ამ ხნის განმავლობაში ისევ ძველი დასტური ამზადებს ლუდს და ყოველგვარ საჯვარო სამსახურს ის სწევს. ზემოთ აღნიშნული იყო ახალ დასტურთა პირველად გიორგობას შესვლასა და ძველების გადადგომაზე. აი მოვა აღება და აირჩევენ ახალ დასტურს. მოვა დრო და დასტურები სააღებო „ქვაბებს დააყრიან“ (ადუღებენ ლუდს). აღების ლუდს ხუცესი, როგორც ნათქვამია ზემოთ, ისე აფუვლებს. აღება საღამოს იხსნება ლუდი და იმართება ღამისთევა.

არხოტის ჯვარში აღებას დიასახლისი არ მიდის, მაგრამ ღამის სამთელს და ეამისსაწირს კი აცხობს იგივე დიასახლისი ერთ-ერთი დასტურის სახლში. ამ დღეობაში არც ხავიწიანი ქადა ცხვება. ცხვება ხორციანი, ყველიანი და ხაჭოიანი, დასტურს რისი საშუალებაც აქვს. შეიძლება კომბოსტოს მწნილიც დაკეპონ და გაურიონ გელში. ქადაკვერებს დიასახლისი ჩვეულებრივად აცხობს, მერე გაბანს, გაპობს, ერთმანეთზე დააწყობს და ჩაიტანენ ჯვარში. დღეობა აღება სრულდე-

ბა საქვაბეში. ამ დღეობაში დარბაზის კარი არ იღება, ლუდსაც საქვაბეში აფუვლებენ. აღება საღამოს დასტურ-ჯელსნები ჩვეულებრივად თავს მოიყრიან საქვაბეში, დაანთებენ ცეცხლს, აუნთებენ სანთელს და ხუცესი კოდს მოსჭიჭავს— ზემოდან მოდგმულ ჭიქს მოაშორებს, ე. ი. ქაფს ჭიქს წააცხებენ ჩალაზე, დადებენ მზიან ადგილას გასაშრობად და ინახავენ შემდეგი ლუდისათვის საფუვარად); ლუდს ჩახედავს და შეამჩნევს ფერზე როგორი ლუდი დადგა. მერე ანთებენ სანთელს, დააკრავენ კოდს და ხუცესი ხუცობს (სხვათაშორის, აღება არის საკუთრად მიქიელის ლაშქარ-მწევართ დღეობა). ტექსტი მოგვაქვს მთლიანად:

„ღმერთმა ადიდას თქვენ ძალი, თქვენ საბელ-სამართალი, მიქიელის ლაშქარნო, მიქიელის მწევარნო, მწკალსისხლიანნო, საკიდლიანნო, თქვენა სამთავროდ მაიჯმარეთ ეს კოდ-საფუარი, სადიდებელი, თქვენ თქვენ მეხვეწურთად, საყმოსად, საგლეხოსად საშველად, სამწყალობნოდ, სახოიშნოდ მაიკმარეთ თქვენდ სამსახური არ დაუყრაკა-დ თქვენს წყალობას ნუ დააკლებთ, ღმერთი თქვენს ბატონობას გაუმარჯვებს. დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა, დიდება დღეს დღესინდელთა, ძალს ხთისას, ძალს კვირაისას. დიდება-დ გამარჯვება თქვენდა, მიქიელის ლაშქარნო-დ მწევარნო, მწკალსისხლიანნო, საკიდლიანნო, ღმერთმა გადიდნასთ, ღმერთმა გაძრიელნასთ, ღმერთმა მაგცასთ ცამდინ სიმაღლე, ზღვამდინ სიმაგრე, შველვა, რგება, დაჯმარება თქვენთ მეხვეწურთად, საყმოსად-საგლეხოსად. გეძახანთ თქვენი მეხვეწურნი, გეხვეწებიანთ, რასაც მჯარზედა გულზედ გიძახებდანთ, იმ ჭარ, იმ გულზე გაუგონიდით. რასაც წყალობას გეთხოვებოდანთ, გამჩენს მორიგეს ღმერთს დაუთხოვიდით. ველთ ვინ გავიდოდას თქვენი მეხვეწურთ ყუდროში, ბედსა დავლათს თქვენს აკსენებდას. თქვენ ბედი, დავლათ დააკმარიდით. მიქიელის მწევარნო, ჩქარნი ხართ, დაჯმარენი ხართ, მწკალსისხლიანნო, საკიდლიანნო. შორს მყოფნ ახლოს დაუხვიდიდით, თქვენ კაბის კალთა ჩაუფარიდით, იხვევნიდით, თქვენ მეხვეწურნი იხვეწნიდით ავის დღისად, ლაღის მტრისად, საზიანოს საქმისად. ჩემგნივ რაც დიდებასა, ჯსენებას გაკლდებოდასთ, თქვენ თქვენს წყალობას მაუმატიდით. მიქიელის ლაშქარნო, მწევარნო მწკალსისხლიანნო, ხთისაგან გამაშობილნო, ხთისაგან წყალობა ნაქნარნო, სხო რა ხთისშვილ უწყრებოდას, უმრუდდებოდას, სხვასთან უშუიდით, თაოდ უშველიდით, თაოდ პირწალმა, გულწალმ დაუბრუნდიდით, ხთის იასაულნ გამავიდოდან ხთისაგან გამაშობილნი, ჯორციელთ ბეგრევდან, ყალანს იღებდან, თქვენ მეხვეწურთ ყუდროს ნუ მახკეძებთ, ეკერძებოდას ნებით აკდივიდით, ნების ბეგარ გაატანივიდით, სხო ყუდროშარა გაასწაფლიდით. მიქიელის მწევარნო, მწკალსისხლიანნო, საკიდ-

ლიანნო, დაკმარება შაგიძლავთ თქვენთ მეხვეწურთად, მაგათ თავისად, ჯალაფობისად, კაცისად, საქონისად, ქუდოსან-მანდილოსანთად მშველენი, მლხენელნი, მხოიშნებელნი, წალმა მდეგნიმც ხართ. შველდითა, სწყალობდით, სცევდითა, ხფარევდით. გამარჯვებას თქვენსა, თქვენის ვაჰჩენის ხთისას". ამას მოჰყვება კურთხევა (ზემოთ მოყანილია კურთხევის ტექსტი კოდის გაბსნაში).

კურთხევის შემდეგ დაამწყალობნებენ: „სწყალობდან მიქიელის ლაშქარ-მწევარნი ახიელელთ ტახტის ყმათად, საყმოსა-საგლეხოსად. სანალმართოდ მაუარან, მშვიდობით შაინახან, ბევრ აღება მაღგვარან მშვიდობისა, კარგად ყოფისაი. თქვენ მაგცასთ წყალობა ჯვარიონთა, დასტურსა, ჯელოსანსა, ყურით მაყურებელს. მშვიდობით შაგინახნასთ. მხღენელსა, მეხვეწსა, ჯემწიფის კარის მლოცავს სწყალობდას".

მერე ხუცესი იღებს საბუცო კოჭობს, რომელიც ხუცობის დროს ლუდით სავსე დგას და კიდევ იტყვის: „გაემარჯვას მიქიელის ლაშქარ-მწევართად, იმის წყალობა ხქონდას საყმოსა-საგლეხოს, ბევრ აღება მშვიდობისა მაღგვარას, კარგად ყოფისა; თქვენ მაგცასთ წყალობა ჯვარიონთ, დასტურსა-ჯელოსანს. მშვიდობით შაგინახნასთ". მერე კიდევ შეუსახელებს: „თქვენა სამთავროდ მაიკმარეთ, მიქიელის ლაშქარნო, მწევარნო, ეს კოდ-საფუარი-დ სადიდებელი, თქვენ საყმოსად, საგლეხოსად საშველად, სამწყალობნოდ მაიკმარეთ, ხთის კარზე შაიტანეთ. მაგითამც ხართ თქვენის გამჩენის ხთის კარზე". ასწევს მაღლა თასს და იტყვის: „სწყალობდას მეხვეწურთაცა-დ მაყურებელსაც!" „სწყალობდას" — სხვებიც ამბობენ. მერე ხუცესი ლუდს გასინჯავს გემოთი და შეაფასებს — როგორი არის. თუ არ მოეწონა, მიზეზსაც იტყვის, რატომ არ არის კარგი. მერე სხვებსაც მიცენს იმავე თასს. დაილოცებიან და ყველა გაუსინჯავს გემოს. ბოლოს ხუცესი დაცლის ამ თასს და მაღლს გადაიხდის. თასს ჩამოართმევენ და დადგამენ. მერე გამოიტანენ ლუდს საწდით და დადგამენ, აქვე ღამისამთელო არის მოტანილი ოფლიდან და დამზადებული დგას ტაბლით. აავსებენ სამ თასს და დადგამენ, ზედ დააკრავენ სანთელს და ხუცესი იხუცებს. ხუცობაში აბსენებს ისევ მიქიელის ლაშქარ-მწევართ. ბოლოს სადიდებელთ რომ აიღებენ ღამისამთელოდან, შაშინ ხუცესი „გადიდებს" ასე: აქამდე თუ პირველ თასზე მიქიელს, მეორეზე მთიშვაგს და მეხამეზე კვირაეს აბსენებდნენ, ახლა სხვანაირად აბსენებს, რადგან ლაშქარ-მწევართ საკუთარი დღეობა არის. ხუცესი პირველ საბუცო კოჭობზე იტყვის: „თქვენა სამთავროდ, თქვენად ფასამარჯოდ მაკმარეთ ეს ჭიქა-ბარზიმი — სადიდებელი — მიქიელის ლაშქარნო, ხთისაგან გამაშობილნო. ხთისაგან წყალობა ნაქნარნო. თქვენ მეხვეწურთად საშველო-საწყალობნელოდ ხთის კარზე შაიტანეთ. თქვენნიც საბელ დიდების". მეორეზე იტყვის: ამ ჭიქა-ბარზიმზე თქვენ

გადიდნასთ, გაგიმარჯოსთ ღმერთმა, მიქიელის მწევარნო, მწკალსისხ-ლიანნო, საკიდლიანნო, თქვენა სამთავროდ, თქვენად გასამარჯოდ მა-ივმარეთ ეს ჭიქა-ბარზიმი — სადიდებელი. თქვენთ შეხვეწურთ სამ-წყალობნოდ ხთის კარზე შაიტანეთ, ღმერთი თქვენს ძალსა, დიდებას მაუმატებს". მესამე თასზე იტყვის: „ამ ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, კვირაევ, ძალიან-მადლიანო, შენა სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაიკმარი ეს ჭიქა-ბარზიმი, — სადიდებელი. შენ შენთ მეხვეწურთად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ ხთის კარ-ზე შაიტანი, მაგითამც დიდი ხარ, შენის გამჩენის ხთის კარზე".

ამ სიტყვების შემდეგ კიდევ მოიხსენებს ჩვეულებრივად სამივეს ერთად და ყველა წესს შეასრულებენ ისე, როგორც ზემოთ არის ღამის თევაში აღწერილი. მერე დასხდებიან, ქადას დაჭრიან და ვახშამს ჭა-მენ. დასტურებს წლის განმავლობაში თითო საკლავი შეხვდება დასაკ-ლავად. ერთ-ერთმა ამ დღეობაში თხა უნდა დაკლას (ლაშქარ-მწევარში თხასაც კლავენ). ეს თხა მეორე დღეს, ყამის წირვის შემდეგ, უნდა დაიკლას. ახლა კი ხორცი არა აქვთ და ცივ ქადას შეექცევიან ცივ ღვინ-თან. ვახშამს ჩვეულებრივად მღერით და ყველა ზემოთ აღწერილი წესებით ჩაატარებენ, მერე შეუდგებიან დასტურის დაყენებაზე მსჯე-ლობას. დასტურების დაყენებაში მონაწილეობას ღებულობენ ყველა ჯვარივნები. ეს ხდება საიდუმლოდ და აქ ჯვარივნების გარდა სხვა არა-ვინ ესწრება. ირჩევენ ორ დასტურს ახიელიდან (ახიელში არის არ-ხოტის ჯვარი და ახიელელნი მის ტახტის ყმად, უფრო მახლობლად ითვლებიან) და ერთს ამღიდან, ან ჭიმღიდან. ამღაში რომ იყოს დას-ტურის დაყენების რიგი, იქ ჯვარში იციან, ვინ როდის არის ნადგო-მი და აყენებენ იმას, ვინც არ მდგარა. ამღაში როცა გათავდება დას-ტურობის რიგი, მერე ჭიმღაში გადაინაცვლებს. ახიელში კი ყოველ-წლიურად ორი დასტური დგება. ახიელშიც იციან, ვინ როდის არის დასტურად ნამყოფი და ვინც უფრო დიდი ხანია არ ყოფილა, იმას აყე-ნებენ. არჩევენ კიდევ ისეთ ხალხს, რომლებიც ერთიმეორეს აშხანა-გობაში შეეგუებიან და წლის განმავლობაში არ იჩხუბებენ. აქვე ერთ-ერთი დასტური ისეთი უნდა აირჩიონ, რომელსაც ოჯახში ხნიერი ქა-ლი ჰყავს, რომ დიასახლისობა შეძლოს, ოღონდ მენსტრუაციის ასაკს გადაცილებული უნდა იყოს, ე. ი. ხევსურულის წესით, უწმინდურად აღარ ითვლებოდეს. არჩევენ და უფარდებენ აგრეთვე ერთიმეორეს მჭონეს და არამჭონეს. თუ ვინმე რამით დაზარალებულია, ან მკვდრის ხარჯებით, ან სხვა რამით, ასეთსაც შეღავათს უწევენ და შემდეგი წლისათვის დატოვებენ. ან თუ ობოლი ვინმე არის და უწლოვანი, სანამ იმდენად არ გაიზრდება, რომ საკვეს ჩხუტს მოერეოდეს და გადა-ასხანდეს ტკბილით საკვეს ქვაბში (ე. ი. სალუდე ქვაბში), მანამდე არ

დააყენებენ დასტურად (ამას ეწოდება: „ჩხუტის გადაღება“. ჩხუტი გადაღდა — იტყვიან და დასტურადაც მაშინ დააყენებენ).

დასტურს აყენებენ აღება ღამეს. ეს მხოლოდ მარტო დასტურ-ჯელოსნებმა იციან და საიდუმლოდ ინახავენ მანამდე, ვიდრე მეორე ღღეს ჯარი არ დასხდება. იმ ღამეს ამაზე დიდი კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ექნებათ დასტურ-ჯელოსნებს და ბოლოს ერთ აზრზე დაუდგებიან. ამ ღამეს ჯვარში არიან, სოფელში კი არაფერი დღეობა არ არის. ოჯახებში შეიძლება არაყი ვინმეს ჰქონდეს და ერთიმეორე დაპატიჟონ. აღება ღამეს ხორცს მოხარშავენ აუცილებლივ, წესია ხორცის მოხარშვა.

მახსოვს აღება ღამეს მამაჩემის სიტყვა, როცა არაფერი გვქონდა და ხორცის მოხარშვის წესიც შეუსრულებელი გვრჩებოდა, დასაწოლად რომ წავიდოდა, ჭერხოსაკე მიმავალი იტყოდა:

საწყალსა კაცსა ვინ მისცემს აღების ღამეს ღვინოსა,
პური ჭამოს და წყალი სვას, მემრ დაწვეს, დაიძინოსა.

ერთი თქმულება იცოდნენ ძველებმა აღება ღამის შესახებ: ერთი ღარიბი კაცი ყოფილაო, ხორცი არ ჰქონია და წესის არგატეხის გულისათვის ქვაბში ძველი ქალამნები ჩაუყრია მოსახარშად. ამ დროს იესო ქრისტეს ჩამოუვლია და სტუმრად საწყალ კაცთან შესულა. ისხდნენ, იმუსაიფეს (იესო ქრისტე კაცის სახით იყო). მასპინძელი დაღონებულია. რა აქამოს სტუმარს, ქალამნებს ხომ არ მიართმევს. იესო ქრისტემ ეს ყველაფერი იცის და ხმას არ იღებს. ბოლოს უთხრა იესო-ქრისტემ: ამოიღე ხორცი, ვჭამოთო, — მე ღარიბი კაცი ვარ, ხორცი არა მაქვსო და ეს ქალამნის ძველებია, ქვაბში რომ იხარშებაო. იესო ქრისტემ მაინც ამოაღებინა ფიცარზე და ქალამნის ძველების ნაცვლად სულ დუმა და მსუქანი ხორცი ამოვიდა.

მეორე დილა გათენდება და ყველას აინტერესებს, დასტურად ვის დააყენებენ, მაგრამ, როგორც ვთქვით, არავინ იტყვის, მანამ ჯარზე დასტურ-ჯელოსნები არ მოვლენ, ახალ დასტურთ არ დაამწყალობნებენ. მოვა დრო ყამისწირვისა, რაც ჩვეულებრივის წესით ჩატარდება. სოფლიდან „სარიგოს“ მოიყვანენ და დაკლავენ ერთ თხას.

აქვე მეზღვნეებიც იქნებიან. ხუცობა სულ ერთნაირია ყველა საკლავზე. საკლავის დაკვლაში ახსენებენ: „მიქიელის ლაშქარნო, ხთისაგან გამაშობილნო. ხთისაგან წყალობა ნაქნარნო“, და „მიქიელის მწევარნო, მწკალსისხლიანნო, საკიდლიანნო“. დანარჩენი ხუცობა ჩვეულებრივია, მხოლოდ ლაშქარ-მწევარში დაკლულ თხას. ციკანს, თუნდაც ცხვარი დაკლან, წინა ფეხს მოსჭრიან და იქ დადებენ, სადაც დაკლეს. დანარჩენ წესს ყველაფერს ჩვეულებრივ ასრულებენ. ხორცი და ტყავი დასტურებს რჩება. სოფელი მოიყრის თავს ერთ-ერთ ჭერხოში და

ჯვარში გაგზავნიან მელუდეს. მელუდე ჯვარიონთ ლუდს მოსთხოვს და მოიტანს სოფლის ჯარზე. აქ გაიმართება სმა. თან ელოდებიან ჯვარიონთ მოსვლას და დასტურების გამოცხადებას. ამასობაში მოვლენ ჯვარიონნიც და ჯარს ეტყვიან: „აშენდით, ჯარნო, წალმაშც წაგივათ დღეი დღეობა“, „დამშვენდით, მაგიხვეით მშვიდობით , მშვიდობით თქვენ მასვლა“ — ეტყვიან ჯარზე და შიიწვევენ სკამებზე. ჯვარიონნი ეტყვიან: „მშვიდობით დაგვხვდითა, კარგად“. მივლენ და მასხდებიან. დაიწყებენ ბაასს, ამოუღებენ საწდიდან და შეეპატიჟებიან ლუდს. ბოლოს ჯვარიონნი ადგებიან ფეხზე. ხალხიც აჰყვება. დასტურები თავისი მიტანილი საწდიდან აავსებენ თავის მიერვე მიტანილ სახუცო კოჭობს და მისცემენ ხუცესს. ხუცესი ხმამაღლა იტყვის: „გაემარჯვას დიდს მიქიელსა, იმის წყალობა ხქონდას ახალ დამდგომ დასტურთ“. ჩამოთვლის თითოობით სახელებს და დაასახელებს დასახლისსაც. „სწყალობდას დიდ მიქიელიცა-დ მიქიელის ლაშქარ-მწევარნიც. მშვიდობით დადებულ უღელი მშვიდობით გადააკდივას. ნუ შაანანას დასტურობა, უღლის დება, დასახლისს სწყალობდას, საწალმართოდ მაუარას, სიხარულად გაუკადას დასახლისობა“. მემრე ამ თასით, რომელზედაც ერთი სანთელია დაკრული, „შეუსახელებს ჯვართ“: „შენა სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაიკმარი, მიქიელ მთავარო ანგელოზო. ეს ჭიქა-ბარზიმი, საღიდებელი შენ ახალ დამდგომ დასტურთად საშველად, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიკმარი. უშველ, დალოცილო, ველთაცა, შინაც, შენ შენ ბედი-დ დავლათი დააკმარი. მაგითამც დიდი ხარ, შენის გამჩენის ხთის კარზე. შენ ბედი, დავლათმც დიდდებისა, კსენდების“.

„გწყალობდასთ დამდგომ დასტურთ (ერთხმად ყველანი იტყვიან), საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ნუ შაგანანასთ უღლის დება. მშვიდობით დადებულ უღელი მშვიდობით გადაგაკდიოსთ. დასახლისს სწყალობდას, სიხარულად გაუკადას დასახლისობა. თქვენ მაგცასთ წყალობა ყური მაყურებლებს, ჯვარიონთ, დასტურსა კელოსანს. ხუცესს ენა-პირ გიკურთხას, შაუცოდვრად, შაუწყინრად შაგინახას“.

ამ დამწყალობნების შემდეგ დალევს ხუცესი ლუდს. დასტურთ სამწყალობნოდ ყველანი თითო თასს დაცლიან. ულოცავენ დასტურებს დასტურად დადგომას და არის ერთი ამბავი ამის გარშემო. სოფელშიც კითხულობენ ამ ამბავს და თეშშიც, ვინ დააყენეს დასტურადო.

ჯვარიონნი აქ ცოტა ხანს დარჩებიან, მერე წავლენ ისევ ჯვარში და თავის ჩვეულებრივ წესებს განაგრძობენ მეზღვნეებთან. აქ განსაკუთრებული წესი მაინც აღარაფერია.

ჯარზე გრძელდება ლუდის სმა და საგმირო სიმღერების ფანდურზე მღერა:

„ბლოს თაე შამარშის ლურჯაი, ალამს გაჭონდა ბრიალი,
იკნების საკის შვილი გულბათა გულჯაერიანი.
ეგ აა რამ მაიყვანა, რა შეირდა ჩემგან ზიანი?
ძმა რომ თინიბეკმ მაუკლა, ყმალ-ქარქაშ-შილიფიანი,
ზეორე ოჩიაურთა, კალო დგას სისხლ-ტიგრიანი“.

აქვე ყვებიან არხოტის ჯვარის მწევართაგან ხალხისათვის, ე. ი. მიქიელის ყმათათვის, დახმარების თქმულებებს:

ერთი ვინმე სიმღერის განმარტებას დაიწყებს, მაგ. როგორ დაეხმარნენ მწევარნი საკაიშვილის მოკვლაში ოჩიაურთ: „ერთ გათქმულ ღილღველ იყვ საკაიშვილი-დ იმან ერთი ოჩიაურთ ახალგაზრდა მაკლ. ოჩიაურნი დადიოდეს საკაიშვილის მოსაკლავად, ვერ ჩაიგდეს ჯელჩი. მემრ საკაიშვილის დედას დაცინვით დაებარ: ოჩიაურთთავ შვილივ გულბაათა კი არ მამიკლანაო-დ ქვიტკირის ბანზეითავ სალუდე ქვაბ არ გადმამიგდანავ — ეს დაცინვით დანაბარები ოჩიაურთ ქოოდ ცეცხლად მაიდვეს. ახლა აქაც მიზდიოდ ხალხის ჩუმად საუბარი: დადიანავ ოჩიაურნიო-დ ვერაი ქნესავ. ესიც დასიცილ იყვ. დაჯავრებულთ გადასწყვიტეს, რო წავიდათა-ო ნუღარ მაოლთავ, თუ გულბათა ვერ მავკალითაო-დ ის სალუდე ქვაბიც თუ არ გადმავაგდითავ. სირცხვილს ნუღარ ეჭამთავ. წავიდეს კიდევა-დ წასვლაში მწევრის საფლავზე თიკან-ბატკანნი დაკოცნეს (მწევრის საფლავი — საფლავის მსგავსად ქვებია დაყრილი, აქ კლავენ თიკანს და ბატკანს. მაშინ უფრო კლავდნენ და სთხოვდენ დახმარებას, როცა მტერთან საბრძოლველად წავიდოდნენ. მწევრის საფლავი რატომ ჰქვია, ეს არავინ იცის). ღილღოსკე წასულმ ამღის პირდაპირ უნდა გაიარასა-დ რო გაუვლავ ოჩიაურთ, ფეხონს დაუწყავ სიცილი: ოჩიაურთთავ კიდევ გაიარესაო-დ დაღლევენავ თესლადავ ღილღველთავ. ამ დროს აბათ კურდღელაიც იქ მჯდარასა-დ სწყენივ ძალიან. უკაცურ კაც ყოფილასა, ვერა უთქომ ამღიონთად ამ დასიცილზე (აბათ კურდღელა ოჩიაურების დისწული ყოფილა). მისულან ღილღოს ოჩიაურნი, ტყეში ჩამახდარან — თათარაი, მინდიაი, უშიშაი. ერთ კაც წისქვილში შასულ.. უნახავა-დ დაუჭერავ ის კაცი. უთქომ — მაგკლავთავ, თუ საკაიშვილის სახლ არ გვასწავლეო-დ სად წვებისავ, თუ ის არ გვითხარივ. იმას უთქომ — ნუ მამკლავთაო-დ გასწავლითავ, ჯერ არ დაღნდობანა-დ მემრ ფიც მიუკავ იმ ღილღველს, რო არ გიღალატებთავ. გახყოლივან რო დაღამულ. სახლივ შორით გვასწავლავ, თქვიან, ქვითკირიც გვასწავლაო-დ გვითხრავ — სალუდე ქვაბ აიმ ქვიტკირის ბანზე დგასაო-დ, გულბაათაივ აიმ კალოში წევსავ. ეს რო გვითხრავ, ღილღველ წავიდავ. მივედითავ, თქვიანა-დ კალოში უიარაღო წოლილიყვავ, წამახტაო-დ გაიქცავ შინი-

სკესავ. თათარაივ მქისე (მარდი) იყვისაო-დ გაქცეულივ ზურგზე შაახ-ტაო-დ დასცავ ზურგშიავ ხანჯარივ. აი ღილღველივ ძალიან დიდ რაიმ იყვაო, თათარაივ ცოტინა (პატარა) კაცა იყვისავ, ზურგზე შამხტარს თათარასავ გადმაიღნავ, ჯელნიო მახვივნაო-დ იქავ გარბოდავ, არც ხან-ჯრის დაცემამ შაააყენაო-დ აღარც მეორედ აკმარებივავ ხანჯარივ. — არიქათავ, იძახავ, შინ მივხყვიორაო-დ! მაშინ ძლივ მივეშველენითაო, დავხანჯრეთავ". ეს რომ მოკლეს, ერთი მათგანი იზიდება თურმე, რომ ქვაბი გადმოაგდოს ბანიდან, რაკი ქისტის დედამ დაცინვით დაუბარა. სხვები უშლიდნენ, მაგრამ არ დაიშალა, ავიდა ბანზე, გადმოაგდო და დიდი სალუდე ქვაბი შუა სოფელზე დაგორდა. ქვაბის ჯღარა-ჯღერზე ხალხი გამოცვივდა და გამოუდგნენ მდევრად, ცოტას დააღწიეს თავი, თორემ ამოხოცავდნენ სამივეს.

ამ დროს თურმე ისხდა ფეხონი (ხალხი თავმოყრილი ერთად) ამ-ღაში და ის ოჩიაურთ დისწულიც იქ ყოფილა. ერთი მკითხავიც ყო-ფილა ამ ფეხონში. ის ერთბაშად წამომხტარა, პირჯვარი დაუწერია და უთქვამს: „დიდება-დ გამარჯვება, დიდებულნო მიქიელის მწევარნო". რა ამბავიაო, ჰკითხეს. — „მიქიელის მწევართ შამაიარეს სისხლით დაჩქვეფულთ (ე. ი. სისხლი ეცხოთ ვითომ ქისტისა), აუცილებლივ გა-იმარჯვეს ოჩიაურთო". ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ ოჩიაურნიც. მკი-თხავმა უთხრა: „დაილოცას მაგათ ძალი! წასელაში რო თიკან-ბატკა-ნნი დაჯოცნეს, იმან გააკეთა-დ დალოცვილთ მიქიელის მწევართო". მეორე ანდრეზი: „მგელამ თქვისავ (მგელა, ხევსურების რწმენით, წმინ-და კაცი იყო) — ყამნი რომ მოვიდნენო (ყამნი ხევსურების რწმენით, ღვთიდან მოვლინებული ფარულად ზალხის მხოცლები იყვნენ. ხალხის რწმენითა და მკითხავების თქმით, მშვილდ-ისრები ჰქონდათ. ვისაც ესროდენ, კლავდენ), ვითასაც ისარ ესრივიანავ, სადაც მახვდი-სავ, მე ვხედევდიდიო-დ მემრავ აიმაში გამაებისავ ყამიო-დ მაკლისავ. მაშინ ბევრს იზარალებდავ ახიელაივ. მწევარნ მაეშველნესაო-დ. ახი-ელასავ, ბევრ ისრებ არ ასრევიესავ. ჩამამდინართავ მწევარნ დახვდე-საო-დ უკენ დააბრუნნესავ". ისეთი რწმენა არსებობს, ვითომც მგელამ და მწევართ ყამნი ერთიმეორის დახმარებით არ შემოუშვეს ახიელში. ამბობენ, ყამიანობას ჭირი ყოფილა და ხალხი დაუხოცია ბევრი, მგე-ლას გვარისა არავინ არ მომკვდარა (მგელა გვარად ჯაბუშანური იყო). ისეთი წარმოდგენა არის ხალხში, ვითომც მგელამ სთხოვა ყამთ და არავინ მოაკვლევინა. სხვა ხალხი კი სულ განადგურებულა, სოფლი-დან გახიზნულა და შორს, მთაში დასახლებულა. დღესაც ეტყობა მათი ნაბინავარი, რომელსაც ნახიზნარს ეძახიან. ხალხი რომ დაბრუ-ნებულა, ზოგიერთ სახლში ორი-სამი მკდარი ყოფილა დაუმარხავი, ზოგი კი ერთს ღილღველსა და ერთს ხევსურს (არხოტიონს) დაუშარ-ხავს. იმ არხოტიონს გამოსვლია ყამი ბარკალზე, ხის ჩხირით გაუხეთ-

ქია და შომრჩალა. მეორედ ალარც შეხვედრია. ამ ორ კაცს უმარხავს მკვდრები. იმ ქისტს სულ არ მიკარებია ჟამი. იტყვიან, სახლები თავდანეპებული იყო, რაც უნდოდათ, ჭამდნენ და მკვდრებსაც მარხავდნენო. მაშინ იმ ორ კაცს უთქვამს: სხვა ყველაფერი ვჭამეთ და მოდი ერთი ერბოს ფაფა გავაკეთოთ და ვნახოთ, როგორი იქნებაო. მოხარშეს და გამოუვიდათ ხავიწი. მანამდენ ხავიწი არ იცოდნენ და იმის შემდეგ იწყეს ხავიწის კეთებაო. თურმე ის ჭირი ერთ ადგილზე გამოეპარებოდა შავი ფერის რაღაც მუწუკის სახით და მაშინვე მოკლავდა.

ჟამთა მგელა ხედავდა, სხვა კი ვერავინ დაინახავდაო. ისინი ფაფრული რაღაცა ადამიანის მსგავსი არსებანი ყოფილან. ჰქონდათ მშვილდ-ისრები და ესროდნენ ხალხს. ისარი სადაც ვის ხვდებოდა, სწორედ იმ ადგილზე გამოუვიდოდა ჟამი და ხუთ წუთში გააქრობდა ადამიანს. მგელა რო მათ ხედავდა, ეს იმითაც იცოდნენ და როგორც წმინდანს, ირაფერს ეუბნებოდნენ. როგორც ხალხი ფიქრობს, მგელა საუბრობდა კიდეც მათთან. ისინი იყვნენ ხვთის ბრძანებით მოვლინებულნი. ახიელში კი, როგორც ვთქვით, ბევრი ზარალი მგელასა და მწევართა დახმარებით ხალხს არ მისდგომია. მაშინდელი ნატირალი ირის ხმით:

ჭალებო, ჟამის ნაჯოცებო,
რო გკითხათ, არ მიამბოთაეო?
ქვიშას სათიბად არ ზდითაეო,
ბიშველსა არ შახენებთაეო.
აიქ მთიბლები არ ჩინდაეო,
მკრებზე საკლები არ ესხაეო,
ცელები არ უელეკდაეო.
ფაფები არ ფუდულობდაეო.

მესამე ანდრეზი: მგელამ თქვაო, რომ ერთხელ წელწადში გავხედე და თოვლზედ ერთი მწევარი იჯდაო, ყელზე ოქროს შიბი (ძეწკვი, ჯაჭვი) ედვა. პირი (ტუჩი) ჩაგრძელებული ჰქონდა, იქით-აქეთ ქანაობდა და იმ თოვლს ღარავდაო. ვითომ მწევარნი ორნი არიან, მწევრების მსგავსნი და ყელზე ოქროს შიბები ახვევიათ. მტრებთან ბრძოლაში სისხლიანი ბრეყალები აქვთ და მუდამ მზად არიან საბრძოლველად, მიქიელის ტახტის ყმათათვის დასახმარებლად. ლაშქარნი კი, როგორც აღნიშნულია ზემო თავში, ბავშვების სახით არიან, რომელთაც უფლება აქვთ ადამიანს მუწუკები გაუჩინონ, ავადაც გახადონ და საწყალდილოდაც მიიყვანონ საქმე. და აი აღებას სწორედ დღესასწაულობენ ლაშქარ-მწევართ დღეობას.

რაკი მგელაზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა შევეხო მგელას ვინაობას. მგელა, როგორც ვთქვით, გვარად ჯაბუშანური იყო. მისი შვილი იყო ახალა, ახალას შვილი — ქორია, რომლის სიკვდილი მე მახსოვს.

ცოტას ისიც წმინდა კაცობდა, რადგან მათ ხუცესობა მემკვიდრეობით ჰოსდევდათ არხოტის ჯვარში. ქორიას შვილები არიან ორნი: ერთი გიორგი და ერთი უნცრუა (მათი შვილები უნივერსიტეტში სწავლობენ, იმდენი გარდატეხა მოხდა მთაშიც კი დღეს).

მგელა ვითომ ისეთი წმინდანი იყო, რომ არხოტის ჯვარს პირადად ელაპარაკებოდა. მან ვითომ ყველაფერი იცოდა, ვის რა მოუვიდოდა და ვინ როდის მოკვდებოდა. ძველები ამბობენ და ნამდვილად ასე სწამთ, რომ მას ჰქონდა ერთი სუფთა ხელსახოცი, რომელსაც სამკადრეოს ეძახოდა. არხოტის ჯვარი მტრედის სახით მოუდიოდა. იმის მოსვლას რომ იგრძნობდა, გადაიფენდა ხელზე სამკადრეოს, არხოტის ჯვარი სამკადრეოზე მტრედის სახით დაჯდებოდა და მგელას ელაპარაკებოდა. მგელა თავს გვერდზე დაიჭერდა, რომ მის პირდაპირ არ ესუნთქა და როცა საუბარს მოათავებდა, მტრედი გაქრებოდა. ერთხელ წელწად-დილას მოუვიდა და ყველამ დაინახა, ისეთი ბრწყინვალე იყო, როგორც მზე, თვალის გასწორება არ შეიძლებოდა. ის უფრო მეტ სხივებს უშვებდაო. ამ დროს ჯადელაც იყო ხუცესი და მგელაც. ახლა ჯადელას სწყევლიან ქალები — სამრელოობა პირველმა იმან მოიგონაო: ჯადელას ორი წყვილი წინდა (თათები ხევსურულად) ჰქონდა, ერთი საჯვარშიგო და ერთი საშინაო. ე. ი. ერთ თათებს ინახავდა წმინდად და როცა ჯვარში წავიდოდა, მაშინ ჩაიცვამდა, მეორეს კი, სახლში როცა იყო მაშინ იცვამდა. ერთხელ დღეობა იყო, შემთხვევით საჯვარშიგო თათები სადღაცა დაეკარგა. ამ დროს ცოლს დედათ წესი ჰქონდა. ამას ხომ ხევსურები ყველაზე მეტ უწმინდურებად სთვლიან და ვეღარ წავიდა ჯვარში. თან რაღაც საქმე კარგად არ წაუვიდა. ჯადელამ თავის ცოლს ამ პერიოდში ცალკე სამყოფად პატარა ქოხი გაუკეთა და დაარქვა „სამრელო". დღესაც ამ დანიშნულების ქოხებს სამრელო ჰქვია. მას მიბაძა ყველამ და გავრცელდა მთელ ხევსურეთში სამრელოები, სადაც ხევსური ქალი დიდის ტანჯვით ცხოვრობს ერთი კვირის განმავლობაში.

აი ამიტომ წყევლიან ჯადელას. ვისაც ცოლი სამრელოში ჰყავს, ჯვარში ის ყველა ადგილებზე არ მივა, დაჯდება მოშორებით და იქ მიუტანენ ლუდს. მაგრამ თასს ხელს არც აქ კიდებს, თავის ქუდში ჩაუდგამენ თასს და ისე დაალევინებენ.

ეს ჯადელაც მგელას დროს იყო და ისიც წმინდა კაცობდა. მაგრამ ნასზე ხხვა თქმულება არაფერია, მხოლოდ სამრელოები კი სინამდვილეში მან მოიგონაო, ამტკიცებენ.

ერთხელ მგელას კიდევ თუშეთში მოუვიდა ხელზე არხოტის ჯვარი და კომლზე თითო საკლავი ყველა თუშებმა დაკლესო (არხოტის ჯვარის დროშით თურმე ყოველ წლიურად დადიოდნენ თუშეთში არ-

ხოტის ჯვარის ჯვარიონნი და თუშები დროშასაც და ხალხსაც დიდს პატივს სცემდნენ).

მგელა თურმე ცხოვრობდა ცალკე ჭერხოში და ბოსლებში არ დაიარებოდა, არც მიცვალებულის ხარჯებში წავიდოდა, არც მაშინ მივიდოდა იმ სახლის ახლო, როცა მიცვალებული იყო, არც პურსა სვამდა მიცვალებულისათვის გამომცხვარს და არც სასმელს დალევდა. ამის შემდეგ გავრცელდაო, ამბობენ, რომ მიცვალებულისათვის დალოცვილს არ ჭამენ ხევსურეთის ხუცეს-ჯელოსნები და ზოგიერთი მკითხავებიცო. ისე კი ბევრია, რომ მიცვალებული სადაც არის, იმ სახლს არ ეკარება, აკრძალული აქვთ ჯვარისაგან. ვიდრე „სახლის სანათლავს" არ დაკლავენ „ნაცივარი სახლიაო", „ჯვარის ჯელკაცები" არ შევლენ.

ასეთ წმინდანად მიიჩნდათ მგელა. დასაფლავებულიც ცალკე არის — ახიელის პირდაპირ მთაზე პატარა ვაკეა, სოფლიდან ერთი კილომეტრის მანძილზე. თვითონ უთქვამს: რომ მოვკვდები, მე იქ უნდა დმასაფლაოთო. მის საფლავზე პატარა ნიშია აშენებული და როგორც წმინდანის საფლავს, ყველა პატივს სცემს. ქალები, როგორც უწმინდურნი, მის საფლავთან ახლო არ მივლენ. ერთ-ერთ ზაფხულის დღეობაში — ათენგენას მისი შვილიშვილები და მთელი მათი გვარი დღეობას იხდიან იქ. წაიღებენ ლუდს, დაპატიჟებენ სოფლიდანაც ხალხს, დაკლავენ ერთ ცხვარს, მოხაშავენ ხორცს და ყველა იქ მყოფთ გაუმასპინძლდებიან ხორცით, პურით და ლუდით. ერთ დღეს იქ კაი დროს ატარებენ მღერით, ცეკვით და ქეიფობით. საღამოს ჟამზე ფერხისას დააბაშენ, სიმღერებს იმღერებენ მგელაზე ან მის შვილ ახალაზე, რომელიც ღილღვლების მტერი იყო და ხოცავდა მათ. ამ სიმღერით საფლავს სამჯერ გარეშემო შემოუვლიან და წამოვლენ სოფელში. მგელასათვის ისე დალოცვა არ იციან, როგორც სხვა მიცვალებულისათვის. „გაუმარჯოს მგელას და იმის სულის მადლი შეეწიოს იმის ჩამამავლობასა-დ ყველა თქვენს თავსო" — მხოლოდ ამას იტყვიან.

ლაშქარ-მწევართ დღეობას მოჰყვა ყველა ეს ამბები. დავბრუნდეთ ისევ აღების დღეობას. აღება სოფ. ახიელში მარტო ერთი დღე იციან; დასტურის გამოცხადების შემდეგ განაგრძობენ ლუდის სმას და საგმირო სიმღერების მღერას ფანდურზე. ბოლოს წავლენ-წამოვლენ სახლებში; სოფელში იციან ერთიმეორის პატიჟი მთელი ერთი კვირის განმავლობაში, ჯვარში კი მეტი არაფერი იციან.

ჯვარიონნი აღება-დღის საღამოხან გამოილოკავენ. ამ დღეობაში არც დიასახლისი მიდის ჯვარში და არც დარბასში შედიან. არიან მარტო საქვაბეში, აქ რაც აქვთ — ხორცი, პური და ტყავები ჩვეულებრივად გაინაწილებენ და წავლენ სახლებში.

ს. ამღაში იციან გრძელი დღეობა, რომელიც თითქმის ერთ კვირამდინ გასტანს. როგორც წელწადში, ასეთივე მხიარულობა, დღეობა იციან აქაც: „მეთამაშე“, „ომი“, „ქალების მოტაცება“ და სხვა.

ორი დღე მიცვალებულებისათვის არის განკუთვნილი, რომლებიც ს. ამღაში ამოწყვეტილან და მათი მამული ჯვარს უპირავს. თითო დღე დაწესებულია მათი სული მოსაგონებლად.

საბურდუხაო და საიმედურო

ერთს დღეს ამ დღეობისას ეძახიან საბურდუხაოს და მეორეს საიმედუროს. ესენი იყვნენ უკანასკნელნი ამ ჯვარებში, რომლებიც ამოწყდნენ. მათ უანდერძეს თავისი ქონება და მამული ჯვარს თავიანთი სიკვდილის შემდეგ, რადგან სხვა პატრონი არ რჩებოდა. სამაგიეროდ მოითხოვეს თითო დღე დღეობა მათი სულის მოსაგონებლად. მათი მამულების ნაღალურიდან ადუღებენ ლუდს ჯვარში. დანიშნულ საღამოს მოიტანენ დასტურები „კოდ-სამკურთხევლოს“ (კოდ-სამკურთხევლო არის სამი — ხორცს ან ყველის გულიანი კეცეული, ე. ი. პატარა ქადა ზედ სამი საკვირაოთი) და დადგამენ ტაბლით კოდთან. აანთებენ სანთელს და ხუცესი „მოსჭიქავს“ კოდს, ამოიღებს თასით ლუდს, დადგამს კოდ-საკურთხევლოზე და შეუდგება სულის ხუცობათ (თასზედაც და კოდზედაც სანთელია დაკრული): „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა! ღმერთო უშველი ამღიონთა, ჯვარიჯნებს! ღმერთო, გაუმარჯვი იესარსა. იესარო, შენ ნუ დაღლევ ამ სოფელს სულის საგონებლადა, შენა სადიდებლად. იესარო, შენი დიდებითა, ჩემის სიტყვის მაკსენებით, სააქაოს ნათქვამ თუ საიქიოს მიდიოდას, წესი მართებულ იყოს ხთის წესითა, მღდლის წესითა, იერუმსალეთის ნათლითა, ქრისტეს გარიგებით, სადაც შენ ხარ, ბურდუხაო, შენებ შვილები ას, შენ ანდაბი ას, თქვენ დიდი-წვრილი ას, ეს დადგმულ კოდიცა-დ ეს თასიც სულსამც თქვენს მაეკმარების, ცოტაიმც დიდად მაგვეჩვენებისთ, რაოშიმც წმიდად მაგვეჩვენებისთ, ფერუქცევლად, წაუქცევლად, მანდაურის წესითა, სამართლით. ძალითამც ნუ ვინ გამაგეკიდებისთ, თქვენითამც ნებით მისცემთა, გასცემთ, თქვენის ნებითამც დაიწევთ. მსჯელსა, მჯავრესამც გარიდებსთ, თუ ჩვენ ვერ ვგონობდათ, დისწულ-დედიქმაი გუვანდათ, სიძე-ცოლეული გუვანდათა-დ შანდობას მოგვეცოდდას. თქვენითამც ნებით გაბკვლევთ. შაგინდნასთ ღმერთმ, ქრისტიანობის სულის კურთხევა გამჩენმ“. შემდეგ მოაყოლებენ კურთხევას. კურთხევა რომ დამთავრდება — „შაუნდნას ბურდუხასა-დ თქვენ ღმერთმა ყველას მაგცასთ მაგონებისად სულის მადლიცა-დ ხთისაიც“ — იტყვიან ყველანი. ხუცესი იტყვის კიდევ: „სულს შანდობაი-დ გამგონეთ დღეგრძელობაი“ — და დალევს. სხვებსაც მიაწვდის და თავისი თასიდან დაალევინებს. დაასხამენ საწ-

დეში და ბურდუხაის შესანდობარს ყველას დაალევინებენ. მერე მიაქვთ სოფლის ჯარზე და იქაც შესანდობარს ყველა პირველ რიგში დალევს. მერე კი, რაც ვის სურს, იმ სადღეგრძელოს მოიგონებენ.

როგორც საბურდუხაო დღე, ისევე საიმედურო დღეც ჩატარდება.

სასანთლეობა

აღება-დღეს ამღაში, იახსარში, მიდიან მთელი თემის დედაკაცები. ყველას მიაქვს სასანთლე, თითო ბოთლი არაყი და სანთელი. (სასანთლე პატარა ქადა და ზედ საკვირაო). თუ ვინმეს ამღაში ოდნავი ნათესაობაც აქვს, არც ერთი ქალი არ დააკლდება და უეჭველად მივა. ამ დღეს ჰქვია „სასანთლეობა", ხოლო მოსულებს „მესასანთლეე". სასანთლეებს დააწყობენ ერთად, სანთელს ყველა სასანთლეზე დააკვრენ, არყიან ბოთლებსაც იქ დადგამენ და ხუცესი ყველას ერთად იხუცებს ისე, როგორც სასანთლეების ხუცობის წესი გიორგობას ჯარათ ჯარზეა აღწერილი. ბოლოს დაამწყალობნებენ მესასანთლეებს და დალევენ არაყს. ამ დროს მესასანთლეე ქალები შორს სხედან და ლუდით მათ იქ უმასპინძლდებიან ჯვარიონნი. სასანთლეებს როცა იხუცებენ და არაყსაც დალევენ, ბოთლებს ლუდით ავსებენ, სასანთლეებს შუაზე დაჭრიან, ნაჭრევს და ლუდიან ბოთლს უბრუნებენ პატრონებს (ნაჭრევებს რომ გამოიტანენ, ყველა იცნობს „დაჭვრეთილზე" ე. ი. დაჭრელებულზე და თავთავისას იღებენ). ქალებს რაც შეიძლება ჯვარიონნი პატივს სცემენ. ისინი იმავე დღეს წავლენ სახლებში, ჯვარში კი გრძელდება დღეობა.

აღებაში ხშირად იციან ამ სოფელში ქადაგობა. უფრო ებებიან ქისტებთან ბრძოლის საქმეს, რადგან ეს სოფელი ახლოა ქისტების საზღვართან. ძალიან ხშირია მათთან მოსისხლეობა. იახსარი ხშირად ემუქრება ქისტებს და ამუქრებს თავის გველისფერს (ვითომ ამ სახით ჰყავს სასწრაფო დამხმარე იახსარს). მკითხავი და ქადაგი ხშირად ლაპარაკობენ იახსარის სახელით ქისტების მუქარას: „არ იშლიან კი და მოიცადონ ქისტებმა, რა დღე დავაყაროთ. გაუშვებ ჩემს გველისფერს და მაგის ჯარს (რომელიმე ქისტის ბელადი იქნებოდა) სულ გავანადგურებინებო". თან ყმათაც დაემუქრება — „თქვენ მე აღარ გწამვართ და არ მემორჩილებით. მე თქვენგან გათელილი ვარ და ძალი და შეძლება აღარა მაქვსო. ძალი და შეძლება მაშინ მქონდა, როცა სამის წლის რემათ მიხოცდნენ, ეხლა კი თქვენ აღარაფრად მაგდებთო". რა თქმა უნდა, მკითხავი უიმისოდ ენას არ აამოძრავებს, თუ ვინმეს არაფერი დაავალა, ზარალი თუ არავის მიაყენა.

ამგვარად, დიდი დღეობა იციან და მრავალი საკლავიც იხოცება აღებას ამღის ჯვარში.

ღამისთევა, ყამისწირვა და სხვა წესები ისეთივე არის, როგორც სხვა ჯვარებში. დასტურები აქაც ორი წლით დგებიან, ორივე მარტო ამ სოფლიდან, რადგან ეს სალოცავი სასოფლოა და არა სათემო.

ამნაირად ყოველგვარი იმ ცერემონიის ჩატარებით, რაც სხვა დღეობებშიც არის, დამთავრდა დღეობა „აღება".

დიდმარხვა

აღების შემდეგ გაივლის ერთი კვირა და შემოვა „დიდი მარხვა". დიდმარხვამდინ ამ ერთის კვირის განმავლობაში ხევსურები ხდიან არაყს, კლავენ მსუქან საკლავებს, ერთიმეორეს ეპატიჟებიან და ატარებენ თავისებურად კარგ დროს. ყველიერის შაბათს (ამ ერთ კვირას ყველიერის კვირა ჰქვია. შაბათი რომ მოვა, ამას ყველიერის შაბათი. კვირა საღამოს კი მარხვდებოდა) ჭირის პატრონი დაამზადებს არაყს და დაპატიჟებს სოფლის ყველა ქალს, გაშლის ტალავართ და დიდხანს იტირებენ. ბოლოს ერთ-ერთ ხმით მოტირალს სთხოვენ — იტირეო. მოტირალი ტალავრიდან აიღებს ხანჯალს, ან ხმალს და ხმამაღლა ტირის, სხვა დედაკაცები გაჩუმდებიან და ყურს უგდებენ (ხმით მოტირალი პირველად რომელიმე სულმა უნდა ატიროს, ისე უნდა იძახოდეს სიტყვებს, როგორც ქადაგი. ვითომც მას თავისი სიტყვები არც ესმის, სულები ისე ალაპარაკებენ ტირილის სახით. ამას ჰქვია „სულით ტირილი". მერე იწყებს ყველა მიცვალებულზე თავისი ნებით ხმით ტირილს).

ტირილის შემდეგ აიღებენ ტალავართ, შეახვევენ ფარდაგში. ორი ქალი ასწევს, წაიღებენ და ჩადებენ ტახტში (ტალავართ ერთი ტახტი აქვს დანიშნული, სადაც იგი აწყვია მთელი წლის განმავლობაში). მერე ქალებს გაუმასპინძლდებიან ხავიწით ან ფაფით, დაალევინებენ არაყსაც. რომ ნახოთ არყის სმის დროს ქალები, თუმცა ბევრს არ დალევენ, მაგრამ მკვდარზე ტირილი კი სრულიად დაავიწყდებათ: დგას სიცილ-ხარხარი და სულ სხვა საგანზე ლაპარაკი. სუფრის წესს რომ მოათავებენ, ქალები თავიანთ სახლებში წავლენ.

კვირა რომ დაღამდება, დგება მარხვა. ხევსურები მარხვას კი არ ინახავდნენ, მაგრამ მაინც ამ დროს ჰქონდათ განსაკუთრებული წესები. ამ საღამოს ერქვა „მარხოშამაე წუხრა". ვისაც რა შეუძლია, ყველა კარგ ვახშამს ამზადებს და პატიჟობენ ერთიმეორეს. არაყიც ბევრს აქვთ და სოფელში ყველგან სმა არის.

ურწყის ორშაბათი.

მეორე დღე თენდება „ურწყის ორშაბათი". მკითხავები იტყოდნენ: ამ დღეს ურწყნი გამოვლენ. ეს დღე მათ აქვთ დათმობილი ღვთი-

დან და რაც უნდა, იმას იზამენო. თუ მათ ვინმე რამეს აწყენინებს, ისინი ავნებენ, თუ არა, რგებაც შეუძლიანთო. კაცი თუ გზაში შეხვდათ და ცუდ რამეს ფიქრობს, იმასაც გაუწყრებიან. თუ ხმამაღლა ვინმე ყვირის, ამაზედაც გაწყრებიან, თუ ვინმეზე ვინმე ცუდს ლაპარაკობს, იმაზეც გაჯავრდებიანო. მე მახსოვს, ბავშვობაში დედა ურწყის ორშაბათს არსად არ გაგვიშვებდა — ურწყნი სადმე შეგხვდებიანთო. ეს რწმენა ჩვენაც — ბავშვებს — მშობლებისაგან ისე ძვალ-რბილში გვქონდა გამჯდარი, რომ შიშით გარეთ ვერ გამოვდიოდით. ერთი მკითხავი იყო ჩვენს შეზობლად, სახელად კუკუას ეძახდნენ, თავის მეზობლებს ის სულ ასეთებზე ელაპარაკებოდა. ახლაც მახსოვს მისი ლაპარაკი ურწყთ შესახებ: ვინ არიან, რა სახის არიან ისინი, სად ცხოვრობენ და რის გაკეთება შეუძლიათ.

ურწყნი არიან დედაკაცები, სამნი. მათ კიდევ ჰყავთ სხვა მორჩილი დედაკაცები; ეს სამი დედაკაცი ცხოვრობს ლაშქარ-მწევართ ახლო. მათ მეოთხე მეგობარი ჰყავთ; სოფლის ზევით ერთი არყის ხე დგას და იმასთან ბინადრობს. იმას სოფლის მეთვალყურეობა აქვს დავალებულიო. ზევიდან ის სოფელს დახედავს და ყველაფერს ხედავს, მერე კი სალოცავებს, ე. ი. ჯვართ, ყველაფერს გადასცემს. ეს სამი დედაკაცი რომ გამოვა, მათი მორჩილნიც სათიბიდან წამოვლენ და სოფელში მოვლენო (სათიბე ჰქვია ჯვართან ადგილს, სადაც ლაშქარ-მწევართ ილოცავენ). სოფელში ისინი ყველაფერს ათვალიერებენ: ვინ რას ლაპარაკობს, ვინ როგორ იქცევა. ვნების უფლება მათ მარტო ამ ორშაბათს აქვთ, დანარჩენ დროს კი არა. ისინი ანგელოზები ყოფილან და მიქიელ-მთავარანგელოზისთვის ურჩობა გაუწევიათ, მას დაუწყეველია და ურწყად გადაქცეულან. ახლა აღარც ანგელოზები არიან და აღარც სრული ეშმაკებიო. მხოლოდ ორშაბათი, წლის განმავლობაში ეს ერთი დღე, ისევ მათ მიანიჭა მთავარანგელოზმა. ეს დედაკაცები ამ დღეს კიდევ სხვა თავიანთ ქვეშევდომებსაც დასაქმებენ, ყველა ოჯახს უთვალყურებენ და ამბავი მოაქვთო. ამ დედაკაცებს ბოლოზე თეთრად „მამწაული" ტყავები აცვიათ და არც უშნო სახის არიანო (მამწაული: ტყავის (ქურქის) ბოლოზე მოკერებული ბეწვი). სოფლისაკენ რომ წამოვლენ, ძალიან დაღონებით მოდიან, რადგან იმათ გზაზე ხალხმა ბოსტნები გააკეთა და ნიორი დათესეს. მათ კი ნივრის სუნი ეჯავრებათ და ერიდებიანო. თუ მათ ამ ბოსტნებს თავი არ დაანებეს, საქმე კარგად არ წაუვათ. ურწყნი ყოველთვის არიან, მაგრამ გარდა ერთი ორშაბათისა, მათ არაფრის გაკეთებას უფლება არა აქვთო. კუკუა იტყოდა: სოფლის სათავეში რომელი დედაკაციც ცხოვრობს და სოფელს უთვალთვალებს, იმას კი უფლება აქვს და დარბასებში ხალიშვილებთანაც დადისო. ერთხელ ხალიშვილთ მოუტანა ამბავი, რომ სოფელში ორი ძალიან მოჩხუბარი და ხმამაღალი დედაკაცია, მაგრამ

მაგათ ისე წაუვა საქმე, რომ ერთი მოკვდება, ერთი კი დაავადმყოფდებაო. მახსოვს, იტყოდნენ, იმ დედაკაცებს მართლა ისე დაემართათო. კუკუამ ბევრი ამისთანები იცოდა. ცხოვრობდა მარტო, ცოლსაც თავი დაანება, როგორც არაწმინდა არსებას. ერთხელ მოუყვა მეზობლებს: „მე ამჟორიტეს (სამთო ბინა) რომ ვიყავი, ძროხები ვეღარავის შივაბარე და თვითონ ვუვლიდი. მერე ხთიშვილთ გამირთეს (ვითომ თან წაიყვანეს) და ციხის წვერზეით გადმომაგდეს და ვითომ ხელი მომტყდაო. მერე თვითონვე შემიხვიეს და მითხრეს — უწმინდურ ადგილას რომ დაჰვალ უნდა მოგვეკალი, მაგრამ ისევ გაპატიეთო, ამ ხელსაც ისევ მოგირჩენთ, მხოლოდ ასე აღარ მოიქცეო. მეც დავპირდი და გამომიშვესო. გონზე რომ მოვედი, ხელი მტკიოდა და შეხვეული მქონდა. ხალხს ეს სჯეროდა და კუკუასი ისეთი ხათრი ჰქონდათ, როგორც სალოცავებისა. ის რასაც იტყოდა. მზად იყვნენ მის შესასრულებლად.

თაგვ-ჩიტთ უქმი. ურწყთათვის ლოცვა და რამის შეწირვა არ იციან. ურწყის ორშაბათობიდან მოდის მომავალ შაბათს თაგვჩიტთ უქმი. ამ დღეს მოსახლეობა ძალიან უქმობს. ამბობენ, ვინც ამ უქმს არ შეინახავს, თაგვები და ჩიტები ჭირნახულს სულ გაუნადგურებენო. გამიგონია თქმულება, რომ ამა და ამ ქალმა თაგვის და ჩიტის უქმი არ შეინახა და მძინარეს თაგვმა თმა მოაჭრაო, ანდა საუკეთესო ტანსაცმელი დაუჭრაო. ჩიტები კიდევ ძნას და ყანას გაუნადგურებენ. ამიტომ თაგვ-ჩიტთ უქმი შენახული უნდა იყოს წმიდად. ამ დღეს ამზადებენ ბიჭონს (ბიჭონი: ბატიბუტი), თუ აქვთ სიმინდისაგან და თუ არა, სვილისაგან და ამას ჭამენ. თუ ბატიბუტს არ დაამზადებენ, არ შეიძლება. ამ შემთხვევაშიც თაგვი და ჩიტი აზარალებენო.

სულთაკრეფა

თაგვის და ჩიტის უქმის სწორზე შაბათს არის სულის დღეობა სულთაკრეფა.

სულთაკრეფის დასტური ცალკე დგება. ის მარტო სულთაკრეფისათვის დაამზადებს ლუდს. ხალხში აკრეფს სვეს, ქერს და ადუღებენ ლუდს (აქ ორი დასტურია სულთაკრეფისა. სულთაკრეფა დღეს იხსნება ეს ლუდი და ილოცება იმ მიცვალებულებისათვის, რომლებიც ახიელას ძველად და ახლად დაჰკლებია. კოდის გახსნა სრულდება იმავე წესით, როგორც ზემოთ არის აღწერილი მიცვალებულთათვის ლუდიანი კოდის დალოცვასთან დაკავშირებით. კოდზე სრულდება სულის კურთხევაც. დასტურ-ჭელოსნები დალევენ ლუდს პირველად, მერე სოფლის ჯარი სხდება და იქაც მიაქვთ ლუდი; იმართება სმა, ილოცება მიცვალებულებისათვის.

ამავე დღეს იმართება თოფების სროლა. ყველა მიცვალებულის პატრონი გამოაცხობს „სათოფეს“. სათოფე თხელი და ფართე პურია. ზედ გადააკრავენ უბრალო ფართლის ნაჭერს. გაიტანენ ამ სათოფეებს თოფის სასროლად განსაზღვრულ მანძილზე და დააყენებენ ერთიმეორისაგან დაშორებით თოვლზე. ერთ ადგილას სოფელი არის თავშოყრილი, თან თოფები აქვთ მოტანილი. კენჭისყრით დაიწყება სროლა. ვინც რომელ სათოფესაც მოარტყამს, ეს პურიც მას რჩება. რამე ჯილდო იქნება ამ სათოფეზე დაყენებული და იმასაც მას მისცემენ.

ჯილდოდ აყენებენ: ფეხსაცმელს, ჯღანებს, ან საფუხრებს (ხელთათმანები), ან წინდებს, ან თამბაქოს და მარილიც შეიძლება რამდენიმე კილო. მარილი უფრო იყო დიდი ჯილდო, რადგან აქ მისი შოვნა ძნელი იყო წინათ. თან სროლა არის, თან არაყი აქვთ მოტანილი მიცვალებულის პატრონებს და იმას სვამენ. ლუდი კი სროლის გათავებამდე ცალკეა შენახული. მერე დასხდება სოფლის ჯარი და იქ დაიწყებენ ჩვეულებრივად ლუდის სმას.

ბავშვებს დამზადებული აქვთ მშვილდ-ისრები. მშვილდს აკეთებენ დგნალის, შოთხის ან არყის ხისაგან, ისარს კი ეკლისაგან ფთეს დააკრავენ სამს, ვერშოკ-ნახევრის სიგრძეზე (ფთეს ეძახიან თბეს). თბეების წინ ისარს მშვილდის საბმის ჩასაჯდომი ჭდე აქვს. ამ ჭდეს ჰქვია „კილონი“, ფთეებიან ნაწილს „ყიანი“. ბოლოში კი რკინის ზროს უკეთებენ. მშვილდს „მუშის“ (ცაცხვის ხის ლაფანი) ან კანაფისაგან დაწნულ საბამს უდებენ. საბამი მშვილდს ერთს პირში მინასკვებული აქვს, მეორეზე კი შატად არის გადადებული. თუ უნდათ, საბამს ჩამოუგდებენ და მშვილდი გაიმართება. თუ უნდათ, ისევ შემოუგდებენ საბამს გოზაზე. („გოზა“ მშვილდის ერთ ნაპირს ჰქვია, გოზანი — ორივეს, „საკელურა“ კი შუა ადგილს, რაზეც მსროლელი ხელს ჰკიდებს ისრის გასროლის დროს). იმართება მშვილდ-ისრით სროლა. მიცვალებულის პატრონს თუ ბავშვი ჰყავს მიცვალებული, მოაქვს „ვაცი“ და აყენებს, ე. ი. დგამს სამიზნედ ბავშვების ისრის სასროლველად. ცოცხალი ბავშვისათვისაც იციან ვაცის გამოცხობა, სამ-ოთხ წლამდე. დადგამენ ამ ბავშვის ზომა ვაცს მის სადღეგრძელოდ. უნდა იყოს სწორედ ბავშვის ზომისა, რამდენზეც ბავშვი ხელებს გაშლის, ვაცსაც ტოტები ექნება იმ სიგრძისა. ამას ჰქვიან „საზომის ვაცი“. ბავშვები ადრევე კითხულობენ — წელს საზომის ვაცს ვინ გამოაცხობსო? ამ ვაცებზე ცოტა ჯილდოც იციან: ხელთათმანები, წინდები, სათამაშო კოჭები და სხვა.

ვაცებს დადგამენ თოვლში და დაუწყებენ კარგ შორი მანძილიდან ისრების სროლას (ამას ჰქვიან „ვაცაობა“). რომელ ვაცსაც მოხვდება ისარი, რჩება მას, ვინც მოარტყა. თუ შემთხვევით ორი მოხვდა,

ან რამდენიმე, მაშინ ინაწილებენ ვაცსაც და ჯილდოსაც. მოხვედრილად არ ითვლება, თუ ისარი არ ჩაერჭო ვაცში.

ჯერ შორი მანძილიდან ესვრიან, როცა მოსწყინდებათ, თანდათან მიუახლოვდებიან და ახლოდან დაუწყებენ სროლას. ბოლოს სროლასაც მორჩებიან და მიაქვთ სახლში ვინც რა მოიგო. ამ დროს ოჯახში ამზადებენ „დოხანს“ და მიცვალებულებისათვის შანდობას ეუბნებიან (წანდილივით მოხარშავენ თუ აქვთ სიმინდი ან წმინდა პური, ცოტა ლობიოსაც გაურევენ და ეს არის დოხანი. ლობიო, სიმინდი და წმინდა პური აქ არ მოდის. საგანგებოდ უნდა მოიტანონ სადოხნედ საიდანმე, თუ არცერთი არა აქვთ, დოხანს „სვილისას“ ადუღებენ). აცხობენ წვრილ პურებს, ვაცებს, მარტუღელებს, ლავაშებს, ხმიადებს. ყველა მათგანი სხვადასხვა ფორმისა არის. დააწყობენ ტაბლაზე, აავსებენ დოხნით ჯამებს, ჩადგამენ შიგ „ქიტურაებს“ (მრგვალთავიანი ღრმა საწვნე კოვზები), ტაბლაზე რამდენიმე ადგილას მარილს დააგროვებენ და დიასახლისი „სახელს დასდებს“, ე. ი. შენდობას ეუბნება: „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, უშველი ჩვენს ბეჩაობასა-დ ჩვენს ხიზანს. ღმერთო, ბევრ სულთაკრეფა მშვიდობისა, კარგა ყოფისა მაგვგვარი, სადაც თქვენ ხართ, ჩემნო დედამთილ-მამამთილნო, ჩემნო, დედ-მამანო, თქვენებ შვილები, შვილის შვილები-დ, თქვენ დიდი წვრილი ას, თქვენ ანდაბიდ, თქვენ მიმყოლ-მამყოლი ას, ეს ტაბლაიცა-დ ეს ჯამებიც თქვენსამც წინ ას, თქვენსამც ნებას ას, ჯელსამც გაბკრავთ, კალთასამც გაიხვევთ, თქვენიმც საკმარი ას, თქვენიმც საგძალი, ნუმცარა დაგაღონებსთ, პირწალმამც შამახოლთ, კარიმც მღე დაგხვდებისთ, საკვამიმც სინათლიანი. რაკელაც ჩვენ გვექჩერების, ისრამც თქვენ გეკმარებისთ, თუ ვინ მაგყვებოდასთა-დ მაგბრუნევდასთ, სიძე-ცოლეულ იყოსა, დობილ-ძმობილი იყოსა, მაკეთე-მაკიდული იყოსა, ჩვენ ვერ ვგონობდათა, შანდობას მაგველოდდას, ოკრის სულმკვდარ იყოსა, თქვენითამც ნებითამც მისცემთა გასცემთ, მანდაურის წესითა, სამართლით. ძალითამც ნუ ვინ გამაგეკიდებისთ, ეემ სითბოთა, სინათლითამც მაგიოსთ. ცოტა დიდადა-დ რიოშ წმიდადამც მაგიოსთ, ნუმცარაით დაღონდებით. შაგინდნასთ ღმერთმა, ქრისტიანობის გამჩენმ“. შემოუტარებს ასტამს გარშემო სამჯერ და მიაჯახებს ტაბლაზე (ასტამი: მოკაული წვრილი რკინის ხელსაწყო, რომელსაც ცეცხლთან ხმარობენ ნაღვერდლის და ნაცრის გამოსახვეტად), მერე გადმოდგამს ტაბლას და ჭამენ პურს. ბავშვები წაიღებენ ვაცებს, მარტუღელებს ან ლავაშებს და ამითი თამაშობენ მთელი დღე. დადგამენ ამ პურებს და ისრებს ესვრიან. ვინც რომელს მოარტყამს, მას რჩება. დოხანს კი ვისაც სურს, ისე შეჭამს. ამის შემდეგ ქალები თავს იყრიან ახალი ჭირისპატრონის სახლში. შეიძლება მიცვალებულებისათვის ხარჯები სხვებსაც ჰქონდეთ, მაგრამ ბოლოს მაინც

ახალ ჭირისპატრონთან უნდა მივიდნენ. ქალებს ეკუთვნის ეს სულის დღე და მამაკაცები დიდ მონაწილეობას არაფერში ღებულობენ. მხოლოდ სათოფეებთან სვამენ არაყს. მერე სოფლის ჯარი დასხდება აქ და დალეკენ. ქალები მკვდრის ტალავართ გაშლიან და დაიწყებენ ჩვეულებრივ ტირილს. ჯერ ყველანი დასტირიან ტალავრთ, მოთქვამენ თავისებურად, ბოლოს კი კმით მოტირალი იტირებს.

გამოცხობილ ხმიად-ლავაშებს მოიტანენ, დააწყობენ და ერთი ხნიერი ქალი შენდობას ეტყვის მიცვალებულს. შენდობა ისეთივეა, როგორც ზემოთ მოვიყვანეთ, ოღონდ ბოლოს სთხოვს მიცვალებულს, რომ „მეენესავ ენა ჩაუდევიო-დ აუბნევ". ამას მესულეთეც ხედავს ყველაფერს, დაიწყებს მთქნარებას, მოუმატებს თანდათან. ქალები გაჩუმებული სხედან. თუ მალე არ დაიწყო სულეთობა, გავლენ, ძაღლი ხომ არსად არისო (ძაღლი თუ ახლოა, ვითომც სული მაშინ არ მოვა), კარებსაც ღიას სტოვებენ, რომ სულები ადვილად შემოვიდნენ. ქალებიც გაჩუმებულნი არიან და ელოდებიან სულეთობას.

ბოლოს მესულეთე ქალი (მესულეთე ყოველთვის ქალია) ხელებს „დაამატებს" ერთმანეთს (ე. ი. თითებს თითების შუა გაუყრის), დაიწყებს ორივე ხელით გულზე ცემას და დაიწყებს სულის ენით ხმამაღალ ყვირილს, ვითომ ახლა ამქვეყნიური აღარაფერი იცის, სულებთან არის გართული და ისინი ალაპარაკებენ. აქ მინდა ერთერთი ნასულეთარის ისტორია გავიხსენო. მსოფლიო ომის დროს ერთი ჯარისკაცი გიორგა გიგაური დაიკარგა ს. კვირიწმინდიდან და ყველას მკვდარი ეგონა. რაღაც სულის დღეობა იყო და სრულიად მოულოდნელად ერთმა მესულეთემ ისულეთა გიორგას ენით:

> თქვენ ქვე რა იკით სამზეურთაო,
> აქ რა წესია სულეთშიაო,
> ტყვიით მაკლული, შამნიანიო (სისხლიანი)
> ახლა ორ ციხის ზეთგალჩიაო.
> ზარბაზნის ტყვია მამახვედრესო.
> გამანაგაბრა ძონძივითაო,
> ტვინი შინდორზე დაითხივაო.

ასეთები მოაყოლა შესულეთე ხოშექამ. ამას აჰყვა მეორე მესულეთეც და დაამტკიცეს, რომ გიორგა მოკლულია ავსტრიელების ზარბაზნის ტყვიით. გიორგის აქ ჰყავდა ორი ვაჟიშვილი პატარები და ცოლი. ცოლმა დაიჯერა, რომ მისი ქმარი ნამდვილად მოკლეს და დაამზადა ხარჯები. ხევსურეთში მკვდრის ხარჯი დიდი ზარალია და არ შეიძლება ოჯახი წელში არ გაწყვიტოს. ამ ქალმა მძიმე ხარჯები გადაიხადა, მიცვალებულისათვის ცხენიც იყიდა და „დააკურთხვევა" (ცხენს შეკმაზავენ, აჰკიდებენ ხურჯინს ლუდიან-არაყიანი ტიკებით და პურით, აჰკიდებენ მიცვალებულის ტანსაცმელსაც, ე. ი. „ტალავართ",

დააკრავენ უნაგირის ტახტაზე სანთელს და სულის ხუცესი მიცვალებულისათვის შენდობას ეტყვის ცხენს თავის ბარგიანად). სულის ხუცობა ისეთივეა, ზემოთ რომ არის ნაჩვენები, მხოლოდ აქ ხუცობას რომ გაათავებს, მათრახს ცხენს გადაჰკრავს და იტყვის: „შენიმც საჯმარი ეს ცხენიც (მიცვალებულის სახელი), შენიმც საიაღოი, ცხენიან ამბანაგთაშიამც ზდგეხარ, უცხენოთაშიამც ნუ იქნები", ასევე იმეორებს თუ ცოლი ჰყავს ან დედა, იგიც. ცხენს მათრახს გადაჰკრავს და ისიც შენდობას ეტყვის: მათი წარმოდგენით მკვდარს საიქიოში ცხენი ეყოლება და სადაც დასჭირდება, ცხენით წავა. ეს წესები იმ ქალმა ყველაფერი შეასრულა. ხარჯების დროსაც კიდევ ისულეთა ერთმა მესულეთემ, რომ მე — გიორგა, ზარბაზნის ტყვიამ გამანადგურაო, საიქიოში კარგადა ვარ, მხოლოდ ცოლი მებრალება, რომ ორი ობოლი დარჩაო. დიაცო, გთხოვ, ობლები არ დამიწირო (დამიტოვო) და არ წახვიდეო. ასეთებით დარწმუნებულმა ბუბამ (ბუბა ერქვა ამ ქალს) მიცვალებულისათვის აღარაფერი დაიშურა, შვილებისა და თავისთვის კი აღარაფერი დარჩა. გაღარიბდა, აქ რომ აღარ შეეძლო ცხოვრება, კახეთში მაზლი ჰყავდა, იქ წავიდა და მას მიეკედლა. მთაში გაზრდილი ქალი სწორედ იმ დროს ჩავიდა კახეთში, როცა ბევრი ხილი იყო შემოდგომაზე, ხილმა აწყინა, ავად გახდა და მოკვდა. დარჩა ორი პატარა ვაჟი. სინამდვილეში მისი ქმარი ავსტრიაში ტყვედ ყოფილიყო. როცა იქიდან ტყვეები წამოვიდნენ, ისიც თან გამოჰყვა. არ იცოდა, თუ მისი ცოლშვილი კახეთში იყო გადასახლებული და მიეშურებოდა ხევსურეთში არხოტისაკენ. ხევსურეთის ჭალაზე შეხვდა კაცი, რომელმაც უთხრა — შენი ცოლშვილი არხოტში აღარ არის, კახეთში გადასახლდნენო. დაბრუნდა გიორგა და წავიდა კახეთში. რომ ჩავიდა, ცოლი სამი დღის დასაფლავებული დახვდა. გამწარდა კაცი, მოინდომა ოჯახის დანგრევისთვის იმ მკითხავებისთვის პასუხი მოეთხოვა, მაგრამ მეზობელ-ნათესავებმა სთხოვეს და დაათმობინეს. ის მკითხავი კი თავს იმართლებდა: ვიღაცა მიცვალებულმა გამაქილიკაო (გაქილიკება დაცინვას ჰქვია. ვითომ ვიღაცა სხვა მიცვალებულმა ათქმევინა ეს სიტყვები და მასხრად აიგდო).

ასეთი მაგალითები სხვაც ხდება. სულები აძლევენ დარიგებას ბიძაშვილებს სამტრო-სამოკეთეო საქმეებში, ოჯახს საოჯახო საქმეში. მახსოვს, ერთხელ რაღაცა ხარჯები იყო, ერთი ჩემი მთვრალი ბიძაშვილი ესწრებდა. მან ისე მოაწყო საქმე, რომ მესულეთემ სულეთობა დაიწყო. ერთ-ერთი ჩვენი ბიძაშვილი, რომელიც ახლად გარდაცვლილი იყო, ამ ცოცხალს მესულეთის ენით ეუბნებოდა — მე ჩვენს გვარში შენი იმედი მაქვს და სხვისი არავისო, ჩემს ოჯახს შენს გარდა ყურს არავინ უგდებსო. ამ ყვირილზე მე შემთხვევით შევედი იქ, სადაც ეს ამბავი იყო. ისხდენ სულგანაბული ქალები და ტიროდნენ.

ჩემი პიტაშვილი ძალიან მთვრალი იყო და მიცვალებულის ლაპარაკზე მასაც ცრემლი ჩამოსდიოდა; მესულეთე რომ ამ სიტყვებს იძახდა, თვალები დახუჭული ჰქონდა და ჩემი შესვლა ვერ გაიგო, გარდაცვლილი პიტაშვილის ოჯახს ჩემი იმედი ამქვეყნად სულ გადაუწყვიტა; მე არ ეწყალობა, რადგან ახალგაზრდობაში მკითხაობაზე დავცინოდი და ძალიან ვაჯავრებდი. ჩემმა ბიძაშვილმა კარგა ხანს უსმინა, მეც იქვე ახლოს დავჯექი და ყურს ვუგდებდი. ჩემ ბიძაშვილს მოსწყინდა ყურისგდება და გარეთ გამოვიდა. მესულეთემ შემთხვევით თვალები გააღო და ჩემი ბიძაშვილის ნაცვლად მე დამინახა. შერცხვა, დახუჭა თვალები და უცებ დაიწყო ჩემზე ლაპარაკი — ვითომ მიცვალებულებს ჩემი იმედი უფრო ჰქონდათ, ვიდრე სხვებისა, რომ მე ჭკვიანი ვიყავი და უფრო ჭკვიანურად დავარიგებდი მათ ოჯახს. სულეთობა რომ გაათავა, მიართვეს ლუდი, დაალევინეს და პირიც დააბანინეს. დამიწყო ლაპარაკი თავისი შეცდომის გამოსასწორებლად. კიდევ კარგი, შემთხვევით თვალები აახილე და დამინახე, თორემ ლანძღვით მიწაში ჩამსვამდი-მეთქი. — ვუთხარი. ძალიან იწყინა. ზოგიერთი ხნიერი ჩვენი ნათესავი ქალები გამიწყრნენ: რას ეუბნები, განა ეგ თავისი ჭკვით სულეთობსო, ზოგიერთები კი გარეთ გაცვივდნენ და სიცილით იხოცებოდნენ.

ტირილი და სულეთობა რომ მოთავდება, ტალავართ აიღებენ ფარდაგით და თავის ადგილზე დააწყობენ. მერე ქალებს დაუდგამენ საშარბვო სუფრას, რადგან მარტკაში სხვას არ ლოცავენ. დაუდგამენ ჯამებით დოხანს და აჭმევენ პურს. ჭირის პატრონი არაყს მოაყოლებს და დაალევინებს ძალდატანებით ყველას. დასტურები ლუდს მოიტანენ საწდით და ამასაც დაალევინებენ. გაიმართება სმა. ქალები ერთმანეთს ეუბნებიან — ერთადერთი ეს სულთაკრეფა გვაქვს საკუთარი დღეობა და დალიეთ. აქედან დაპატიჟებენ სხვა ჭირის პატრონებიც და ახლა იქ იმართება ასეთი ამბები.

მამაკაცები ერთ ჭერხოში სხედან და სვამენ ლუდს. ლუდი მოაქვთ ჯვარიდან. ქალები ხანდახან ხუმრობით ეუბნებიან, რომ ჩვენი საკუთარი დღეობა არის და თუ მოვინდომებთ, თქვენ — კაცებს — არცკი დაგალევინებთო.

სერთოდ ხევსურეთში მიცვალებულების საქმეებიც ზარჯი, დღეობა, სულეთობა, ტირილი და სხვა ქალების ხელში არის.

მგელთუქმი

„თაგვ-ჩიტთ უქმის“ შემდეგ მოვა „მგელთ უქმი“ შაბათი დღე სულთაკრეფის სწორზე. ამასაც ძალიან ინახავენ. მგელთ უქმი დადგა — წინა დღითვე, საღამო ხანზე, დაიწყებენ უქმობას. აძზადებენ

ბატიბუტს (ბიჭონს). თუ ეს უქმი ვინმემ არ შეინახა და მგელმა რამე მოუკლა — ძროხა ან ცხვარი, რა თქმა უნდა, ცრუმორწმუნე ხალხი დააბრალებს ამ უქმის არშენახვას. მგლისათვის პირის შეკვრაც იციან: აიღებენ ცხვრის საპარსავ დუქარდს, დაახვევენ ძაფს და შეკრავენ ამ სიტყვებით: „მგელო, პირი შაგიკარი, ჩემი საქონისკე მომავალს პირიმც შაგეკვრის, რომ ჩემს საქონს მიუახლოვდები, ნუმცაღ გექნების პირის გაღების ნებაი, ჩემის საქონის დაზარალებისა". ამის შემდეგ სჯერათ, რომ მგელი ვეღარაფერს მოუკლავთ.

მგელთ უქმზე სხვა შესანიშნავი არაფერია.

მარხოშუობა

მგელთ უქმის შემდეგ მოდის „მარხოშუობა" — მარხვის შუადღე. ეს დღე ოთხშაბათი უნდა იყოს; ამასაც ძალიან მტკიცედ ინახავენ. მარხოშუობას ხელს არავინ გაანძრევს, სწამთ, რომ ამ დღეს რასაც გააკეთებენ, ორად იყოფა და პატრონი ნახევრის მეტს ვერ ისარგებლებს. აგრეთვე, თუ შვილები ჰყავს და უქმი გატეხა, შვილებიც ორად გაეყოფა და ნახევარი დაეხოცებაო. ამიტომ ამას ეძახიან „ხელუძრავ უქმს". მარხოშუობას თუ ფრჩხილი მოიჭრა, ფრჩხილიც კი ორად გაყოფილი ეამოუვაო.

ქალები ამ დღესაც ტალავარს შლიან და ტირიან მიცვალებულებს. მათ ჭირის პატრონი გაუმასპინძლდება, როგორც სულთაკრეფას, ისევე ახლაც დოხნით და არაყით. აქვე ხდება ხმით ტირილი, სულეთობა და სხვა. ამ დღეს ლუდი არ იციან. ჯვართან კავშირიც არაფერი აქვთ.

კუდიან წუხრა

ამის შემდეგ მოვა „კუდიან წუხრა". მოდის აღდგომის წინა ხუთშაბათს. აღდგომას ხევსურები „აკვსებას" ეძახიან. კუდიან წუხრა რომ მოახლოვდება. ბავშვები მოიტანენ ბლომად ეკალს, დაარჭობენ ყველგან თავისი სახლის მიდამოებში — საკომში, კარების თავზე, სანაგვეზეც კი. ეს იმის ნიშანია, რომ ეშმაკი ეკალს ვეღარ მიეკარება და ვეღარაფერს დაჰპატრონდება. ბავშვები მოიტანენ აგრეთვე ეკლის ოკებს. (ოკი ჰქვიან ისარს, რომელსაც ჯერ ფრთები არა აქვს დაწებებული). ოკებს თითო ბავშვი დაამზადებს ორმოც-სამოცამდე. დაამზადებენ აგრეთვე ცეცხლის დასანთებ ნეშომპალას და ხუთშაბათი რომ დაღამდება, ყველას კარზე დაეწყება ცეცხლი, ამას ჰქვია „ჭიაკაკოლაობა". ცეცხლს რომ დაანთებენ, ოკებს ჩააწყობენ ძირებით ცეცხლში და შოუკიდებენ. ცეცხლიან ოკებს ისვრიან მშვილდებით და იძახიან:

„გრიაი გრის კუდიანთა, თავისა შასვითა, შაჭამეთ“ ვითომ: კუდიანებო, ჩვენი არაფერი წაიღოთ, თქვენი შესვით და შეჭამეთო.

კუდიანები, მათი რწმენით, არიან ეშმაკები. ასეთები ადამიანებიც არიან. ხშირად იყო, რომ ვინმეს ძრახავდნენ — კუდიანი არისო. უფრო ქალზე იცოდნენ, შვილები თუ დაეხოცებოდა — თვითონ გამოღვიძლა, ეგ ვის შეირჩენს, ყველა ამოუწყდებაო. კუდიანი წყალში უნდა ჩასვა და თითის ოდენა გამჭვირვალე კუდი გამოუჩნდებაო. კუდიანი ქალია ან კაცი (ქალები უფრო ბევრნი არიან კუდიანები), თუ გატყდა და სახალხოდ თქვა: „გავტეხილვარ, კუდიანი ვარო“ — მაშინ აღარ დარჩება კუდიანად და პატიოსანი ადამიანი იქნება. თუ ვინმეს კუდიანობაში ეჭვი ეპარებათ, ცხვრის საპარსავ დუქარდს წვერით მისცემენ — ხელს ვერ მოკიდებს და გატყდებაო. გამიგონია, ვიღაცის კუდიანობაში ეჭვი ეპარებოდათ და ნათესავებმა წყალში ჩასვესო. კუდიანები ვითომც ხალხის საშინელი მტრები არიან, ადამიანებს ისე მოუწყობენ საქმეს, რომ ან თავს მოაკვლევინებენ, ზვავით, წყლით, ან ქვით თვითონ მოკლავენ. კუდიან წუხრას ყველას ეშინიან კუდიანებისა და ველარ გადიან სოფლის გარეთ. ამბობენ: კუდიანები კუდიან ღამეს არხოტის მინდორში შიდიან, ყველანი იქ იყრიან თავს. შესხდებიან შავ კატებზე და თვალის დახამხამებაზე იქ გაჩნდებიანო. იქ მიმავალ ან მომავალ კუდიანს თუ შეხვდა გზაზე ვინმე, მისი საქმე ცუდად არის — გამოღვიძლავენო, — ვითომ ღვიძლს გამოაცლიანო. ამიტომ ერიდებიან ადამიანები ამ დღესა და ღამეს სიარულს. იტყოდნენ: ერთმა ქისტმა თქვა — ღამე ვიწექი და ღნავილით შავი კატა მოდიოდა ჩემსკენ. რომ მომიახლოვდა, დამბაჩის ჩახმახი ჩავარტყი თავში და მეორე დღეს ის დედაკაცი აღმოჩნდა თავგატეხილი, ვისზეც კუდიანობაში ეჭვი გვეპარებოდა. მერე გამოტყდა თავის კუდიანობაში და ჩვეულებრივი ადამიანი გახდა. გამოტეხის შემდეგ მან ბევრი რამ ილაპარაკაო: ერთხელ ერთი კაცის მოკვლა გვინდოდა ზვავით, ვიცოდით საზვავე მთაზე რომელი გზით უნდა წასულიყოო. წავედით კუდიანები და საზვავე ადგილებზე ბალახები დავარჭვეთ, როგორც მთაში ზამთარში ხმელი ბალახი იცის — რომ მოვა ის კაცი, ბალახს ნახავს და საზვავე თოვლი არ ეგონებაო. შედგება თოვლზე, ზვავი გაუტყდება და მოკვდებაო. მოვიდა ის კაცი. ჩვენ იქ უხილავად ვიდექით და ვუყურებდით. ის კაცი ძალიან იღბლიანი ყოფილიყო და ჩვენს ძალას იმის იღბალმა ამჯობინა, ბალახები ნახა, მაგრამ მაინც არ მიენდო და თოვლზე ფეხი არ შედგა, ხელში ეჭირა არგანი (ჯოხი) და თოვლის სიღრმე იმითი გასინჯა. არგანი რომ თოვლში ღრმად წავიდა, თქვა: დიდება შენდა ღმერთო! თოვლი ღრმა არის და ეს ბალახები როგორღა ამოვიდაო. ახსენა ღმერთი თუ არა, გატყდა ზვავი, წავიდა მთელი არე-მარის თოვლი, ის კაცი კი გადარჩა, რადგან იღბლით გვაჯობაო.

თუ მამაკაცი კუდიანი არის, იტყვიან — იმ გვარის საქმე კარგად წავა, ხოლო თუ ქალია, ვაი იმ გვარსა, რადგან კუდიანი ქალები დაუზოგავები არიან და ნათესაობას სულ გაანადგურებენო.

ამავე კუდიან წუხრას თოფების სროლაც იციან და ამითაც ეშმაკებს და კუდიანებს აფრთხობენ. შავ კატას თუ დაინახავდნენ, რომელსაც თეთრი ნიშანი არსად ჰქონდა, მაშინვე დაიჭერდნენ და გახურებული რკინით პირსახეზე დაშანთავდნენ — დასწვავდნენ. პირშიც ჩაუდებდენ გაშანთებულ რკინას — კუდიანია და უნდა დაიშანთოსო. იტყოდნენ: ერთხელ ერთი კატა დაშანთეს სახეზე და მეორე დღეს იმ ქალს ჰქონდა პირისახე შეხვეული, რომლის კუდიანობაშიც ეპარებოდათ ეჭვი.

ამავე კუდიან წუხრას იციან „მესმინაედ“ დაჯდომა ან „სმინაობა“. კუდიან ღამეს მესმინაედ შორს სადმე დაჯდება კაცი იმ მოსაზრებით, რომ კუდიანების და ეშმაკების ნაუბარს გაიგონებს. ეშმაკები ილაპარაკებენ ყველაფერს, რაც ვის დაეშართება: ვინ როდის მოკვდება, ვის რა ზარალი მიეცემა და სხვა. პირველად რომ მოვლენ ეშმაკები, ის ძალიან უნდა გამაგრდეს და არ გაინძრეს, თორემ დასწყეველიან და საქმე ძალიან ცუდად წაუვალ.

ერთი ჩვენებური კაცი, სახელად ჩაჩაური (მეტსახელად კრუას ეძახდნენ) მახსოვს, რომ მესმინაედ დამჯდარიყო. ერთი კიდევ ზეისტეჩოელი კაცი იყო — ოქია და ისიც იჯდა მესმინაედ. კრუას ნათქვამი მახსოვს: მე რომ წავედი, თან წავიღე ერთი თითისტარი და ნახშირი. რომ დავჯექი, როგორც დარიგებული ვიყავი, თითისტარით გარეშემო დიდი წრე შემოვიხაზე და ჩემს გარეშემო ნახშირიც გადავყარეო. მოვიდნენ მრავალი ეშმაკები და დაიწყეს ლაპარაკი. ჩემზე ამბობენ: ის რა გდია, შავად რომ არისო. ყუნჭია (ყუნძი), მიდი და გადააგორეო. წამოვიდნენ ჩემს გადასაგორებლად, მაგრამ გავმაგრდი და არ გავინძერი. მოვიდნენ ახლოს, მაგრამ შემოხაზულს და ნახშირს ველარ გადმოვიდნენ. მერე თქვეს: რაც გდია, ზვავს წავაღებინოთო. გამოუშვეს დიდი ზვავი, მაგრამ მე არ გავინძერი, მოვიდა ზვავი, მაგრამ შემოხაზულს არ გადმოსცდა. ასეთივე ლაპარაკით გამოუშვეს საძინელი წყალი. ამასაც გავუმაგრდი. მერე გამოჩნდა ვითომ მგბენარი, თითქმის შეჭმას მიპირებდნენ, მაგრამ მაინც გავმაგრდი. მერე ერთმანეთს უთხრეს — ეს კაცი საიმედოა და არ გაგვცემს, ნება მივცეთ ჩვენს ლაპარაკს მოუსმინოსო. დაიწყეს ლაპარაკი, ვინ როგორი კაცი იყო, ვის რა მოელოდა, ვინ რამდენ წელიწადს იცოცხლებდა, ვინ ზვავით მოკვდებოდა, ვინ მტრის ხელით და ვინ თავის დღით. მერე დასწყეველეს ის ხალხი, ვისიც ჯავრი სჭირდათ. ბოლოს მეც დამწყეველეს — თუ მათი ნალაპარაკევი ვისმე ვუთხრაო. მე მაინც არ ვინძრეოდი. ბოლოს თქვეს ჩემზე — ადგეს კრუა და შინ წავიდესო. მე მეშინოდა, ვერ ავდექი და

ვერ წამოვედიო. ის კი ვიცოდი, რომ ეშმაკები იმ მოხაზულის შიგნით ვერ შემოვიდოდნენ. თენებამ რომ მოატანა, ხმა აღარ იყო, ეშმაკები და კუდიანები სადღაც წავიდნენ. მეც ავდექი და გამოვიქეცი.

ხალხს ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, ვითომ კრუამ ყველაფერი იცოდა. რაც მოხდებოდა და ვის რა დაემართებოდა. ბევრჯერ კრუას დაათრობდნენ და ცდილობდნენ, მთვრალს რამე ელაპარაკა, მაგრამ მან მთვრალმაც და ფხიზელმაც არაფერი იცოდა და ვის რას ეტყოდა. კარგი მასალა კი ჰქონდა თავის გასამართლებლად — ლაპარაკის ნება არა მაქვსო. ერთხელ ერთი კაცი გადაეკიდა მთვრალს: მითხარი, როდის მოვკვდებიო. კრუამ უთხრა: მე როცა კარგად დაგიწყებ მოქცევას, მაშინ მოკვდებიო. მერე ის კაცი ჯარში წაიყვანეს (მაშინ ხევსურები მიჰყავდათ ჯარში). იმ დროს ვინც ჯარში წავიდოდა, ყველას ებრალებოდა, რადგან მაშინდელი ჯარისკაცი იცოდენ, რომ ცუდ მდგომარეობაში იყო. თანაც მთაში აღზრდილ კაცს სადღაცა შორს გზავნიდნენ და უცბად ჰაერის და პირობების შეცვლაც მათზე ცუდად მოქმედებდა, ცოცხალი ბევრი აღარ ბრუნდებოდა. ამიტომ წამსვლელს ყველა კარგად ექცეოდა. რა თქმა უნდა, კრუაც კარგად მოექცეოდა, რადგან მისი მეზობელი და ნათესავიც იყო ის კაცი, რომელიც ეკითხებოდა, როდის მოვკვდებიო. ის კაცი ჯარში მოკვდა და მერე ხშირად გავიგონებდი: „აი, კრუას ნათქვამ რაკელ გაუცხადდ გიგიას, სალდათში წასვლაში რაკე კარგად ექცეოდა და მოკვდა კიდეც იქო". კრუაც თავს ისე იჭერდა, ვითომც მართლა ასე იყო.

კუდიან დღეს „სახუთშაბათოს" ეძახიან. ცოტა ლუდი აქვთ — ერთი ჩხუტი. ამას იხუცებს ხუცესი ჩვეულებრივი წესით და ჯვარიონნი სვამენ.

აკვსება

კუდიან წუხრის შემდეგ მოვა „აკვსება". აკვსება წუხრას ერთ-ერთი დასტური წავა და დიასახლისს მოიყვანს. დიასახლისს ჩვეულებრივად დამზადებული აქვს მასანთოები, ბოჭოლები და მუში. იმ წესით მოვა სადიასახლისოში, როგორც გიორგობის დღეობაში არის აწერილი. გაათბობს წყალს და დარეცხავს ყველაფერს, რაც აქ დასჭირდება სადიასახლისოდ. მერე აწყავენ ერბოს (აქ აქვთ გამოწყული ჭურჭელი, იციან, რომელ დღეობაში რამდენიც სჭირდებათ), ჩადებს ქვაბში (სახავიწე ქვაბი ცალკე აქვთ), აადუღებს და გააკეთებს ხავიწს. ხავიწი რომ ცოტათი შეიყინება, ჩადებენ ჩანახში და კიდე ამითი აწყავენ. ესეც გამოანგარიშებულია. რამდენი ღამისთევა და ყამისწირვა ექნებათ ამა თუ იმ დღეობაში, აწყული ერბოდან და ფქვილიდან რამდენი ჩანახი ხავიწი გამოუვათ. დააყალიბებენ ოდნავ შეყინულ ხავიწს. ამასო-

ბაში სულ გაიყინება და დაემსგავსება ყალიბში ჩამოსხმულ სანთელს. ხავიწს დაამზადებენ დიასახლისი და ერთ-ერთი დასტური, დააწყობენ საამისოდ გაკეთებულ გრძელ ფიცარზე და შეინახავენ ცივ ადგილზე. ერთს კი დასტური მაშინვე ჩათლის სპილენძის ბაკანში ღამისამთელოსათვის. დიასახლისი წყალს გაათბობს, მოზელს ცომს და გააკეთებს ღამისამთელოსა და ხმიად-საკვირაოებს. გამოაცხობს ზედგანზე და მერე ნაცარშიც, ბოლოს გაბანს, დაჭერეთილ გვერდზე გაპოხს ერბოთი და დააწყობს ერთიმეორეზე.

დასტურები მოიტანენ განძს, გარეცხავენ ცივ წყალში და დააწყობენ დარბასში თაროებზე. ხელოსანი იღებს დროშის მასალებიან ტაგრუცს, ამოიღებს ვერცხლის ჯვარს, შუბებს, ბურთებს ვერცხლისას, აგრეთვე ხელსახოცებს. ამ დროს ხელოსანი ხმას არ იღებს, მხოლოდ პირველად შეეხვეწება ჯვართ, რომ ნურაფერზე გამიწყრებითო, მერე იღებს დროშის ტარს და ხელსახოცს ერთი კუთხით მოახვევს მის წვეროზე, ჩამოაცვამს ზედ ვერცხლის ბურთსა და ჯვარს. მერე შეაბამს ჯვართან ახლო ერთ პატარა ზარს. ხელსახოც გადახვეულ მეორე დროშის ტარზეც ჩამოაცვამს ვერცხლის ბურთს და რკინის შუბს, მესამეზეც ასევე და ბოლოს ყველა დროშის ტარებზე შუა წელამდინ შეაბამს ჭრელ ხელსახოცებს და ბაღდადებს, დაიწერს პირჯვარს და იტყვის: „დალოცვილნო შედროშავენო ანგელოზნო, ნურაით შამიცოდვებთ, მიშველეთ, ბორაყის ასხმაზე ნუ შამისაწყინდებით“. აიღებს დროშას და ზარს აწკარუნებს, დარბასს შემოუვლის გარეშემო და გავა გარეთ. აქაც დარბასის კარს შემოუვლის და მივა დროშისათვის სპეციალურად გაკეთებულ ადგილზე. დააყუდებს სამივეს ერთად ცოტა გადახრით, მობრუნდება, დაიწერს პირჯვარს, მივა ჯვარიონთან, რომლებიც იქვე დგანან და ეტყვის: „წყალობა მაგიტანეთ მედროშაეთ ანგელოზთა“. „შენ იყოს მწყალობელი“ — უპასუხებენ ჯვარიონნი. ამ დროს გამოტანილია ღამისსამთელო და დადგმულია იქ. ხუცესი შევა საკოდეში და მოსჭიჭავს ლუდს. კოდს გახსნის ჩვეულებრივად, როგორც ზემოთ არის ნათქვამი, ლუდს გასინჯავს და იქიდან სხვებსაც გადმოსცემს გასასინჯად. მერე გამოიტანენ რვლის ჩხუტათი ლუდს და შეუდგებიან ჩვეულებრივად ღამისთევას; სახუცო კოკბების სმაში მღერიან ფეხზე ყველანი ერთად. ღამის თევის მოთავების შემდეგ დიასახლისსაც წაუღებენ კოშ ლუდს და ერთ მეოთხედს ქადის ნაწილს. ჯვარიონნი თვითონაც ივახშმებენ.

დღეობა იციან აგრეთვე ჯაჭველში და მთიშეშაგში. აქაც ლუდს ჩვეულებრივად დაამზადებენ და ღამისთევის წესებს შეასრულებენ. ჯაჭველში მიდის მთელი ოჩიაურებისა და ქავთართ გვარი (ქავთარნი არიან ნაროზაულები და იქიდან კიდევ ცალკე ქვეგვარად ითვლებიან). მთისვეშაგში, ანუ მთიშეშაგში მიდიან ცისკარაულები, მათი მეორე

ევარი არის ხარანი. ეს გვარები ღამისთევას ესწრებიან და მთელი ღამის განმავლობაში სვამენ ლუდს. ამ სოფლის ბავშვებს ცალკე აქვთ დღეობა „მარიემწმიდაობა“ ანუ „დედამარიემობა“. მარიემწმიდაობისათვის ბავშვები ადრიდანვე ემზადებიან. ისინი ერთადერთ საკუთარ დღეობას აღტაცებით ელოდებიან. ყველამ უნდა მიიტანოს არხოტის ჯვარში თითო ქუდი „ხიფხოლა“, ან ქართული თოფის ორი ტყვია. (ხიფხოლა არის მიწისვაშლის მსგავსი ტკბილი ძირები, რომელიც მამულებში იცის, გაზაფხულზე თხრიან ბავშვები). ხიფხოლა უნდა გარეცხონ და ყოველმა ბავშმა თითო სავსე ნაბდის ქუდი მიუტანოს ჯვარიონთ. ტყიდან უნდა მოიტანონ „გურჯინაის“ წნელი (გურჯინა არის წნელისაგან დაწნული ჩალით გატენილი გოდორი, ორივე მხარეზე უპირო, ე. ი. სულ ყველა მხარეზე გამოწნულია). გურჯინაის წნელს რომ მოიტანენ, თან თითო იღლია ჩალაც უნდა მოაყოლონ გურჯინაის გასატენად. ბავშვები, ვინც მისვლას შესძლებს, თოთხმეტ წლამდინ უნდა იყვნენ. გურჯინაის თითონ ვერ დაწნავენ, ვინმეს შეეხვეწებიან და იმას დააწენევინებენ. ბავშვები ეტყვიან: მარიემწმინდაში დაგამწყალობნებთო. სოფელში ერთი კაცი მაინც იქნება, რომ შეუსრულოს ბავშვებს თხოვნა და დაუწნავს გურჯინაის. მას გაავსებენ ჩალით, გაუჩრიან კეტებს, ასწევენ და აიტანენ გვერდალ მამულებში მაღლა, რომ იქიდან კარგად დაგორდეს. იქ დადებენ, მეორე დილისთვის გაამზადებენ და წამოვლენ სოფელში. ყველანი მოიყრიან ერთგან თავს და დასტურ-ხელოსნობაზე ყრიან წილს. წილს ჩაუდებენ ყველას, ვინც შესძლებს დასტურ-ხელოსნობას და ძალიან პატარა არ არის. წილებს მოიკრიან სწორი წვრილი წკეპლისაგან და ყველას დაურიგებენ. ყველა დანიშნავს თავის წილს, ზოგს ისრის კილოს გაუკეთებენ, ზოგს ერთ ჭდეს, ზოგს ორს და ჩაყრიან ქუდში. ქუდი უჭირავს ერთ კაცს და აქნევს, რომ წილები ირეოდეს ერთიმეორეში. პირველი წილი ვისაც ამოუვა, ის იქნება ხელოსანი მარიემწმიდაში, მეორედ და მესამედ ამოსული წილის პატრონები იქნებიან დასტურები.

მარიემწმიდაობაში დასტურებს ევალებათ სალუდე ქვაბის მოტანა, ბაკნის მომზადება მორთმეული ხინკალ-ქადისკვერების ჩასაწყობად.

ხელოსანს ევალება ჯვარის მოტანა. ხის ჯვარი აქვთ, რომელზედაც „სათმეებია“ დახვეული (სათმეები შეწირულია ქალებისაგან, მძივებით გაკეთებული გრძელი და ჭრელი ბაწარი, რომელსაც წინათ თმაში იტანებდნენ). ხელოსანს აგრეთვე ევალება მართვა, გაძღოლა მარიემწმიდის წესებისა. დასტურებმავე უნდა იშოვნონ ერთი ჭერხო, რომ აქ გაათიონ ბაშვებმა ღამე. ვისაც ერგება დასტურ-ხელოსნობა, ისინი დიდ სიხარულს ეძლევიან და აღარ იციან, რა ქნან. მოსაღამოვდება და

ყველანი მოვლენ. თან მოაქვთ თითო იღლია შეშა და თითო ქუდი ხიფხოლა. ხიფხოლას ასწყავენ, ერთ ჭურჭელში ჩაყრიან და დასტური წაუღებს ჯვარიონთ. იქაც აწყავს ბავშვების რაოდენობის მიხედვით. ამავე დროს მოვლენ ბავშვების მელუდენიც, რომელთაც ჯვარიონნი ლუდს ჩაუსხამენ. ორი უფრო მოზრდილი ბავშვი ასწევს ლუდიან ქვაბს და მიიტანს თავის ღამისთევაში, ჭერხოში სკამები წინასწარ აქვთ დამზადებული. დაწყობილია მსხვილი ხეები შუაცეცხლის გარშემო. შუაცეცხლს ანთებენ თავიანთი შეშით, შემოუსხდებიან, დადგამენ იქვე გვერდზე ლუდიან საწდეს, დააყენებენ ზედამდეგებს და დაიწყებენ სმას. მოაყოლებენ ერთი ფასით და ყველას დაალევინებენ. იტყვიან სადღეგრძელოს. ზოგი თუ პატარა არის, ისე ხმაამოუღებლად დალევს, რამდენის დალევაც შეუძლიან. წესია, რომ სოფლიდან ყველა კომლმა მიუტანოს ან ხინკლები და ერბო, ან კეცეულები და ერბო. ზოგი იმ საღამოსვე მიუტანს, ზოგი დილით. ვინც მოიტანს, დაუძახებს: „საკვლევ მამაქვ, დამამწყალობნეთო". ან თუ დაინახეს, დაძახება აღარ დასჭირდებათ, თვითონ დააშწყალობნებენ; ყველანი ფეხზე წამოიშლებიან და რაც გინდა შორს დაინახონ, დაიწყებენ ყვირილს, ვიდრე არ მოვა იქამდინ. დამწყალობნება არის ასეთი: „დედამარიემო, შენ სწყალობდი ჩვენს გამკვლევს (საკვლევი ჰქვია მიტანილ ვახშამს, ან სადილს), მაგათ ჯარსა, ფურსა, გუთანსა, ჯარის ნაჯნავსა, ფურის ნაწველს"; მას იმეორებენ დიდხანს. იმ საღამოს მიტანილს ბავშვები ჭამენ; დასტურები უნაწილებენ — ხინკალია, კეცეული თუ ერბო. ლუდი თუ დააკლდათ, კიდევ წავა მელუდე და მოიტანს. თვითონ ბევრს არ სვამენ, ვინც საკლავს მოუტანს, იმას კი დაალევინებენ და ამიტომ უთავდებათ.

იმ ღამეს სულ თეთრად გაათენებენ, ხანდახან ჩხუბიც მოუვათ, მაგრამ ჩხუბი ჯვარიონთაგან აკრძალული აქვთ და „სარბევის" შიშით არ ჩხუბობენ. დილაზე, თენებას რომ დაიწყებს, წავლენ ჩალით გატენილ გურჯინაებთან. თენებაზე ჯვარიონნიც არხოტის ჯვარში ყამს სწირავენ და ყამისწირვის ზარსაც რეკენ. ბავშვებიც მზად არიან და ზარის ხმას რომ გაიგონებენ, წაუკიდებენ ცეცხლს გურჯინაის და როცა კარგად აინთება, გამოუშვებენ — გამოაგორებენ საკმაოდ სიმაღლიდან. ატყდება ბავშვების ყვირილი, კივილი, სირბილი. თვითონაც გამორბიან ქვევით. გურჯინაი აპრიალებულია და შორიდან საინტერესო სანახავია — შეკრული ცეცხლი მოგორავს, თან გზადაგზა ცეცხლიანი ჩალა იბნევა და გოდორს ცეცხლის კვალი მოსდევს. ჯერ კიდევ სიბნელეა და ცეცხლის სინათლეზე დაინახავთ, რომ ბავშვების გუნდი გამორბის. ასე ჩამოვლენ ჭალაში. გურჯინაი დაიწვება. რაც დარჩება დაუწველი, ქვებს დააყრიან და ჩამარხავენ. თუ დარჩა რამე, შეარისხებენ — ვინც აქედან წაიღოს რამეო.

ამის შემდეგ მოვლენ ისევ იმ ჭერხოში, სადაც ადრე იყვნენ, აიღებენ დარჩენილ ლუდს, ბაკანს და წავლენ მარიემწმიდაში. მარიემწმიდა ჰქვია ადგილს სოფლის თავზე, რომელიც ქვით არის შემოღობილი და ზედ შემომწკრივებული აქვს ჯიხვის რქები. მიიტანენ შუშას, დაანთებენ ცეცხლს და დასხდებიან. გათენებიდანვე იწყებენ სოფლიდან საკვლევის მოტანას. სოფელს პატარა წყალი ჩამოუდის გვერდზე. საკვლევის მომტანი იმ წყალს რომ გამოცდება, ბავშვები ხედავენ და დაუწყებენ დამწყალობნებას; „დედამარიემო, შენ სწყალობდი ჩვენს გამკვლევსა, მაგათ ჯარსა, ფურსა, გუთანსა, ჯარის ნაჯნავსა, ფურის ნაწველსა". ყვირიან ამას ყველანი რაც ძალი და ღონე აქვთ. მიმსვლელს ჩამოართმევენ საკვლევს და ლუდს დაალევინებენ. მიტანილს თავის ბაკანში ცლიან, დასტური საჭმელს გაუნაწილებს ბავშვებს. როცა ჭურჭელს უბრუნებენ და სახლისაკენ წავა საკვლევის მომტანი, მაშინაც ატყდებიან და ვიდრე იმ პატარა წყალს არ გადავა, სულ ამწყალობნებენ. ბოლოს საკვლევის მოტანა მოთავდება. თუ ვინმემ დააკლო, ვაი იმის მოსმენას, ისინი რომ ბავშვების რისხებას გაიგონებენ. ბავშვები დადგებიან გორაზე და ააგორებენ ქვებს. მათ იციან, ვის რა ფერის ძროხები ჰყავს სოფელში. ვინც საკვლევი არ მოუტანა, იმის ძროხების ფერის ქვას გააგორებენ და დაიძახებენ: „დედამარიემო, რისხვავდე და გადაუგდე კლდეზე ესა და ეს ძროხაო", სახელსაც იტყვიან. სწორედ იმ ფერის ქვას დააგორებენ, რომელი ძროხაც ამ ოჯახს საუკეთესო ჰყავს. ხალხს სწამდა, რომ ბავშვების შერისხება ძალიან ცუდია და ვერ გადარჩება ის ძროხა კლდეზე გადავარდნას, რომელსაც შეარისხებენო.

საკვლევის მოტანის დროს მოაყოლებენ თითო ჭრელ დაგრეხილ, ან დაწნულ გრძელ ბაწარს, რომელსაც შებმული ექნება თითო ან ორი ოლი დიდი მძივი (ამ მძივს „ღორღას" ეძახიან, მთლიანად კი ამ ბაწარს „სათმე" ჰქვია, რადგან წინათ ხევსური ქალები თმებს ექვს ცალად იწნავდნენ და შუბლზე იხვევდნენ, თმის წვერებში სათმეები ჰქონდათ დატანებული. სათმეები გრძელი იყო, თავზე იხვევდნენ და ამითი ამაგრებდნენ თმას). სათმეები დახვეულია ხის ჯვარზე, რომელიც მარიემწმიდაში აქვთ და ხელოსანს აბარია.

ყველაფერი რომ მოთავდება, ბავშვები გაიყოფენ ნარჩენ ხინკლებსა და კეცეულებს. დასტურს ეძლევა მეტი ორი ხინკალი, ხელოსანს სამი, ერბოსაც, რომელიც ჯამშია დაგროვილი, ყველანი გაიყოფენ და წავლენ თავიანთ სახლებში.

ასეთივე დღეობა იციან სოფ. ამღაში ბავშვებმა, მხოლოდ ისინი ლოცულობენ თეთრ გიორგის და ესე ამწყალობნებენ საკვლევის მომტანს: „სწყალობდი, თეთრო გიორგიო, ჩვენს გამკვლევსა, მაგათ ჯარსა, გუთანსა, ჯარის ნაჯნავსა, ფურის ნაწველსა, ჯარის კისერსა, ფურის

ძუძუსა". მოაქვთ ასეთივე საკვლევი, ოღონდ მათ პატარა დროშაც „ჰყავთ". დანარჩენი ჩვეულებრივად იციან.

მარიემწმიდაში ამღაშიც და ახიელშიც მიდიან მარტო ვაჟები, გოგონები მონაწილეობას არ ღებულობენ. ჯვარში კი დილას ჟამისწირვა იქნება ჩვეულებრივ, მეზღვნეებიც მიდიან აკვსებას, რადგან ახლა მოგებულია ხბოც და ბატკანიც და საკლავის შოვნა ადვილია.

ხარათ და ოჩიაურთ თავისთვის ხომ აქვთ დღეობა, არხოტის ჯვარშიც ეძლევათ თავიანთი წილი ლუდი განსაზღვრული რაოდენობით. დათვლილი არის სოფელში რამდენი „მასმურია" (მასმური ჰქვია ახალგაზრდას, თასის დალოცვას რომ შესძლებს, დაახლოებით მეთოთხმეტე წელში და ზევით. ამის მერე ის ყველაფერში მონაწილეობას ღებულობს: საჯვარო საქმეში, ხვნაშიც და მკაშიც. მასმურშიც ითვლება და დღეობის დროს სოფელში რომ არ იყოს, თავის წილ ლუდს სახლში უგზავნიან). გამოანგარიშებული აქვთ ისე, რომ თითო ჯარის დასხდომაზე თითოს ხვდეს თითო კოში ლუდი. როცა ისე ნაწილდება ლუდი, რომ ხარათ თავისი მიაქვთ და ოჩიაურთ თავისი, სოფელი თავისთვის წაიღებს და ამას გაიანგარიშებს მასმურის მიხედვით. იციან, რამდენი მასმური რომელ მამაში (გვარში) არის და ისე აძლევენ ლუდს. სოფელი მაინც სულ ერთმანეთს პატიჟობს თავიანთ ჯარზე და ყველანი ერთნაირად სვამენ. ხარანი და ოჩიაურნი თავის ჯვარებში წაიღებენ ლუდს; სოფელში ვინც უდღეობოდ არის და არა ჰყავთ თავის ჯვარნი, ისინი ირჩევენ ჭერხოს, მიაქვთ თავისი წილი ლუდი და იქ დღეობობენ. ერთი მეორეს ვინც დაპატიჟებს, დაპატიჟებული კაცი ლუდიან თასს წაიღებს და იმათ ჯარზე ვინმე მათ უფროსს დაალევინებს. ისე ხელცარიელის წასვლა სირცხვილია.

სხვა განსაკუთრებული აკვსებას არაფერი აქვს. ისე კი ბევრგან იციან ჯვარებში აკვსება და ცოტა განსხვავებით.

აკვსების ახლომახლო ხანებში არის „ქვევრის ავსება". მას განსაზღვრული დღე არა აქვს, მხოლოდ ამ დღეობასთან უფრო ახლო ხანებში ხდება. ქვევრი არის შემოწირული არხოტის ჯვარისათვის ამღიონთაგან და იგი ჩაგდებულია მიწაში. საიდან და როგორ არის მოტანილი, ეს არავინ იცის. იციან მხოლოდ შემომწირველი. ქვევრი არის საკმაოდ დიდი მოცულობისა. ჩადის შვიდი ჩხუტი. მას არაყით ამ დროს ავსებს მთელი სოფელი. შეიძლება, თუ შეთქმულია აქვს და ნამკითხავარი, ერთმა კაცმაც გაავსოს, ამისი შესაძლებლობა თუ აქვს. ამვსები ჭერძო კაცი დარწმუნებულია რომ, რაკი ეს მძიმე საქმე შესძლო, დიდი წყალობა დაემართება არხოტის ჯვარისაგან.

გამოაცხადებს სოფლის ჯარზე ხუცესი აკვსებას: დალოცვილი თავის წესს არ იყრის, ქვევრ უნდა აავსოთო, და დაუნიშნავს დროს. სოფელში შეუდგებიან საჩქაროდ საარაყეების დამზადებას; ყველა ცდი-

ლობს ქვევრში ჩასასხმელი არაყი სხვებზე კარგი გამოხადოს და თავი ისახელოს, წყალობას მისცემს (ე. ი. დაეხმარება) არხოტის ჯვარი ერთგული სამსახურისათვის. გამოხდიან არაყს და მიიტანენ ჯვარში. იქ დაუძახებენ დასტურ-ხელოსნებს. ხუცესი სულ უბრალოდ მოიხსენებს მოტანილ არაყს სადიდებელთ სახით: „ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელი, მიქიელო მთავარო ანგელოზო. შენა სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაიკმარი ეს ჭიქა-ბარძიმი, სადიდებელი, შენ ქვევრის ამვსებთად ახიელელთად ტახტის ყმათად ვალისა, ღალის მამკდელისად“ და სხვა. რომ მოიხსენებს, გასინჯავს არაყის გემოს და ქებით ცაში აიყვანს. ამნაირად, როცა ვინ მოასწრობს, მიიტანენ ჯვარში არაყს, იქ ერთი თიხის ჭურჭელი (დოქი) აქვთ და იმას აავსებს ყველა კომლი. იციან, რამდენი ჩადის ქვევრში და იმ ვარაუდზე არის აწყული. ხუცესი და დასტურები წაიღებენ ჭურჭლით არაყს, ახდიან ქვევრს და ჩაასხამენ შიგ. ხუცესი ამბობს: „დიდებულო მიქიელო, შენ სწყალობდი ვალისა, ღალის მამკდელს“. მერე გამოვა და იტყვის: „წყალობა მაგიტანეთ ქვევრის მცავის ანგელოზისა“. „თქვენ თავს სწყალობდას“, ეუბნება არაყის პატრონი. მერე დასხდებიან და დალევენ. არაყის მომტანს ისეთი ვარაუდით აქვს მოტანილი, რომ ვალიც მოიშოროს და ჯვარონთან დასალევადაც იმყოფინოს. ჯვარივნები იხსომებენ, ვისი არაყი იყო კარგი და როცა ქვევრი გაიხსნება, მაშინ გამოაცხადებენ. ხუცესი გამოაცხადებს ქვევრი როდის გაიხსნება. ამ დღეს „ქვევრის დაძვრას“ უწოდებენ. დასტურის დაძახებაზე ყველანი მივლენ ჯვარში. მოიყვანენ ერთ სარიგო საკლავს და დაკლავენ. საკლავი თუ არ დაიკლა, ისე ქვევრის გახსნა არ შეიძლება. საკლავს ხუცესი ხუცობს ჩვეულებრივ და დაკლავს, დასტურები კი გაატყავებენ. ხუცობა რომ მოთავდება, ყველანი დაამწყალობნებენ ახიელელთ: „სწყალობდას ახიელელთ ტახტის ყმათ, საწყალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ხალიზ მაგცასთ, ბალინჯი მაგაშორასთ, სიხარულად გაგიჯადასთ სამსახურის შასრულებაი. თქვენ მაგცასთ წყალობა ყური მაყურებელს, მხვეწსად მხვეწს, ჯემწიფის კარის მლოცავს. ჯვარიონთ მაგცასთ წყალობა, თვალგული ნუ ვისა მაგრივასთ, ხუცესს ენა-პირ გიკურთხას, შაუწყენოდ, შაუცოდვრად შაგინახას, დიდხანს გაგიყოლას“.

ამნაირად გაიხსნება ქვევრი. გამოიტანენ არაყს, დასხდებიან და დაიწყებენ სმას. აქ ძალიან მსმელი ხალხიც არის და ყანწებიც საამისოდ ბარაქიანია.

ერთხელ ჯარი ისხდა ქვევრთან, ამ დროს მოდიოდა ერთი კაცი არხოტის ჭალიდან და ჩირახი მოჰქონდა (ჩირახი: კვარი, ე. ი. ფიქვის ძირები). იცოდნენ, რომ ძალიან უყვარდა არაყი და მოაბრუნეს ჯარზე. ის ჩვენი სოფლიდან არ იყო, მიდიოდა თავის სოფლისაკენ. მე მოშცეს წყლით სავსე დიდი ჯიხვის რქის ყანწი, მოიყვანეს და ჩემს გვერდზე

დასვეს. მან იცის, რომ მე სასმელს ძალიან ცოტას ვსვამ და უკვირს, ამისთანა დიდ ყანწს ხელი როგორ მოვკიდე. ვიღაცის სადღეგრძელო მოიგონეს და ძალით ვითომ ალევინებდნენ ყველას. სადღეგრძელოს დატოვება არ შეიძლებაო — გადამეკიდნენ და წყლით სავსე დიდი ჯიბვი დამაცლევინეს. მერე მას შეახვედრეს ეს ყანწი და არაყით აუვსეს. მან იუარა, მაგრამ ვინ მოეშვებოდა! ახალგაზრდობა და თან შეზარხოშებულები სიცილის გუნებაზე იყვნენ: ჯერ ალექსიმ დალია, ის სასმელს ვერ ეგუება და შენ რა გიჭირსო. აიღო და დალია ეს ამოდენა ყანწი. სხვა ყანწებიც ჰქონდა დალეული. ცოტახანს გამაგრდა და წაიქცა გრძნობადაკარგული. ასეთი ოხუნჯობა და სხვა მრავალი რამ იციან, ითვრებიან, რადგანაც ქვევრის არაყი ძალიან ჯანიანია და იშვიათად გადაურჩება დაუთრობელი კაცი.

ერთ დღეს სვამენ უფასოდ ახიელელები, ერთ დღეს ამღიენები. ამღიენები იმიტომ, რომ ქვევრი მათ შემოუწირვთ, ახიელლები კი როგორც ტახტის ყმები. ამ ორის დღის გარდა, მერე არაყი ფასზე იყიდებოდა. წინათ ერთი თუნგი აბაზი ღირდა და ამის მიხედვით პურსაც იღებდნენ. შემოსავალი ჯვარს რჩებოდა. თუ პირველად საკლავი არ დაიკლა, ისე არ შეიძლება არაყის ამოღება. რომელ დღესაც საკლავი დაიკვლება, იმ დღეს სულ ამოაქვთ სხვა ფასზედაც.

ერთი საკლავის დაკვლაში ამოუღებენ ორ თუნგ ლუდს. ტყავი და ხორცი ჯვარში რჩება. ისე მეზღვნეც შეიძლება იყოს მოსული, როცა ფასზე იწყება გაყიდვა, ყოველ დღე მიდის ხალხი და ქეიფობენ. საკლავსაც იშოვიან და დაკლავენ. ასე ატარებენ დროს.

ქვევრს ავსებენ აგრეთვე ბლოვლები ორ წელიწადში ერთხელ. ბლო არის პირაქეთ, ხევსურეთის სულ სათავეში. რაღაცით არხოტივნებს ენათესავებიან, ჯვარსაც იქაურს ძალიან პატივს სცემენ და ლოცულობენ. როცა მთაზე გზა გადმოვა, ბლოში გამოხდიან არაყს, ჩაასხამენ ტიკებში, მიაქვთ არხოტში და ავსებენ ქვევრს. მაგრამ არაყის მოყვარე ხალხია და ვიდრე თვითონვე არ ამოცლიან, აღარ იციან წასვლა. თუმცა კი კანონიერად მეორე დღეს უნდა წავიდნენ. წესები ამათ ქვევრზეც იგივეა, რაც ახიელელთ ქვევრზე სრულდება. განსაკუთრებული სხვა მნიშვნელოვანი წესი მას არაფერი აქვს, მხოლოდ ძალიან რომ თვრებიან, ჩხუბიც იციან, ჩხუბს მოსდევს დაჭრა და მოკვლასაც ჰქონდა ადგილი. ერთხელ გადაწყვიტეს, ქვევრი მოეშორებინათ, მაგრამ მკითხავებმა ისევ დაარწმუნეს ხალხი: არხოტის ჯვარი გაწყრებაო, და ისევ დაიწყეს მისი ავსება.

ამავე მოკლე ხანში, დღე კი არ არის განსაზღვრული, სოფელი იყიდის ხარს და დაკლავენ მომავალი „ჭირნახულის სამხვეწროდ", ე. ი. შეავედრებენ არხოტის ჯვარს — ჭირნახული კარგი მოვიდესო.

ერთხელ თურმე რამდენიმე წელიწადს არხოტში მოსავალი აღარ მოვიდა. ერთი მკითხავი იყო — ქისტი ალიმარზა და ხალხს მან ურჩია: სანამ ხვნას დაიწყებთ, მანამდე არხოტის ჯვარს ხარი დაუკალით და კარგი ჭირნახული მოვაო. მაშინ დაკლეს ხარი და რაღაც შემთხვევით, მართლაც, კარგი ჭირნახული მოვიდა. მას აქეთ გამწესდა ხარის დაკვლა. როგორც ამბობენ ხევსურები, ჯვართ თუ ერთხელ რამე დაუკალი, მერე აღარ „დაიყრის" ე. ი. მერე ყოველთვის მოითხოვსო. ამიტომ ხარს ყოველწლიურად კლავენ სოფელში, თემში ვინმეს მოჭარბებული ხარი ეყოლებოდა, ან რამე გაჭირვება ექნებოდა — პური დასჭირდებოდა, ან ერბო. სოფელი მოურიგდებოდა მას, მოუკრეფდნენ, რაც უჭირდა და ხარი არხოტის ჯვარში მიჰყავდათ. უფრო ხშირად იყო შემთხვევა, რომ ხარის დაკვლას დაუკავშირებდნენ ქვევრის გახსნას. მოიყრიდენ თავს, ქვევრიც გაიხსნებოდა, ხორცს რამდენიც საჭირო იყო, აქ მოხარშავდნენ. დანარჩენს ან იყიდდა ვინმე, ან სოფელი გაიყოფდა. ამ ხარისა ჯვარიონთ არაფერი რჩებოდა, გარდა თავისა და თავიც მუდამ ხუცესისა იყო საკუთრად. ხარის ყიდვაც და ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ხევსურეთში ხდებოდა ნატურით (პური, ერბო, სპილენძი, ფარდაგი და სხვ). ხარსაც ასე ნატურით ყიდულობდნენ.

სახნავად რომ გავლენ, შეიძლება ცუდი ამინდები დადგეს, ან სულ დარი და ან სულ ავდარი. მაშინ თემი და სოფელი დახოცავს „სადარავდროდ" — ორ საკლავს. სადარავდრონი ყოველწლიურად თითო სოფელს რიგრიგობით ხვდება. აქ სამი სოფელია — ამღა, ახიელი და ჭიმღა, თითო სოფელს შეხვდება თითო წელს სადარავდროდ დახოცა. ერთ საკლავს მოიყვანენ და დაკლავენ ახიელში გორს — ჩაბაკურთ ჯვარში, ამას ჰქვიან გიორგი ჯმელის გორისა და მინდორის ჯვარი. ხევსურების რწმენით, მას აბარია მინდორ-ველი. მეორე საკლავს წაიყვანენ კალოთანაში. აქ ნასოფლარია და ილოცავდნენ სამების ჯვარს. იტყვიან, რომ სამებას ყველაფრის გაკეთება შეუძლიან, რადგან ის ყველაზე უფროსი არისო.

საკლავს მიიყვანენ დღეობის გარეშე. სოფელსაც ხომ აქვს მორიგეობა და სარიგოს ყოველ დღეობაში კლავს ის, ვისაც დაკვლის ჯერმა მოუწია. ახლაც მესარიგეომ უნდა წაიყვანოს საკლავი და იქ დაკლას: ხუცესს მარტო თავს აძლევს, ტყავი და ხორცი შინ მიაქვს.

იტყოდნენ წინათ: დავკალი საკლავი თუ არა, მამინვე შავი ღრუბელი გაჩნდა, ასტყდა ჭექ-ქუხილი და დიდი წვიმა მოვიდოდა. თუ წვიმა იყო: მაშინვე დაწყდა ღრუბელი და დარი გამოჩნდაო.

დაკვლაში ხუცობა ჩვეულებრივია, მხოლოდ ხუცები ასე ახსენებენ: „დიდო მინდორის ჯვარო, ცა-ღურბელთ მცაო, მფარაო. ღიდი ხარ. ღალოცვილო, ცა-ღურბელნ შენ გაბარიან, შენ მიეც ცას ნამი, მიწას მწვანილი, შენ დაეკმარი შაწუხებულთ ყმათ". ასევე ახსენებენ კალოთანაში: „დიდო წმიდაო სამებაო, დიდი ხარ, თავადი ხარ, ღმერთმა ნუ წაგართვას ძალი, შაძლებაი. შაგიძლავ. დალოცვილო, ცა-ღურბელთ მაქცევაი, გვევედრების საყმოი, სგლეხოი, გააქციენ ცან-ღურბელნი. მიეც ცას ნამი-დ მიწას მწვანილი. დაიკსნენ ყმანი სიმწუხარისგანა, მაგათ ჭირნახული ამ გვალვისგან" (თუ გვალვა აწუხებს, ან ნიაღვრისაგან, თუ ხშირი წვიმიანობა არის).

ამინდთან დაკავშირებით ერთი პატარა წესი კიდევ სრულდება: თუ ხშირი გვალვებია და აღარც სადარავდრომ გასჭრა, მაშინ იქვე, ახლოს, სასაფლაო არის და იქ ადამიანის ძვლებიც ყრია, რადგან აქ ერთსა და იმავე საფლავში იმარხებიან — ძველ საფლავს ახდიან და ახალს ასაფლავებენ. ხანდახან ხუთი-ექვსი ადამიანის ჩონჩხი ამოჩნდება. ამბობენ, რომ თამარ მეფე მოსულა, ეს ადგილი უკურთხებია და შემოუფარგლავს სასაფლაოდ. იმ ადგილს არ გასცილდებიან, რადგან მათი წარმოდგენით, უკურთხ მიწაში დამარხული მკვდარი არ ცხონდება. აი, ამიტომ აქ ყრია ძველი ძვლები. აქედან აიღებენ ერთ ძვალს, ჩადებენ წყალში, ზედ ქვას დაადებენ და ელოდებიან წვიმას. ამბობენ: „ადამიანის ძვალი ატირდება, მისი სიბრალულით ცა და ღრუბელიც ატირდებიან და წვიმა მოვაო". თუ ძვლის წყალში ჩადების შემდეგ მოკლედ გაავდარდა, რა თქმა უნდა, ცრუმორწმუნე ხალხი დარჯერებს — ადამიანის ძვალმა მოიყვანა წვიმაო.

ამაღლება

აკვსების შემდეგ მეშვიდე კვირას მოდის „ამაღლება". ამაღლება არხოტის ჯვარში მარტო ერთი დღე იციან. სამაგიეროდ გორს, სადაც ჯაჭველსა და მინდორის ჯვარს ლოცულობენ, ხუთი დღე გრძელდება დღეობა. ყველა დღეს აქვს თავისი საკუთარი წესი, ჰყავს საკუთარი დასტურები. მაგ. შიგმდგომი დასტურები, მინდორის ჯვარის დასტურები, მხვიმის დასტურები და ჯაჭველის დასტურები. ამ დასტურებს ყველას თავისი დამზადებული ლუდი აქვს და სადღეობოდ დღეც დანიშნულია.

ამაღლებას არხოტის ჯვარში ღამისთევა, ყამისწირვა და ყველა წესი სრულდება ჩვეულებრივად. დიასახლისის მოყვანა, ღამისსამთე-

ლოს და ყამისსაწირის გამოცხობა სულ უცვლელად მეორდება. განსხვავება არის მარტო ის, რომ ყველას მიჰყავს თითო ბატკანი „დვალისთავი". აქ ცოტ-ცოტა ცხვარი ყველას ჰყავს. რომელი ბატკანიც პირველად ვაჩნდება, ის არხოტის ჯვარში უნდა დაკლას ამაღლებას ცხვრის პატრონმა. ხუცესი სრულიად ჩვეულებრივად ხუცობს, დაკლავს და ამწყალობნებს საკლავის პატრონს. ტყავი და ხორცი სულ ჯვარიონთ რჩებათ. მეზღვნეებს ტაბლას დაუდგამენ ამაღლების მეორე დღეს. დაუპატიჟებენ ყველა მეზღვნეს, დაუწყობენ ფიცრებზე პურს და მოხარშულ ხორცს, როგორც ზემოთ არის აწერილი. ამას მოჰყვება კარახანები, კარახანას — მღერა საგმირო სიმღერებისა. აქ მოთავდება დღეობა იმ წესით, როგორც ზემოთ გადმოვეცით. ტყავ-ხორცს გაინაწილებენ ჯვარიონები და წავლენ.

საჭიროა აიწეროს „დღეობა გორისა", რადგან აქ უფრო განსხვავებული წესები გვხვდება. ძირითადი დღეობა ჯაჭველში ქავთარ-ოჩიაურთ დღეობაა. ჰყავთ თავისი დასტურები ქავთარ-ოჩიაურთ გვარიდან. ესენი ადუღებენ ლუდს ჯაჭველის საკუთარი დღეობისათვის. შიგ მდგომი დასტური სოფლის ორი კაცია. ამაღლებას და ათენგენას ისინიც ჯაჭველში ადუღებენ ლუდს. მუშაობენ ჯაჭველის დასტურთან ერთად და ასრულებენ ყველა საჯვარო სამსახურს. მხვიმის დასტურნიც სოფლიდან არიან, ორი კაცი. ისინი სოფელში მოკრეფავენ სვეს, ქერს და ყველაზე კარგ ლუდს გააკეთებენ, რადგან სვე და ქერიც ბევრი უგროვდებათ და ძალიანაც ადუღებენ. ამიტომ გამოდის კარგი ლუდი. არავინ იცის მხვიმე რას ნიშნავს. მხვიმის დასტურნი მარტო ერთ დღეს იქნებიან ჯვარში და მერე წავლენ.

„სამინდორისჯვარო" ლუდს დაამზადებენ ჩაბაკაურნი. მათი ორი დასტურიც დღეობის დაწყებიდან გათავებამდინ იქ, ჯაჭველში, არის. ვხოლოდ ხუცესი ერთია — ჯაჭველისა და ყველაფერს ის უძღვება. აქ ხსენდებიან ჯაჭველი და გიორგი ხმელის გორისანი. ზოგი გეტყვისთ — ორივე წმინდა გიორგი არისო, ზოგი ამბობს ძმები არიან და ერთად ხსენდებიანო, მხოლოდ ხშირად ასე ახსენებენ ხუცესები: „ჯაჭველო გიორგი და ჯმელის გორისანო".

ეს ამოდენა ლუდი ყველა ჯაჭველის და გიორგის სადიდებლად მზადდება. პირველ დღეს მივლენ მინდორის ჯვარის დასტურნი. ჯაჭველის ხელოსანი ორი კვირის წინ მოსულია და იქ ცხოვრობს. ამას ჰქვია „საწმიდარ ყოფა". ხელოსანი თუ ახალმიმსვლელია, ორი კვირა ჭერხოში ცხოვრობს, ორი კვირა ჯვარში და მერე „იქამს სახელოს". რაზედაც მერე გვექნება ლაპარაკი. თუ ძველი ხელოსანია და მეორედ ერგო ხელოსნობა, მაშინ მარტო ორ კვირას არის საწმიდარში. ამაღლებას ძველი ხელოსანი იცვლება. თუ ხელოსნად პირველად მიმსვლელი არ არის, მაშინ ხელოსანს, ოჩიაურთ და ქავთართ გვარში ვინც

ყველაზე ადრე იყო, მეორედ შეხვდება რიგი და იგივე უნდა მივიდეს.

ამგვარად, პირველად მინდორის ჯვარის დასტურნი მივლენ და ჩაბაკაურთ დღეობა იმართება. გორული ჯვარის ხელოსანიც და ხუცესიც მაშინ აქ არიან. დღეობის და ღამისთევის დაწყებამდე დროშას ააბამს ხელოსანი, როგორც ნათქვამია, ისეთივე წესით.

ხელოსანი საწმიდრობაში ყოფნის დროს ყოველდღე იბანება. დროშათ ამბის წინ კი ცხრა ადგილას წავა და ცხრა სხვადასხვა წყაროზე დაიბანს ტანს, დაკლავს ერთ საკლავს, გაინათლება და ასე გაწმინდებული ღირსი გახდება დროშათ აბმისა. სამი დროშის ტარიდან ორზე უნდა შუბები, ერთზე კი ჯვარი და ზარი. ზედვე შეაბამენ ხელსახოცებსა და ბაღდადებს. დროშათ რომ ააბამს, ააბძანებს ხუცესი, დარბაზს შიგნით ზარის წკარუნით შემოუვლის გარშემო. გამოვა მერე და გარეთაც აწკარუნებს ზარს. იქ სამი კოშკი დგას. მივა სადროშავე კოშკთან, დაიყუდებს სამივე დროშის ტარს მარჯვენა ფეხზე და დაიწყებს დროშის წკარუნს. ამ დროს გამოვლენ ყველა დასტურ-ხელოსნები, გამოიტანენ ლუდით სავსე კოშს და ერთ ღერ სანთელს. სანთელს ანთებენ, მიაკრავენ ლუდიან კოშზე და კოშს ხუცესს მისცემენ. ხუცესი იწყებს ხუცობას. რომ გაათავებს, იტყვის: „ჯვართ დიდებაი, მეხვეწურთ წყალობაი“ და დალევს. მერე სხვებსაც გადასცემს. ყველა თითოობით დაილოცება ასე: „გამარჯვება ორსავ ბატონსა, იმის წყალობა გქონდასთ ყმათ, ქავთარ-ოჩიაურთა-დ ჩაბაკაურთ. საწყალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ. ბევრ ამაღლება მშვიდობისა მაგგვარასთ, კარგად ყოფისა. თქვენ მაგცასთ წყალობა ყურით მაყურებელს, ჯვარიონთა, დასტურსა, ჯელოსანს. ხთისგანამც დაილოცებით“. ასე ჩამოარიგებენ ამ კოშს. ზოგნი მოკლე სიმღერას შემღერნებენ. ხუცესი მადლს გადაიხდის და ჩამოართმევენ კოშს. ხელოსანი დროშას დანიშნულ ადგილზე მიაყუდებს. დაბრუნდება უკან და იტყვის: „წყალობა მაგიტანეთ დროშათ მცავის ანგელოზისა“. „შენ იყოს მწყალობელი“, — უპასუხებენ იქ მყოფნი. აქედან წამოვლენ და შევლენ დარბასში. კოდი დროშათ გამობძანების წინ გახსნილია ჩვეულებრივი წესით, აქვე სოფლიდან დასტურების შიერ მოტანილია ღამისამთელო (ამ დღეობაში დიასახლისი არ იციან. სოფელში რომელიმე დასტურის სახლში ამზადებენ და მოაქვთ ღამისამთელოც და ყამსაწირიც). ყველაფერი, რაც ღამისთევას სჭირდება, აქ არის დაწყობილი. ამოიღებენ და სამ ლუდიან თასს დადგამენ ღამისამთელოზე (ერთი იქნება სახუცო კოჭობი, ორი კი სხვა ვერცხლის თასი). აანთებენ სამ-სამ დაგრეხილ სანთელს. მიაკრავენ ღამისამთელოსა და კოჭებზე და ხუცესი იწყებს ხუცობას. ხუცობაში ისევ ახსენებს: „ჯაჭველო გიორგი ჯმელის გორისანო“. დანარჩენი ხუცობა ჩვეულებრივი არის,

მხოლოდ ბოლო თასებს რომ აიღებენ ღამისამთელოდან, მაშინ ხუცესი მოკლე, მოხსენებით მოახსენებს. პირველად თავის სახუცო კოჭობს ასწევს მაღლა და იტყვის: „ამ ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგვამარჯოს ღმერთმა, ჯაჭველო ქმელის გორისაო, შენა სამთავრო, შენა გასამარჯოდ მიკმარი ეს ჭიქა-ბარზიმი, შენთ ყმათად საშველოდ, სახოიშნოდ. ამწყალობნოდ მიკმარი, ხთის კარზე შაიტანი. ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს“ და ა. შ.

როცა მოხსენებას მოათავებს, ყველანი მაღლა ასწევენ თასებს და იტყვიან: „ისმინეთა, გაიგონეთ, გამარჯვება თქვენდა, თქვენის გამჩენის ხთისად“.

ხუცობა მოთავდება და ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ — „ჯვართ დიდებაი, მეხვეწურს წყალობაი“ — დალევენ ცოტას ყველანი. ვისაც თასები არ უჭირავს, ისინი დაუკრავენ ფანდურს და იმღერებენ: ბოლოს დაიცლება სადიდებლიანი თასები, ჩამოართმევენ და ჩვეულებრივი ცერემონიებით დამთავრდება ღამისთევის წესები. მერე მოჰყვება პურის ჭამა ღამისამთელოს დაჭრით. ჩაბაკაურთ მთელი გვარი აქ არის და სვამენ ამ ღამეს ლუდს. მერე ხელოსნები დარჩებიან. დასტურები და ხალხი კი წავა. შეიძლება ერთი დასტური დარჩეს და დროშათ ახლო დაიძინოს ყარაულად, ქისტი ან ღილღველი რომ არავინ მოვიდეს.

მეორე დილას დასტურები ადრე მივლენ და თუ იშოვეს, არაყს მოიტანენ (გორულ ჯვარში არაყს არ ამზადებენ). იქ მყოფ დასტურ-ხელოსნებს დაალევინებენ და თავის ტკივილისაგან მოარჩენენ. ხელოსანი ყოველ დილით წყაროზე იბანს ტანს და ადგება თუ არა, მაშინვე წავა სიბანაოდ. როცა მობრუნდება, შეუდგებიან ყამისწირვას. ყამისწირვა ჩატარდება ყველა ჩვეულებრივი წესით, როგორც ზემოთ არის ნაჩვენები. მოვა ჩაბაკაურების მთელი გვარი და სვამენ ლუდს. ღამისთევაზე და ყამისწირვაზე ხუცესი შუა ხუცობამდე რომ მივა, იმ დროს ხელოსანი გავა და ზარს რეკს (ზარი გარეთ საზარე კოშკში ჰკიდია). ზარის ხმას რომ გაიგონებენ სოფელში, მანამ არ შეწყდება, ქუდმოხდილები დგანან. ზარის დამრეკი ხელოსანი შემოვა. ხუცესი ისევ ხუცობს. მოსული ჩუმად იტყვის: „წყალობა მაგიტანეთ ზარის მამცაურის ანგელოზისა“. იქ მყოფნი ჩუმად თავს დაუკრავენ. თვითონ კი მივა და ხუცესს დაუდგება გვერდზე. ჩაბაკაურნი მოიყვანენ ერთ კარგ საკლავს, დაკლავენ, ხორცს მობარშავენ, მთელი გვარი ჩვეულებრივად ტაბლას დაიდგამს და პურს ჭამენ (ღამისთევის, ყამისწირვის და სუფრის წესები ყველაფერი აღწერილია დაწვრილებით გიორგობის დღეობაში. აქაც ისეთივე წესით სრულდება და ცვლილება-განსხვავება არაფერია. თუ სიტყვებში ან წესებში რამე სხვაობა არის,

მაშინ მოყვანილია წესი ვრცლად). თავიანთ დღეობაში ჩაბაკაურნი სტუმრებსაც დაპატიჟებენ და თვითონაც მთელ დღეს, საღამომდინ იქ რჩებიან. საღამოჟამზე ლუდიც შეშოაკლდებათ და თავის დასტურებიანად წავლენ სახლში. დასტურნი მეორე დღეს ისევ ბრუნდებიან ჯვარში.

ჩაბაკაურთ დღეობის საღამოს მოვლენ „შიგმგომნი“ დასტურნი, მოაქვთ თავისი ღამისამთელო და სანთელი. ახლა ამათ კოდს გახსნის ხუცესი და იხუცებს. კოდის გახსნაზე ყველა ხუცობაში — „ჯაჰველო გიორგი ქმელის გორისანო“ — ხსენდება, ყველა ღამისთევა-ჟამისწირვა ერთი წესით სრულდება. შიგმდგომ დასტურთ ყველაზე მეტი რაოდენობის ლუდი აქვთ დამზადებული, რადგან ესენი მუდამ აქ არიან და ამათი ლუდიდან სოფელიც სვამს. მართალია, სოფელი „მბვიმის“ ლუდსაც სვამს. მაგრამ მბვიმის დასტურნი ერთ დღეს არიან და მერე შინ წავლენ. შიგმდგომნი კი მუდამ აქ არიან და მათ ლუდს ხარჯიც ბევრი აქვს. ღამეს რომ უთევენ, სიმღერებით და ყველა თავისებური წესით გამოცლიან სადიდებლის თასებსაც.

ვახშმის შემდეგაც გრძელდება ლუდის სმა. აქაც, როგორც სოფლის ჯარზე, ისეთი წესებია. ფანდური აქვთ მოტანილი და მღერიან საგმირო სიმღერებს თითოობით. მღერის დროს ყველას მისცემენ ლუდიან თასს, სხვდან და უსმენენ სიმღერას. აქაც შემღერნებს ვინმე თასიანი და პირველ მომღერალს თავისი თასიდან დაალევინებს ლუდს. ასე მთავრდება ნღერაც და ღამისთევა-საღამოც შიგმდგომ დასტურთა (აქ ვწერთ მოკლედ იმიტომ, რომ ასეთივე წესები ჩაწერილია სხვა ადგილასაც). ყველანი წავლენ, ჯვარიანები კი აქ რჩებიან. თუ კარგი დარებია, გარეთ გაშლიან ბალახიან ბუსნოზე ფარდაგს და დროშათ ახლოს იძინებენ ყველანი. თუ ავდარია, ერთი ვინმე ჰაინც კარგი ნაბდით დროშათ ყარაულად რჩება. ეს წესი არის და არ გადაუხვევენ. მეორე დილას, თუ არაყი აქვთ თავის მოსარჩენად, ყველანი ცოტ-ცოტას სვამენ, თუ არა, ლუდს გააცხელებენ და როგორც ჩაის, ისე დალევენ. ცხელი ლუდი ოფლს მოუყვანს და კარგად გახდის მათ.

მერე მოვა ჟამის წირვა და ჟამს სწირავენ ზარის რეკვით და ყველა წესით. ჟამისწირვა რომ მოთავდება, დასტურები მოამზადებენ საუზმეს, მიართმევენ ხუცეს-ჯელოსნებს და თვითონაც ჭამენ. მეზღვნე ხალხიდან ზოგი სანათლავს მოიტანს, ზოგი სამკოჭაოს, ზოგი მისამბარეოს. ყველაფერ ამას ანგარიში უნდა გაუწიონ. ამ დღეს მოდის სოფლის ჯარი, იქვე ჯვართ ახლოს დასხდებიან და მიაქვთ კუთვნილი ლუდი საშიგმდგომო ლუდიდან.

ჯარზე იმართება სმა, მღერა ფანდურზე და ყველა ის წესები, რაც სოფლის ჯარზე წელწადში არის აღწერილი (ამ დღეობებში ქალები სახლში არიან და არ ღებულობენ მონაწილეობას).

უფროსებს თასები უჭირავთ, უმცროსები კი ან ფეხზე დგანან და ლუდს არიგებენ, ან სხედან ბოლოში ცალ მუხლზე. უმცროსი კაცი რომ დაჯდეს და ხნიერებსავით თასი ეჭიროს ხელში, სირცხვილია. უფროსები კი თასს დაიჭერენ და ნელ-ნელა სვამენ (არხოტში სხვა ხევსურებთან შედარებით უფრო ჩქარა იციან თასის დალევა. არხოტივნები პირაქათელ ხევსურებს დასცინიან, რომლებიც ამბობენ: „ამაღლების ღამეივ ერთს თასში უნდა გაუთენდასავ კაცსავ". ვითომ ამაღლებას ღამე პატარაა და კაცი ისეთი დინჯი უნდა იყოს, რომ მთელ ღამეს ერთი თასი უნდა ეჭიროს, ისაუბროს და ნელ-ნელა დალიოს, სასმელის დალევა არ უნდა ეჩქარებოდესო). ჯარზე არა მარტო ერთი და ორი იმღერებს, თითქმის ნახევარი ჯარი მაინც. მერე გაებმის ისევ ამ სიმღერების ირგვლივ ბაასი — ეს ამბავი ასე ყოფილა და ეს ასეო.

მისამბარეო. ჯარზე რომ ეს წესი სრულდება, ამ დროს ჯვარიონნი თავის საქმიანობაში არიან გაბმულნი. ამაღლებას ცხვრებს უკვე ბატკნები ჰყავთ, ამიტომ ყველა ეშურება, რომ ამაღლებას მიიყვანოს ესა თუ ის საკლავი, როგორც მკითხავი დაარიგებს. მაგალითად, „მისამბარეო" ასე იციან: მიიყვანენ ჯვართან მისაბარებ ბავშვს და საკლავს. საკლავს იჭერს ერთი დასტური, მეორეს მისაბარები ბავშვი უჭირავს. ხუცესი შეუდგება ხუცობას. რომ დაამთავრებს, დაკლავს საკლავს, ბავშვს იყვანს ხელში, მიდის დროშასთან ახლოს და იტყვის: „დიდებულო მიქიელო, შენ გეკედრების (სახელი), შაიხვეწი. შენდ შამაუგორებავა-დ მაუბარებავ, დალოცვილო, შენს კარშია — კამალაში შამაუგორებავა-დ შენ უშველი, შენ დაიცი, შენ დაიფარი ველთაცა, შინაც. შენ გაზარდი, შენ გამაიყვანი კაი კაცი, დედ-მამათ სარგებელი ქენ, დალოცვილო". ბავშვს სამჯერ შეაგორებს ამ ლაპარაკით და სამჯერვე ხელში აიყვანს. მხოლოდ სისხლი კი საკლავის დაკვლის დროსვე აქვს ბავშვს მოცხებული შუბლსა და გულზე. მერე ბავშვს უგზავნს თავის დედას, რადგან ქალები შორს სხდებიან. საკლავის დაკვლისას და ბავშვის შეგორებისას იქ მყოფნი ამწყალობნებენ მიბარებულს: „გწყალობდას მეჰვეწურს, საწალმართოდ მაგიარას, მშვიდობით შაგინახას, სიხარულად გაგიჯადას, გაგზარდას, კაის ბედის კაც გამაგიყვანას". მერე მიბრუნდებიან და დაამწყალობნებენ დედას და თუ ვინმე ნათესავი ქალი ჰყავს თან მოყოლილი. ხუცესი იტყვის და მერე სხვებიც გაიმეორებენ: „გწყალობდასთ, მანდილოსნებო, საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, ბედი-დავლათ დაგაჯმარასთ დალოცვილმ ორმავ ბატონმ". მერე დედას ბავშვს ჩააბარებენ. მანდილოსნებს გაუტანენ ლუდს და დაალევინებენ. ბოლოს მანდილოსნები წავლენ. დასტურხელოსნები დაუძახებენ: „წყალობა წაიღით, მანდილოსნებო, ორისავ ბატონისა. წალმ გამაგყვასთ ორისავ ბატონის დავლათი, სიხარულად

გაგიკვადასთ ზღვნობა, ყმობა-მსახურობა". ამ სიტყვებზე ქალები პირ-ჯვარს იწერენ და მიდიან შინ.

დაკოჭვა. შეიძლება ვინმემ მოიყვანოს „სამკოჭაო". სამკოჭაო ნიშნავს შემდეგს: თუ რომელიმე ქალი ჭკუაზე იშლება, ან სიზმარში ელანდება რამე საშინელი, ცუდი, მაშინ ჭკითხავი ეტყვის: „გორს დააკოჭვიეთ. უფრისგან ასა-დ გორულ ჯვარი მააშორებს".

მიიყვანენ ამ ქალს ჯვარში, მიაყოლებენ ერთ საკლავს, იყიდიან ხელსახოცს (ქალი ამ დროს ძალიან სუფთად უნდა იყოს ტანდაბანილი და ჩაცმული), მიიყვანენ ჯვართან ახლო (ადგილია დანიშნული, სადაც სხვა დროს ქალი ვერ მივა) და ჯდება იქ. მედროშავე ააბძანებს. დროშას, რომელსაც ჯვარი და ზარი აქვს შებმული და მივა ქალთან. იქვეა ხუცესი და დასტური, რომელსაც საკლავიც უჭირავს. ხელოსანი ქალს თავზე ხელსახოცს გადააფარებს, დაიდგამს დროშის ტარს მარ-ჯვენა ფეხზე, დროშას დაიჭერს გადახრით ქალის თავთან მაღლა და დროშის ზარს აწკარუნებს, ხუცესი კი შეუდგება ხუცობას: „ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-საპარეთალი, ჯაჭველო ჯმელის გორისაო. შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიჯმარი ეს სამსახური, პირის საბანი, შენის მეხვეწურისად (დაუშვათ — ელენა) ელენაისად საშველოდ, სამწყალობნელოდ მაიჯმარი. უშველ, დალოცვილო, ელენას. შაგიძლავ დევ-ეერპთან ბძოლაი. მიწრიელ-ქვეცრიელ დაულაგმე, მავნე მააშორი, შენის ძალითა, დიდებით, ლახტითა, მათრაჯით. გეძახს ელენაი, გეხვეწების. მაიხვეწი, ნაძახნები გაუგონი. ღმერთი შენს ძალსა დიდებას მაუმატებს" და მერე აგრძელებს ჩვეულებრივად ხუცობას და ამ სიტყვებით დაამთავრებს: „შამაგხვეწნივ ელენაი-დ შენს კალთაში შამაუფარებავ თავი, დალოცვილო, მაიხვეწი, შენ დაიცი, შენ დაიფარი ველთაცა, შინაც, ყამსაცა, უყამობასაც, მავნე მააშორე, მეწალმართე, მცველ ანგელოზი დაუყენი ისრემც გაგემარჯვების შენის გამჩენის ხთის კარზე". შემდეგ საკლავს ყელს გამოსჭრის. ქალი სისხლს ხელს „მიუჭერს" (მიუშვერს) და ხუცესი თითით შუბლზე სისხლის ჯვარს გაუკეთებს. დასტური საკლავს ცალკე დადებს. ჯერ ხუცესი და მერე ყველანი იტყვიან: „გწყალობდას, ელენავ, შენის გულისა გიყოს დალოცვილმ ჯაჭველმ, მავნე მაგაშორას. შაუძლავ დალოცვილს შენ მავნე დალაგმას, გიშველას, სიხარულად გაგიკვადას, ზღვნობაი-დ მსახურობა, ნურა შაგანანას, კლოვ უკეთი გულით გიმსახურას. თქვენ მაგცასთ წყალობა ჯვარიონთ, დასტურსა-ჯელოსანსაც, დასტურს დასტურობა ნუ შაგანანას. ხუცესს ენა-პირ გიკურთხას, შაუცოდვრად, შაუწყინრად შაგინახას. ჯელოსან დიდხანს გაგიყოლას". ამ დამწყალობნებას რომ მორჩებიან, ხუცესი „ჯელისაკოცს" მოხსნის ქალს თავიდან. ქალი ადგება, დაიწერს პირჯვარს: ხელოსანი კი დროშას ისე დაიჭერს, რომ მისი რამე ნაწილი ქალს არ შეეხოს, მხოლოდ ამ ხელ-

სახოცით ტუჩებს მოიწმენდს და აკოცებს დროშის ჯვარს, ისეთი შიშით და ხათრით, თითქო ძალიან რამე დაუშვებელი ამბავი ჩაიდინა. წასვლის დროს კიდევ დაამწყალობნებენ: „წყალობა წაიტანი ჯაჭველისაო, ორიანავ ბატონისა, ელენავ, წყალობა, წაღმ გამაგყვას ჯაჭველის დავლათი, ის წყალობა გიბოძას, რასაც შენ გულ გამაელის. ნუ შაგანანას დალოცვილმ სამსახური, კლოვ უკეთი გულით გიმსახურას". ხელსახოცი, რომელიც ქალს თავზე ეფარა, თუ კარგია, რჩება დროშის სამკაულად, თუ არა, შეიძლება მისცენ ხუცესს, ხელოსანს, ან დასტურს. ჩვეულება იყო წინეთ, რომ ხელსახოცს ყელზე მოიხვევდნენ და ისე ატარებდნენ. მედროშავე დროშას „წაიყვანს" და ისევ თავის ადგილზე, სხვა ორ დროშასთან მიაყუდებს. ორ დროშას ნუბები იქითაქეთ უყუდია. შუაზე კი ჯვარით და შებმული ზარით მორთულ დროშას მიაყუდებენ.

„სანათლავი" ამაღლებას თითქმის ყველა მამაკაცს მოჰყავს, რადგან ნაშინ ბატკნები მოგებულია და საკლავის შოვნა არის. სანათლავს ვინც მიიყვანს, დაკვლის დროს ახლო დგას ხუცესთან. ხუცესი ჩვეულებრივ ხუცობს, მხოლოდ ამ სიტყვებს ჩაურთავს: „მუჭათ სანათლზე გადიდას, გაგაძრიელას ღმერთმა (სახელს იტყვის, ვისი სანათლავიც არის, მაგ. ივანე), ივანეზე მდგომო, მავალო ანგელოზო, ჯაჭველო ჯმელის გორისაო, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სამსახური, პირის საბანი, მუჭათ სანათლი".

ამ სიტყვების გარდა ხუცობა ჩვეულებრივია. მხოლოდ როცა საკლავი დაიკვლის, ვინც ინათლება, ის ხელებს დაიბანს სისხლით, ხუცესი კი შუბლზე და გულზე სისხლიანი თითით ჯვარს გაუკეთებს. სანათლავისა ჯვარში მარტო თავი რჩება; ტყავი და ხორცი პატრონს მიაქვს. ვისი სანათლავიც იყო, მისგან არ შეიძლება გატყავება, სხვა გაატყავებს. სისხლიან ხელებს განათლული სუფთა ადგილას დაიბანს, სადაც კაცის ფეხი ადვილად არ ხვდება.

სანათლავი წელიწადში ერთი აუცილებელია, ზოგი მეტსაც კლავს. სანათლავი იცვლ კიდევ, როცა ცოლი „ქოხიდან შემოვა", ე. ი. შობს შვილს და ერთი თვის შემდეგ შინ დაბრუნდება. მაშინ ერთს სახლის სანათლავად დაკლავენ, ერთს კი თავის სანათლავად დაკლავს კაცი. სახლის სანათლავი იკვლება სახლის ბანზე. საკლავის სისხლს დააყენებენ ჯამში და ჩალის „ქუჩით" მოაპკურებენ მთელ სახლსა და კარმიდამოში. ამის შემდეგ გაწმენდილად ითვლება სახლიც და კაციც. ახალმიმსვლელი ხელოსანი კი წელიწადში ცხრაჯერ გაინათლება, თითქმის ყველა დღეობაში.

„საშიგმდგომო დღე" დაღამდება და მოვლენ ქავთართა და ოჩიაურთ დასტურნი, რომლებიც ჩვეულებრივად მოიტანენ ღამისამთელოს და შესრულდება ღამისთევის ყველა წესი. შუა ხუცობაში ხელო-

სანი ზარს დარეკავს. ხუცობა რომ დამთავრდება, იწყება ფეხზე მღერა, აქ ახსენებენ ისევ „ჯაჭველო, გიორგი ჯმელის გორისანო“ და სხვა. რომ დაღამდება, ქავთარნი და ოჩიაურნი, ყველანი, მოვლენ (მამაკაცები) და მთელის ღამის განმავლობაში სვამენ ლუდს. სხედან, შუსაფობენ ძველ ამბებზე და მღერიან ფანდურზე საგმირო სიმღერებს. ამ ღამეს განსაკუთრებული წესი არაფერი აქვს. მეორე დღეს თენდება დღეობის მთავარი დღე — „ამაღლება“. ეს დღე ყოველთვის ხუთშაბათს მოდის. კარგა ხნის დროსტარების შემდეგ ქავთარ-ოჩიაურნი წავლენ. დარჩებიან მარტო ჯვარიენები და ისინიც დაიძინებენ ზოგი დროშებთან, ზოგი დარბაზში. მეორე დღე ამაღლებაა.

საკელო. დასტურები დილით ადრე დგებიან და თავის მოსარჩენ არაყს სადმე იშოვიან. ლოგინში დაალევინებენ ხუცეს-ხელოსნებს. ხელოსანი წავა და კიდევ გაიბანება ცხრა წყაროზე (აქ წყაროები ბევრ ადგილას არის). ეს იმიტომ, რომ, თუ ახალმიმსვლელი ხელოსანია, ამ დღეს „საკელოში უნდა ჩადგეს“, ე. ი. „საკელო უნდა გადაიხადოს“. ამისათვის საჭიროა სიწმინდე (საკელო ჰქვია შემდეგს: ვინც პირველად მიდის ხელოსნად, მიდის თავისი ნებით კი არა, არამედ ან ავად გახდება ან ოჯახის წევრი გაუჭდება ავად. მკითხავმა იცის, რომ ეს კაცი ჯერ ხელოსნად, ე. ი. მედროშავედ, არ ყოფილა, ამიტომ განუცხადებს: ხელოსნად უნდა მიხვიდე, თორემ ხაქმე ცუდად წავალ. ქავთარ-ოჩიაურთ გვარში ყველა ვალდებულია „საკელო ქნას“ ახალგაზრდობის ასაკშივე და მერე იქნება მუდმივი მედროშავე, მხოლოდ რიგით მოჰყვება. როცა ახალი აღარავინ არის მიმსვლელი, მაშინ ვისი ჯერიც არის, ამაღლებას ის მივა მედროშავედ და ძველი განთავისუფლდება. ამ მოვალეობას ასრულებს ამაღლებიდან ამაღლებამდე. თავისი ხელოსნობის წელს მას განსაკუთრებული სიწმინდე მართებს).

ახლა შევეხებით ახალ მიმსვლელ ხელოსანს და სახელოს. სახელოსათვის ცხვება დიდი ზომის თხელი პურები იმდენი, რამდენიც სოფელში მცხოვრებია. დილას ხელოსანი რომ ცხრა წყაროზე იბანს ტანს, ის ამ დღეს ცოტა არაყს დალევს, სხვას არც არაფერს სვამს და არც არაფერს ჭამს. გამოიცვლის ტანსაცმელს. ჯვარიონნი რომ ჟამს სწირავენ, მაშინ მოიყვანენ ერთ სამი წლის მოზვერს და ერთ ცხვარს (ახალი ხელოსანი ერთი თვით ადრე გამოვა „საწმიდარ“, ცხოვრობს დარბაზში. ის სოფელში აღარ გაივლის და სოფლიდან რაც სჭირდება, მისთვის სხვებს მიაქვთ). კურეტს რომ მოიყვანენ, ხელოსანი მზად არის. ხუცესი კურეტს სანათლავად მოახსენებს, დაკლავს და იხუცებს შემდეგი განსხვავებით ჩვეულებრივი ხუცობისაგან: „შენა სამთავროდ, შენ მესაკელოისად (სახელი) საშველოდ, სამშუალობნოდ მაიკმარი...“ გაგრძელება ხუცობისა ჩვეულებრივია, მხოლოდ აქ თქმული სიტყვები ჩაერთვის. ბოლოს მოზვერს ყელს გამოსჭრის და ხე-

ლოსანი სისხლით ხელებს დაიბანს. მესახელოეს გული გაბსნილი აქვს, ხუცესი მოზვრის სისხლს იღებს თითით და ხელოსანს შუბლზედაც და ვულზედაც სისხლის ჯვარს უკეთებს. მერე საკლავსაც აქვე იხუცებს და ხელოსნის სამხვეწროდ დაკლავს. ასე ახსენებს: „პირის საბანი, სამსახური სამწყალობნოდ მაიჯმარი, მეზვეწურისად, მესაკელოისად", და შემდეგ ჩვეულებრივად წავა ხუცობა. დასტურები ორივე საკლავს იქით გადააგორებენ. ხუცესი მობრუნდება და იტყვის: „გწყალობდას მესაკელოეს, საწალმართოდ მაგიარას (იქ მყოფნი ყველანი ამ სიტყვებითვე აქოთქოთდებიან), მშვიდობით შაგინახას, ნუ შაგანანას ზღვნობა, ყმობა, მსახურობა, სიხარულად გაგიჯადას დალოცვილმ, ნურა შაგანანას". ხუცობა რომ შოთავდება, ახალგაზრდები გაატყავებენ მოზვერსაც და ცხვარსაც. იქვე დგას დიდი ქვაბით წყალი, ასო-ასოდ დაჭრილ ხორცს შიგ ჩაყრიან და დაუნთებენ დიდ ცეცხლს. კურეტის ტყავი, როგორც სანათლავისა, შინ იგზავნება, ცხვრის ტყავი კი ჯვარში რჩება. აქვე დაამზადებენ სანთელს იმ ვარაუდით, თუ რამდენი კაცი იქნება სოფლიდან აქ მომსვლელი. ხორცი რომ მოიხარშება, ამოიღებენ ფიცრებზე და ოიგებიდან დაჭრიან ცალ-ცალკე. ამ დროს სახელოს პურებიც მოაქვთ და აწყობენ დაბლა ბალახზე წრიულად. ერთ ადგილას უტოვებენ შესასვლელს. პური არის ამ სოფლის კომლთა რაოდენობის მიხედვით. მიიტანენ მოხარშულ ხორცსაც და დააწყობენ პურებზე, ყველაზე ერთნაირად (სახელოს პური ცხვება იმათთვისაც, თუ მესახელოეს ჰყავს და ან მამიდა გათხოვილი). ყველაფერი რომ გამზადდება, ერთერთი იქ მყოფი სოფელს მაღალი ხმით დაუძახებს: (ვთქვათ, მესახელოე გიორგია) „სოფელო, გაიგონეთ! საკელიო აქვ გიორგის. მეედით, ნუღარ დაღგვიანდებით, ვისაც არ მაგდისთ, ერთმანეთს გააგებიეთ. წყალობა უთხარით, თუ გწყალობსთ ორივ ბატონი. ნუღარ დაღგვიანდებით, კაცი, დიაცი ყველა წამეედით". ამ ძახილზე სოფლიდან ყველა წამოვა — კაცი და დედაკაცი. კაცები მივლენ ჯვარში, ქალები თავის განკუთვნილ ადგილზე, სადამდინაც შეიძლება მათი მისვლა. მესახელოეს თავისი ლუდი აქვს დამზადებული. ამ კოდიდან გამოიტანენ დიდი ქვაბით და დადგამენ სახელოსთან. გამოიტანენ აგრეთვე დარბასიდან თსებს, ავსებენ ლუდით და აძლევენ ხელში ყველა იქ მყოფს, აგრეთვე თითო ღერ სანთელს. თასებს დააკრავენ სანთელს და სახელოს პურებზე დადგამენ. მესახელოე, ხუცესი და დასტურები შევლენ პურებისაგან გაკეთებული წრეხაზის შიგნით და იქიდან დაამწყალობნებენ მესახელოეს, მერე მანდილოსნებს.

ამის შემდეგ ხუცესი შეუდგება ხუცობას. ხუცობა ჩვეულებრივია — ჯვართ აეედრებს მესახელოეს. ხუცობის ბოლოს ყველანი ამწყალობნებენ ისევე, როგორც ზემოთ ითქვა. გაიმართება სმა. ქალებსაც გაუტანენ სახელოს ლუდს და დაალევინებენ, რამდენიც შეუძლიათ.

მერე ორ კაცს დააყენებენ და კომლზე თითო პურს დაარიგებენ ზედ დაწყობილი ხორცით. ეს პურები ბავშვებს მიაქვთ ქალებთან, რომელთაც საამისოდ მიტანილი აქვთ რაღა ჭურჭელი, შიგ ჩადებენ და როცა სმას გაათავებენ, წაიღებენ თავიანთ სახლებში. თუ ვინმე შემთხვევით ვერ მოვიდა, სხვას დაავალებენ სახელოს პურისა და ხორცის მიტანას. დამრიგებლები აძლევენ დამბარებლის კუთვნილ პურს და მას მიაქვს სოფელში. პურის არწაღება არ შეიძლება, ეს არის მტერობა მესახელოესათვის, ამიტომ იგი ყველას მიაქვს. ქალებიც და კაცებიც — ყველანი პირველად მესახელოეს სამწყალობნელ სადღეგრძელოს დალევენ აუცილებლივ. მერე გრძელდება თავისუფალი სმა მესახელოეს ხარჯზე. ამის შემდეგ ეს კაცი დროშას ატარებს ყოველ დღეობაში და ღამისთევაში მეორე ამაღლებამდინ. როგორც ვთქვით, შეიძლება მეორედაც შეხვდეს ხელოსნობა რიგით, მხოლოდ მივა ჯვარში და დროშას ისე იბარებს, რომ სახელოს აღარ იხდის. სახელო არის მხოლოდ პირველ მისვლაში.

სახელო ჯაჭველში ამაღლებას იციან, მთიშეშაგში კი ათენგენას. სხვადასხვა ჯვარში იგი სხვადასხვა დროს იციან. ხელოსანს დროშა აბარია, უვლის და სადაც საჭიროა. ყელგან ატარებს მას, მაგ. ღამისთევაში და ა. შ. აქ საჭიროა ვთქვათ, რა არის ღამისთევა და რატომ მიჰყავს ხელოსანს დროშა.

ღამისთევა ჰქვია ჯვარში ღამისთევასაც და სახლში ღამისთევასაც. სახლში ღამისთევა ხდება შემდეგნაირად: რომელიმე ოჯახს შეთქმული ექნება ღამისთევა რომელიმე ჯვარისათვის. ან შეიძლება სამოთხი ჯვარიონნი მოიწვიონ სხვადასხვა ჯვარებიდან. ღამისთევა შეთქმული აქვთ უფრო ავადმყოფობის ნიადაგზე. გახდება ვინმე ავად და მკითხავსაც ეს უნდა. გაიგებს თუ არა, მიზეზსაც მალე გამოიგონებს და ეტყვის: მომავალ ამაღლებას მაინც, თუ მანამდინ ვერა, ღამისთევები გინდათო. დაუსახელებს — ამა და ამ ჯვარების დროშები უნდა მოიყვანოთო. ბევრი არის, რომ „ძენგლადაც აძე“ რომ წელგამოშვებით უნდა გადაიხადოს ღამისთევა. ზოგი კი ყოველწლიურადაც იხდის. მაგრამ ეს გამონაკლისია. წელგამოშვებით კი აუცილებლივ იხდიან ღამისთევას. ამას ამაღლებასთან იმიტომ აკავშირებენ, რომ მაშინ არის საკლავების შოვნა, დროც თავისუფალი აქვს გლეხს წელიწადის სხვა დროსთან შედარებით და სხვა.

ღამისთევისათვის ოჯახი ადუღებს ლუდს და არაყსაც დაამზადებს იმ ვარაუდით, რამდენი ჯვარიონნიც უნდა მოიწვიოს. შეიძლება მოიწვიოს არხოტის ჯვარის დროშა და ამას მოჰყვება ხუცესი, ვედროშავე და ორი თუ არა ერთი დასტური მაინც. ასევე ჯაჭველისა. მთიშეშაგს დროშა არა აქვს. სამაგიეროდ „სახუცო კოჭობის“ წაღება იციან. სახუცო კოჭობი სხვა ჯვარივნებსაც მიაქვთ, მაგრამ რადგან

მთიშეშაგს დროშა არა აქვს, დროშის მაგიერ კოკობს სცემენ პატივს. მოვლენ აგრეთვე იახსარის ჯვარიონნი. გარდა ამისა, ოჯახი თავის ოფელს დაპატიჟებს და ქალი და კაცი ყველა მივა. ეს გათვალისწინებული აქვთ და იმდენს დამზადებენ ლუდს, რომ კიდევაც დარჩეს. შეიძლება მარტო ერთი ჯვარიონნიც დაპატიჟონ, ე. ი. მარტო ერთი ჯვარი ისტუმრონ (ჯვარის სტუმრობას ეძახიან დროშის მოყვანას და ღამისთევის გადახდას). ხდება ხანდახან ისეც, რომ ჯვარში მიიტანს სვეს და ფქვილს. როცა დასტურები საჯვარო ლუდს ამზადებენ, მაშინ ისიც შიგ აურევს თავის სვეს და ფორის ფქვილს, შეშასაც მიიტანს და მოეხმარება დასტურებს. დღეობაში ღამის მთეველს მისცემენ იმდენ ლუდს, რამდენიც მის მიტანილ სვეს და ფქვილს ეკუთვნის. ეს კაცი ჯვარში მიიტანს ღამისამთელოს და ჟამსაწირს, აქ შეასრულებს ჩვეულებრივ ღამისთევის და ჟამისწირვის წესებს, დაკლავს ერთ საკლავს და გაუმასპინძლდება მარტო ჯვარიონთ. ეს ხდება ხელმოკლეობის გამო და არც არის დიდად მიღებული. მიღებულია ბანზე დროშების მიყვანა და აქ მრავალი ხალხის მიერ წარმოთქმული წყალობა.

დროშების მოყვანით სახლს ვითომ შორდება ყოველგვარი მავნებელი, უშმაკი და სხვა.

ღამის მთეველი აიტანს ლუდს, რამდენ ჯვარსაც ისტუმრებს, იმდენ საკლავს და იმდენსავე შეკრულ შეშის კონას მაღალბანის წვერზე. მაღალბანს ეძახიან ჭეროხს ანუ ზემო სართულის ბანს. ის ყოველთვის წმიდად არის დაცული. მასზე ქალი ფეხს არ შესდგამს მენსტრუაციის შემდეგ მესამე დღემდე, რადგან ასეთ ქალზე უწმინდურად არავინ და არაფერი ითვლება. არის ისეთი მაღალბანებიც, სადაც ქალები სულ არ გაივლიან. მაგალითად, რომელ ჭეროხშიც საჯვარო ნივთი რამე ინახება და ან „ჯვარის ჯელკაცი" ცხოვრობს (ჯვარის ჯელკაცი ჰქვია ხუცესს, ან ხელოსანს და შეიძლება მკითხავიც იყოს, თუ ის მამაკაცია). ყველაფერს რომ გაათავებენ, მაშინ ყველა ჯვარიონთან წავა თითო კაცი „მაწევარი" (მოპატიჟე). მოსაღამოვდება და დროშებით მოვლენ ჯვარიონნი (ჯვარიონთ მოწვევა ხანდახან დღეობაშიც ხდება, უფრო კი დღეობა რომ გათავდება, მაშინ იწყებენ, მხოლოდ ეს აუცილებლივ დღეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რადგან დროშა თუ დღეობაში არ ააბეს და მაშინ არ გამოაბრძანეს, სხვა დროს დროშის აბმა არ შეიძლება. ყოფილა შემთხვევა, როცა არხოტში ამაღლებას გაუტანიათ არხოტის ჯვარის დროშა და ჯვარიონნი სასტუმროს (ასე უწოდებენ ღამისთევებზე წასვლას) ათენგენამდის ძლივს მორჩენილან. ათენგენიდან პირდაპირ ჯვარში მისულან (ამაღლებიდან შვიდი კვირა არის ათენგენამდინ). ღამისთევა — ჟამისწირვა ერთი შეიძლება ერთ დღე-ღამეში, მაგრამ მაშინ, როცა ვეღარ მოთავებულა და მეორე დღეობას მოუწევია, ორ-ორი

ღამისთევა გადაუხდიათ. შეიძლება ღამისთევა გაყრილმა ძმა-ბიძაშვილებმა საერთოდაც გადაიხადონ.

ჯვარიონთ ვარაუდით იციან თავიანთი მისვლის დრო, გზადაგზა ერთიმეორეს ელოდებიან და ერთბაშად მოვლენ დროშების წკარუნით ყველანი.

ღამის მთეველს ჯვარიონთ მოსვლის დროს თავისი გვარის ხალხი ყველა აქ ჰყავს მოყვანილი — კაციც და ქალიც. ჯვარიონნი სოფლის შუაგზებზე, საიდანაც დადიან, არ გაივლიან. მოუვლიან სოფელს ჯარშემო, საიდანაც შეიძლება წმინდა გზაზე გავლა და ისე მივლენ; თუ სახლი ისეთ ადგილას არის, რომ მისასვლელი გზა გადაჭრის სოფლის შუა გზას, მაშინ ფიცრებს გააწყობენ და ისე გადავლენ. უკიდურეს შემთხვევაში დროშიან კაცს ზურგით გადაიყვანენ. ავლენ მაღალ ბანზე. ხალხი ქუდმოხდილი და გაჩუმებული შეხვდება პირჯვრის წერით. ქალები ბანის გარეთ ისეთ ადგილას დგანან, სადაც დროშა ახლოს არ ჯაივლის და იქ იწერენ პირჯვარს. ჯვარიონები გაჩერდებიან შუა ბანზე, მედროშენი დახრიან დროშებს დაბლა და ზარების ძალზე წკარუნით ბანს გარეშემო შემოუვლიან. ხმას არავინ არ იღებს. დროშები რომ უვლიან, სახუცო კოჭობები ხელში უჭირავთ დასტურებს და დგანან. მხოლოდ მთიშეშაგს, რადგან მას დროშა არა აქვს, მისი ხელოსანი დროშებს მიჰყვება სახუცო კოჭობით ხელში. შემოუვლიან და ბანის წვერზე დაწყობილ შეშის კონებში ჩაარჭობენ დროშებს ტარით: შუაში არხოტის ჯვარის დროშას და იქით-აქეთ სხვა ჯვარის დროშებს (დროშები ჯვარში სამ-სამია ყველგან გამობძანებული, მაგრამ ღამისთევაზე მარტო ერთი დროშა მიაქვთ, რომელზედაც ზარი და ვერცხლის ჯვარი არის გაკეთებული). დროშებს რომ დაარჭობენ, მიბრუნდებიან ბანზე მდგარი ხალხისაკენ და ეტყვიან: „წყალობა მაგიტანეთ მგზავრების ანგელოზებისა, წყალობა!“ აქ მთელი ხალხი აქოთქოთდება: „გწყალობდასთ, მამაშვილებო (თუ შვილები ჰყავს), მგზავრების ანგელოზების დავლათი, საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ნუ შაგანანასთ ღამის თევა, მსახურობა. კლოვ უკეთი გულით მაგკერძასთ. თქვენ გწყალობდასთ ყურით მაყურებლებს ჯვარიონთა, დასტურსა, ჭელოსანს, შაუცოდვრად, შაუწყენრად შაგინახნასთ“. ახლა ქალებს ეტყვიან ყველანი: „გწყალობდასთ, მანდილოსნებო, მგზავრების ანგელოზების დავლათი, სიხარულად გაგიჯადასთ ღამისთევა, მსახურობა. კლოვ უკეთი გულით მაგკერძასთ“. ქალები პირჯვარს იწერენ და ჩუმად ამბობენ: „თქვენი იყოს მწყალობელი. თქვენს თავს სწყალობდას“.

დამწყალობნებას რომ მოთავებენ, აქვე მზად არის იმდენი საკლავი, რამდენი ჯვარიც ისტუმრეს, ყველას ჰყავს მოყოლილი თავ-თავისი ხუცესი, დასტური და ხელოსანი. დასტურები თავისი ჯვარისათვის

დასაკლავს წააყენებენ დროშების ახლო, დააყენებენ პირაღმოსავლეთი-საკენ და თვითონ მარჯვენა მუხლზე დასხდებიან მწკრივად და ისე უპირავთ საკლავები. ხუცესები თავ-თავის დასტურს და საკლავს მარცხენა გვერდზე მოუდგებიან ამოღებული ხანჯლით ან გრძელი სასაკლავე დანით ხელში. შეუდგებიან ხუცობას; ყველანი ახსენებენ თავ-თავის ჯვარს და ახვეწებენ ღამის მთეველს. მაგ., არხოტის ჯვარის ხუცესი იტყვის: „ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-სამართალი, დიდო მიქიელო. შენა სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაიკმარი ეს სამსაბერი პირისაბანი, შენ ღამისმთეველად“ და ასე შემდეგ... ჯაჭველის ხუცესი ამბობს ამავე დროს ამავე სიტყვებს, ოღონდ ახსენებს — „ჯაჭველო ჯველის გორისაო“, მთიშეშაგის ხუცესი ახსენებს: „მთიშეშაგ წყარისთავისაო“, იახსრის ხუცესი: „ლაღო იაჯსარო“ და სხვა. ყველანი ხმამაღლა ერთბაშად შეუდგებიან ხუცობას. ხუცობაში დიდი მნიშვნელოვანი ვერჩეკა არ არის, მხოლოდ იაჯსრის ხუცესი ურთავს: „ქაციისად, საქონისად, ორფეკ-ოთხფეკისად“. სხვები დასცინიან — ოთხფეხი ძაღლს ჰქვია და თქვენი ხუცობა სწორი არ არისო. ყველანი ერთად ნოკლე-ნოკლედ დაამთავრებენ ხუცობას, მხოლოდ ცდილობენ, ვინ უფრო კაი ხმაზე იხუცებს და მიიპყრობს ხალხის ყურადღებას. ბოლოს საკლავებს ყველა გამოსჭრის ყელს ჩვეულებრივად საკლავის დაკვლის სიტყვების წარმოთქმით. დასტურები საკლავებს გვერდზე გადააწყობენ და ყველანი ერთხმად დაამწყალობნებენ: „ღამისმთეველნო, გწყალობდასთ, საწალმართოდ მაგიარასთ“... და სხვა. მერე მანდილოსნებსაც დაამწყალობნებენ ჩვეულებრივად. როგორც ზემოთ არის ნათქვამი. საკლავის სისხლს ყველა თავთავის დროშას ცოტათი აპკურებს. კოდი ადრე არის „მოჭიქული“ და მოტანილია ერთი საწდე ლუდი. კოკებს ავსებენ ლუდით, დააკრავენ სანთელს და მისცემენ ხუცესებს. ხუცესები მოხსენებას იტყვიან მოკლე სიტყვებით, ყველანი ერთად, მაგრამ თავ-თავის ჯვარის სახელს ახსენებენ. მაგალითად, იახსრის ხუცესი იტყვის: „ღმერთმა ადიდას შენი ძალი, შენ სახელ-სამართალი, ლაღო იაჯსარო, შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს ჭიქა-ბარზიმი, სადიდებელი, შენ შენთ მახვეწურთად, ღამისმთეველთად, მამაშვილებისად საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიკმარი, შენდ ღამის თევა არ დაუყრავა-დ შენ შენს წყალობას ნუ დააკლებ, დალოცვილო, შენ უშველი ველთაცა-დ შინაც, შენ დაიჯსენ ყველა გაჭირვებისაგან, ხალიზ მიეც. ბალინჯი მააშორი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს“. სხვა ხუცესებიც ასეთსავე სიტყვებს წარმოთქვამენ და ახსენებენ თავთავიანთ ჯვართ სახელს. ბოლოს ყველანი ასწევენ თასებს მაღლა და იტყვიან: „მაგითამც დიდნი ხართ თქვენის გამჩენის ხთის კარზე, თქვენიმც ძალი, სახელი დიდებისა, ჯსენდების“; და ბოლოს: „ჯვართ დიდებაი, მეხვეწურთ წყალობაი“ — ასეთი სიტყვებით დალევენ ყველანი ლუდს.

ამ თასების სმაში აუცილებელია ფეხზე მღერა. უიმისოდ ღამისთევის სადიდებლის თასებს არ დალევენ. დასტურები საკლავებს გაატყავებენ, ტყავს თვითონ შეინახავენ, ხორცს კი ყველანი ერთ ქვაბში ჩაყრიან და მოხარშავენ. ეს დასტურის მოვალეობა არის. ჯვარიონნი დასხდებიან სუფთად დალაგებულ ჭერხოში, უნთიათ შუა ცეცხლი და სვამენ. მერე მოიტანენ ღამისამთელოს ტაბლით და დგამენ კოჭებით ლუდს (ღამისამთელო იქნება იმდენი, რამდენი ჯვარიონნიც არიან). ყველას თავთავისი დასტური ემსახურება და აწყობს, არიგებს, რაც საჭიროა. თასებს ლუდით ავსებს და სანთელს დააკრავს, ხუცესები ღამეს უთევენ; მოხსენება და ხუცობა ისევე ჩვეულებრივი წესით არის, მხოლოდ თავთავის ჯვარის სახელს ჩაურთავენ ხუცობაში და ასე მოათავებენ ღამისთევას.

ღამისთევის ბოლოს სადიდებელ თასებში მღერაც ჩვეულებრივად იქნება და ყველაფერი მთავრდება ისე, როგორც ღამისთევის წესია. ღამისთევა რომ მოთავდება, ხორციც მოიხარშება. დასტურები ამოიღებენ და დააწყობენ ტაბლაზე, დაანაწილებენ, დაჭრიან, დაალაგებენ იქვე დაწყობილ პურებზე, ამას ჰქვია „სატაბლო პურები". დიასახლისებსაც მზად ექნებათ კეცეულები და მოიტანენ. (ოჯახის დიასახლისს ეხმარებიან ნათესავი დიასახლისები, აცხობენ ყველისა და ხორცის გულიან ხაჭაპურებს, რომელთაც კეცეულები ჰქვია. დასტურები და ადგილობრივი ზედამდეგები დაუდგამენ ტაბლას ჯერ ჯვარიონთ და მერე ყველა იქ მყოფებს; მანამდე ხომ ლუდისა და არყის სმა იყო როგორც ჯვარიონთან, ისე თავისი გვარის ხალხთან და სხვა სტუმარ-მეზობლებთან). ტაბლა დაიდგმება ხორცისა. კეცეულებსაც დაჭრიან, ერბოს დაადნობენ და ბაკნებით დააწყობენ. ამ დროს ზედამდეგები კარახანას არიგებენ. ყველას წინ დაუდგამენ ლუდიან თასს. პურს ჭამას ვინც გაათავებს, თასს იღებს ხელში და ილოცება: „ღამის მთეველნო, აგაშენნასთ, ბარაქა მაგცასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, ხალიზ მაგცასთა-დ ბალინჯ მაგაშორასთ, კლოვ უკეთესი გულით მაგკერძასთ, თქვენ მაგცასთ წყალობა სტუმარსაცა, სახლის კაცსაც (სახლის კაცი მოგვარესა ჰქვია), წეულსა მწყვდეულს. ჯვარივნებს მაგცასთ წყალობაი, დიდხანს გაგიყოლნასთ". ამის შემდეგ დალევს კარახანას. ამას მოჰყვება ზედამდეგების მიერ მღერა, შემდეგ ჯვარივნებისა და ა. შ. ემართება ლხინი.

ბოლოს დამთავრდება ღამისთევის წესები და დაიშლებიან. ზოგი დროშებთან დაწვება, ზოგი ჭერხოში, დილას მასპინძელი ადრე ადგება, სადილაო არაყს მოიტანს და ლოგინში დაალევინებს ჯვარივნებს. ყველანი ადგებიან, მოვა ყამისსაწირები, დააწყობენ ტაბლაზე, დადგამენ ლუდიან თასებს სანთლებით. ხუცესები იხუცებენ სრულიად ჩვეულებრივად. შეასრულებენ ყამისწირვის წესებს. ჯამისწირვას მოჰყვე-

ბა ტაბლის დადგმა. დასვამენ სმაში ფეხზე მდგარ ხალხს და დაუდგამენ სუფრას, მიართმევენ კარახანებს, რომელთაც პურის ჭამის შემდეგ დალევენ. ამას მოჰყვება კარახანებზე მღერა. მერე თასები გამოიცლება და ამით გათავდება პურისჭამა. შემდეგ კიდევ იმართება ლუდის სმა. სვამს ყველა, ვისაც რამდენი შეუძლია; ზოგს ძალდატანებითაც ასმევენ. ბოლოს, ყველა წესები რომ შესრულდება, ჯვარიონნი მოემზადებიან წასასვლელად: ავლენ მაღალ ბანზე, აიტანენ ფანდურს და იმართება სმა და ცეკვა, თამაშობენ მარტო ვაჟები, ქალები კი შორს დგანან, რადგანაც იქ დროშა ახლია და ქალების მისვლა არ შეიძლება. ბოლოს თასებს ავსებენ: ხუცესები შეუდგებიან ჯვართ გადიდებას. ყველა ახსენებს თავ-თავის ჯვარს და დაამწყალობნებენ ღამის მთეველს. მერე აიღებენ დროშებს (თასების გამოცლის შემდეგ) და წავლენ ჯვარში ყველანი ერთად. წასვლის დროს დროშებს რომ ააბძანებენ, ბანს გარშემო შემოუვლიან დროშის წკარუნით და მერე გადავლენ ბანიდან შემდეგი სიტყვებით: „წყალობა გაგიწირეთ მგზავრთ ანგელოზაი". „თქვენ იყოს მწყალობელი", — უპასუხებენ ღამის მთეველები და ლუდსა და არაყს კარგა გზაზე გააყოლებენ. ჯვარიონნი ერთად მანამდე მიდიან, სანამ ერთი გზა აქვთ. მერე გამოემშვიდობებიან ერთმანეთს.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ამაღლების სხვა წესებს. ამ დროს ძროხების მწყემსებს ყველა ერბოს უდგამს გუდაში. ამ დღეს „ერბოობა" ჰქვია. აუცილებელია რამე ჭურჭლით ერბოს გატანება; აგრეთვე იახსარში იციან ყველა კომლზე ადუღებული რძის მიტანა, იქ, ვისაც უნდა, დალევს. ამას ჰქვია „ზისცვრობა" (ზისცკარი — რძე). პატრონი ჯვართ ახვეწებს ძროხებს და მათი ღალის ნაწილი იახსარში მიაქვს, ახიელში კი მწყემსს აძლევენ ერბოს. ებრალებათ, რომ დღეობის დროს ძროხებში მიდიან, ხალხი კი აქ დროს ატარებს.

ამაღლება-დღე მოთავდება ამ წესებით. საღამოს მოვლენ „მხვიმის" დასტურნი, მოაქვთ ღამისამთელო და სანთელი. ხუცესი მათ კოდს მოსჭიჭავს და მერე შეუდგებიან ღამისთევას. ღამისთევა და ყველა მისი წვრილმანი წესები შესრულდება ჩვეულებრივად (სხვაგან არის ნაჩვენები ეს წესები). ამ ღამეს გაბამენ სმას და მეორე დილა თენდება „მხვიმე დღე". დილას კიდევ მოვლენ დასტურნი, ცოტა არაყს სადმე იშოვნიან და ჯვარიონებს ლოგინშივე დაალევინებენ. აქვე არიან ჯაჭველის და შიგმდგომნი დასტურნი, სტუმრები და ბლომად მოიყრის თავს ხალხი. მერე შეუდგებიან ჟამისწირვას. ჟამისწირვა, როგორც ზემოთ არის აღწერილი ისეთივე წესით ჩატარდება. მას მოჰყვება თასები, თასებზე საგმირო სიმღერების მღერა და სხვა. მოვა სადილობის დრო და ჯვარიონნი ისადილებენ ჩვეულებრივ ტაბლით. ჯვარიონნი რომ მოთავებენ პურის ჭამას, დასხდება სოფლის ჯარიც (აქვეა საამისოდ ბალახზე სუფთა ადგილები). გაგზავნიან მელუდეს, მოიტანენ ლუდს და იმარ-

თება ჯარზე მღერა. მღერიან ისევ საგმირო სიმღერებს — ხშირად ერეკ-ლე მეფის, ზურაბ ერისთავის და სხვა გმირების შესახებ. ასე ირთ-დება ჯარის ყველა წესი. ბოლოს მოთავდება მღერაც. სმაც და წავ-ლენ თავთავიანთ სახლებში. მხოლოდ წასვლის დროს მოიხდიან ქუდს, დადგებიან პირით კოშკებისაკენ, სადაც დროშა არის, და მადლს მოს-თხოვენ ჯვართ: „ხთისაგან გაგემარჯვასთ თქვენის გამჩენისაგან, ჯაჭვე-ლო გიორგი ჯმელის გორისანო. ჭირ მავხპარი თქვენს ძალასა, თქვენს სახელ-სამართალს. ნურაით შამისაწყინდებით, ნურაით შამიცოდვებთ, ნურაის ინაბარს ჩამიდებთ. თურას გაწყენთ, ზღვნითა, სანთლით მაჯდი-ეთ, ჯურუმით მაქნიეთ, კაცით ნურას გადამაჯდევთ, მეწაღმართე ან-გელოზ გამამაყოლეთ, დალოცვილნო“. დაიჩოქებენ, მიწას აკოცებენ და წავლენ. წასვლის წინ ჯვარივნენს ეტყვიან: „ჯვარ გეწერასთ ჯვარსაც, კაცსაცა-დ ჯვარიონთაც“. „ჯვარის წყალობა გქონდასთ, წყალობა წა-იღეთ ორისავ ბატონისა — წყალობა, წაღმ გამაგყვასთ ორისავ ბატო-ნის დავლათი“ — იტყვიან ჯვარიონნი და ბრუნდებიან უკან ცოტა გზა-ზე გაცილების შემდეგ. ასე მთავრდება აქ ამაღლების წესები.

ხ ლ ა რ ჯ ვ ე ბ ა

ამაღლებიდან ათი დღის შემდეგ მოდა „ხალარჯვება“. ხევსურებს ისე სწამთ, რომ ამაღლებას ქრისტე ღმერთი ამაღლებულა და ანგელო-ზებიც თან გაჰყოლიან, ქვეყანაზე კი ეშმაკები დარჩენილან. ხალარ-ჯვებამდე ისინი ქვეყანაზე თავისუფალად დათარეშობენ და ბევრ ზიანს აყენებენ ადამიანებს. ამიტომ ამ ხანებში ბავშვებსა და ქალებს ეშინიათ შორს წასვლა სოფლიდან. ხალარჯვება უფრო სულის დღე-ობად ითვლება. ამ დღეს ქალები ტირიან მიცვალებულის ტალავარზე. ჭირის პატრონი არაყს ამზადებს. ქალები იტირებენ, ისულეთებენ და შემდეგ მასპინძელი კარგად გაუმასპინძლდება სასმელ-საჭმელით. ხა-ლარჯვებას ლუდი ჯვარში არ იციან, მხოლოდ სოფელში აკეთებენ ახა-ლი სულის პატრონები და ქალსა და კაცს მთელი სოფლისას გაუმასპინ-ძლდებიან. მერე საფლავებზე წავლენ და წაიღებენ სასმელ-საჭმელს. იქ იმართება სუფრები, რაც ილოცება იმ მიცვალებულებისათვის, ვის-თვისაც მიტანილია სანოვაგე. საფლავებზე შიდიან მარტო კაცები. ქალე-ბი ვერა, რადგან ჯვართ ახლოს არის სასაფლაო. ხალარჯვებასვე იციან მიცვალებულისათვის დოღის გამართვა, ე. წ. „დოღვნი“. მიცვალებუ-ლის პატრონი, თუ კაი მეცხოვრებია და ემეტება თავის მკვდრისთვის პა-ტივისცემა, დამატებით ხალარჯვებას კიდევ არბოლებენ ცხენთ. ცხენთ მიცვალებულს ურბოლებენ ჯერ მაშინვე, როცა მოკვდება, მერე იმ მი-ცვალებულისათვის განკუთვნილ ხარჯებში, „საქნარში“ და აი კი-დევ ხალარჯვებას. ცხენთრბოლების წესი ასეთია:

ცხენებს მოაგროვებენ ხუთიდან თხუთმეტამდე, როგორც ვის ემეტება მიცვალებულისათვის, რომ ოჯახიდან ბევრი რამ დაიხარჯოს. ცხენის გარევა შეუძლიათ სახლის კაცებს, სოფელს, ნარევთ (ნარევი — ვინც დასაფლავების დროს ეხმარებოდა), დედულთ, ე. ი. დედიძმათ, ცოლეულთ, დას, მამიდას, ძმობილს და შეიძლება განსაკუთრებულად ვისმე — იმ მკვდრისათვის პატივის მცემელსაც. ცხენის გარევა ნიშნავს შემდეგს — მათ ჭირის პატრონი შეუთვლის: ამა და ამ დღეს ცხენთ ვარბოლებ. ხარჯები მექნება და ცხენი დაამზადეო. დოღის ცხენები ხევსურეთში კარგად ჰყავთ შენახული, სულ კარგ თივას და ქერს აჭმევენ. როცა დოღისთვის ამზადებენ, მათი განსაკუთრებული მოვლა ჰმართებთ — ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღე ბანენ ცივ წყალში, აჭმევენ ბლომად ქერს და ყოველდღე არბენენ. ცხენი რომ შინაც ჰყავდეს, ის, ვის ცხენსაც ურევენ, თუ საიმედო არ არის, იშოვის ისეთ ცხენს, რომელიც სახელგანთქმულია. ცხენებს „დოღვი", ე. ი. ჯილდო, აქვს დაწესებული. წინ მომსვლელს ერთ ძროხამდინ, მეორეს ნაკლები და ბოლოს დაახლოებით ერგება ციკანის, ან ბატკნის ნაფასური. დოღვად აყენებენ ძროხას, ცხვარს, ხბოს, ქვაბს, თუნგს, ხმალს, ხანჯალს, თოფს, ფარდაგს, ტყავის ქურჭს და სხვა. ფული იშვიათად იციან. ხალარჯება დილას ყველას მიჰყავს ცხენები იმის კარზე, ვინც დოღს მართავს. ბოსულებს კარგად დაუხვდებიან ლუდით და არაყით. ცხენები დაბმულია ისეთ ადგილას, რომ პატრონი ხედავდეს და სვილი არავინ აჭამოს (სვილი — ჭვავი). სვილს რომ ჭამს ცხენი, ვეღარ დარბის გზაში იბერება და შეიძლება მოკვდეს კიდეც. მასპინძელი მოიყვანს სულის ხუცესს და გახსნის კოდს იმ წესით, როგორც ნათქვამია ზემოთ სულისათვის კოდის დალოცვაზე. დაილოცება მიცვალებულისათვის დამზადებული ლუდიც და ტაბლაც. დალოცავენ ჩვეულებრივად. დალევენ ცოტას, მერე გაიტანენ ცხენ-ტაბლას, იქ მოგროვდებიან ცხენ-მხედრები. მოიტანენ ქვაბით ლუდს, არაყს და იმდენ ხავიწიან ქადას, რამდენი ცხენიც არის (ამას ჰქვია „სანერბიელო"). სანერბიელოები დაწყობილია ერთ ტაბლაზე, ერთი ტაბლა კი კუბატ-ქადისკვრებით არის სავსე. ამ ორ ტაბლას გაიტანენ სოფლის განაპირა თავისუფალ ადგილზე, აქვე იქნება ერთი საწდე ლუდი და თიხის სურით არაყი (ამ სურას ხევსურულად ჰქვია ჭურჭელი). გაშლიან ფარდაგს და დაყრიან ზედ ბლომად ქერს. იქვე ცოტა მოშორებით ქალები გაშლიან მიცვალებულის ტალავართ, შემოხვევიან გარეშამო და ატყდება ერთი ტირილი: ზოგი ხანჯალს იღებს ხელში და მას დასტირის, ზოგი ტანსაცმელს და სხვა (ტალავარში შარვალს არ დებენ). აქვე არიან ხმით მატირლები (მოთქმას, როცა ყველანი ტირიან, ჰქვია „ძახილი", როცა ერთი ხმით მატირალი ტირის, „ხმით ტირილი" ჰქვია). ქალები რომ ტირიან, ამ დროს მოიყვანენ ცხენებს. მათ ფაფარი და ძუა დაწ-

ნული აქვთ, ფაფარზე სხვადასხვა სამკაულებია ასხმული — მძივი, ღილი და სხვ. მიუშვებენ ქერზე და აკმევენ. (ცხენებს ნალოცი, ე. ი. შელოცვილი, მძივები უკეთიათ ყელზე, რომ თვალმა არ ავნოს და ცხენი არ დავარდეს. მძივი იციან ურძნისა. ურძენი წვრილი ხეა და რბილი ქერქი აქვს. ისე სწამთ, რომ ურძენს თვალი ვერ ეკიდება). მხედრები ტაბლასთან მოგროვდებიან, აცვიათ მარტო პერანგები, თავზე წაკრული აქვთ თავშლები. პატრონი ამ ხარჯისა დარიგებას მისცემს: ამა და ამ გზით წახვალთ, იქაც ტაბლა დაგხვდებათ და დაისვენებთ იქაცო და ა. შ. მხედრები მივლენ, კისერზე მოხვეულ ქალის სარტყელს შეხსნიან ცხენებს და მუცელზე შემოაკრავენ (რადგან ცხენები უუნაგიროდ არიან, რბენის დროს დალმართში რომ მხედარი წინ არ წაცურდეს, სარტყელში ჩაუგდებს ხელს). სარტყლებს რომ მოახვევენ, უცბად ყველანი ცხენებზე შესხდებიან. დედა მიცვალებულისა, ან ცოლი, ან სხვა ნათესავი ვინმე დაიჭერს ლაგამს ხელში და წინ გაუძღვება იმ ცხენს, რომელიც მიცვალებულისათვის არის დაკურთხებული (დაკურთხების წესი აღწერილია ზევით). მას თან მიჰყვებიან სხვა ცხენებიც. სამჯერ გარშემო შემოუვლიან სატირალს და ქალებს. მესამედ რომ შემოუვლიან, გაუშვებს გამძღოლი პირველ ცხენს. მანამდე სოფელი ხედავს, ცხენებს ძალზე გააჯიბრებენ ერთმანეთს, თან ხალხი მისდევს კივილითა და ყიჟინით. სოფლებზე თუ აქვთ გზა და ცხენთაში ამ სოფლიდან ცხენი ურევია, ან მოკეთე ვინმე ჰყავთ, ის ტაბლას ამზადებს. გამოაცხობს პატარ-პატარა კუბატებს, გულიან ქადისკვერებს, დადგამს ტაბლაზე ერბოს, ადუღებულ რძეს და არაყს. ტაბლა მოსასვლელ გზაში დგას და ხალხიც არის მოქუჩებული, რადგან ყველას აინტერესებს დოღის ყურება. ყველა ტაბლასთან ისვენებენ, მხოლოდ ტაბლას რომ მიახლოვდებიან, აქ სცემენ ცხენებს მათრახებით და ჭენებით მივლენ. სვამენ სასმელს და ახლა სხვა ტაბლაზე წავლენ. ბოლო ტაბლაზე რომ მივლენ, ზოგი აღარაკი ჩამოვა ცხენიდან, ისე მოაბრუნებს უკან. თუ ძალიან შორი მანძილი აქვთ, ნელ-ნელა წამოვლენ, თუ არა და ძალზე გამოაჭენებენ.

ცხენებზე შესხდომამდინ ჯიბეში იწყობენ კუბატებს და ქადისკვერებს, რასაც გზადაგზა ბავშვებს გადაუგდებენ. მხედრებს ეს უხარიათ. ბავშვები შესძახებენ: „გამარჯვება ცხენ-მჯედართ, ჯელიმც მაგემართებისთ“. ასეთივე გამარჯვებას შესძახებს ყველა შემხვედრი. სხვათა შორის, თუ აღმართები აქვთ ასავლელი, მაშინ გზადაგზა აღმართში „მგებრები“ დაუდგებიან (მგებრი, ვინც მხადარს შეენაცვლება). ვისაც ენდობიან, რომ ცხენს არ უღალატებს, იმას დაავალებენ: ამა და ამ ადგილას რომ მოვალ, იქ დამხვდი და შენ შემენაცვლეო. თუ შორი გზა არის, ორი-სამი შემცვლელიც დადგება აღმართში შორიშორს, რადგან აღმართში ძალზე იღლება ცხენი. ხანდახან მხედრები

ვადმოხტებიან და ცხენს სალთათ წინ წაიგდებენ. ცხენიც დაჩვეულია და ვზას გაჰყვება. ამას ჰქვია „შექვეითება". ცხენს ძალიან ეხმარებიან ქვეითობით მარდი და მუხლადი ბიჭები. ცხენები პირველად ძალიან ნელ-ნელა მიჰყავთ: ხან შეჯდებიან, ხან ფეხით მიდიან. მხოლოდ სოფელს რომ მიუახლოვდებიან, იქ შესხდებიან და გააჭენებენ. ბოლო ტაბლიდან კი. სადაც მიჯნა აქვთ, რაც შეუძლიათ ცხენს აღარ დახოვავენ. უკანასკნელ ტაბლაზე რომ მივლენ, თუ მათრახები არა აქვთ ვინმესთვის ჩაბარებული, არეულ-დარეულად ბრუნდებიან (ღალატით რომ არავინ გამოიქცეს და საჩხუბრად საქმე არ გაუხდეს, ამიტომ იციან მათრახების ჩაბარება ერთი კაცისათვის, რომელსაც მასპინძელი დაავალებს). უკანასკნელ ტაბლაზე, საიდანაც „ძალს იქმენ", ის დაუბრუნებს მათრახებს და ერთბაშად გამოაჭენებენ ყველანი (ძალს ქნა — უკანასკნელად რაც შეიძლება მოაჭენებენ ცხენებს, მანამდე კი მგზავრულად მიდიან). მხედარი როცა ცხენს შეამჩნევს, რომ დაიღალა, თუ აღმართია, ცოტახანს გადმოხტება, ცხენს წინ წაიგდებს, მერე ჩაჯდება ისევ და მიაჭენებს. ამსობაში მივა პირველ მგებართან, მგებარი ცხენს ჩამოართმევს და შეუქვეითებს, ახლა მეორე მგებარი, მესამე და ბოლოს მიაღწევენ მიჯნამდე, მოსულს მიეგებებიან, გამარჯვებას შესძახებენ. მხედარი გადმოხტება და ჩამოართმევენ ცხენს, რომელსაც მაშინვე ლაგაზს მოაბორებენ, შეკრულ ძუას გაუხსნიან და ატარებენ იქით-აქეთ, რომ უცბად გაჩერებული არ გაცივდეს; როცა ოფლი შეაშრება, გადააფარებენ რამეს, დაბამენ და მისცემენ საქმელს. სხვა ცხენებიც მოვლენ. ქალები კი ისევ სხედან და ტირიან; ხმით მოტირლები რიგ-რიგობით იტირებენ მხოლოდ ქალების თხოვნით. არა მარტო იმას ტირიან ხმით მოტირლები, ვისიც ტალავარნია, არამედ სხვა მკვდრებსაც შეატირებენ. შეიძლება აქვე მოჰყვეს სულთანობაც (სულების ენით ალაპარაკება), მითუმეტეს, რომ აქ ცოტას დალევენ და მესულეთე შეიძლება შეგულიანდეს.

ცხენნი ხანდახან ღამეთენებით წავლენ პირიქითში და მაშინ იქ ათევენ ღამეს, სადაც უკანასკნელი ტაბლა აქვთ. კარგად უხვდებიან მხედრებს, ლუდიც ექნებათ დამზადებული, ვისთანაც ღამეს ათევენ. მასპინძელი უსათუოდ უნდა იყო მახლობელი მოკეთე მიცვალებულისა, ვისიც დოღია, — დისწული, დედიმძა, მამიდა ან ცოლეული, ე. ი. ცოლისძმა. დიასახლისი ღამიანად ადგება და დააცხობს კეცეულებს, რომელთაც „სანაყროები" ჰქვია. სანაყრო ნიშნავს საუზმეს. პურს რომ ჭამენ და დალევენ, გამოისტუმრებენ.

ყველა მხედარი რომ დაბრუნდება, სატირელსაც აალაგებენ. მხედრებს ცალკე სახლში წაიყვანენ და ერთი ზედამდეგი დაუდგება. მოუტანენ ლუდს, არაყს, ხაციწს ჯამებით და პურს. პურის გატეხისას

იტყვიან: „ღმერთო. უშველი მასპინძელს, მარკეს ნუღარას მისცემ, ლხინზე შაუცვალი ეს მაკეთეიცა სოფლელებიცა-დ სუფრაიც". დაილოცებიან საერთოდ ყველა ბკვდრის ხარჯს ასე: „ააშენას მასპინძელი, ბარაქა მისცას, მარკე ნუღარა მისცას, ლხინზე შაუცვალას ეს სუფრაიცა-დ სოფელ-მაკეთეებიც. თქვენ დაგლოცნასთ, გადღეგრძელნასთ, მარკეზე ნუღარაზე ვინ დაგხარჯნასთ. შაუნდნას, ვისადაც ილოც, მააკმარას ღმერთმ".

თუ რომელიმე მხედარმა უღალატა, გზიდან დაბრუნდა ან გაიპარა და მიასწრო, იმას უცემრად არ გაუშვებენ. მხედრებს ძალიან ხშირად მოსდით ჩხუბი, რადგან ყველანი ახალგაზრდები არიან და სიჩქარის და ღელვის გამო ხდება ღალატი, გზიდან ცხენის დაბრუნება და სხვა. დამნაშავეს თუ მისვლისთანავე არ სცემეს, დოღვს, ე. ი. ჯილდოს, არ დაანებებენ და მაშინ მაინც მოუვათ ჩხუბი. ხანჯლები არ აქვთ და ლაჯებით სცემენ ერთიმეორეს თავპირში (ლაჯია არის ცერზე გასაკეთები წვეტებიანი სათითური). ხანდახან მხედრებმა დოღის გაზიარებაც იციან — მოილაპარაკებენ: დოღვი სწორად გავინაწილოთ და ნებაზე ვიაროთ. რომ ერთიმეორე ჯიბრით არ დავაზიანოთო. ეს მასპინძელს არ ნოსწონს, მაგრამ თუ პირიქითს წავიდნენ და ცუდი გზებია, მაშინ კი არ უშლის დოღვის გაზიარებას.

მხედრები სმა-ჭამას რომ მოათავებენ და ლაპარაკითაც გაძღებიან, გამოვლენ გარეთ. სადაც სოფლის ხალხი სხედს ტაბლასთან და მათში აირევიან. ზედამდეგები მათაც დაუდგამენ ტაბლას: ხავიწს, პურს და ყველს. ყოველივე სასმელი და საჭმელი ჯერ კოდთან დაილოცება და შემდეგ აქ. რამდენიც საწდე გამოვა ლუდიანი, ყველას შენდობას ეუბნებიან სხვადასხვა მათი ნათესავი მიცვალებულისათვის (დალოცვის წესი აღწერილია ზემოთ, მხოლოდ გამოტოვებულია დოღვის დაწყების და მისი დალოცვის წესები). დოღვის დასაყენებლად ბიძაშვილს და სოფელში რომელიმე კაცს დაუძახებენ, ვისაც ამისთანა საქმეში მეტი გამოცდილება აქვს. მასპინძელი მოიტანს და დააწყობს იქ იმას, რაც ემეტება მიცვალებულისათვის: ფარდაგი, შეკერილი ტყავი, ქვაბი, თუნგი, იარაღი და სხვა. აგრეთვე ეტყვის, რომ ეს ძროხა არის დაყენებული, ეს ცხვარი ,ხბო და სხვ. კაცები აწონდასწონიან ყველაფერს და შეაფასებენ. ცხენებს იანგარიშებენ რამდენია და დოღვს ისე დააყენებენ, რომ ერთ რამეში ორ-სამ ცხენს ჰქონდეს წილი. მაგ., ძროხა ხან ორი ცხენისათვის დგება დოღვად (ჯილდოდ), ხან სამისათვისაც. კაცებმა ისე იციან ამის ანგარიში, რომ წინ მომსვლელს ამ ძროხის საფასურიდან რამდენიმე მანეთით მეტი წილი ეკუთვნის, მეორეს ამაზე ნაკლები და მესამეს სულ ნაკლები. ასევე სხვა რამეებში აქვთ სხვადასხვანაირად წილი. ჰირისპატრონი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი დოღვი დადგეს, რადგან თავისი მი-

ცვალებულისთვის ემეტება. მაგრამ დოღვის შემფასებელი და დამყენებელი კაცები ბევრ რამეში ეწინააღმდეგებიან. დოღვს რომ დააყენებენ, მერე რაც დარჩება ჭირისპატრონის მიერ მოტანილიდან, ისას გვერდზე გადააწყობენ, დოღვს კი ცალკე. მერე მოიტანს ჭირისპატრონი საწდით ლუდს, სანთელს და დალოცავენ ლუდსა და დოღვს ერთად; თასს აავსებენ, რომელიმე უფროსი კაცი იღებს თასს და იტყვის: „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მადლი შენდა, ღმერთო, უშველი მასპინძელსა-დ მარჯეს ნუღარას მისცემ. ღმერთო, შენი დიდებითა, ჩემის სიტყვის მაჯსენებით, საქაოს ნათქვამი თუ საიქიოს მიდიოდას, წესი მართებული იყოს ხთის წესითა, მღდლის წესითა, იერუმსალეთის ნათელით, ქრისტეს გარიგებით, მანდაურის წესითა-სამართლით, სადაც შენ ხარ, (დავუშვათ მიცვალებული სახელი დავითი), დავითო, შენ სულის ყოფაი ას, შენიმც საკმარი ეს დოღვი, შენამც საიაღოი სწორ-ამხანაგშიამც ზდგეხარ, სწორთამც ნურაით მიღნატრი, ცოტა დიდად, რიოშ წმიდად, ეს საწდეი თასიც შენამც გეკმარის, ნუმცარა დაგაღონებს, შაგინდნასა, მაგაკმარას ქრისტიანობის გამჩენმ ღმერთმ". ასე იქნება დოღვი დალოცვილი. ბოლოს მხედრები დოღვს მოიკითხავენ დამყენებლებისგან და მიიღებენ განაწილების თანახმად.

მხოლოდ სადოღვე პირუტყვს ყურს მოსჭრიან და ასევე შენდობას ეტყვიან მიცვალებულისათვის როგორც სხვა დოღვს.

ხალარჯობა დღეს განსაკუთრებით ეძახიან სულის დღეობას. მაშინ სულები მესულთანეებს ხშირად ალაპარაკებენ, ე. ი. ასულეთებენ. საიქიოდან არიგებენ საქაოში მცხოვრებლებს, თავ-თავიანთ ოჯახებს. აუწერენ საიქიოს ცხოვრებას: აქ ციხე არის და ახალგაზრდები ციხის ზეთვალში (ზემო სართულში) ვართ ძალიან მხიარულებაშიო, ხთის ულუფა მოგვდის — მზა სასმელ-საჭმელი, მღერა-მხიარულება და თამაშობა ბევრი გვაქვსო. თქენ რასაც ჩვენთვის ლოცავთ, ის შენდობა მოგვდის და ჩვენი სული ამით ბრწყინდება. ძალიან კარგია, ვისაც აქ ცხენი ჰყავს, ჩვენ, მგებრნი, დავდივართ. ცხენიანები ჩქარა წავლენ და ჩვენ, უცხენოებს. მისვლა გვიგვიანდებაო (მგებრნი — როცა კვდება ვინმე, საიქიოში ეს ამბავი თითქოს ყველა სულმა იცის და წავლენ მის შესახვედრად, მისაგებებლად. პირველად საიქიოში შემოსულ სულს შეხვდებიან). აქ არ არის მტერობა და შური, მხოლოდ დაყოფილი ვართ „ანდაბებად" (ანდაბი, ე. ი. ერთი ნათესაობა ერთ ჯგუფად). აქაც კიდევ იყოფიან სულები: ბავშვები, როგორც ანგელოზები, სულ ცალკე არიან, ახალგაზრდები ცალკე, იაღში (იაღი: უფრო ბედნიერად, სილაღით და სიხარულით მყოფი საიქიოში), ხნიერი ხალხი კიდევ ცალკე არიანო.

თუ ავად ვინმე არის, მასაც ანუგეშებენ სულის „ნათქვამით": ხთის კარზე მივალ და ვთხოვ მაგის მორჩენასაო. ვინმე თუ მოკვდა,

იმაზეც იტყვიან (სულის მაგიერ: ხთის კარზე ვიყავი და ვერაფერი ვარგე, ხთიდან გაცემული ყოფილიყოო. ჩვენ თქვენის გულისთვის ხთის კარზე მუდამ მივდივართო (ხთის კარზე, ე. ი. ღმერთთან). თქვენს მწუხარებაზე სამ დღეს საბნელოს ვიჯექი და მერე გამომიყვანესო. ამისთანებს ლაპარაკობს მესულეთე, ვითომ სული ალაპარაკებს. გაჰკივის ხმამაღლა, თვალები დახუჭული აქვს და ცდილობს, ცრემლი გადმოედინოს.

ასე ამოიწურება დღეობა ხალარჯობა, ჯვარში ამ დღეს არაფერი ტრულდება. სოფელში ჭირის პატრონის გარდა, მცხოვრებლები სადილს მაინც დაამზადებენ და მიცვალებულისათვის შენდობას ეუბნებიან „სახელის დებით“ (სახელის დადება ეწოდება ტაბლისათვის შენდობის თქმას ოჯახში). ამავე დღეებში დააყენებენ სათიბეს. მანამდე სათიბეებში დადის ცხვარიც და ძროხაც. ხალარჯობის მეორე-მესამე დღეს კი ხუცესი მოიწვევს სოფლის კრებას და გამოუცხადებს: „სოფლელებო, თუ გწყალობსთ არხოტის ჯვარი, დროი ას ეეხლად, რო საქონმ გაღრიდასა-დ მთაში წავიდას, სათიბეებსაც მაშორდას. თუ ეხლა არ დაისვენ სათიბემა-დ ბალახ არ მავიდ, როსაღ მავ. საქონობისაიც წილ გავყარათ“.

აქამდე საქონელი თავ-თავის მწყემსს დაუდიოდა, ახლა კი სოფლის საერთო მწყემსი იქნება მესაქონე, ე. ი. მენახირე; შეიძლება რიგ-რიგობითაც იარონ ნახირში.

ამავე კრებაზე გადაწყდება უქმის დაყენების საქმეც. ზაფხულის პერიოდში ხევსურები უქმე დღეების გარდა კიდევ სხვა უქმეებს იჩენენ და უქმობენ; უქმე არის კვირაში ოთხი დღე, საქმის დღე კი სამი: უქმობენ პარასკევს, შაბათს, კვირას და ორშაბათს. საქმის დღეებად აქვთ სამშაბათი, ოთხშაბათი და ხუთშაბათი . პარასკევიო ამბობენ, მთავარანგელოზისთვისა გვაქვს ნაპატივარიო, შაბათი, კვირა და ორშაბათი გვჭირდება უქმეებადო. საქმის დღე რომ იყვეს, არ შეიძლება იმიტომ, რომ მუშაც უნდა შევყაროთ, სამგზავროზეც უნდა წავიდეთ. უქმში არც სამგზავროდ წასულს მოგვიცდება საქმე და არც მუშაში ვინმე მოგვეშველება.

მაგრამ უქმით სარგებლობს უფრო შეძლებული ხალხი. უქმში მუშას რომ შეყრის ვინმე, მაშინ უნდა დაკლას ციკანი, ან სხვა რამე საკლავი. აგრეთვე მუშას უნდა გაუმასპინძლდეს ერბოთი, კეცეულებით და სხვა. ამის შეძლება ღარიბ კაცს არა აქვს. მდიდარი კაცი ღარიბს აძლევს სულ უმნიშვნელო ფასს და ამუშავებს — მაინც უქმეა და ტყუილად მოცდებიო. ამას ეძახიან „უქმის მუშას“. „საქმის მუშა“ უფრო ძვირი ღირს.

უქმი თუ გატეხა ვინმემ და იმუშავა, იმას სოფელი მოიკვეთს, მის ძროხებს ძროხებში აღარ გაირევენ, ცეცხლი რომ გაუქრეს, ცეცხლ-

საც არ შისცემენ და ხმასაც არავინ გასცემს. ესეც ხდება მდიდარი ხალხის ზეგავლენით, რომ უქმი გამაგრდეს. ხევსურეთში უქმი რომ არ იყოს, შეძლებული ხალხი ძალიან იზარალებს.

ქმეებს ინახავენ მარტო თიბვის და მკის დროს. დანარჩენ დროს არ იციან უქმი არც შემოდგომაზე, არც ზამთარში და არც გაზაფხულზე. თუ სოფელი სასოფლო საქმეზე სადმე გაგზავნის ვინმეს, მაშინ იციან მისთვის უქმის მიცემა. უქმის მიცემა ნიშნავს იმას, რომ სოფელი ეტყვის: თუ ამა და ამ საქმეზე წახვალ და შეგვისრულებ, ერთი დღე უქმე იმუშავეო (საკლავის დაუკლავად). საკლავის დაკვლას ჰქვია „უქმის ნათვლა" და სოფელი ვისაც უქმს მისცემს, მას უქმის ნათვლა აღარ უნდა, ისე ამუშავებს მუშას. ამითაც ისევ შეძლებულები სარგებლობენ. შეძლებულ კაცს ჰყავს ცხენი და სადაც სოფელს წასასვლელი ექნება სასოფლო საქმეზე, აქაც შეძლებული კაცი მიდის და უქმიც მას რჩება.

პირაქეთ ხევსურეთში იციან წვრილმანი უქმეები, მაგ. „ხნულა", „ნელეკარობა" და სხვა. ამ წვრილმან უქმეებში თავის ადგილში არ მუშაობენ, სხვა სოფლის ტერიტორიაზე გადავლენ, იქ მუშაობენ. ეფრო ქალები მიდიან თავისი ხელსაქმით. ამას ჰქვია „საუქმეობა". გაზაფხულზე და ზაფხულში, ასეთ წვრილმან უქმეებში კაცმა რომ ხევსურეთის გზაზე გაიაროს, ხშირად ნახავს მესაუქმე ქალებს გზის პირზე. ისინი სხედან და ხელსაქმობენ, კერავენ ტანსაცმელს ქარგავენ და სხვა.

ათენგენა

ხალარჯობის შემდეგ მოდის ხევსურეთში ცნობილი, ყველაზე დიდი დღეობა ათენგენა. იგი გრძელდება ერთ კვირას. აუცილებლად მოდის ძველით ივლისის ცამეტ რიცხვში. წასული სამი დღეობა,— აკვსება, ამაღლება და ხალარჯობა მოძრავი დღეობებია, ათენგენა კი მუდამ დადგენილ დროს მოდის.

ათენგენისათვის დასტურებს წინასწარი სამზადისი აქვთ. ადრევე შეუდგებიან ფორების გაკეთებას. ათენგენის ერთი კვირით წინ დაიწყებენ ლუდის დუღებას. იდუღებს თითო ჯვარში რამდენიმე ქვაბი ლუდი. მაგალითად, არხოტის ჯვარში სამოცამდე ჩხუტი ლუდი დუღს. ხელოსნები და ხუცესები ორი კვირით „საწმიდარ" მიდიან. მხოლოდ სახელო მთიშეშაგში ათენგენას იციან და მისი ხელოსანი ერთ თვემდე არის საწმინდარში. საწმინდროვის დროს აკრძალულია ისეთ ადგილზე გავლა, სადაც ქალის ფეხი ხშირად ხვდება. მაგ., ხიდზე გასვლა ყოველად შეუძლებელია. აკრძალულია აგრეთვე ისეთი საქმის კეთება,

სადაც ოფლი მოდგა, რადგან ხელოსნისათვის ოფლის დენაც აკრძალულია. აკეთებენ წვრილმან ხელსაქმეს, უფრო წნავენ მუშისაგან საბლებს (თოკს). მუში არის ცაცხვის ქერქისაგან დამზადებული სათოკე მასალა. გაზაფხულზე როცა ხეს წყალი ჩაუდგება, ააძრობენ ცაცხვის ნერგებს ქერქს; ორად გაყრიან: ცალკე აცლიან უვარგის ქერქს, ცალკე რჩება ძალიან კარგი და მაგარი მასალა თოკისათვის. ის უნდა ჩადონ დაგუბებულ, ჭაობის წყალში დაახლოებით ოცი დღე, დარბილდება და ბევრ ნაწილად დაიხევა. გააშრობენ, დახევენ წვრილად და გრეხენ ან წნავენ თოკებს. ხელოსნები მუშისაგან საწმიდროვის დროს ბევრ საბლებს ამზადებენ.

ხელოსნებს სოფლიდან მოსდით საჭმელი — ხინკალი, კეცეული, ხორცი და სხვა. ამას ჰქვია საკვლევი. ისე კომლი არ რჩება სოფელში, რომ ხელოსანს, უფრო ახალს, ერთხელ მაინც არ მიუტანოს საკვლევი. ზოგი ორჯერ-სამჯერაც გაიკვლევს, ვინც ხელოსნის ნათესავია ან კარგი მეგობარი. არაყსაც მიუტანენ. ხელოსანი ყველას დაიხსომებს, დღეობის ბოლოს მოიკითხავს და ლუდს გაუგზავნის თითო კოშს.

საწმიდროვის დროს ხელოსანი დღეში თითოჯერ აუცილებლივ დაიბანს ტანს ცივ წყაროზე. ტანის დაბანა იციან უბრალოდ, საპონი არ აქვთ და არც საცვალი. ცივი წყლით დაისველებენ ტანს და ჩაიცვამენ ზედ შალის პერანგს. ხელოსნები საწმიდარ არიან, როცა დასტურებს მოაქვთ ფქვილი, სვე და აყრიან ქვაბებს. ლუდს ადუღებენ ჩვეულებრივად: სისწვენს გააცივებენ ლათბაში, გაიტანენ დარბასში და გადასხამენ კოდში. აქ მისცემენ სისწვენისაგანვე დამზადებულ საფუარს. მოაკრავენ პირზე ფარდაგს და საბელს. ათენგენის წინა დღეს, საღამოხანზე, დასტურები გარეცხავენ ჯვარში რაც რამ არის — თასები და სხვა ჭურჭელეული და დაალაგებენ საამისოდ გაკეთებულ თაროებზე. ერთი დასტური წავა დიასახლისს მოსაყვანად. დიასახლისი მომზადებული დახვდება. მას გამომცხვარი აქვს ბოჭოლები და მასანთოები, რომლებიც გუდაში უწყვია, შეკრული აქვს თავის საგებ-სახურიც. მასანთო საკვირაოსავით საჭვრეთათი არ არის დაჭრელებული, მხოლოდ ხუთ ადგილას აქვს თითის დანადგამი, გული ხავიწისა აქვს. ბოჭოლა კი უგულო, უბრალო საჭკუთხედი პურია, რომელსაც სამივე გვერდზე ცოტა ჩაზნექილი აქვს. დასტური და დიასახლისი რომ მივლენ მწევრის საფლავის (სადაც ნიშია მისი) პირდაპირ, ხატის ყორის გადაღმა მხარეს დიასახლისი ერთ ბოჭოლას და ერთ მასანთოს ერთიმეორეზე აწყობს და ანთებს მუშს, ეხვეწება ლაშქარ-მწევართ. ბოჭოლას იქ დატოვებს, მასანთო თან მიაქვს. მერე ჯვარში გადასახედში გალავანზე ანთებს, მერე ქვევრი დგას და იქ, შემდეგ საქვაბეში და ბოლოს ანთებს სადიასახლისოში. დასტური აქ დაანთებს ცეცხლს და შეუდგებიან ხავიწის დუღების სამზადისს. ხავიწისათვის მოტანილ

ერბოს აქვს თავისი საწყაო. ერთ ღამისამთელოს, ჟამსაწირს და გამოსამალოს სჭირდება დაახლოებით შვიდი გირვანქა ერბო, საწყავი წვრილი და მაღალი ქვაბია და მას ჰქვია „გაჯალათეული". ე. ი. გაჯალათაგან შემოწირული.

დასტურებს დღეობები განაწილებული აქვთ და ვისაც როდის შეხვდება, მაშინ მიაქვს ერბო საკუთარი ოჯახიდან. წლის განმავლობაში არის ორი მთავარი დღეობა, ათენგენა და წელწადი. ამ დღეობებში კი სამივე დასტურს მიაქვს ერბო განსაზღვრული რაოდენობით. ერბოს აწყავენ და ამაზე დასაყრელ ფქვილსაც. იციან ვარაუდი, რამდენ ერბოს რამდენი ფქვილი უნდა და ხავიწი რამდენი დადგება. ხავიწს ადუღებენ შემდეგნაირად: ერბოს გაადნობენ, აადუღებენ და მერე დააყრიან რამდენიც საჭიროა, იმდენ ფქვილს. მოადუღებენ და გადმოდგამენ ქვაბს ცეცხლიდან. როცა ცოტათი შეიყინება, კიდევ აწყავენ ხავიწს საკუთარი საწყავით, რომელსაც ჩანახს ეძახიან. ჩანახი არის სპილენძისაგან გაკეთებული. ორჯამიანზე დიდი. რამდენიც ღამისთევა და ჟამისწირვა აქვთ, იმდენ ჩანახს ავსებენ. ერბოს აწყვიდანვე იციან, რამდენი ჩანახი ხავიწი გამოვა და რამდენია საჭირო. ჩანახში ხავიწი გაიყინება. პირქვე წამოაბრუნებენ და ფიცარზე აწყობენ ჩანახში დაყალიბებულ ხავიწს. თითოობით გადმოიღებს დასტური, როცა საჭიროა, და ჩათლის დანით სპილენძის ბაკანში. დიასახლისი კი მას ჩაუდებს გულად ქადას. იგი აცხობს აგრეთვე ხმიადებს და საკვირაოებს. ბოლოს ყველას გაბანს წყალში, გაპოხს ერბოთი, გვერდზე დააწყობს ერთიმეორეზე ერთ დიდ ქადას, ცხრა ხმიადსა და ოთხ საკვირაოს. საკვირაო არის ხავიწის გულიანი და საშვრეთათი დაშრელებული პატარა ქადა. ხმიადს კი გული არა აქვს. იგი თხელი პურია, ხელით რამდენიმე ადგილას ჩაღრმავებული (ხელს დაადგამენ გარე გვერდით და ასე მოხრილად დაშვრეთილი გამოდის). საკვირაოზე რომ დაშრელებულია, ასეთ ორნამენტს ეძახიან „თიკნის ყურას".

ამ სამზადისში როცა არის დიასახლისი, დარბასშიც ემზადებიან: ხელოსანი გაინათლება ისე, როგორც ზემოთ ნათქვამია. იგი ხმას ამოიღებს და დროშას ისე აბამს. ორ დროშას განსაკუთრებული სახელი არ აქვს, მხოლოდ რომელსაც ზარი და ჯვარი უკეთია და განსაკუთრებით კარგად არის შემკობილი, მას ჰქვია „მგზავრი დროშა", რადგან ღამისთევებზე ის დროშა დაჰყავთ მარტო. ორი დანარჩენი დროშა შუბებით ადგილობრივ რჩებიან. ხელოსანი დროშას რომ ააბამს, პირჯვარს დაიწერს, შეევედრება მიქიელს, იღებს სამივე დროშას ერთად და დროშის ზარის წკარუნით შემოუვლის დარბასს. ბოლოს გარეთ გამოვა, ხუცესიც და დასტურებიც თან გაჰყვებიან. დარბასის კარს კიდევ შემოუვლის დროშების წკარუნით და ბოლოს მიაყუდებს მათთვის გაკეთებულ ადგილზე, მობრუნდება და ეტყვის იქ მყოფებს:

„წყალობა მაგიტანეთ დროშათ მცავის ანგელოზისა“; „შენ იყოს მწყალობელი“ — ეტყვიან. შევლენ დარბასში და ანთებენ სანთელს. ხუცესი კოდს „მოსჭიქავს“. დასტურები ხუცესს რვლის ჩხუტას და სანთელს მისცემენ. ხუცესი ერთ სანთელს კოდზე დააკრავს, ერთს კი სახუცო კოჭობზე და იხუცებს, როგორც ზემოთ აღწერილია. ხუცობას რომ მოათავებს, ლუდს გემოს გასინჯავს და სხვებსაც მისცემს ამავე თასით. ყველა დაილოცება, ცოტას დალევენ და იტყვიან როგორი ლუდია, რა აკლია ან რა მეტი აქვს. მერე ლუდს რვლის ჩხუტათი გამოიტანენ. აქვე გამოტანილია სადიასახლისოდან ტაბლა. დგამენ ზედ და ხუცესი შეუდგება ხუცობას. შუა ხუცობის დროს ხელოსანი ხმაამოუღებლივ გავა დარბასიდან, დაიწერს პირჯვარს და დარეკს ზარს ნელ-ნელა. ბოლოს დაიწერს პირჯვარს სამჯერ, სამჯერვე ძალიან გვიან-გვიან შემოჰკრავს ზარს და იტყვის: „ხთისაგან გაგემარჯოს შენის გამჩენისაგან, ზარის მცაო მფარეო ანგელოზო, მიქიელ მთავარანგელოზო. ნურაით შამიწყენთ, დალოცვილნო, ნურაით შამიცოდვებთ“. ზარის რეკას რომ გაათავებს, დარბასში შემოვა და იტყვის: „წყალობა მაგიტანეთ ზარის მცავის ანგელოზისა“. ხუცესი ხუცობას განაგრძობს. სხვა იქ მყოფნი კი თავს დაუკრავენ ხელოსანს. ხუცესი გაათავებს ხუცობას და ამწყალობნებენ: „სწყალობდას საყმოსა-დ საგლეხოს, საწალმართოდ მაუარას, მშვიდობით შაინახნას, ბევრ ათანგენა მაღგვარას ბშვიდობისა, კარგა ყოფისა“ და ა. შ. მერე დასტური იღებს თასებს, ხუცესს მისცემს სახუცო კოჭობს, ხელოსანს და ერთ დასტურს — დანარჩენ ორ თასს და ხუცესი კიდევ „გაადიდებს“ ჯვართ: „ამ ჭიქა-ბარზიმზე შენ გადიდას, გაგიმარჯოს ღმერთმა, მიქიელ მთავარანგელოზო!“ და ასე აბსენებს მთიწეშაგს, კვირაეს. მერე ყველანი იტყვიან: „მაგითამც დიდი ხართ თქვენის გამჩენის ხთის კარზე, შენიმც ძალი, სახელ დიდებისა ჯსენდების“. „ჯვართ დიდებაი, ბეხვეწურთ წყალობა“ — იტყვიან კიდევ და დალევენ ცოტას. აქ ჩვეულებას არ გადაუხვევენ და უთასონი, რომელნიც ფეხზე დგანან, მღერიან ფანდურზე საგმირო სიმღერებს. ასეთივე სიმღერით პასუხობენ თასიანები. ყველა წესის შესრულებით დაამთავრებენ ღამისთევას და ბოლოს დასხდებიან ჯვარიანები. ერთი-ორი დასტური დადგება მარტო ფეხზე, ისინი ულიან დანარჩენებს: ლუდს ასმევენ, ტაბლას დაუდგამენ და სხვა.

ამავე დროს არხოტის ყველა ჯვარში ისეთივე წესები სრულდება, როგორც აქ არის აწერილი ღამისთევაზე. ჯაველში შიგმდგომი დასტურნი და ქავთარ-ოჩიაურნი ადღეღებენ კიდევ საშიგმდგომოს. სამინდორისჯვარო და მხვიმე არ იციან. მთიშეშაგში მარტო ერთ დღეს დღეობობენ და მაშინაც ლუდი საწდეებით მიაქვთ არხოტის ჯვარიდან.

არხოტის ჯვარში ღამისთევა რომ მოთავდება, ხალხი წავა. ზოგი იქვე იძინებს. ხუცესი, აქაური ხელოსანი და მთიშეშაგის ხელოსანი სულ აქ არიან. დილას შეუდგებიან უპირველეს ყოვლისა ქამისწირვას. ქამისწირვა არის ჩვეულებრივი, დიასახლისი გამოაცხობს სამ ქადას, ოთხ ხავიწიან საკვირაოს და ცხრა ხმიადს, რასაც დასტურები გაიტანენ დარბასში. ხუცესი შეუდგება ქამისწირვას. ღმერთს ახვეწებს საყმოსა და საგლეხოს.

ქამისწირვისა და დასტურ-ხელოსნების პურის ჭამის შემდეგ იწყება მეზღვნეების მოსვლა. ათენგენას ბევრი მეზღვნე მოდის, რადგან ვზები გახსნილია და ბარად ჩასახლებული ხევსურები ყველა მხრიდან მოდიან სალოცავად. ძველ დროს მოდიოდა აუარებელი ხალხი — „მეკულუხენი". მეკულუხეს ეძახდნენ ჩასახლებულთ, ვინც მოდიოდა და მოჰქონდა ღვინო.

ღვინო მოჰქონდათ ახმეტიდან. იქ არხოტის ჯვარს თავისი ვენახი და მარანი ჰქონდა. გადმოცემით, ვენახი მაშინ შეწირული ყოფილა, როცა კახეთიდან, ბახტრიონიდან, ახმეტიდან და სხვა ადგილებიდან თათრები განდევნეს. ჩვენს წინაპრებს იქ ბრძოლაში მონაწილეობა მიუღიათ, თუშები ალვანში დასახლებულან. ჩვენებმა თურმე იქ დასახლებაზე უარი განაცხადეს, ამიტომ არხოტის, გუდანის და იახსარის ჯვარებს ვენახები შესწირესო. ყოველწლიურად იქიდან მოჰქონდათ ღვინო ერწოში და კახეთში ჩასახლებულ ხალხს და ამათ ფშავლებიც მოჰყვებოდნენ. ახიელში პატარა მინდორია და, იტყვიან, იმდენი მოდიოდა მეკულუხე, რომ ეს მინდორი სულ ეპირაო: იმ დროს იმდენი იყო ვერცხლის თასები, რომ სადიდებელნი როცა დაიდგმოდნენ, თითო თასი ყველას შეხვდებოდაო. ქრისტების შემოსევების გამო სულ დაკარგულა ეს განძი.

მეზღვენეებს გაუმასპინძლდებიან ლუდით და არაყით. ცხვარი და სხვა წვრილი საკლავი რაც იკვლება, ყველა ტყავ-ხორციანად ჯვარიონთ რჩებათ. რაც კურეტი დაიკვლება, ტყავიც და ხორციც ორად ნაწილდება (ჯაჭველში კი მარტო ხორცი იყოფა, ტყავი პატრონს მიაქვს). მეზღვნის მოსვლის, საკლავის ხუცობის და დაკვლის წესი ყველაფერი აწერილია ზემოთ. მხოლოდ შესაწირავ საკლავს ხანდახან ვერცხლის შესაწირავს რამეს შეაბამენ რქებზე. დაკვლის დროს ამას ხუცესი შეხსნის და მისივე (საკლავის) სისხლით განათლავს. მერე მას ან სახუცო კოპობს შეაბამენ, ან შეინახავენ ტაგრუცში, სადაც ასეთი წვრილმანი შეწირულება ინახება. ამ შეწირულებას ჰქვია „ღილ-ბორაყი". მას ხუცესი ასე იხსენიებს: „ღილ-ბორაყის შემომწირავთ სწყალობდი". ზოგი ვერცხლის ფულს შესწირავს, რომელსაც ხუცესებისა და მკითხავების ენით „თეთრეული" ჰქვია. ხუცესი ასე ამწყალობნებს: „თეთრეულის შამამწირავს და თეთრეულში გამრევს სწყა-

ლობდიო“. ზოგი რამე ვერცხლის ნიშანს გამოიცვლის ჯვარიდან, (უფრო ჯაჭველიდან), მიიტანს ვერცხლის ფულს ან ყაწიმს, ქამრის ბალთას, ქალის საყურეს ან შიბს (ძეწკვი) და შესწირავს ჯვარს, სამაგიეროდ იქიდან რამეს მისცემენ — ყაწიმს ან დაფერილ ვერცხლის ფულს და სხვ. მას ძაფზე ააცმევენ და ყელზე შეიბამენ. ეს ნიშანი თუ ქელზე აქვთ, ეშმაკი აღარ მიეკარებათ, ნამეტნავად ჯაჭველიდან გამოცვლილს, რადგან ჯაჭველი ეშმაკებს აშინებსო. იშვიათად იყო ისეთი ქალი და ბავშვი, რომ „გამოცვლილს“ არ ატარებდა. მამაკაცებიც კი ატარებდნენ მას (გამოცვლილს ეძახიან „ჯვარის ლიშანსაც“). განათვლის დროს იმასაც სისხლს მოუსვამენ და ასე განათლავენ. ხანდახან ვერცხლის ფულს ან სხვა ვერცხლის ნიშანს პერანგის გულზედაც დაიკერებენ და ისე ატარებენ. ეს უფრო ხუცესებმა იციან. ცდილობენ, რომ სახუცო კოჭებს შეაბან შეწირული სამკაული, რადგან ის ხშირად იხმარება და მასზე სალოცავები ხსენდება. ამიტომ არის, რომ ზოგიერთი სახუცო კოჭობი სულ დაფარულია შენაწირი ვერცხლეულით. სასახელოდ მიაჩნიათ, რომ ბევრი სამკაული ჰქონდეს სახუცო კოჭობს. იტყვიან: როგორი სახუცო კოჭობი ჰქონდა, სიმძიმისგან ასაწევი არ იყოო. თუ კოჭებს ბევრი სამკაული არა აქვს. იტყვიან: ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ სახუცო კოჭობი არ უეარგოდა, ძალიან ღარიბი იყოო.

ფულის შეწირულება რომ გროვდება, ამას ხმარობენ ისევ საჯარო საქმეზე. მაგ., სალუდე ქვაბს ძირი რომ დაეწვება, მასალას იყიდიან და გამოუცვლიან. ლათბა თუ გაფუჭდა, გააკეთებენ და ა. შ. ფული თუ დააკლდათ, ხალხიდანაც აკრეფენ. იციან დროშისათვის ხელსახოცის ყიდვა. ყველა შეწირულებას ერთნაირად მოიხსენებს ხუცესი. აავსებს თასს, დადგამს ფიცარზე, ფულს და სხვა ვერცხლეულსაც იქვე დააწყობს და იტყვის: „ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-სამართალი, ჯაჭველო ქმელის გორისაო (ან სხვა რომელიმე სალოცავი, სადაც არიან). შენა სამთავრად, შენა გასამარჯოდ მაიჯმარი ე თეთრეული (თუ ფულია თეთრეულს იტყვის და თუ სხვა ვერცხლი რამეა, „ღილ-ბორაყს“), შენის მეხვეწურისად (სახელი) საშველოდ, სახოიშნოდ, სამწყალობნოდ მაიჯმარი. შამაუწირავ, დალოცვილო, თეთრეული, თეთრეულში გაურევავა-დ შენ შენს წყალობას ნუ დააკლებ. უშველ, დალოცვილო, შენის ბედისადა, დავლათისად შამახეწილი ასა-დ შენს ბედსა, დავლათს ეძახას-დ შენ ბედი, დავლათი დააჯმარი ველთაცა, შინაც, ეამსაცა-დ უეამოსაც, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს“.

აქ ხუცობა არ იციან. მობრუნდება ხუცესი და დაამწყალობნებს. მერე ყველანი ერთბაშად ამწყალობნებენ: „გწყალობდას მეხვეწურს, თეთრეულის თეთრეულში გამრევს, საწალმართოდ მაგიარასთ, მშვი-

დობით შაგინახნასთ, ნუვის თვალ-გულ მაგწივასთ. თქვენ მაგცასთ წყალობა ყურით მაყურებელს, ჯვარიონთ, დასტურსა, ჯელოსანს. ხუცესს ენა-პირ გიკურთხას, შაუცოდვრად, შაუწყენრად შაგინახას".

ჯვარიონნი რომ ამ ამბავში არიან, სოფელი ჯაქველის ჯვარში მოიყრის თავს და იქ დასხდება ჯარი. მოაქვთ არხოტის ჯვარიდანაც სოფლის ხვედრი ლუდი და აქ დღეობობენ, მხოლოდ ხარანი ემზადებიან მთას ასასვლელად, მთიშეშაგში. ათენგენას მთას, ხარათ გარდა, კიდევ ბევრი ხალხი მიდის. ზოგს ღამისთევა აქვს შეთქმული და ღამითაც მიდიან, ზოგს კი მეორე დღეს საკლავები მიჰყავს დასაკლავად. მთიშეშავს ილოცავენ სამ ადგილას: ერთი სოფლის გვერდზე აქვთ გამოყოფილი ციხესთან ახლო სადღეობო ადგილი, მეორე სოფლის ზემოთ არის კოშკი აშენებული, ამას „კვრივი" ჰქვია; როცა დღეობა არ არის, აქ კლავენ საკლავს და მესამე მთას იციან დღეობა ათენგენას. მთა არის სოფლიდან დაახლოებით ორი კილომეტრის მანძილით დაშორებული. იქ სამი კოშკი დგას. ერთზე ზარი ჰკიდია და ორი ისე არის. მისულები კოშკზე დროშას მიაყუდებენ (მთიშეშაგს საკუთარი დროშა არა ჰყავს და ამ დღეობაში არხოტის ჯვარის დროშა მიჰყავთ, როგორც მოძმისა). კოშკები აშენებულია მკვრივად, მხოლოდ ერთსა აქვს ზარს ჩამოსაკიდი ადგილი დატოვებული. მაღლა სათიბ მთაში პატარა ვაკე ადგილია და იქვე არყის ხეები დგას. ერთ გვერდზე მდიდარი ტყეა, ამავე მთიშეშაგის კუთვნილი. აქედან სახრესაც არავინ წაიღებს. ათენგენის დაწყების მეორე დღეს ადიან მთას ღამის სათევად მთელი ხარათ გვარი და სხვა ღამისმთევლებიც. წინასწარ იმ ტყეში წავა „მრეკელი". მრეკელი ჰქვია იმას, რომ მთელი სოფლის ახალგაზრდები წავლენ მთის ჯვრის ტყეში თოფით შეიარაღებულნი. ტყეში გაშლით გავლენ, ხმაურით. აქ შეიძლება მტერი იყოს დამალული, ან დათვი და ღამე ღამისმთევლებს დაეცეს თავს. მრეკელნი რომ ამ ტყეს კარგად დაათვალიერებენ, დაბრუნდებიან არხოტის ჯვარში. აქ ხარათ თავისი საკუთარი კოდი აქვთ ლუდიანი და მოსულ მრეკელს ლუდით გაუმასპინძლდებიან. მერე ორი ან სამი კაცი ასწევენ ლუდიან ქვაბს კედით და წაიღებენ მთას. ძალიან დიდი აღმართია და მელუდეები, ე. ი. ლუდის წამღებლები, ძალიან იტანჯებიან. საღამოზე მივლენ, ლუდსაც მიიტანენ. ღამისმთევლებს არაყიც მიაქვთ და ღამისამთელო — ყამსაწირიც. მიდიან ნაბდებით და ღამეს იქ ათევენ მარტო მამაკაცები. შეშა ადრევე არის მოტანილი დასტურებისაგან და დიდ ცეცხლს ანთებენ. ჯერ უთევენ საჯვარო ღამისამთელოზე ღამეს და მერე ღამისმთევლები, ვინც არიან, თითოობით ყველა ღამისამთელოზე უთევს ღამეს.

ღამისთევა ჩვეულებრივი ხუცობით და მღერით მთავრდება. მისული ხალხი მთელ ღამეს არ იძინებს. იქვე სადღეობოში არის დიდი

არყის ხეები; დააკრავენ ცეცხლის შუქზე იმ ხეზე პატარა ქაღალდს, ან პატარას ჩამოათლიან, რომ თეთრად გამოჩნდეს (ამას ეძახიან „თოფისწვერას", რადგან თოფისწვერის დიამეტრი აქვს, და იმას ესვრიან თოფებს — სანაძლეოზე. გამარჯვებულს ჯილდოსაც უყენებენ: ერთ კოშ ლუდს, ან ერთ საკლავს, შეიძლება ფულიც ვინმემ დააყენოს ჯილდოდ). მთელი ღამის განმავლობაში არის სროლა, მღერა და ფანდურზე ცეკვაც. გათენებამდინ ასე ატარებენ დროს მედღეობენი. დილას ახალგაზრდები კიდევ წამოვლენ არხოტის ჯვარში ლუდის მოსატანად; სოფელშიც ბევრი ემზადება მთას წასასვლელად, ქალებიც და ვაჟებიც, რადგან იქ სადღეობოდ კარგი მდებარეობაც არის და მერე წელიწადში ეს დღეობა ერთხელ მოდის. ამიტომ ყველა ეშურება ამ დღეობაში მივიდეს. ჯაჭველში და არხოტის ჯვარში, ჯვარიონთ გარდა, თითქმის ბევრი აღარ რჩება.

მთას თუ ახალი ხელოსანი მივიდა და სახელო აქვს, მაშინ ყველა მიმსვლელი თითო სახელოს პურს მიიტანს, ვინაიდან საკლავების აყვანა იქ ძნელია. წესად აქვთ, რომ ერთი ფარა სოფლის ცხვარი ამ დღეს მთას უნდა ავიდეს. ყველა ის ცხვრები, რომლებიც მთას უნდა დაიკლას, ამ ფარაშია გარეული და იქ თავ-თავისას იჭერენ და კლავენ.

მთიშეშაგის ხელოსანი ერთი თვით საწმიდარს არის და ყოველ დღე ტანს იბანს, როგორც სხვა ხელოსანი. ასეთი წესებით ემზადება იგი სახელოსათვის. დილას, ხალხი რომ მოგროვდება, მოიყვანენ კურეტს, რომლითაც ხელოსანი ინათლება. ხუცესი ხუცობს და ახსენებს მთიშეშაგს: „შენა სამთავროდ, შენა გასამარჯოდ მაიკმარი ეს სამსახური, მუჭათ-სანთელი, დიდო მთიშეშაგ წყაროს თავისაო, მოძმევ მიქიელისაო: შენ შენის მეხვეწურისად, მესახელოისად (სახელი) საშველოდ, სამწყალობნოდ მაიკმარი. მე შენდ შამამიხვეწავ, დალოცვილო, შენ შენს გამჩენს მორიგეს ღმერთს შაახვეწი! შენდ სამსახურ არ დაუყრავა-დ შენ შენს წყალობას ნუ დააკლებ, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს". და ა. შ. ამ დროს ახალგაზრდები მიეშველებიან, კურეტს წააქცევენ, თოკით შეკრავენ და ისე დაიჭერენ. მესახელოე იქვე დგას და ხუცესიც. ხუცესი კურეტს წააქცევს, შემდეგ კიდევ შეუსახელებს — ამოღებულ ხანჯალს კისერთან მიუახლოვებს და იტყვის: „შენა სამთავროდ, შენად გასამარჯოდ მაიკმარი, მთიშეშაგ წყაროს თავისაო, მოძმევ მიქიელისაო, ეს სამსახური, მუჭათ-სანთელი საშველოდ, სამწყალობნოდ მაიკმარი გიგიაისად, მესახელოისად, შაგის თავისად, ჯალაფობისად. სახოიშნოდ მაიკმარი; ისმინე, გაიგონი, გამარჯვებას შენსა-დ შენის გამჩენის ხთისას" და ამ სიტყვებით ხუცესი კურეტს ყელში გაუყრის ხანჯალს. ახალგაზრდები კურეტს იქით გადაათრევენ. ჯერ ხუცესი და მერე ყველანი ერთხმად დაამწყალობნებენ მესახელოეს. ხუცესი კურეტის სისხლში ხელებს შეიღებავს

და მესახელოეს ჯვარებს უკეთებს გულზე და შუბლზე; მერე ამწყალობნებენ: „გწყალობდას, გიგიავ, მესახელოეს ძთიშეშაგის დავლათი, საწაღმართოდ მაგიარას, მშვიდობით შაგინახას, სიხარულად გაგიჯადას ზღვნობა, ყმობა, მსახურობა. კლოვ უკეთი გულით მაგკერ-ძას“. ქალები შორს სხედან. ხუცესი მათკენ მიბრუნდება და ეტყვის: „გწყალობდასთ, მანდილოსნებო, საწაღმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, ბედს გიმატასთ, ბოლოს სარჩოსა-დ სარგებელს. თქვენ მაგცასთ წყალობა ყურით მაყურებელს. ჯვარიონთ მაგცასთ წყალობა, ხუცესს ენა-პირ გიკურთხას, შაუცოდვრად, შაუწყენრად შაგინახნასთ“. ასე გაინათლება ხელოსანი და კურეტს გადასცემენ ახალგაზრდებს გასატყავებლად. ისინი დაჭრიან ხორცს, ჩაყრიან ხარ-ჩამავალ დიდ ქვაბში და მოხარშავენ. ხელოსანი სახელოს წესების შესრულებამდე მშიერია, ვერც ლუდს დალევს და ვერც ჭამს. არაყს კი დალევს ცოტას. ლუდს ახალგაზრდები მოიტანენ და იმართება სმა. მამაკაცები თავისთვის ქეიფობენ, ქალებსაც მიუტანენ და დაალევინე-ბენ ლუდს. იმართება ლხინი — მღერა, ცეკვა, ფერხისა და სხვა. მო-ნადირეები დურბინდებით გაჰყურებენ საჯიხვე კლდეებს. ამასობაში გადის დრო და ხორციც მოიხარშება. მანამდე ჯვარიონნი ხოცავენ მეზღვნეების საკლავებს. იციან შეწირვა ვერცხლის, ბაღდადების, ფუ-ლის, სანთლისა და სხვა. ხუცესს მთელი დღე მოსვენება არა აქვს, სულ ფეხზე დგას და ხუცობს. იქ საკლავსა კლავს, იქ ჟამსა სწირავს, იქ სხვადასხვა შემოწირულებას ხუცობს და სხვა. მოხარშვის შემდეგ ხორცს ამოიღებენ სახორცით (საზორცე არის ორტოტა მოხრილი წვე-ტიანი რკინა), სუფთა ქვის სიპებზე აწყობენ და წვრილ-წვრილად დას-ჭრიან. აქვე ბუსნოზე წრეხაზის სახით აწყობენ სახელოს პურებს (როგორც აწერილია ჯაჰველში, სახელო კეთდება სულ ისეთივე წე-სით). პურებს რომ აწყობენ, მოაყოლებენ და ზედ დააწყობენ ხორც-საც. პურებთან თასებსაც დადგამენ, დააკრავენ სანთელს, ავსებენ ლუ-დით, თითო ღერ სანთელს ყველა იქ მყოფს მისცემენ და აანთებენ. პურების წრის შიგნით შევლენ, ე. ი. საკელოში ჯერ ხუცესი, მერე მესახელოე და მერე ერთი-ორი დასტური. ხალხიც ქუდმოხდილი მათთან ახლო დგას. ქალებიც ადგებიან. ხუცესი იწყებს ხუცობას: „ღმერთმა ადიდას შენ ძალი, შენ სახელ-სამართალი, მთიშეშაგ წყა-როს თავისაო, მოძმე მიქიელისაო. შენა სამთავროდ, შენად გასამარ-ჯოდ მაიხმარი ეს სეფე-სანთელი-სადიდებელი. შენ შენის მეხვეწური-სად, მესაკელოისად გიგიაისად საშველად, სახოიშნოდ, სამწყა—ობნოდ მაიკმარი. გეკედრების გიგიაი-დ გეხვეწების — შაიხვეწი. მე შენდ შა-მამიხვეწებავა, შენ შენ გამჩენს მორიგეს ღმერთს შაახვეწი. სახელიან ზღვენი — სანთელ აიტანი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს“.

ამას მოჰყვება, როგორც ეიცით, ჩვეულებრივი ხუცობა და ხუცობის გათავების შემდეგ, ჯერ ხუცესი და შემდეგ ყველანი ამწყალობნებენ მესახელოეს: „გწყალობდას, გიგიავ, მთიშეშაგის დაველანი. საწყალმართოდ მაგიარჯს, მშვიდობით შაგინახას, სიხარულად გაგიკადას ზღვნობა, ყმობა, მსახურობა“ და სხვ. მერე ყველანი ქალებიანენ მოიხედავენ და დაიძახებენ: „გწყალობდასთ მანდილოსნებს, საწყალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, თავის ბედი. დაველანი დაგაკმარასთ“. ქალები პირჯვარს იწერენ და იქ ჩუმად ამბობენ: „თქვენ იყოს მწყალობელი“. „თქვენ თავს სწყალობდას“. მერე მოჰყვება ყველა ის წესი, რაც ჯაჭველში ამაღლებას არის აწერილი სახელოს შესახებ. ბოლოს ორი კაცი დადგება და სახელოს პურებს დაარიგებს. წაიღებენ ზოგს ბავშვები და ზოგს ქალები. თუ რომელიმე მეკომშური დააკლდა, სხვას მაინც დაავალებს სახელოს პურის წაღებას. პურზე რაც მოხარშული ხორცია, ისიც შინ მიაქვთ. მერე როგორც კაცებს, ისე ქალებს მესახელოეს ლუდს ყველას დალევინებენ მესახელოეს ანუ ხელოსნის სამწყალობნოდ. ყველა დაილოცება ასეთი სიტყვებით: „გწყალობდას, გიგიავ, მთიშეშაგის დაველანი, საწყალმართოდ მაგიარჯს, მშვიდობით შაგინახას, დარიგება მაგცას. კას საქმეზე დაგარიგას, კლოვ უკეთესი გულით გიმსახურჯს. თქვენ დაგლოცნასთ ყველა, გადღეგრძელნასთ, ვისაც ჩემ ჯმა მაგდისთ, მშვიდობით გამყოფნასთ, ბევრ ათენგენა მშვიდობისა მაგგვარასთ, კარგად ყოფისა“. ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ხელოსანი სამწყალობნელოს უცბად, სულუქცევრად დალევს. ზღვნები რაც იხოცება, მათი ტყავიც და ხორციც ჯვარიონთ რჩებათ. სანათლავის ტყავ-ხორცი კი პატრონს მიაქვს სახლში. საკლავების ხორცი იხარშება შეზღვნეების და ყველა იქ მყოფი ხალხისათვის. მანამდე ხორცი მოხარშება, ხალხი დროს ატარებს — სვამენ ლუდს, მღერიან, ცეკვავენ. ღამისთევლებს არაყიცა აქვთ და ასმევენ ხალხს. დადგამენ თოფისწვერას, გაიმართება სროლაში შეჯიბრი. ახალგაზრდები მივლენ ქალებთან, დაუკრავენ გარმონს და ერთად ცეკვავენ. ამასობაში მოიხარშება ხორციც და ხალხს ყველას დასვამენ „ბუსნოზე“. დაუდგამენ ტაბლას, ხორცსაც დაუწყობენ „ბორტევზე“[1], მარილს პატარა პურის ნატეხზე დაუყრიან. დასტურებს მოტანილი აქვთ სატაბლო პურები და იმას უდებენ ტაბლაზე. ორი-სამი ზედამდეგი დადგება ფეხზე, ამოიღებენ კარახანებს და იმასაც ტაბლაზე დადგამენ. ზედამდეგები ჯერ ჩუმათ არიან და პურის ჭამას როცა ათავებს ხალხი, მაშინ ფანდურზე რომელიმე საგმირო სიმღერას მღერიან. სიმღერის დროს კარახანას იღებენ და ილო-

---

[1] ფშაურად „ბუსნო“ და ხევსურულად „ბოროტვი“ ეწოდება მოუხნავ (გაუნძრეველ) მიწას, რომელზეც ბალახია ამოსული.

ცებიან: „გაუმარჯვას მთიშეშაგსა, იმის წყალობა გქონდასთ ყმათ, მეზ-
ღვნეებს, ჯვარიონთ. საწყალმართოდ მაგიარასთ, შვიდობით შაგინახ-
ნაათ. ბედს გიმატასთ — ბოლოს, სარჩოსა-სარგებელს, ბევრ ათანგე-
ნა მაგგვარასთ მშვიდობისა, კარგა ყოფისაი". მოიგონებენ მკვდარს,
ვისაც ეკუთვნის ეს დღეობა და იტყვიან: „შაუნდას (მაგ. ბერდია)
ბერდიას კი, კას ყმას ეს თასი, მაკმარას" და ცოტას დალევენ ფეხზე
მდგომები. ასევე იქცევიან ყველანი. ჭამას რომ გაათავებენ, უკა-
ნასკნელ ლუკმას დაიჭერენ ხელში და იტყვიან: „ღმრთო, გაუმარჯვი
მთიშეშაგსა! მთიშეშაგო შენ ხწყალობდი შენთ ყმათ, მეზღვნეებსა-დ
ჯვარიონთ, დასტურ — ჯელოსნებს. დაადეგ წალმ, შენი წყალობით
შაინახენი!" და შეკამენ. შემდეგ იმართება კარახანებზე საგმირო ლექ-
სებია მღერა და სხვა.

ამასობაში მოსალამოვდება. ყველანი ადგებიან, დადგებიან პირ
კოშკებისაკენ და იტყვიან ყველა თავ-თავისთვის: „ხთისაგან გაგე-
მარჯვას შენის გამჩენისაგან, მთიშეშაგ წყაროსთავისაო. ნურაით შა-
გვიწყენ, ნურაით შაგვიცოდვებ დალოცვილო, კაცით ნურას გვაკდევ,
ზღვნითა, სანთლით გადაგვაკდიეთ, თქვენ ყმანი, თქვენ მიწა-მტვერ-
ნი ორთ დალოცვილნო, მეწალმართე ანგელოზ გამაგვაყოლეთ, ჭირ
მავხბარი თქვენს ძალსა, თქვენს სახელ-სამართალს". თითოეული და-
იწერს პირჯვარს, ემთხვევა მიწას და წამოვა, თან ქუდმოხდილი ჯვა-
რიონთ ეტყვის: „ჯვარ გეწერასთ ჯვარსაც, კაცსაც, ჯვარიონთაც". —
„ჯვარის წყალობა გქონდასთ, ჯელ მაგინართასთ, წყალობა წაიღით მთი-
შეშაგისა", ეტყვიან ჯვარიონნი. ჯვარიონნი ასეთივე სიტყვებით ამ-
წყალობნებენ ქალებსაც. ქალები მთიშეშაგს ეხვეწებიან: გვიშველეო,
მბოლოდ მის სახელს არ ახსენებენ. საერთოდ ქალები როგორც სოფ-
ლის უფროსი კაცების სახელს არა ამბობენ, ასევე ჯვარის სახელის
თქმას ერიდებიან, როგორც უწმინდურნი. მედღეობე ხალხი ჩამოვა
სოფელში, სადაც ჯარია დამსხდარი და სმა არის ლუდისა. მამაკაცები
ისევ დღეობაში წავლენ, ქალები კი თავ-თავიანთი სახლებში, მთიდან
წამოსული ჯვარიონნი სოფელს რომ მოუახლოვდებიან, იქ ერთ ად-
გილას ერთიმეორეზე დაწყობილი ქვებია, რომელსაც ჰქვიან დ რ ო-
შ ა ი ს ს ა ბ ძ ა ნ ი. აქ მთიშეშაგის დროშა ისვენებს და ვინც მთას ვერ
წავიდა, აქ მიიყვანენ და დაკლავენ ზღვენს. აქვე მიაქვთ კომლის აშა-
ლი (სოფელში ყველა მეკომური გამოაცხობს აშალს). აქვე სოფლის
ბავშვები ელოდებიან. ხუცესი მოახსენებს აშალს (ასე ეწოდება აშლის
დაშლის ლოცვას), შეახვეწებს მეხვეწური (მეხვეწური ჰქვიან, ვინც
მოიტანა აშალი ან თუნდა ზღვენი და ეხვეწება ჯვარს შველას) და გა-
დაუყრიან ბავშვებს აშალს (აშლის დაშლის და გამოცხობის წესი აწე-
რილია ზემოთ).

აქ რომ ეს წესები შესრულდება, მთიშუშაგის ხელოსანი დროშას მხარზე დაიდებს და წამოვლენ ქვევით არხოტის ჯვარისაკენ. აქ მათი გზა ჯაჭველის კარზე გაივლის და მთიშუშაგის ჯვარიონთ გზაში მიეგებებიან ჯაჭველის ჯვარიონნი, მიიტანენ ლუდს, დადგაჭენ გზაში, მოიხდიან ქუდებს, დაიწერენ პირჯვარს და იტყვიან: „დალოცვილო მთიშუშაგო-დ მგზავრო ანგელოზო, შენ გეევედრებითა-დ გეხვეწებით. შენი ძალით შაგვინახენი, ნურაით შაგვიცოდვებ, დალოცვილო". მთის ჯვარიონნი ეტყვიან: „წყალობა მაგიტანეთ მთიშუშაგისა. წყალობა. წაღმ მაგეგებასთ მთიშუშაგის დავლათი". ხელოსანი მარჯვენა ფეხზე დაიდგამს დროშისტარს და აწკარუნებს დროშას. ჯაჭველის ჯვარიონნი ამოიღებენ ლუდს და მისცემენ თასებს მთიშუშაგის ჯვარიენებს. მთის ჯვარიონნი დაილოცებიან: „გამარჯვება ჯაჭველსა-დ მთიშუშაგსა. იმათ წყალობა გქონდასთ ჯერ იმათ ყმათ, მემრ ჯვარიენებს, დასტურ-ჯელოსნებს. მშვიდობით გამყოფნასთ, ბევრ ათენგენა მშვიდობისა მაგგვარასთ კარგად ყოფისა, ყური მაყურებლებს გწყალობდასთ ორისავ ბატონის დავლათი". აქვე შეიძლება მოიგონონ ვინმე მიცვალებული და იგივე თასი დალოცონ მიცვალებულისთვისაც: „შაუნდნას ეს თას (სახელი) კას ყმას, მააკმარას ღმერთმ" და ასე დაიწყებენ სმას. დალევენ, იმღერებენ კიდეც და ბოლოს ერთიმეორეს მადლს გადაუხდიან. მთიშუშაგის ჯვარიონნი წავლენ, ჯაჭველის ჯვარიონნი კი რჩებიან თავის ადგილზე. მთიშუშაგის ჯვარიონნი მივლენ არხოტის ჯვარში. აქაური ჯვარიონნიც მიეგებებიან მათ ასეთივე სიტყვებით და წესით, ბოლოს ხელოსანი მიაბძანებს დროშას თავის ადგილზე და დააყუდებს იქ, სადაც ორი შუბიანი დროშა აყუდია. დაიწერს პირჯვარს. ემთხვევა მიწას და წამოვა უკან.

არხოტის ჯვარში და ჯაჭველში ამ დღეს განსაკუთრებული წესი არაფერია. ზღვენი წვრილფეხა რაც არის, სულ ჯვარიონთ რჩება ორივე ჯვარში, კურეტის ტყავის და ხორცის ნახევარი არხოტის ჯვარიდან პატრონს მიაქვს, ნახევარი კი ჯვარიონთ რჩება. გორს ე. ი. ჯაჭველში კურეტის ხორცი იყოფა, ტყავი კი პატრონს მიაქვს.

ამავე დღეს ს. ამღაში იციან იახსრის დღეობა „ზეთუკობა" ძალიან მაღალ მთაზე— ზეთუკას.

ამბობენ, რომ იახსარი პირველად იქ დაარსებულა. პატარა კოშკი დგას, აქაც იახსარს წელიწადში მარტო ამ დღეს აქვს დღეობა. მიდიან მარტო ამღიენები — მთელი სოფლის მამაკაცები. ყველას ხავწიანი ქადა მიაქვს სასანთლედ, სანთელი, ღაბისამთელო და ყამსაწირი. ლუდი მიაქვთ ტიკებით. ქალები დღეობაში არ მონაწილეობენ. ქისტებთან ეს ადგილი ახლოა და ძალიან ფრთხილად არიან. წინა დღითვე იგზავნება მზვერავები. მიდიან ღამით, რომ გათენებამდე მიაღწიონ ისეთ ადგილას, საიდანაც მტრის მოსასვლელი გზები ჩანს. დურბინდებით

ათვალიერებენ მთელი დღის განმავლობაში ამ მთების მიდამოს. ახლო ჯიხვებიც იცის და თუ ძალიან საადვილოს არ შეხვდა, ჯიხვებს თოფს შორიდან ყარაული არ ესვრის. ერთხელ ასეთმა ყარაულებმა — ბაბუტამ და გიორგიმ ორი ქისტი მოჰკლეს, მაგრამ ტყუილად, გამოირკვა რომ ერთი ცალფეხა ქისტი ყოფილიყო ხის ჯოხებით მომავალი, საბალახო მთების დასაქირავებლად (რადგან არხოტივნებს ბევრი საძოვარი მთები ჰქონდათ, ამიტომ ქისტები ქირით აყენებდენ ზაფხულში თავის ცხვარს).

ყოფილა შემთხვევა, რომ ჯიხვებიც წამოსდგომიათ თავზე ყარაულებს. დაუხოციათ და როცა საღამოზე ღამის სათევად ხალხი მოსულა, ჯიხვის ტყავ-ხორცით და რქებით სავსე სადღეობო დაუხვედრებიათ.

საღამოს ყამზე ამოვა დანარჩენი სოფელიც. იქ უიარაღოდ კაცი არ წავიდოდა, ვისაც იარაღის ზიდვა შეეძლო. ღამეს უთევდნენ ჩვეულებრივ. ღამით რაც შეიძლება კაი დროს ატარებდნენ, მხოლოდ ახალგაზრდები რიგ-რიგობით ეცვლებიან და ცეცხლიდან შორს ძანძილზე ყარაულობენ ქისტების მისასვლელ ადგილებს, ცეცხლი უნთიათ დიდი, პირიქითას თათხელი ჰქვია და შეშა იქიდან აპოაქვთ.

გათენდება დილა ისე, რომ ბევრს არც კი დაუძინია. ყარაულიც ეხსნება, რადგან ისეთი მოტიტვლებული მთა არის, რომ დღისით კაცი ჩუმად ვეღარ მოვა. სვამენ ლუდს, არაყს, სწირავენ ყამს და ახსენებენ იახსარ წვერისანგელოზს. ბერე დააყუდებენ ხავიწიან ქადებს და დაიწყებენ თოფის სროლას. ქადები დადგმულია საკმაო შორ მანძილზე და ვინც ტყვიას მოარტყამს, ქადა მას რჩება. თოფის სროლაც რომ მოთავდება, მართავენ ცეკვას, მღერას და სხვა. ძველად იქ ქალებიც თურმე მიდიოდნენ, ბავშვებიც მიჰყავდათ აკვნით, მაგრამ ერთი უბედური შემთხვევის გამო მოსპეს ქალების იქ სიარული; ერთმა ქალმა თურმე აკვნით წაიყვანა ვაჟიშვილი, როცა სახლში ბრუნდებოდნენ, ფეხი აუსხლტა, დაეცა, აკვანი ხელიდან წაუვიდა, დაგორდა და ბავშვი მოკვდა. ამის შემდეგ მოსპეს ქალების სიარული.

ყველაფერი რომ მოთავდება, ბრუნდებიან სოფელში. რომ მოუახლოვდებიან, იქ შამული არის, რომელსაც როსტიანის ყანას ეძახიან, სოფ. ამღეს ზედ დახედავს, როგორც ჯამში ჩაიხედო. იქ რომ ჩამოგროვდებიან, სოფელში ვინც დარჩენილია, გაუშლიან შამულში ნაბადს და არის იქიდან სროლა. ესვრიან ამ ნაბადს. იქაც გაუფენენ რამეს და აქედანაც ესვრიან. მერე ჩამოვლენ სოფელში, სადაც დახვდებათ ჩვეულებრივი დღეობა.

ამ ლაში სამივე ჯვარში აქვთ დღეობა, იახსარში, იახსარ სვეტად ჩამოსულში და რკენას პეტრეში. დღეობა ყველგან ჩვეულებრივი წესით მიმდინარეობს.

დავუბრუნდეთ ისევ დღეობებს არხოტის ჯვარსა და ჯაჭველში. არხოტის ჯვარში ვინც მთას არ იყო, მოიყრიან თავს სადღეობო ადგილას (ბუსნოა ბალახიანი) და იქ დასხდება ჯარი. მოიკითხავენ ლუდს და რამდენიც ეკუთვნის, ჯვარიონნიც აძლევენ. ლუდს დადგამენ საწდით და დაიწყებენ ჯარის წესით სმას.

დაღამდება და ღამისთევა ყველგან ჩვეულებრივის წესით მიმდინარეობს. ათენგენის მეორე დილას ეამს რომ სწირავენ და მეზღვნეებიც მოვლენ, მოვა თემიც (ქიმღის და ამღის მოსახლეობა). ეს დღე არის თემობა-დღე და ყველანი მოდიან. დასტურებმა წელწადში წინა შუადღეს ღალა რომ აკრიფეს, ამ ღალის ლუდი წელიწადში ორჯერ ეზადება: წელწადში და ათენგენას, და თემი ორჯერვე მოდის არხოტის ჯვარში. მათ საჯარე ადგილები აქვთ თავთავისთვის და იქ დასხდებიან. ლუდი ეძლევათ განსაზღვრული რაოდენობით. სასმელი ბევრი ეძლევათ, მაგრამ საჭმელი სულ არაფერი აქვთ. სვამენ ლუდს, პატიჟობენ სხვა სოფლის ჯარიდან ერთიმეორეს, ფანდურზე საგმირო სიმღერებს მღერიან და ასე ატარებენ საღამო ხნამდინ დროს. როცა მოსაღამოვდება, მოიხდიან კიდევ ქუდებს და შეეხვეწებიან არხოტის ჯვარს: „დალოცვილო, თუ რამე გაწყენინეთ, გვაპატიე და მეწყალმართე ანგელოზი გამოგვაყოლე". რომ წავლენ, ჯვარიონნი გააცილებენ ცოტა მანძილზე. გააყოლებენ ლუდს და ძალდატანებით დაალევინებენ. ბოლოს გამოეშვიდობებიან ერთიმეორეს და დაიშლებიან. ამავე დღეს არის ჯაჭველში შიგმდგომ დასტურთ დღეობა. სოფ. ახიელელები სვამენ საშიგმდგომო ლუდს. წესი ასეთია, რომ, როცა თემი მოდის, მაშინ არხოტის ჯვარის დღეობა მათ განკარგულებაშია და ახიელელები ხელს აღარ უშლიან. შიგმდგომ დასტურები თუ ვინ არიან, ეს აღწერილია ამაღლებას. ისინი ამაღლებას და ათენგენას ორჯერ ადუღებენ ლუდს და თითო დღეს სოფელი მათ ნადუღარ ლუდსა სვამს. თვითონ კი დღეობის ბოლომდინ ჯაჭველში არიან. მათ ტყავ-ხორცში და ყველაფერში ისეთივე წილი აქვთ, როგორც ადგილობრივ ჯაჭველის დასტურთ. ამაღლების აღწერილობაში არ არის ნათქვამი, თუ შიგმდგომი დასტურნი რომელი პურიდან ადუღებენ ლუდს; მათ აქვთ ერთი საუკეთესო მამული დაჩემებული. დასტურობა რიგით მოდის სოფელში და ვისი რიგიც იქნება, ისინი მოხნავენ ამ მამულს, გალეწავენ და ამ პურიდან მზადდება ლუდი ამღლებას და ათენგენას. ეს სწორედ ის მამულია, რომელზედაც წელწადის აღწერაშია ნათქვამი — საბეკურა ჰქვიანო: აქ მდგარა ქისტი მებეკური და ამიტომ დაერქვა საბეკურა. მერე მისცეს შემდგომ დასტურებს, რაკი მებეკური მოისპო.

ჯვარის მამულებს ბევრსა აქვს თავის დანიშნულება და ისინი იშორებენ ამა თუ იმ დღეობის ხარჯებს პურით. მაგ. „სასულთაკრეფო", რომელიც დანიშნულია სულთაკრეფისათვის და განსაკუთრებით იმ დღის ლუდისათვის ხმარობენ მის ნაღალურს, აგრეთვე „სამინდორისჯვაროს" ნაღალურსაც მინდორის ჯვარის დღეობისათვის ხმარობენ. აგრეთვე, როგორც ნათქვამია, საიფქლეების პური იხარჯება განსაკუთრებით ღამისთევისა და ყამისწირვის ქადებისათვის, ხოდაბურების ღალა კი ხმარდება ლუდს. ხოდაბური ჰქვია მამულს, რომელსაც სოფელი კოლექტიურად ხნავს და მკის. საიფქლეებს თვითონ დასტურები ხნავენ. გალეწვა-მოტანაც დასტურთ ევალებათ.

ათენგენას დღეობა იციან ჭიმღაშიც. ეს არხოტის თემის სოფელია. მისი მთავარი სალოცავია ჭიშველის ჯვარი, რომელსაც უწოდებენ „მიქიელ-ჭიშველისას". ჭიშველი ადგილის სახელია, ძალიან დიდი გაშლილი სათიბი მთაა. იქ ერთი კოშკი დგას. ლოცულობენ მარტო ერთ დღეს. ამ დღეობას ჭიშველობა ჰქვია. აქაც ბევრი ხალხი მიდიოდა ათენგენას: ქალი და კაცი. დღეობა ჩვეულებრივად ტარდება და ახალი არაფერია. აქ ერთი წლით ორი დასტური დგება. ჭიშველის ჯვარს ემსახურება მთელი სოფლის სამი გვარი — გაბუური, გიგაური და თეთრაული. დასტურობაც სამივე გვარიდან მორიგეობით არის, ბუცესი და ხელოსანი თავისი ჰყავს.

ასე მოთავდება ათენგენის დღეობა არხოტში. მხოლოდ თემობა დღეს კიდევ სრულდება ერთი წესი მგელას საფლავზე, რაზედაც ადრე იყო საუბარი.

ათენგენის დღეობის დამთავრების შემდეგ მეზღვნე ხალხი სახლში ბრუნდება. შორიდან მოსულებს ჯვარივნები გააცილებენ და გააყოლებენ ლუდს. რა თქმა უნდა, მანამ აქ არიან ჯვარიონნი, მათ სამეზღვნეო ტაბლას დაუდგამენ (აწერილია გიორგობის დღეობაში). წასვლის დროს კი გაცილებისას იმართება გასაცილებელი ფეხზე მღერა. ჯვარიონნიც უმღერებენ და წამსვლელებიც საგმიროს მსგავს სიმღერებს, ანდა საქებს.

მაგ:

„თქვენ ჩვენად რამ ჩამოგყარნათ, არწივნო, ქუშნო მთისანო,
სასტუმროდ საყვარელნი ხართ, მასპინძლად შუქნო მზისანო".

* * *

„ვაუკაცსა შენისთანასა განა აგრია სმა უნდა!
დილ-დილა მალ-მალ ადგომა, გრილსა რკინასა ცმა უნდა,
საც ქობაქნ აყეფდებიან, სოფელს სიმირგელივ ვლა უნდა".

სტუმრებიც ასეთივე სიმღერებით უპასუხებენ და თავის თასს ყველას ჩამოურიგებენ:

„მე აქა მასულა არა ვთქვი, მაძოვა ამ ბალახისა..
ეეხლა წასულ არა მწადის, გაწირვა ამ ქალაქისა“.

ასეთი სიმღერები მრავალია. მათი გაცვლა-გამოცვლით და ლუდის სმით ერთიმეორეს გამოემშვიდობებიან. ამ დღეობებში ხშირად აქვს ადგილი ჩხუბს და ხანჯლით ერთიმეორეს დაჭრას. პირიქით ხევსურეთში უფრო ხანჯალს ხმარობენ, პირაქეთ ხევსურეთში კი ხმალს, ფარს და ღაჯიას, რაც პირიქითში არც ერთი არ არის გავრცელებული და თითო-ოროლას თუ აქვს. ერთი კაცი რომ მეორეს რამეს დაარტყამს, მას სხვა მიეშველება და ბოლოს მთელი ორი გვარი ჩაებმის ბრძოლაში. თუ სხვადასხვა სოფლები არიან, შეიძლება ორი სოფელიც ჩაებას ჩხუბში. დღეობაში სიმთვრალის შიზეზით ასეთი ამბავი არა მარტო ერთხელ და ორჯელ მომხდარა. მე მრავალჯერ დავსწრებივარ ისეთ ჩხუბს, რომ ორივე გვარში დაჭრილა ოცამდინ კაცი, შეიძლება მეტიც. მაგ., ერთხელ გუდანში მოუხდთ ჩხუბი არაბულებსა და ჭინჭარაულებს. ეს იყო წელწადში და სამოცი კაცი დაიჭრა. ერთი კაცი მოკვდა ჭრილობისაგან, დანარჩენები გადარჩნენ, მაგრამ ბევრი დასახიჩრდა: ზოგს ხელი გაუხმა და ზოგს ფეხი. წარმოიდგინეთ, ამდენ დაჭრილებს ხევსურულის წესით რამდენი შერიგება, რჯული და ძროხების გადახდა დასჭირდებოდა. ჩხუბში გამშველებლის მთავარ როლს ქალები თამაშობენ, რადგან მამაკაცები ქალს ხათრიანად ექცევიან. თუ ქალმა გასაშველებლად ხელი მოჰკიდა მოჩხუბარს, ის მაშინვე ჩერდება და მოპირდაპირეს ეტყვის: მოიცა, ქალის ხელში ვარ და როცა მამაკაცი დამიჭერს, მაშინ გიჩვენებ სეირსო. ანდა ქალი ორ მოჩხუბარს თავის მანდილს გაუშლის შუაზე და მანდილის პატივისცემით მოჩხუბარნი შეჩერდებიან, ამოღებულ იარაღს ისევ ქარქაშში ჩააგდებენ და ეტყვიან: ახლა ამ მანდილოსნის ხათრი იყოს და მეორედ რომ შევიყრებით, მაშინ ვცადოთ ერთმანეთიო. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჯვარში შუღლი ხდება; იქ ქალები ვერ მიდიან. კაცები ერთიმეორეს წაექომაგებიან, გამშველებელი ცოტა რჩება და ხალხი სულ ერთიმეორეს ჩეხავს ხანჯლებით. ამიტომ არის, რომ ხევსურს ვერ ნახავთ ან ხელით არ იყვეს დასახიჩრებული, ან ფეხით. ან თვალით, პირისახე და თავი ხომ სულ დაჩეხილი აქვს ყველას. ზოგიერთს, რომელიც უფრო მამაცობით იყო ქებული, თავზე თითი არ დაედებოდა, რომ ჭრილობა არ ჰქონოდა მიყენებული. ისეთი გმირი წინათ სახელქებული იყო, ვინც ბევრს დასჭრიდა და ბევრს დაეჭრევინებოდა. დაჭრა პირაქათელ ხევსურებმა მსუბუქად და აუჩქარებლად იციან: კაცი ისე რად უნდა აჩქარდეს და შეშინდეს, რომ იარაღი მაგრა დაჭრასო — იტყვიან პირაქათელი ხევსურები, პირიქითელები კი ასე არ ამბობენ: თუ ამოვიღებ, ისე დავკრავ, რო კიდეც ეტყობოდე-

სო. შატილის ხევსურები იტყვიან: „კაცს ისით უნდა გაზდოს, რო ჯღნიან ფეკ შიგ ჩადიოდასო“ ე .ი. ისე მაგრად უნდა დაარტყას, რომ ჯღანიანი ფეხი ჭრილობაში მოთავსდესო. ისინი პირაქეთელებს დასცინიან: ციცასავით კაწვრა იციანო. წელიწადი ისე არ გავა, რომ ხევსურეთში ხუთი-ექვს ადგილას და მეტიც გვარი გვარს არ დაეჯახოს დღეობაში სიმთვრალის დროს. დღეობის შემდეგ შეხვედრილნი ჰკითხავენ ერთიმეორეს: როგორი დღეობა გქონდათ, ჩხუბი ხომ არაფერი იყოო. ისე როგორ გაიყრება სმა, რომ ჩხუბი არ მოხდეს. სიმთვრალე იციან ხევსურებში მეტისმეტი, რადგან ერთიმეორეს პირში ძალად ასხამენ სასმელს. დაათრობენ და მერე, რა თქმა უნდა, შეგნებული კაციც გაგიჟდება. მხოლოდ ჩხუბით ან სხვა რამით არეული საქმეც ისევ ჯვარში ბოლოვდება. თუ გაძნელდა და ვერ მოხერხდა მოდავეთა შერიგება, მაშინ მიმართავენ ჯვართ საშუალებით შერიგებას. რადგან ჯვარისა და მისი გამძღოლების ხათრი ყველას აქვს. თუ ამანაც არ გასჭრა, მაშინ პირდაპირ ჯვარში მოახდენენ შერიგებას.

. როცა ჩხუბი მოუვათ, მეორე დღეს უფროსი კაცები დაიწყებენ შუაკაცად სიარულს. ჯერ მივლენ უფრო დაზარალებულთან და ჩამოუვდებენ ლაპარაკს: ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ამბავი მოახდინეთ და ერთიმეორე ასე გაიმეტეთ, მაგრამ სისხლი სისხლით არ დაიბანებაო — ნათქვამია, ამიტომ წარსული უნდა დაივიწყოთ და შეგარიგოთო. დაზარალებული, ე. ი. დაჭრილი, თავის სათქმელს ეტყვის: მარტოდ-მარტო შევხვდებით ერთიმეორეს და ერთმანეთს გამოვცდით, მაშინ შევრიგდებით, თუ არა, ჩვენი შერიგება შორს არისო. შუაკაცები მერე დამნაშავესთან წავლენ და იმასაც ლაპარაკს დაუწყებენ შერიგებაზე. შეიძლება ისიც მუქარაზედვე იყოს, ან საყვედურის თქმაზე, მაგრამ შუა კაცები აიძულებენ დაზარალებულებს „პატივი მისცეს“ და თუ საიმისო ჭრილობა არის. საკლავ-პატივიც (ჭრილობების შეფასების წესები აწერილი არის). შუაკაცებმა იციან ჭრილობა რა სახისაც არის, „საკლავ-პატივი“ ეკუთვნის თუ „ხმელი პატივი“, „ხმელი საკლავ-პატივი“ თუ „სისხლიანი საკლავი“ და. იმ სახისას გამოართმევენ (ხმელი საკლავ-პატივი არის ექვსი აბაზი ვერცხლის ფული. ხმელი პატივი ერთი აბაზი, სისხლიანი საკლავი — ხბო, ბატკანი, ან ცხვარი. გააჩნია ჭრილობას, როგორი საკლავი ეკუთვნის).

შუაკაცები ბრუნდებიან დაზარალებულთან და მიაქვთ პატივი. თან ეტყვიან: ძალიან დაღონებულია და დანაშაულს ნანობსო, ამბობს, რომ ეს რომ არ ჩამედინა და ჩემი ხელით თავი მომეკლა, ის მერჩივნაო. დაუწყებენ ასეთ ლაპარაკს და ამითი გულს მოულბობენ დაზარალებულს. მერე ის პატივსაც იჭერს და შერიგებაზედაც თანხმდება. თუ დღეობა არის წაიყვანენ ჯვარში და იქ შეარიგებენ, თუ არა და დამნაშავეს მიიყვანენ დაზარალებულთან და იქ შეარიგებენ. თავის

სახლში მისულს დაზარალებული არაფერს აღარ ეტყვის. დამნაშავე ბოდიშს მოიხდის. დაზარალებული მარტო ამას ეტყვის, რომ არ მომ-ხდარიყო კარგი იყო, მოხდა და აღარაფერი ეშველება. ექიმი დამა-ყენე და მომარჩინეო. დამნაშავე ვალდებულია ექიმი მოუყვანოს და გადაიხადოს საექიმო. თუ ჯვარში შეარიგეს, დამნაშავე მიართმევს ლუდიან თასს და ეტყვის: „ეს თას შენ პატივ იყოს, დავლი (ე. ი. და-ვაშავე) შენთან საქმეი, არ მამჯდომიყვ, კა იქნებოდა, მამიჯდა, ქვე აღარა ეშველების ნანობითო. მე იმედი მაქვ, რომ მაპატიებ, მე წინ გიდგეორ, თეთრი ოქროთ აგილესავ". ვითომ მე ძვირფასი რამით გა-დავიხდი მაგ შენი ჭრილობის ფასსაო. დაზარალებულიც ცოტას დაემ-დურება, გამოართვანს თასს, მასვე ადღეგრძელებს და დალევს. ეს არის პირველი შერიგება. ჭრილობის მორჩენის შემდეგ დასვამენ რჯულის კაცებს და საბოლოოდ მაშინ გაირჩევა საქმე (ჭრილობების ფასები და რჯულის წესები ყველაფერი სხვა ადგილას არის აღწე-რილი). ჯვარში შუღლი ხშირ შემთხვევაში მოსისხლეობამდე მიდის, ე. ი. „მამკლავ-მამკვდრობამდინ", და აქვე ჯვარში თავდება ეს მტე-რობაც.

ჯვარისავე საშუალებით ხდება ხანდახან ქალის დანიშვნაც. ხან-დახან ქალს რომ ვერ ურიგებდნენ ვინმეს შუაკაცების საშუალე-ბით, ხუცესს გააგზავნიდნენ, რომელიც წაიღებდა სახუცო კოკობს, ან სხვა რამე პატივსაცემ განძს რომელიმე ჯვარიდან. ამის ხათრის გამო საქმეს არიგებდნენ და ქალს ათხოვებდნენ (თუ მშობლები და ნათესავები მოისურვებდნენ, ქალს გათხოვება სულაც არ ეკითხე-ბოდა, თვითონ ათხოვებდნენ, სურდა თუ არა ქალს). ჯვარის გამძღო მშობლებს და ნათესავებს დაითანხმებდა და ქალი ხმის ამომღებიც არ იყო. ასე ბევრი რამ იყო დაკავშირებული დღეობებთან და ჯვარ-თან.

თიბისთავი

ათენგენის შემდეგ მოდის „თიბისთავი".

თიბისთავის დასტურობაც სოფელში რიგით მოდის. დასტურები ორნი არიან. ისინი ამზადებენ მარტო თიბისთავის ლუდს. პური მი-აქვთ არხოტის ჯვარიდან და სვეც დამზადებული აქვთ საამისოდ. საკლავები კი სოფელს ჰყავს ნაშოვნი — ოთხი. ამ ოთხ საკლავს, თუ მთაში ვისიმე ცხვარი დგას, იმის საბალახეში აიყვანენ, თუ არა, მა-შინ სოფელი ყიდულობს ნატურით, უფრო პურით, სამ საკლავს. ერთი საუკეთესო მსუქანი და დიდი ჭედილა კი „მემთემ" უნდე მის-ცეს სოფელს და ამას „სათაო" ჰქვიან.

ლუდი რომ იდუღებს, ხუცესი ამ ლუდს საქვაბეში შახყრის და აქ აფუვლებს. ამ დღეობაში არც დიასახლისი მივა და არც ხავიწიანი ქადა იციან. ღამისამთელო-ჟამისაწირად გამოაცხობენ ,ყველის ან ხორცის ქადებს. აცხობს სოფელში დასტურის ოჯახის წევრი დიასახლისი და მიაქვთ ჯვარში. ხორცის ტაბლისათვის სოფლიდან ყველას მიაქვს თითო სატაბლო პური.

თიბისთავი ათენგენის მოკლე ხანში იციან. ეს დღეობა მოძრავია და როცა სოფელი გადაწყვეტს, მაშინ იდღეობებეხ. მხოლოდ თიბვის წინ უნდა იყოს. თიბისთავი იმიტომ ეწოდება, რომ თიბვად გასვლის სამხვეწროდ არის განკუთვნილი. ჯვარს სთხოვენ მშვიდობიან თიბვას. დასტურები თიბისთავის წინა საღამოს მიიტანენ ღამისამთელოს. ხუცესი ლუდიან კოდს ხსნის ისე, როგორც აწერილია სხვა დღეობაში. კოდის გახსნის შემდეგ უთევენ ღამეს და შეასრულებენ ყველა იმ წესებს, რაც აწერილია გიორგობის ღამისთევაში. მეორე დილას ჟამისწირვაც ასეთივე წესით ჩატარდება. ჟამისწირვის შემდეგ მოვა სოფელი, მარტო მამაკაცები. სოფელი მოიყვანს ოთხ საკლავს. საკლავები უნდა იყოს ძალიან მსუქანი. ყველაზე უკეთესი, სათაო არხოტის ჯვარისათვის იკვლება. ჟამისწირვის შემდეგ ხუცესი პირველ საკლავზე ახსენებს არხოტის ჯვარს და ჩვეულებრივ ხუცობას უმატებს: „წელ მშვიდობისა დაუყენი, დალოცვილო. მშვიდობით აღებულ ცელი, ნამგალი მშვიდობით დაადები“.

საკლავის დაკვლის შემდეგ ჯერ ხუცესი დაამწყალობნებს და მერე ყველანი ერთბმად აქოთქოთდებიან: „გწყალობდათ ახიელთ ტახტის ყმათ (თიბისთავი არხოტის ჯვარში იციან). საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ მიქიელის დავლათმ. წელ მშვიდობისა დაგიყენასთ, თვალი-გულ ნუ ვისა მაგრიოსთ, მშვიდობით აღებულ ცელი, ნამგალი, მშვიდობით დაგადებიოსთ. თქვენ მაგცასთ წყალობა წეულს[1], მწყედეულს[2], ჯემწიფის კარის მლოცავს. ჯვარიონთ მაგცასთ წყალობა. დასტურს დასტურობა ნუ შაგანანას, ხუცესს ენა-პირ გიკურთხას, შაუცოდრად, შაუწყენრად შაგინახას, ჯელოსან დიდხანს გაგიყოლას“. ეს დამწყალობნება რომ მოთავდება, გაატყავებენ საკლავს თიბისთავისათვის.

მეორე საკლავი აქვე იკვლის მთიშეშაგისათვის, მესამე საკლავი კვირაისათვის (იქვე არხოტის ჯვარში არის კვირაის ნიში ცალკე), და მეოთხე ჯაჭველისათვის. გიორგის საღღეობო ახლოს არის, იქ მოჰყავთ საკლავი, რომელსაც ჯაჭველის ხუცესი კლავს. სამს საკლავს კი არ-

---

[1] „წეულს“ — წვეულს, მოწვეულს.

[2] „მწყედეული“ — შემთხვევით, მოუწვევლად აქ მოხვედრილი, ამ დროს იქ მყოფთა სურვილის გარეშე.

ხოტის ჯვარის ხელოსანი ანუ ხუცესი დაკლავს (ხელოსანი მედროშავეს ჰქვია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ხუცესსაც უწოდებენ). საკლავს სხვა ჯვარის ხელოსანი სხვა ჯვარში იშვიათად დაკლავს. ამბობენ, რომ სხვა ხელოსანს ე. ი. ხუცესს ნება არა აქვს სხვა ჯვარის საკლავი იხუცოსო, და თუ უკიდურეს შემთხვევაში იხუცა, ძალიან ეხვეწება ჯვარს — ნუ გამიწყრები შამაძახილზე და ხსენებაზეო.

საკლავები ყველა ჩვეულებრივი წესით იკვლება, ხუცობაც ჩვეულებრივია და დამწყალობნებაც. დასტურები ატყავებენ საკლავებს, ტყავებს შეინახავენ, ხოლო ხორცს მეხორცეებს აბარებენ. მეხორცეები ხორცს დაჭრიან ასო-ასოდ და ოთხივე საკლავს ერთ ხარჩამაუალ ქვაბში მოხარშავენ. ვიდრე ხორცი მოიხარშება, ჯარი სხდება და იმართება სმა, ფანდურზე საგმირო სიმღერების მღერა, ფეხზე შეძღერება და სხვა. ხორცი რომ მოიხარშება, დააგებენ ტაბლას: პურებს დააწყობენ გრძელ ფიცარზე, ხორცსაც დაანაწილებენ და დააწყობენ პურებზე, თასებს გაავსებენ ლუდით, დაკრავენ სანთელს და დადგამენ ტაბლაზე. ხუცესი დადგება და იხუცებს. ხუცობის მოთავების შემდეგ დაამწყალობნებს ხუცესი და მერე ყველანი აპყვებიან: „გწყალობდასთ ახიელელთ ტაჭტის ყმანი, საწალმართოდ მაგიარასთ, მშვიდობით გამყოფნასთ, წელ მშვიდობისა დაგიყენასთ, მშვიდობით აღებულ ცელი, ნამგალი მშვიდობით დაგადებივასთ, ყური მაყურებელს მაგცასთ. წყალობა წეულს, მწყვდეულსა-დ, ყმეწიფის ქარის მლოცავს, ჯვარიონთ გწყალობდასთ. დასტურს დასტურობა ნუ შაგანანას, ჯელოსან დიდხან გაგიყოლას. ხუცესს ენა-პირ გიკურთხას. შაუცოდვრად, შაუწყინრად შაგინახას“.

მერე აიღებენ სადიდებელთ ხელში და ერთბაშად ყველა კიდევ მოახსენებს: „თქვენა სამთავროდა, თქვენა გასამარჯოდ შაიკმარეთ, მიქიელ მთავარო ანგელოზო, მესუფრენო ანგელოზნო და დიდო კვირაე, ეს სადიდებლები, პურ-სუფრა. თქვენ თქვენს მეხვეწურთ ახიელელთ სამწყალობნოდ ხთის კარზე შაიტანეთ, ბაგითამც დიდი ხართ თქვენის გამჩენის ხთის კარზე, თქვენიმც ძალი, სახელ დიდებისა-დ ჯსენდების“. ყველანი თასებს მაღლა აასწევენ და იტყვიან: „მაგითამც დიდნი ხართ თქვენის გამჩენის ხთის კარზე“. ცოტა ხანს შეჩერდებიან და იტყვიან: „ჯვართ დიდებაი, მეხვეწურს წყალობაი“ და დალევან ყველანი, ფეხზე მღერა არ მოჰყვება, რადგან პურის ჭამა უნდა დაიწყონ და მღერა უნდა კარახანის დალევაში.

ბალხი დასხდება. ხედამდეგები ყველას პურს გაუტეხენ ხელში და იტყვიან: „ღმერთო, გაუმარჯვი მიქიელსა, მესუფრეთ ანგელოზთ. თქვენი წყალობა მიეცით ახიელელთ, დაადეით წაღმ. გაუმარჯვეთ ფეჯზე მდგომებსაც, თქვენი წყალობით შაინახენით, ჯელ-ფეჯ მტერზე მაჯამარით შორიელზე“ და შეუდგებიან ჭამას.

სუფრაზე ზედამდეგები კარახანას დადგამენ. ჭამას ვინც გაათავებს, კარახანას იღებს ხელში და ილოცება: „გამარჯვება ჭემწიფესა მესუფრეთ ანგელოზთ, იმის წყალობა გქონდასთ ყმათ, საწაღმართო მაგიარასთ, მშვიდობით შაგინახნასთ, წელ მშვიდობისა დაგიყენასთ, მშვიდობით აღებულ ცელი, ნამგალი მშვიდობით დაგადებიკასთ, სტუმარს მაგცასთ წყალობა, ჩვენჩი დამწყვდეულს, სასტუმროდ სანახავად ნუ დაგლივასთ". (აქ ვინმე მოსულია სხვა სოფლიდან, სტუმრად ის ითვლება). ამ სიტყვების შემდეგ დალევს ცოტას. ამავე დროს ერთი ზედამდეგი უკრავს ფანდურს და იმართება ფეხზე საგმირო სიმღერების მღერა. იმღერენ ჯერ ზედამდეგები და მერე თასიანებიც, რომლებიც თავ-თავიანთი თასებიდან ზედამდეგებს ასმევენ ლუდს. სმით და ყველა წესების შესრულებით ვითავრდება ეს სუფრა. ამის შემდეგ ზედამდეგებს დასვამენ და აჭმევენ პურს ყველა ტაბლის წესების დაცვით, როგორიც არის კარახანა, ფეხზე მღერა და სხვა. ბოლოს ჯვარს მადლს ფოსთხოვენ და წავლენ თავ-თავიანთ სახლებში. სათიბად ყველა ერთბაშად გავა სამშაბათ დღეს.

თიბვის სამშაბათი

თიბის სამშაბათისთვის ხალხი ამზადებს მამაკაცებისათვის ცელებს, დედაკაცებისათვის ნამგლებს. მამაკაცები თიბავენ ცელით მთაში, ხოლო ქალები ბარში ნამგლით, რასაც ეწოდება „ჭენცვლა".

სამშაბათისათვის ახალი მიცვალებულის პატრონი ამზადებს არაყს და სუფრას (ახალ მიცვალებულად ხევსურეთში ითვლება, რომელსაც სიკვდილის შემდეგ ერთი წელიწადი არ გათავებია). ასეთი მიცვალებულის პატრონის ხათრით დილით სამუშაოზე არავინ წავა. იგი დილას სოფელში ყველას დაპატიჟებს— ქალსა და კაცს. კაცები დასხდებიან თავისთვის, ქალები კი გაშლიან „ტალავართ" და ტირიან; თუ ვაქკაცია, ასე მოთქვამენ: ადექი, ხალხი სათიბად ემზადება, შენ კი წევხარ და სხვ. ტირილის გათავების შემდეგ ყველას აჭმევენ პურს. ხავიწი ექნებათ დამზადებული, ან ფაფა და იმას დაუდგამენ ტაბლაზე ჯამებით. არაყსაც დაალევინებენ. ეს ყველაფერი ილოცება მიცვალებულისათვის იმავ წესით, როგორც სულთაკრეფას არის აწერილი. ამ ოჯახს თუ მუშახელი არა ჰყავს, პურის ჭამის შემდეგ მთელი სოფელი წავა მის სათიბზე და ყველა უშველის თიბის სამშაბათ დღეს. თუ მუშახელი ოჯახში საკმარია, მაშინ კი თავ-თავიანთ საქნეზე წავლენ. თიბისთავი იციან მარტო ორხოტის ჯვარში. ვიდრე აქ თიბისთავი არ იქნება, არც ერთ სოფელში სათიბად არ გავლენ. ამის შემდეგაც უყურებენ იმ სამშაბათს, როდესაც ახიელლები გავლენ სათიბად და დანარჩენი ორი სოფელიც მაშინ გავა. ეს იმი-

ტომ, რომ არხოტის ჯვარი მთელი თემის საერთოა და ახიელლები უფრო მახლობელ ტახტის ყმად ითვლებიან. მათ უფრო უნდა უხელმძღვანელონ ასეთ საერთო სათემო საქმეს. მანამდე სათიბად გასვლა არხოტის ჯვარისა და მის ყმათ წინაალმდეგობას ნიშნავდა. ეს ამბავი კი ოჯახის დაქცევის მომასწავებელია. დასტურებს იქვე, სოფლის ახლო-მახლო, აქვთ ჯვარის მამულების ყამირები და ყანის პირები მოსათიბი, სხვა ხალხს — თავ-თავიანთი სათიბი მთაში და ბარში. სამშაბათიდან შეუდგებიან და მუშაობენ სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს. პარასკევი, შაბათი, კვირა და ორშაბათი, ოთხი დღე, უქმე დღეებია თიბვა-მკის დროს (ამისი მიზეზი და წესები აღწერილია ზემოთ).

„უქმის ნათვლა" იციან ცხვრით, ციკნით და თხითაც. თხას და ციკანს ვინც დაკლავს, აძლევენ ორი დღის მუშაობის ნებას და ვინც ცხვარს — სამი დღის მუშაობისას.

ციკანს ორნი საზიაროდ დაკლავენ და ორივენი მუშას შეჰყრიან. ერთერთი ახლა დაკლავს, მეორე კი მეორე მუშის შეყრის დროს. ორჯერვე ორივე მეკომური ამუშავებს მუშას. დანარჩენი წესები ზემოთ არის აწერილი. უქმის გამტეხს მოკვეთაზდინ მიუვა საქმე. სოფელი ბოიკოტს გამოუცხადებს და მას ალარაფერში გაიკარებენ სიახლოვეს, საქონელსაც კი გამოურჩევენ სოფლის ნახირიდან.

მარიანობა

თიბისთავის შემდეგ მოდის დღეობა „მარიანობა".

მარიანობა ისეთივე ჩვეულებრივი დღეობა არის, როგორც სხვა პატარა დღეობები. მარიანობა იციან მარტო არხოტის ჯვარში. პირაქეთ ხევსურეთში იგი სათემო ჯვარებში უფრო იციან. ამ დღეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა არსად არა აქვს. ღამისთევა, ქამისწირვა, მეზღვნეების მოსვლა, ამ დროს ხუცობა და ყველა წესების შესრულება ისეთივეა, როგორც გიორგობას არის აწერილი. მარიანობა არის უძრავი დღეობა, არ ააცილებენ მარიამობის თვის თხუთმეტს. დღეობები მოძრავია, რომლებსაც აკვსებასთან აქვს კავშირი. მაგ. აღება, აკვსება და მარხვაში პატარ-პატარა უქმე-დღეობები: სულთაკრეფა, კუდიან-წუხრა, თაგვ-ჩიტთ უქმი, მგელთუქმი, ამაღლება, ხალარჯვება, ურწყნი. ეს დღეობები ჰყვება აკვსებას. დანარჩენი დღეობები კი უძრავნი არიან. თიბის სამშაბათი, თიბისთავი და სხვა ასეთები ხალხის გადაწყვეტილებაა, თუ როდის მოისურვებენ. მარიანობას დროშა არხოტის ჯვარში არ გამოჰყავთ. ჯაჭველში და ფთიშეშაგში ხომ ეს დღეობა საერთოდ არ იციან.

შარიანობის შემდეგ მოვა დღეობა „ენკენია“.

ენკენიაც არის ძალიან პატარა დღეობა. სრულდება მარტო არხოტის ჯვარში. სიტყვა ენკენია რას ნიშნავს, ვერავინ შეითხრა. ეს დღე აუცილებლად ხვდება თოთხმეტ სექტემბერს (ქრისტიანულად მაშინ არის „ჯვართ ამაღლება“). ამ დღეობაში იციან ყველა ის წესები, რასაც ასრულებენ სხვა დღეობებში. ენკენიას არხოტის ჯვარში ძველ დასტურს ყავლი გაუდის და ახალი ენაცვლება. ძველი დასტურები ამ დღეობაში ყველაფერს აბარებენ ახლებს ანგარიშით — როგორც არის თასები, პური, სხვადასხვა განძეული. დასტურები გადაბარების დროს ერთ თხას კლავენ მიქიელის ლაშქარ-მწევართად და სთხოვენ პატიებას, რაც აწყენინეს ამ ერთი წლის განმავლობაში. ამ დღეობაში დასტურები ძველებიც არიან და ახლებიც. ძველებისაგან ახლები ღებულობენ დარიგებას, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ჯვარში. რამდენი დასჭირდებათ ერბო, სვე, ქერი, შეშა და სხვა; აგრეთვე ასწავლიან შიგნით დარბასში რა წესით უნდა მოიქცნენ, რა ევალებათ მათ, რა არის უფრო საშიში, რომ არხოტის ჯვარი არ განრისხდეს. განაწილების დროს ნახორი, ხორცი, ტყავი და სხვა ვის რა ეკუთვნის: ერთი სიტყვით, ძველ დასტურთ რაც თავზე გადახდენიათ, ყველაფერს უჩსნიან და უამბობენ მომავალ დასტურებს. ძველ დასტურთ ევალებათ მარტო ერთი ქვაბი ლუდის დულება. ლუდს ადუღებენ წელწად-ღამეს მეკვლეთათვის. ამ დასტურთ ჰქვია მეკვლე-დასტურნი. მეკვლეთ წამოსვლამდე არიან იქ და მერე საბოლოოდ თავისუფლდებიან. მეკვლეთ დასტურნიც თან გამოჰყვებიან და მიდიან შინ. ენკენიას გამოლოცვის დროს დიასახლისი კლავს ერთ ხაჯლავს და ნათლავს სისხლით ყველა იმ გზას, სადაც ჯვარში დადიოდა, იქიდან მოყოლებით, სადაც პირველად ბოჭოლებზე ანთებდა. ყველაფერს სისხლსა სცხებს, რაც ჯვარში მას ხელში აუღია, მაგ., ვარცლი, საცერი, ასტამი, ზედგანი და სხვა. ენკენია არის უკანასკნელი დღეობა. ხუცესი კი მუდმივია. ხუცესი შისული ყარს ჯვარში ყოველთვის გიორგობას. როგორც ზემოთ ნათქვამია, ახალი დასტურები მიდიან მკითხავების რჩევით, აგრეთვე მედროშე-ხელოსანიც.

თუ ახალგაზრდა ავადმყოფობს და ის ხელოსნად არ ყოფილა, მკითხავი მაშინვე ხელოსნობას უმკითხავებს. თუ მემკვიდრეობით ხუცესები იყვნენ მისი წინაპრები, მაშინ კი ხუცობას ეტყვის. დასტურობა კი, როგორც ზემოთაა ნათქვამი, რიგ-რიგობით მოუდით. დასტურები შულტს და ჩხანჩხს თვითონ მოიყვანენ, ვინც სურთ, რაკი ოვედი აქვთ, რომ ესმით რამე ჯვარში სამსახურისა, საჯვარო წესებისა და ამავე დროს გამრჯელნიც არიან. ასეთია ენკენიას დღეობა.

ენკენიის შემდეგ მოვა „ქარისუქმი". ქარისუქმი არის ამავე ენკენიის თვეში, დაახლოებით ენკენიის სწორზე. მას ხევსურები ძალიან მაგრად უქმობენ. სწამთ, რომ ვინც ქარისუქმს არ იუქმებს, იმის ძნებს და თივებს ქარი სულ გაანადგურებს, ნამეტნავად არხოტში ძალიან ქარი იცის, კავკასიონის ქედზე თითქმის ყოველდღე გადმოწვება ნისლები. შემოდგომით და ზამთარში ისეთი ძლიერი ქროლა იცის, რომ მიწა იძვრისო — ეგონება კაცს, და აუცილებლად აზარალებს თივას, ძნას და სხვა. ამიტომ თუ ვინმე ქარისუქმს გატეხავს, სულ იმას დააბრალებენ: მაგან უქმი გატეხა და იმაზედ მოუვიდაო.

ქარისუქმს ახვედრებენ ყოველთვის ხუთშაბათ დღეს. პარასკევი, შაბათი, კვირა და ორშაბათიც ხომ თიბვა-მკის დროს აქვთ შენახული და ხუთშაბათიანად ერთ კვირაში ხუთი უქმე გამოდის. ოთხშაბათს შუადღის შემდეგ დაიუქმებენ და ამიტომ ეძახიან ამ კვირას „დღენახევარათ", ვითომც საქმის დღე ამ ქრისუქმის კვირაში დღენახევარი არისო. ხევსურები ქარისუქმის კვირაში შიდიან ყველგან, სადაც სამგზავროდ უნდათ წასვლა. ნამეტნავად ის პირიქითელი ხევსურები, რომლებიც კავკასიონის მთის ჩრდილო კალთებზე მოსახლეობენ. სექტემბრის თვის გასულს კავკასიონი ამ მხარეში უკვე მოთოვილია და გზები შეკრული მაისის გასვლამდე. ამიტომ არის საჭირო, რომ შატილის და არხოტის თემების ხევსურებმა სექტემბრის ბოლო რიცხვამდინ ზამთრისათვის ყველაფერი მოიმარაგონ — ნავთი, მარილი, თუ აკლდებათ პური, მატყლი ზამთარში ქალების ხელსაქმისათვის.

აი, ამ მიზნით იყენებენ ხევსურები ქარისუქმის დღეებს. დასტურები ამავე უქმეებით სარგებლობენ და მოაქვთ სვე კავკავიდან და კახეთიდან. ამით ამოიწურება არხოტში დღეობათა წლიური რელიგიური კალენდარი — გიორგობიდან გიორგობამდე. გიორგობა პირველ დღეობად იმიტომ არის აღებული, რომ დასტური მაშინ იცვლება.

წვრილმანი სალოცავები არხოტში

ხევსურეთის მთავარი სალოცავები ყველა აღწერილია. საჭიროდ მიმაჩნია წვრილმანი სალოცავების აღწერაც. მაგალითად: სოფელში ზოგიერთი სალოცავები აღარ არის, რაიმე მიზეზის გამო გაქრა, დაიკარგა; მაგ., გვარი შემცირდა და დანებეს თავი ლოცვას, ამიტომ ეს სალოცავი აღარავის ახსოვს. ზოგიერთ ადგილებში ისევ არსე-

ბობენ ასეთი წვრილმანი სალოცავები. მეტ ნაწილს ამგვარი სალოცავებისას მუშს უნთებენ, ზოგს კი სანთელს.

ხთიშობელი. სოფ. ახიელში ყოფილა სალოცავი „ხთიშობელი", შუა სოფელში. ხთიშობელს მარტო ბალიაურები ლოცულობენ. აქ ისეთივე გაძლიერებული ლოცვა ყოფილა, როგორც სხვა ჯვარებში და ისევე ყველა წესები სრულდებოდა დღეობებში, როგორც სხვაგან. ყველაზე დიდი შესაწირავი ხარია და ამ ჯვარში ხარსაც კი კლავდნენ (ხარს პირველ ხარისხოვან ჯვარებში კლავენ). იყო ერთი მოხუცი ქალი — ბალიაური მზია, რომელიც ჯვარის ამბავს ხშირად მოყვებოდა ხოლმე. ამბობდა, თუ როგორი დღეობა იცოდნენ, როგორ ლოცულობდნენ და სხვა. ამასთანავე ყოველთვის გულმტკივნეულად და ჯავრიანად იტყოდა: ჩვენ ხთიშობლის ლოცვას არ მოვიშლიდით, მაგრამ დათვიამ 'გადმოთხარა და ჩვენაც თავი დავანებეთ. ვამბობდით — თუ ძალა გაქვს, შენ საქმეს თვითონ მოუარე და შენს გადმომთხრელს სამაგიერო „სიკეთე" გადაუხადეო.

დათვია თურმე სთხრიდა სახლის საძირკველს და სასახლე ადგილში მოჰყვა ამ ჯვართ ნიშიც. ბალიაურებს გვარი არ ჰყავდათ. იმ დროს მარტო ერთი კაცი იყო დარჩენილი — გაგა და მან დათვიას წინააღმდეგობა აღარ გაუწია. უკანასკნელმა სახილი გაიკეთა და გაგამ უთხრა: შენ იცი და მაგ სალოცავმაო. ამბობდნენ, რომ დათვიას კარგად არ წაუვიდა ამის გამო საქმე, ცოლ-შვილიანად ამოწყდა, რადგან ხთიშობელი ჰყავდა 'გამწყრალიო. მზია იტყოდა: მახსოვს, ბოლო დროს ამ სალოცავში თეთრი ხარი დავკალითო. გადმოთხრის შემდეგ კი აღარაფერი დაგვიკლავს 'და არც დღეობა გადაგვიხდიაო.

დღესაც ახსოვთ მცხოვრებლებს ,ეგ ადგილი სად იყო. ბავშვებს ამ ჯვართ ნამყოფ ადგილზე არ უშვებენ. ამბობენ, ეს ადგილი რომ გადმოთხარეს, მერე სალოცავიც „გამიწრივლდაო". გამიწრივლება ჰქვია იმას, რომ ადრე ანგელოზის სახით მყოფი 'ხატი მას შემდგომ, რაც რაიმე მიზეზით ხალხი მის ლოცვას თავს დაანებებს, ეშმაკად გადაიქცევა. წინათ თუ ,მას ადამიანისათვის დახმარება შეეძლო, ახლა ვნების მეტი აღარაფერი შეუძლია. ბალიაურთ ჯვარნი რო გამიწრივლდნენო, — ამბობენ მკითხავები, — იქვე მდგარ ქვითკირის ნანგრევის კუთხეში ცხოვრობს ქალის სახითო. ქალს ვხედავთ ამ ნანგრევებშიო, ,იტყოდნენ. ამ ქალს შწვანე ტანსაცმელი აქვს და ეძებს, თუ რა ვის ავნოსო. ამ გამიწრივლებული სალოცავის სახელზე ხანდახან იცოდნენ მოლოცვა მუშის ანთებით მზის ამოსვლისა და მზის ჩასვლის დროს. იმ ადგილის ახლოს ბავშვებს არ 'უშვებენ. ხევსურების რწმენით, თუ ამ დროს ბავშვმა გაიარა ამ მხარეს და ეს ჯვარ-ეშმაკი შეხვდა, „დოყვი", ე. ი. მუწუკები, დაედებაო. თუ მუწუ-

კი რომელიმე ბავშვს გადაედო, მკითხავი ეტყვის და ამ ეშმაკს „სალოცავებს“ მოუნთებენ.

ერთი დიდი ქვა არის ჩვენი სახლის ეზოში და აქ ყოფილა პატარა სალოცავი, რომელსაც მუშს უნთებდნენ. იმ ადგილზე ქალის ახლო მისვლა არ შეიძლებოდა. მამაკაცებიც თურმე ერიდებოდნენ ამ ადგილს მისი წმიდად დაცვის მიზნით, ბოლოს ერთ ქალს, სახელად ნანუკას, შემოუტანია სამრეცლოში ნაცვამი „უწმიდური“ სადიაცო და იმ სალოცავის კლდეზე დაუდვია. იმის შემდეგ გაქრაო, იტყოდნენ ის სალოცავიო. ნანუკა ძალიან ჭკვიანი ყოფილა და სწორედ იმ მიზნით დადო იქ ის სადიაცო, რომ ეს „დობილნი“ მოეშორებინათ (ასეთ ჯვარებს „დობილთ“ ეძახიან) და მოიშორა კიდეც. ახლა აღარ არის მისი ხსენება.

ერთი დობილნი კიდევ არიან ჯაჭველის სალოცავის მარჯვეს, მარიემწმიდასთან. იმ არე-მარეზე ქალები სულ არ გაივლიან ,მხოლოდ სალოცავებს მოილოცავენ მუშის ანთებით. „სალოცავებს“ გამოაცხობენ (პატარა-პატარა ყველის ან ხაჭოს გულიანი ნამცხვარი) ხუთ ცალს. მოხუცი ქალი მივა, დააწყობს ქვდებს, აანთებს მუშს და დობილთ შეეხვეწება: „გვიშველეთ, დალოცვილნო, ჩვენს კაცსა-დ საქონსაც, ნუ რაით დაგვამარცხეთ, ნუ ვის ფეკის ნალით“. მუშს აანთებს და როცა დაიწვება, პირჯვარს დაიწერს და დაბრუნდება უკან. თუ გზაში ბავშვები შეხვდებიან, ამოიღებს უბიდან სალოცავებს და თითოს დაურიგებს, ამიტომ ბავშვები რომ დაინახავენ, სალოცავებს ვინმე ანთებსო, გზაში შეხვდებიან, რადგან მათ ამ სალოცავებით დაასაჩუქრებენ.

თათართ ჯვარანი. ჯაბუშანურებშა გადმოცემით იციან, რომ მათი წინაპრები თათრები ყოფილან და მერე გაქრისტიანებულან. სასაფლაო მათ გვარს დღესაც ცალკე აქვს სხვა დანარჩენი თემისა და სოფლის მცხოვრებთა სასაფლაოსაგან. ამბობენ, რომ თამარ მეფე როცა არხოტში მოსულა, მაშინ ხალხის ყრილობა მოუწვევია და უკითხავს: აქ რამდენი ქართველი ქრისტიანი ცხოვრობს და რამდენი თათარიო (მაშინ ის თათრები ისევ მაჰმადის რჯულზე ყოფილან). ხალხს უთქვამს, ვინ რამდენიც იყო. მერე თამარ მეფეს უთქვამს: ცალკე თათრები დადექითი და ცალკე ქართველებიო. ისინიც ცალ-ცალკე დამდგარან.

თამარ მეფეს ცალკე მოუზომია ქრისტიანებისათვის სასაფლაო და თათრებისათვის ცალკე. ქრისტიანების სასაფლაო უკურთხებიათ, თათრების სასაფლაო კი ისე მიუჩენია მათთვის. მას აქეთ ახიელლებს ცალ-ცალკე აქვთ სასაფლაო. რაკი თამარის მიერ არის მიჩნეული ეს სასაფლაოები, იმ ადგილს არც გასცილდებიან. ამიტომ ზოგიერთ

საფლავში ხუთი-ექვსი ადამიანის ჩონჩხი აღმოჩნდება ბოლოე. ახალს დამარხავენ და ძვლებსაც იქვე ჩაყრიან ძველი მიცვალებულისას.

ამ თათრებს სალოცავიც ცალკე ჰყოლიათ სოფლის მოშორებით. მას „თათართ ჯვარათ" ეძახოდნენ. მისი დარბაზის ნანგრევი კიდევ არსებობს და დღესაც ძველი სახელი აქვს შენარჩუნებული ამ ადგილს. ბაგრამ იქ ლოცვა სრულიად აღარ არის. ეტყობა, როცა ქრისტიანებულან, მას შემდეგ დაუნებებიათ ამ ადგილში ლოცვისათვის თავი. თურმე აქ ძალიან კაი დღეობა სცოდნიათ: ადუღებდნენ ლუდს, დაპატიჟებდნენ სოფლიდან სხვა ხალხსაც და ატარებდნენ დროს ძალიან დიდ ხანს. ზოგიერთი დღეობა კი კვირით-კვირობამდე გრძელდებოდა, იტყვიან. ეს სადღეობო ადგილი სოფლიდან ერთი კილომეტრის მანძილით არის დაშორებული. ძვლები იტყოდნენ: იქ ისე ბმაბაღლა მღეროდნენ ფანდურზე, რომ სოფელში ისმოდაო.

დღეს კი იმ ადგილზე ერთი ნასახლარი ეტყობა, რომელშიც მაშინ დარბაზი ჰქონიათ. მათი ჩამოშავლობიდან ორი კომლი კიდევ არის არხოტში, სოფ. ახიელში. იმ თათართ ჯვარათ მიდამოებში მათ ისევ აქვთ შამა-პაპისეული შამულები. მამა-პაპის სალოცავის ლოცვა კი დავიწყებული აქვთ. ახლა ამ გვარის ხალხი შემკვიდრეობით ხუცესები არიან არხოტის ჯვარში.

თაკიათ ჯვარანი. სოფ. ახიელში ერთ ნასახლარში იყვნენ „დობილნი". იქ მისვლას ან ქვის სროლას ძალიან გვიშლიდნენ ბავშვებს. ხნიერი ქალები და დედები გვეტყოდნენ, რომ იქ ვინც ქვას ისვრის, ან დადის, იმას „დოყვი გაუჩნდება, დაიკელთებაო" (გაგიჟდებაო). იქაც იცოდნენ სალოცავების მოლოცვა მუშით. ამ დობილთ „თაკიათ ჯვარათ" ეძახდნენ, რადგან მის ახლო ცხოვრობდა ერთი ოჯახი, რომელთაც თაკიანი ერქვა. თაკიათ ამოწყვეტას ამ დობილთ აბრალებდნენ. ბოლო ხანს ამ ოჯახმა სახლი სხვაგან გადაიტანა დობილთ შიშით. სახლის დანგრევის შემდეგ იმ სალოცავისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, ყველას დაავიწყდა და მოისპო. ახლა ამ ადგილზე კარტოფილი ითესება.

არხოტში იცის მოცვი, რომელსაც იქაურად შალშავს ეძახიან. შალშვის დასაკრეფად ბავშვები დაიარებიან. იმ გზაზე სალოცავია, რომელსაც „უ ფ ა ლ ა თ" ეძახიან. იგი წამოსრილი კლდეა. ბავშვები იმ უფალათ შეეხვეწებიან: „დალოცვილნო უფალნო, ნუ დაგვიშლით დაწილულს (მოკრეფილს), ნუ დაგვიშლით (ნუ დაგვიბნევთ) შალშავასა-დ, რომ გამოვიცლით, თქვენს წილს არ გაგყრით". წავლენ, შალშავით აავსებენ ჭურჭელს და იმავე გზით დაბრუნდებინ. სალოცავთან რომ მივლენ, ამოიღებენ „კოფადან" (ხის პატარა კასრი) შალშავს, წაუსვამენ უფალთ კლდეს და იტყვიან: „ნუ დამიშლით, უფალნო, კლოვაც კიდე მაგისომთა". შალშავი კლდეს სულ შავ ფე-

რად შეღებავს. ბავშვებს სწამთ, რომ თუ არ წაუსვმენ „უფალათ“, შალშავი დაებნევათ.

საკვირაო. საკვირაო არხოტის თემში სოფ. ამღაშია. აქ მდინარის პირზე ერთი ძალიან ცივი წყარო არის. მთაში ამისთანა ცივი და უწყინარი წყარო არ მოიპოვება. ამ წყაროს „საკვირაოს“ ეძახიან, რაკი ხალხური თქმულებით აქ კვირიასაც ილოცავდნენ. ახლაც „ნაწყაროვალს“ ეძახიან ამ ადგილს. ამბობენ, რომ ეს წყალი წმინდად ყოფილა დაცული (სიწმინდის ხევსურული გაგებით). ამ წყაროზე ქალებიც მიდიოდნენ, მაგრამ სარეცხს არ გარეცხავდნენ; ქალური უწმინდურობის დროს არ მოვიდოდნენ. მაგრამ ამ წყაროში ერთხელ ქალს სამრელოში ნაცვამი სადიაკო გაურეცხია და მაშინ ეს წყალიც დაკარგულა იმ ადგილიდანო. მკითხავის რჩევით, დამნაშავეს მიუყვანია წყაროს ადგილთან ერთი საკლავი, დაუკლავს, მაგრამ წყალი მაინც აღარ ამოსულა. იგი იქიდან დაახლოებით ორმოცი საჟენის დაშორებით მდინარე ასს პირზე აღმოჩენილა. ამ წყაროს ძალიან უყვიან და წმინდად ინახავენ. ქალები, სამრელოდან შემოსვლის შემდეგ მესამე დღემდინ აქ არ მივლენ, ამ წყალში გასარეცხს არაფერს მიტანენ.

ჯვარის ტყე. ყველა სალოცავს აქვს საკუთარი ტყე. ამ ტყით კერძო მცხოვრებლებს არ შეუძლიათ ისარგებლონ — შეშა მოჭრან და ან სხვა ხის მასალა რამე გამოიტანონ. რომ შეხედოთ, მაშინვე შეამჩნევთ, რომ ის ჯვრის ტყე არის. სხვა ტყესთან შედარებით იგი ძალიან გაზრდილია. ამგვარ ტყეში პირიქით ხევსურეთს მაგ. არხოტში, ისეთი მსხვილი ფიჭვები მოიპოვება, რომ ერთი ხიდან ერთი სახლის საკმაო მასალა გამოვა. აქვეა საუკეთესო ცაცხვი, არყი და სხვა ხეები. ჯვარის ტყეში წინათ საქონელსაც არ უშვებდნენ. ამას გარდა, ის დაცული იყო ყოველგვარი უწმინდურებისაგან. აქ არ შეიძლებოდა სამრელოს ნამყოფი ქალის შესვლა. მაგრამ ერთი ტყეა, რომელსაც განსაკუთრებით დიდ პატივს სცემენ, ეს ტყე ეკუთვნის არხოტის ჯვარს, იგი დღესაც დაცულია. ამ ტყეში არ შედის არც სამრელოს მყოფი ქალი და არც სამრელოდან ახალშემოსული. საზოგადოდ, ხევსურეთში ქალი ყველაზე უწმინდურ არსებად მიიჩნიათ და სამლოცველო და წმიდა ადგილებში მარტო მას (სხვას არავის და არაფერს) ეკრძალება გავლა. ჯვარის ტყეში რომ მთელი ოჯახის კუთვნილი პირუტყვი შევიდეს და ქალმა იცოდეს შგელი ყველას შეჭამს, თუ ღამე იქ დარჩა, იგი ამ ტყეში თვითონ მაინც ვერ შევა. წავა და სოფლიდან ან ბავშვს, ან მამაკაცს ვისმე მოიყვანს ძროხების გამოსარეკად. ეს ჯვარის ტყე არის ახიელის პირდაპირ. მასში ძალიან დიდი არყის ხეებია, ადამიანთაგან გამოუყენებელი. ახლა კი ხალხი თანდათანობით გათამამდა და ამ ტყიდან სარგებლობენ, სა-

სოფლო საქმისათვის გამოაქვთ, ხიდების მასალა და სხვა. წინათ კი ასეთი რამ სასტიკად აკრძალული იყო.

არის კიდევ ტყეები ჯვარისა, მაგ. მთის ჯვრის ტყე, რკენის ფიქვნი და სხვა.

მთის ჯვრის ტყე ეკუთვნის მთიშეშაგს. იგი კარგად არის დაცული. ამ ტყეში მოიპოვება მოზრდილი ფიქვებიც. სოფელი ამ ტყიდან ფელით ყიდულობს ხეებს სასოფლო და საჯვარო საალმშენებლო მასალად. ამ ტყეში ქალები არ შედიან მარტო სამრეცლოს ყოფნის დროს, ხოლო სამრეცლოდან შემოსვლის მესამე დღეს კი შეუძლიათ ამ ტყეზე გავლა. იქ იდგა ერთი უზარმაზარი გამხმარი ფიქვის ხე, რომელსაც „გამხმარ ფიქვს" ეძახდნენ. იგი განსაკუთრებულად წმინდა ხედ მიაჩნდათ. ქალი ამ ხის სიახლოვეს არ გაივლიდა არასდროს. ხალხის რწმენით, ეს ხე მთიშეშაგსაც ძალიან უყვარდა. იტყოდნენ, რომ მთიშეშაგს ამ ხეზე დაჯდომა უყვარს და თავის საბრძანებლად ინახავსო. ეს ხე იმიტომ გახმა, რომ ვიღაცა უწმინდურმა ქალმა მის ახლო გაიარა. ამაზე გაჯავრებულმა მთის ვეშაგმა დასაჯა ის ქალიც და ხეც გახმაო. მერე იგი მოკვეს დასტურებმა ჯვარის ლუდის სადღეგებად. ამის შემდეგ ერთ მათგანს ცოლი მოუკვდა და ამას დააბრალა მკითხავმა: ამ ხეზე მე ანთებული სანთელი მინახავს, ეს მთიშეშაგი იყო და ამ ხის შოკრა როგორ შეიძლებოდაო. მერე სხვებმა ამ ხის ძირი ამოთხარეს კვარად საზმარებად, რასაც აქ „ჩირაზს" ეძახიან. ერთი მათგანი გაციცდა და ავად გახდა. მკითხავმა ამითაც ისარგებლა და მთიშეშაგს დაუბრალა. ჩირაზის კუნძი მისმა მშობლებმა ჯვარში მიათრიეს და „ჯურუმად" ერთი საკლავიც დაკლეს.

რკენის ფიქვშიც ქალები არ მიდიან. იგი ს. ამღაშია, ეკუთვნის იახსარს.

ОТ РЕДАКТОРА

На современном этапе развития этнографической науки, ввиду познавательной и практической значимости, особое внимание уделяется изучению народных празднеств. В них сохраненные древнейшие религиозные верования и представления, идеологическое наслоение разных эпох, часто являются первоисточниками в деле изучения духовной культуры народа.

Грузинские народные календарные празднества, в которых древнейшие религиозные формы переплетаются с христианскими, образуя единую систему, охватывают богатый материал о мифологии, о религиозных обрядовых представлениях, социально-религиозных институтах, о хозяйственных работах, связанных с культом, о хозяйственном и календарном циклах, обрядо-зрелищных ритуалах, о фольклоре и т. д.

Отсюда очевидно то значение, которое имеет этот материал для специалистов разных отраслей гуманитарных наук, и понятен их интерес к ним.

В данной книге представлена часть собранного Ал. Очиаури в Пшав-Хевсурети материала на религиозную и социальную темы, в 30-х, 50-х годах нашего столетия, среди которых значительное место занимает тема празднества (Эти материалы хранятся в Институте истории, археологии и этнографии им. И. Джавахишвили Академии наук Грузинской ССР).

Ввиду большой объемности материала, охватывающего религиозные празднества пиракетских и шатильских хевсуров, а также Архотского ущелья, не удалось его полное издание; в книгу вошли только празднества Архотского ущелья. Остальная же часть материала готова к отдельному изданию.

В отличие от записанных Ал. Очиаури устных рассказов описание Архотских религиозных празднеств принадлежит непосредственно ему. Он, как уроженец этого края, является лучшим знатоком всех сторон местного быта, участником и исполнителем, описанных в книге всех обычаев и обрядов.

Его описания, не умещавшиеся в узкие рамки, представляют празднества как единую систему жизненных интере-

сов, норм поведения, социального и общественного строя горцев.

Собрать подобного рода уникальный материал в настоящее время совершенно невозможно. Отдельные, прослеживающиеся фрагменты древнейших религиозных празднеств видоизменены, обеднены и внутренне истощены.

Уникальность же материалов Ал. Очиаури в их полноте и завершенности.

В последнее время в прессе и отдельных изданиях неоднократно говорится о повышенном интересе к изучению народной культуры родного края.

Надеемся, книга и в этой области окажет услугу заинтересованным лицам и широкой читательской общественности.

საძიებელი*

გეოგრაფიული სახელები

ალვანი — 174
ამეორიტე — 129
ამღა — 89, 91—93, 104, 117, 120, 121, 123—126, 146, 173, 182, 183, 198
არხოტი — 3, 6, 17, 61, 81, 86, 174
ახიელი — 35, 49, 51, 57, 60, 69, 70, 75, 77, 81, 92, 93, 98, 104, 114; 116, 117, 125, 146, 173, 174, 183, 196, 197

ბახტრიონი — 174

გუდანი — 69, 81

ზეისტეჩო — 137

თათხელი — 182
თუშეთი — 123

იერუმსალეთი — 41, 43, 77, 80, 90, 95, 98, 125

კავკავი — 25, 26
კალოთამა — 196
კახეთი — 25, 175
კვირიწმიდა — 60, 69, 70, 132

ლიქოკი — 81

მათურა — 60, 61

ნეთხიჩო — 51

ომალო — 44

პირიქით-ხევსურეთი — 197

როშკა — 81

ტერელოს ჭალა — 83

ფშავი — 60, 92

ღილღო — 120

შატილი — 81, 82

ჭიმლა — 89, 92, 104, 117, 146, 183, 184
ჭიშველი — 60

ხახმატი — 81
ხევსურეთი 8, 11
ხევსურეთის ჭალა — 133

საკულტო სახელები და ტერმინები

ათენგენა — 58, 60, 92, 104, 124, 157, 170, 173, 176, 179, 180, 183, 184, 187, 188

ალვისტანი — 11
აშაღლება — 10, 58, 147, 142, 155, 157, 170, 183, 191, 198

ამღის ჯვარი — 126
ანგელოზთ დაკლათი — 105, 106
ანგელოზი — 8, 10, 11, 105, 121, 194
ანდაბი — 125
ანდრეზი — 54, 88, 122
არგანი — 136

* საძიებელი შეადგინა გ. გოგიაევამ

არხოტის ჯვარი—5, 12, 13, 35, 36, 39, 40, 42, 51, 53, 55, 57, 58, 59, 60, 61, 65, 69, 70, 82, 89, 92, 93, 99, 104, 114, 117, 119, 123, 124, 140, 169, 176, 177, 181, 183, 187, 188, 191, 192.
აღდგომა უფლისა — 9
ალება — 26, 114, 116, 118, 122, 124, 126. 127
ამაღი — 45, 46, 180
ახალა წელი — 71, 77, 111.
ახალ: წელი — 67, 68
ახიელელთ ჯარი — 98
აკუსება — 135, 138, 170, 173

ბადათ დღეობა — 57
ბავშის შეგორება — 67
ბაკანი — 6, 31, 85, 161, 172
ბალინჯი — 39, 161
ბეგარა — 9
ბედი — დავლათი — 152
ბედისკვერა — 112
ბედისკვერაობა — 111, 114
ბედნი — 46
ბერი — 5, 10
ბერიკას ნიღაბი — 70
ბიკონი — 129 135
ბორაკი — 139
ბროლის ქვა — 98
ბუსნო — 173, 179
ბუე-ხევისხერნი II მბუე ჯევისბერნი — 81

გაბრიელ მახარობელი — 10
გაბრიელ მთავარანგელოზი — 54, 60
გადიდება (ჯვართა) — 17, 116
გამასამალოე — 65, 110
გამიწრიკლებული სალოცავი — 194
განათლება — 149
გაშცხადება — 105, 107
განძი — 174
გაქილიკება — 133
გუარის გაყრა — 100
გველისფერი — 91, 126
გიორგი — 9, 10, 96
გიორგი ხმელისგორისა — 57, 58, 146, 148, 155
გიორგობა — 13, 26, 27, 29, 30, 31, 35, 36, 41, 43, 44, 85, 54, 55; 59; 63; 71, 114, 126. 150
გოდორი — 26
გოზა — 130
გორული ჯვარი — 60, 96, 149, 150
გოქჩათ სამანი — 98, 99
გუდანის ჯვარი — 81, 82, 174
გუდანური — 71, 84
გურჯინა — 140, 141

დავლათი — 158
დაკოკვა — 153
დამრიგე ღმერთი — 9, 22
დამწყალობნება — 11, 33, 35, 43, 56, 66, 74, 75, 116, 126, 141, 157, 159
დარბასი — 23, 24, 26, 33, 34, 37, 38, 39, 41, 52, 58, 59, 62, 63, 66, 73 77, 78, 81, 83, 84, 88, 90, 97, 104; 106, 110, 124, 128, 139, 149, 192, 196
დარბასის კარი — 37, 39, 42, 43, 45, 52, 63, 64, 78, 79, 85, 86, 94, 106, 108, 110, 115, 139
დარისხება — 12
  დასტური — 5, 6, 11, 12, 13, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22. 23, 25, 27, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39; 42 43, 44, 45, 46, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 58, 59, 60, 62, 63, 64, 65, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 83, 84, 89, 90, 91, 93, 97, 100, 103, 105, 108, 110, 111, 114, 116, 117, 119, 124, 125, 127, 139, 159, 161, 162, 172, 173, 174, 176, 178, 180, 181, 184, 187, 188, 189, 192; 193;
  დასტურ — ხელოსნები — 24, 36, 37, 43. 47. 49, 56. 64, 65, 67, 79, 84, 109, 115, 118, 152
  დაჯლთვა — 196
  დედამარიემი — 142
  დედამარიემობა — 140
  დედა ჭეშმარიტი — 10
  დევი — 50, 51
  დევ-ჯერეები — 153
  დიასახლისი — 5, 6, 11, 12, 13, 16; 21; 24, 25, 26, 30, 31, 35, 36, 47, 48, 49, 54, 55, 62, 65, 71, 72, 74, 83, 85,

104, 109, 110, 111, 114, 117, 119, 124, 138, 147, 171, 174, 192
დიდება — 34, 47, 56, 59
დიდმარხვა — 127
დობილნი — 45, 195, 196
დობილ-ძმობილი — 131
დოღვი — 163, 164, 168
დოხანი — 131, 134
დრაჰა — 82
დროშა — 38, 49, 50, 52, 53, 62, 67, 110, 123, 124, 149, 152, 153, 154, 157, 159
დროშათ აბმა — 52
დროშათ განათელა — 50
დროშათ მცავი ანგელოზი — 110, 149
დროშათ სამძანი — 180
დროშათ ყარაული — 151
დროშის ზარი — 110
დროშის ტარი — 139
დროშის ჯვარი — 154
დღე დღესინდელი — 8, 17, 23, 55, 74 115

ეზო — 110
ენკენია — 31, 192, 193
ერბოობა — 162
ეშმაკი — 10, 128, 136, 137, 194

ვაცაობა — 130
ვაცი — 130, 131
ვეშაგი — 61

ზარი — 49, 52, 58, 62, 67, 83, 110, 139, 149
ზარის მაცაური ანგელოზი — 151
ზედამდეგი — 20, 21, 22, 24, 35, 41, 66, 75, 79, 98, 109, 141, 161, 179, 84, 190
ზედგანი — 5, 48, 109, 192
ზისცერობა — 162
ზრო — 138
ზღენობა 64, 67, 156
თაგვ-ჩიტთ უქმი — 129, 134, 191
თათართ ჯვარნი — 195, 196
თავისეული ზღვენი — 63
თასი — 16, 17, 18, 19, 20, 23, 24, 29, 34, 36 40, 41, 42, 44, 81, 83, 87, 88, 95, 96, 104, 105, 106, 107, 109, 116, 119, 123, 125
თასის დალოცვა — 20
თაჯიათ ჯვარანი — 196
თბე — 130
თეთრი გიორგი — 142
თემი — 35, 81, 104
თიბისთავი — 187, 190, 191
თიენისაფეარა — 172
თმა-წვერის მოპარსვა — 53
თხის თავი (ნიღაბი) — 70

იასაულნი — 17, 32
იახსარი||იაჯსარი — 7, 87, 89, 90, 91, 125, 126, 162, 174, 181, 182, 198
იაჯრის ქადაგი — 91
იაჯრის ყმანი — 91
იღბალი — 136

კალო — 26
კამალა — 37
კარახანა — 20, 25, 35, 44, 98, 109, 161, 162, 179, 180, 190, 198
კარის მეზობელი — 56
კარ-კამალი — 152
კარნი-ცათანი — 10
კეთილის კაზმვა — 11
კეცეული — 48, 76, 141, 161. 169. 171
კვირა||კვირაე — 6, 8, 10, 14, 17, 18, 22, 32, 41, 43, 55, 116, 117, 173
კვირაის ნიში — 188
კვირაის ძალი — 83
კერეკი — 176
კოდობანი — 11, 25, 26
კილონი — 130
კლიტენი ზეუფლისანი 15
კოდი — 29, 33, 51, 55, 58, 68, 72, 111, 115, 172, 176
კოდის გახსნა — 55, 58
კოდის კურთხევა — 55
კოდ-სამკურთხეველო — 55, 58, 125
კოდ-საფეარი — 14, 15, 33, 55, 56, 65, 66, 116
კოფა — 196
კოში — 14, 21, 28, 29, 33, 35, 149, 171, 177.
კოშკი — 42, 55, 67, 69

კოკობი — 149, 158
კუბატი — 112, 165
კუბატ-კადისკევრები — 164
კუდიანი — 136, 137
კუდიან წუხრა — 135, 137, 191
კუმეტ დილა 85
კუმეტი — 84
კუმეტ წუხრა — 88
კურეტი — 42, 155, 177, 178, 181
კურთხევა — 8, 9, 10, 11, 14, 15, 16, 22, 23, 33, 34, 37, 39, 57, 58, 59, 64, 66, 67, 72, 74, 83, 85, 103, 126

ლათბა — 28, 171, 175
ლამქარი 108
ლამქარ-მწევართ დღეობა — 122, 124
ლამქარ-მწევარნი 118, 128, 171
ლამქარნი — 30, 45, 49, 60, 122
ლატი — 153
ლუდი — 12, 13, 16, 18—22, 24—27, 33—36, 38—41, 43—45, 47, 48, 81, 83—88, 95—98, 101, 104, 106—108, 110, 114, 115, 116, 119, 124, 125

მადლის მოთხოვა — 48
მავნე — 153
მაკეთე — მაკიდული — 131
მახლავ-მამკვდარი — 79
მარიანობა — 141
მარიემწმიდა — 142, 143
მარტეფელა — 131
მარხვა — 48, 127
მარხილი — 89, 90, 92
მარხოშამაე — 48
მარხოშეობა — 48
მასანთო — 30, 49, 71, 170
მასშერი — 173
მგებრი — 165, 166
მგზავრი დროშა — 172
მებეკური — 90
მებეკურობა — 93
მედარბასე ანგელოზი — 47
მედროშავე — 38, 52, 53, 62, 111, 153
მედროშავე ანგელოზი — 139
მედროშავე — ხელოსანი — 192
მეენე — 132
მეზღვნე — 38, 41, 43, 44, 45, 63—65, 68. 106, 108, 109, 119, 145, 151
მეთამამე — 26, 89, 93, 95, 106, 108, 125
მეთასეთ თასი — 81
მეთასენი — 81, 88, 99, 106, 107, 110
მეთავისუფლე — 64
მეთვალყურენი — 90
მეკაბარეე — 10
მეკვლე — 72 73, 74, 75, 76, 77
მეკვლე-დასტურნი — 192
მეკვლე-წუხრა — 72, 76
გეკულუხე — 174
მემარცვლენი — 25
მემთე — 187
მესანთლე — 126
მესარიგოე — 37, 38, 39, 43, 63, 146
მესაწულეე — 65, 66, 67, 68
მესახელოე — 155—157
მესმინაე — 137
მესულეთე — 132, 133, 134, 166, 169
მეძენგლე — 52, 53, 54, 60, 61, 62, 69
მეხორცენი — 22, 24
მზისწვერნი — 45, 46
მზე — 10, 19, 21

მთავარანგელოზი — 19, 20, 24, 37, 39, 40, 42, 52, 54, 61, 80, 89, 96, 101, 102, 128
მთის ვეშაგი||მთის ვეშაგ წყაროსთავისა || მთიშეშაგი — 6, 18, 22, 24, 35, 36, 54, 60, 61, 96, 116, 139, 157, 176 177, 178, 179, 180, 181, 188, 191
მთის ჯვრის ტყე — 198
მინდორის ჯვარი — 57, 58
მინდორის ჯვარის დასტურები — 147, 149

მისამბარეო — 151, 152
მიქიელი — 7, 12, 14, 16, 17, 18, 21, 24, 31, 50, 51, 52, 55, 61, 63, 67, 72, 73, 74, 80, 115, 116, 119, 122
მიქიელ კარის მეზობელი — 55, 57, 60
მიქიელის ლამქარნი — 7, 46, 46, 115
მიქიელის მწევარნი — 6, 115, 116, 117, 118, 119, 122
მიქიელ-მთავარანგელოზი — 6, 14, 15, 17, 21, 23, 32, 33, 37, 39, 42, 43, 61, 65, 67, 74, 102, 119
მიქიელ წყალშეისა — 7, 60

მიქიელ ჭიშველისა — 7, 60
მიწა-თიჯათ შაწირვა — 69
მიწრიელ — ქვეცრიელი — 9, 14, 153
მკითხავი — 42, 45, 50, 53, 69, 70, 81, 91, 101, 121, 126, 128, 133, 152, 153, 155, 198
მონდავი — 66, 67
მორიგე ღმერთი — 14, 17, 23, 38, 65
მუში (მუშის ანთება) — 30, 49, 71, 130, 171, 194
მუქათ სანეთლი — 52, 154
მუხლით დაჯდომა — 19, 21, 54, 57, 62, 79, 80
მშვილდის საბამი — 130
მწევარნი — 49, 61, 91, 119, 122
მწევრის საფლავი — 30, 49, 120, 171
მწკალსისხლიანნი — 115, 117, 118
მხვიმე-დღე — 162
მხვიმის დასტურნი — 147, 148, 151, 162

ნარევნი — 164
ნაცივარი სახლი — 124
ნახორი — 47, 110, 111
ნების ბეგარა — 115

ოჯი — 135
ოჯრის სულმკვდარი — 136

პატივის მიტანა — 95
პირისაბანი — 67, 102, 156

ჟამი — 121, 122
ჟამისწირვა — 23, 24, 29, 35, 48, 50, 60, 62, 63, 67, 85, 93, 104, 108, 127, 141, 143, 150, 162, 174, 148, 149, 151, 198
ჟამსაწირი — 13, 22, 31, 36, 54, 55, 58, 62, 71, 104, 105, 114, 148, 149, 151, 158, 172, 176

რიგის ყენება — 55
რჯული — 88, 110, 114, 185

საქაო — 98, 125
საბეკური — 90, 92, 93, 183
საბურდუხაო — 125, 126
სადარაჯდრო — 147, 164
სადიასახლისო — 49, 73, 171
სადიაკო — 112, 195, 197
სადიდებელი — 15, 16, 55, 56, 58, 65, 74, 75, 105,
სადიდებლის თასი 117, 119, 125
სადროშაკე კოშკი — 149
საზარე კოშკი — 150
საზოშის ვაკი — 130
სათოფე — 132
საიმედერო — 125, 126
საიქიო — 98, 133
საიფქლეები — 12, 13
საკვირაო — 5, 11, 16, 13, 23, 31, 33, 47, 62, 65, 85, 104, 110, 126, 172, 197
საკვლევი — 141, 142, 171
საკლავი — 13, 21, 23, 27, 30, 31. 32. 34, 38, 39, 42, 43, 48, 59, 50, 51, 57. 62, 64, 66, 67, 68, 69, 72, 73, 106, 108, 117, 118, 127
საკოდე — 13, 23, 33, 36, 58, 68, 71, 139
საკომი — 135
სალუდე მამელები — 12
სალუდე პური 89, 92
სალუდე ქერი — 29
სალუდე ქვაბი; 27, 28, 117, 120, 140
სამამაკო — 112
სამამკლო — 13, 16
სამამფიცრო — 103
სამანი — 99, 100, 101
საშარცელე — 25
სამება — 15
სამების ჯვარი — 146
სამეზღვნეო ლუდი — 64
სამეზღვნეო ტაბლა — 64
სამეკვლეო კოდი — 72
სამკადრეო — 123
სამკოკეაო — 151, 153
სამრეკლო — 17, 123, 195, 197, 198
სამხეწრო — 156
სანათლავი — 49, 52, 54, 151, 154
სანერბიელო — 164

სანთელი — 13, 16, 33, 34, 47, 83, 115, 116. 119, 125, 126
სამტრო — 97, 108, 109
სარიგო — 37, 38, 62, 63, 118, 146
სასადღრე — 26
სასაკლაკე ს

ქრისტე — 9, 15, 16, 41, 43, 90, 95, 98, 125
ქრისტე (შობა) — 48, 49, 50, 56, 57, 58, 59, 60, 61, 63, 64, 65, 68, 69, 71, 74, 76, 77, 80
„ქურდი" დასტური — 96, 97

ღალა — 89, 104, 183
ღალანგურ წმიდა გიორგი — 7
ღამის სამთელო — 13, 16, 19, 21, 23, 33, 35, 49, 53, 54, 55, 57, 58, 71, 72 83, 109, 114, 116, 139, 148, 150, 154, 158, 172
ღამისთევა — 21, 28, 29, 33, 36, 50, 53, 54, 57, 58, 59, 66, 99, 127, 138, 149, 150, 157, 159, 161, 170
ღაჯია — 185
ღილ-ბორაყი — 174, 175
ღმერთი — 6, 7, 8, 9, 10, 14, 15, 16, 18, 21, 29, 32, 89, 95, 110, 111, 112, 113, 115, 117, 125, 150
ღორღა — 142

ყალანი — 14, 17, 115
ყაწიმი — 175
ყველიერის კვირა — 127
ყველიერის შაბათი — 127
ყვერფი — 31
ყიანი — 130
ყუდრო — 9, 14, 17

შანდობა 48 85, 86, 107
შასახელება — 33, 110
შერიგება ჯვარში — 86
შერისხება 74, 75, 99
შიბი — 175
შიბუ — 48
„შიგსაწვავი — 26, 104, 148
შობა — 48,
შოთხი (ხე) — 138
შუაკაეი — 87, 186
შულტა — 69, 94, 111, 192

ჩაბაკაურთ ჯვარი — 146
ჩამა — 28
ჩანახი — 172, 198
ჩირახი — 33, 198
ჩხანჩხი — 69, 70, 94, 111, 192
ჩხუტი — 19, 28, 29, 33, 34, 36, 39, 117, 138, 170, 173

ცალურბელთ მცავი — 147

ძაღლის კვალი — 77
ძაღლით მოკვეთა — 100
ძენგლი — 50, 51, 52, 69, 70
ძმობის სამანი — 99

წელწადი — 56, 59, 64, 65, 68, 69, 70, 71, 74, 76, 77, 80, 81, 83, 84, 85, 92, 93, 97, 103, 104, 106, 108, 110, 111, 122, 123, 172
წელზად — ქრისტე — 95, 99, 112
წერილა — 22
წილი — 140
წინა შუადღე — 89, 93, 99, 103, 105
ცის მცველ ანგელოზნი — 83
წული — 63, 64, 65, 66, 67, 68
წყალკერთხევა — 108

ჭდის ამოგდება — 101, 102
ჭერხო — 27, 39, 86, 97, 118, 124, 134, 143, 161
ჭიაკოლაობა — 135
ჭირის პატრონი — 34, 39, 41, 55, 57, 71, 76, 77, 78, 79, 113, 127, 131, 132, 134, 168, 169
ჭირნახულის სამხეწრო — 146
ჭიქა-ბარძიმი — 17, 18, 47, 116, 117 119
ჭიმეელის ჯვარი — 184
ჭიჭი — 29, 33, 115

ხავიწი — 31, 49, 62, 71, 138, 139
ხალარჯვება — 163, 164, 168, 169, 170, 191
ხარი — 8, 9, 42, 61, 82, 89, 92, 99, 146, 194
ხარით შამაყრა — 99
ხატი — 12, 13, 21, 25, 26, 38, 41, 66
ხატის მამული — 13
ხატის ტყე — 26
ხატის ყანა — 21
ხარათ ჯვარი — 59
ხელის მომკიდე — 102

ხელუძრავი უქმი — 135
ხელოსანი — 11, 12, 21, 22, 103, 37, 39, 44, 47, 49, 50, 52, 53, 54, 56, 62, 63, 64, 65, 67, 71, 74, 75, 84, 97, 105, 109, 110, 116, 139, 150, 155, 157, 172, 173, 174, 177, 178, 179, 180, 181, 184 189
ხთიშობელი — 194
ხთისკარი — 6, 7, 8, 52, 55, 56, 75, 105, 116, 117, 158
ხთის ია̈ალნი — 9, 56, 115
ხმიადი — 31, 36, 49, 54, 56, 58, 62, 85, 104, 131
ხმიად-საკვირაოები — 23, 111, 139
ხმით ტირილი — 127, 132, 164
ხმით მოტირალი — 127
ხიფხოლა — 140, 141
ხოდაბურები — 24, 25
ხოტი — 28
ხუცესი — 5, 6, 8, 11, 12, 13, 14, 16, 17, 19, 21, 22, 23, 24, 25, 27, 30, 31; 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 44, 47, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 63, 64, 65, 66, 67, 69, 71, 72, 73, 77, 79, 83, 84, 90, 93, 98; 103, 104, 105, 109, 115, 116, 119, 125, 162, 169, 172, 173, 174, 175, 177, 178, 179, 184, 187, 188, 189, 192

ჯაბუშანურთ ბანერა — 55
ჯაბუშანურთ ჯვარი — 56
ჯვარი — 9, 10, 13, 15, 16, 19, 23, 29, 30, 34, 39—41, 43, 48—53, 55—60, 63, 64, 66, 68, 69, 71, 72, 74—76, 78—86, 89, 93, 97, 98, 101, 107—109, 114, 118, 119, 123—125, 127, 128, 139, 140, 149, 180, 181, 180
ჯვარიონი — 11, 12, 18, 19, 21, 22, 24, 25, 38, 45, 47, 50, 52, 54, 59, 60, 62—66, 68, 69, 71—75, 78—80, 97, 98, 106—108, 110, 116, 117, 119, 124—126, 138, 161, 162, 174, 176, 178, 179, 183.
ჯაკველი — 22, 35, 36, 57, 59, 60, 134, 139, 154, 57, 173, 175—177, 181, 183, 191
ჯაკველის ლაშქარნი — 58
ჯაკველი ჯმელის გორისა — 6, 51, 59, 150, 15β, 160
ჯვართ გადიდება — 24, 59, 173, 189
ჯვართ ნიში — 194
ჯვარის გამძღო — 44
ჯვარის ტყე — 197
ჯვარით შერიგება — 81
ჯვარის მამულები — 64, 68, 69
ჯვარის ყანა — 5, 11, 40
ჯვარის ჯელკაცი — 129, 158
ჯიხვის თავ-რქანი — 82
ჯურუმი — 198

შინაარსი

შესავალი	3
ჯვარის მამულების ხვნა არხოტის თემში	5
გიორგობა	36
ქრისტე (შობა)	48
საწულეობა	65
წელწადი	68
კუმეტი	84
წინაშუადღე	89
უკანაშუადღე	103
წყალკურთხევა	108
აღება	114
საბურდუხაო და საიმედურო	125
სასანთლეობა	126
დიდმარხვა	127
ურწყის ორშაბათი	127
თაგვ-ჩიტთ უქმი	129
სულთაკრეფა	129
მგელთუქმი	134
მარხოშუობა	135
კუდიან წუხრა (ციაკოკლაობა)	185
აკვსება	138
ჭირნახულის სამხვეწრო	146
ამაღლება	147
მისამბარეო	152
დაკოქვა	153
საკელო	155
ღამისთევა	157
ხალარჯვება	163
ათენგენა	170
თიბისთაკი	187
თიბის სამშაბათი	190
მარიანობა	191
ენკენია	192
ქარისუქმი	193

ნერილმანი სალოცავები არხოტში 193
ხთიშობელი 194
თათართ ჯვარანი 195
თაკიათ ჯვარანი 196
საკვირაო 197
ჯვარს ტყე 198
От редактора .199
ხაქებელი 201

სბ 3768

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
მხატვარი მ. მათიაშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ე. ბოკერია
კორექტორი ლ. ჯიქია
გამომშვები ელ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 25.12.87;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 13.0;
პირ. საღ. გატ. 13.3; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11.7;
ტირაჟი 2000; შეკვეთა № 4125;

ფასი 2 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19